

K50781
" 2

ლილი ასათიანი

ვაგის კულტურასთან
დაკავშირებული ლექსიკა
ქართულში



„მ ი ც ნ ი მ რ მ ბ ა“
1978

შ.პ. 2015-7379

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ლილი ასათიანი

ვაზის კულტურასთან
დაკავშირებული ლექსიკა
ქართულში

(მასალები)

K 50781
2



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი — 1978

ნაშრომში წარმოდგენილია ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა, გარკვეულია მევენახეობის ტერმინთა მნიშვნელობა, განსაზღვრულია მათი არეალი.

ნაშრომს საფუძვლად უდევს ავტორის მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წლების მანძილზე შეგროვილი დიალექტოლოგიური მასალა. მასალა შევსებულია გამოქვეყნებული დიალექტოლოგიური ტექსტებიდან, ძველი ქართული ენის ძეგლებიდან და სპეციალური ლიტერატურიდან ამოკრებილი მევენახეობის ტერმინებით.

ნაშრომი დახმარებას გაუწევს არა მარტო ენათმეცნიერებს, უწინარეს ყოვლისა, ლექსიკოლოგებსა და ტერმინოლოგებს, არამედ ეთნოგრაფებსა და მათერიალური კულტურის ისტორიკოსებს.

წინასიტყვაობა

ქართველი მეურნე უძველესი დროიდან ახარებს ვაზს, აშენებს ვენახს, უვლის მას, იწვევს ყურძნის მოსავალს, აყენებს მრავალნაირ ღვინოს, გამოჰყავს ვაზის ახალი ჯიშები. ვაზი, ვენახი, ღვინო მუდამ იყო ქართველი ხალხის კეთილდღეობის ერთ-ერთი მთავარი წყარო. მევენახეობა-მეღვინეობა მისი მეურნეობის ერთი ძირითად დარგთაგანი იყო და არის დღესაც. ნიშანდობლივია, რომ ქართველ კაცს ვენახისათვის იგივე სახელი — მამული უწოდებია, რასაც სხვა შემთხვევაში მთელ თავის მამაპაპულ მიწა-წყალს, კიდევ მეტი, რასაც თავის სამშობლოს ეძახის.

სოფლის მეურნეობის ამ დარგის კარგად წარმართვა მევენახის დიდ ცოდნასა და გამოცდილებას, თითქმის მთელი წლის განმავლობაში გულდაგულ შრომას მოითხოვს. „ვაზს, როგორც ოჯახს, ისე ვუვლით, ვაზს შვილივით ვუვლით“, — გვითხრა ერთმა კახელმა გლეხმა. მევენახემ ყველაფერი უნდა გაითვალისწინოს, რაც ვაზს ეხება. მან უნდა იცოდეს: ამა თუ იმ ბუნებრივ პირობებს რომელი ვაზის ჯიშით უფრო ევლება („თავკვერი აქ ბევრჯერ დავაბაგე, არ ივარგა“), როგორ უფრო გაიხარებს ვაზი „მალლარად“ თუ „დაბლარად“ („იხტოურა ხეზე უფრო კარგათ მწიფდებოდა“, „სვენური იანვრამდე, ება ხეზე“), რომელ ხეზე აჯობებს ვაზის აშვება („ხუმბრაზე და ბჟოლაზე მეტად ხარობდა“), როგორი ადგილი სჭობს სავენახედ („ფერდა“, „ფენილი“, „ზიგული“, „პირმზე“), როგორ მიწაში უკეთ ხარობს ვაზი („თირი მიწა კარგია, მალე ხეირობს, მარა დაბერებითაც მალე ბერდება იქ ვაზი. შავნოყიერ მიწაში ქვე უჭირს, გვიან ხეირობს, მარა გვიანაც ბერდება“). როგორ ჩაყაროს ვაზი („სიმართლეზე დააყენებს“, „შარი-შარ ჩაჰყარის“), გააშენოს ვენახი, დაამზადოს ვაზის ნერგები, გაამრავლოს ვაზი, შეავსოს ვენახი („გადაწინით“, „გადამუხვლით“), როგორ უნდა დაამუშაოს სავენახე მიწა („მიწის გადაბრუნება“), რამდენი წლის ვაზის გასხვლა შეიძლება („გასხვლა მესამე წლიდან უნდა“), როდის გასხვლას, შეყელოს, შეწამლოს ვაზი („მანამ სიცივე მაასწრობდა“, „იმ დრომდე უნდა

გაისხლას, სანამ ატირდებოდეს“, „გვიან გასხლულმა იცის მეტი ტირილი“, „როცა კვირტი ჯერ ბუზებივით არ დასხდომია, ვაზი უნდა შაიყელოდ“ „შაურიანის ტოლა რომ გახდება ვაზის ფოთოლი, უნდა შაიწამლოს“), ვაზის რომელი რქა გასხლას და „რამდენ კვირტზე“. ვენახის მომვლელი ამგვარ საკითხებს ვერ გადაწყვეტს, თუ არ გაარკვია: როგორ არის ვაზი გახარებული და რამდენი „რქის გატანა შეუძლია“, თუ ვაზი „თამამია“, მას შეიძლება ორი „მოსახვევი“ და ორი „ნეკი“ დაუტოვოს, თუ „უღონოა“, იძულებულია ერთ ნეკსაც დასჭერდეს. მევენახე ვაზს „ძალს დაუხედავს“ და იმის მიხედვით გასხლავს „მოსახვევს“ შეიდ-რვა ან ათ და მეტ კვირტზე.

გარდა გასხვლისა, ვაზს ესაჭიროება თავის დროზე „შესარვა“, „აკვრა“, „მოხვევა“, „თავის გადატეხა“, „გამორჩნა“, „გამოთხელება“. ამ სამუშაოს შესასრულებლად იყენებენ სათანადო იარაღებს („სავაზე“, „წალდუნა“). ვაზის საყრდენებს („ჭიჯო“, „ხარდანი“), ვაზის ასაკრავ მასალას („მანეული“, „სვია“), შესაწამლს („შაბიამანი“) და სხვ.

ვაზის მოვლის დროს მევენახე-მეურნემ აუცილებელია გაითვალისწინოს ვაზის ყოველი ნაწილის („ფესვი“, „დედა-ვაზი“, „რქა“, „ლერწი“, „ნეკი“, „მოსახვევი“, „ულვაში“, „ნამხრევი“, „მტევანი“, „კლერტი“, „კუფხალი“, „კომპალი“, „ბიბილი“, „წიპწა“, „ფერფლი“, „ლუნძლი“ და სხვ.) თვისება და დანიშნულება; ვაზის ძალა, უნარი და მისი ყოველნაირი თავისებურება.

ვაზის კულტურის რთული და მდიდარი ბუნების ჩაწვდომა, ვაზის გაშენებისა და მოვლის დიდი გამოცდილება, ბუნებრივია, დროთა განმავლობაში ენაშიც აისახებოდა¹. ვენახის მომვლელი ყველაფერს, რაც ვაზთან არის დაკავშირებული, თავ-თავის სახელს უწოდებს. შედეგად გვაქვს უხვი, მრავალფეროვანი, დიდი ისტორიის მქონე მევენახეობის ლექსიკა, — უტყუარი მოწმე თვით ვაზის კულტურის მდიდარი ისტორიისა საქართველოში.

ძველი ქართული აგრონომიული თხზულებები, რომლებშიც ასახული იქნებოდა საქართველოში ვაზის კულტურის განვითარება, როგორც ცნობილია, არ მოგვეპოვება. ამიტომ საქართველოში მევენახეობის ისტორიის გარკვევის მთავარ წყაროს სათანადო ტერ-

¹ ერთ სოფელში ბავშვებს ვკითხე წიპწის სახელწოდება — ამას არაფერს ვეძიებო, არაფერში გამოსაღვი არ არისო — მოპასუხეს. მათ არ იცოდნენ, რა თვისების ღრის წიპწა, რისთვის იყენებენ მას და სახელიც არ დასჭირდათ მისი.

მინთა ანალიზი წარმოადგენს. მევენახეობა-მელვინეობის ტერმინთა ანალიზი იყო ერთ-ერთი საფუძველი, რამაც ათქმევინა ივ. ჯავახიშვილს, რომ „უხვი ამპელოგრაფიული და მევენახეობის ტერმინოლოგია, ვაზ-ყურძნის ჭიშების სიმრავლე, ისევე როგორც მათი სახელების აღმნიშვნელობით გამომჟღავნებული დაკვირვების ნიჭი, ქართული ვაზ-ყურძნის ჭიშების მალახარისხოვან თვისებებთან ერთად სრულ უფლებას აძლევს მკვლევარს დაასკვნას, რომ ძველ საქართველოში მევენახეობა უაღრესად განვითარებული ყოფილა, მევენახეობის ცოდნისა და საქმიანობის დონეც უეჭველად მაღალი უნდა ყოფილიყო“ და ყოველივე ეს „ცხადპყობს, რომ მევენახეობის ერთ მთავარ ცენტრთაგანად უცილებლად საქართველოც უნდა იქნეს მიჩნეული“².

ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა სპეციალურ საენათმეცნიერო, ისტორიულ-ეთნოგრაფიულსა და აგრონომიულ ლიტერატურაში ფართოდ არის წარმოდგენილი — არაერთი საინტერესო ტერმინი არის ფიქსირებული და გაანალიზებული. მაგრამ ნაშრომი, რომელშიც მევენახეობის მდიდარი ლექსიკა იყო თავმოყრილი და შესწავლილი, არ მოგვეპოვება. ამ ხარვეზის რამდენადმე შევსებას ისახავს მიზნად წინამდებარე ნაშრომი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მასში არ არის მოცემული ტერმინთა ისტორია და ეტიმოლოგია, რაც მოითხოვს იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემების გათვალისწინებას და კვლევის შემდგომ საფეხურს წარმოადგენს. სპეციალურ ლიტერატურაში არსებული ასეთი კვლევის შედეგებზე მითითებულია სათანადო ტერმინებზე მსჯელობის დროს. იხ. მაგალითად, ბაბილო, დობილო.

ნაშრომი ეყრდნობა, ერთი მხრივ, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებიდან ამოკრებილ მასალას (ამ ტერმინთა უმეტესობა და ვაზის კულტურასთან დაკავშირებული მრავალი სხვა სიტყვა-განმარტებულია სულხან-საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონში“), მეორე მხრივ — თანამედროვე ქართულ დიალექტოლოგიურ მასალას, ამოკრებილს დიალექტოლოგიური ტექსტებიდან და ლექსიკონებიდან (იხ. თანდართული ლიტერატურის სია); აგრეთვე, ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით 1935 წელს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეგროვილი შინამრეწველობისა და ენათმეც-

² ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი მეორე, თბ., 1935, გვ. 603.

ნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში დაცულ დიალექტურ მასალებს.

ნაშრომში წარმოდგენილი მასალის დიდი ნაწილი საგანგებოდ შევაგროვეთ სხვადასხვა დროს საქართველოს მევენახეობის რაიონებში; ქართლში (ატენი, ბერბუკი, გორი, ხოვლე, იკოთი, ყანჩავეთი, წირქოლი), კახეთში (ყვარელი, გავაზი, საბუე, ახმეტა, ქისტაური, მატანი, თელავი, წინანდალი, ლაგოდეხი, კარდანახი, გურჯაანი, მანავი), იმერეთში (საჩხერე, სხვიტორი, ჭორვილა, ზესტაფონი, საქარა, ობჩა, გელათი, ვანი, ამაღლება, ზეინდარი, შუა გორა, სალხინო, სალომინაო), გურიაში (ზენობანი, მამათი), რაჭაში (ამბროლაური), ლეჩხუმში (დერჩი, ონჭეიში, დღნორისა, საჩხეური, ჭაშლეთი, ორხვი, ტვიში, ქორენიში, უსახელო).

ნაშრომში, შეძლებისდაგვარად, სრულადაა თავმოყრილი და მნიშვნელობის მიხედვით დაჯგუფებული მევენახეობის ლექსიკა. ტერმინთა აღწერა და განმარტება ძირითადად მთქმელს სიტყვით არის გადმოცემული. თვით საგნის რაობა — ვაზის თვისებების გთვალისწინება და მასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულების წეს-ჩვეულებანი, ცხადია, მევენახე აგრონომების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა და ეთნოგრაფების კვლევის საგანია.

ტერმინთა მრავალფეროვნება, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ერთი და იმავე მნიშვნელობის სხვადასხვა ტერმინის არსებობა და, აგრეთვე, ერთი და იმავე ტერმინის სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარება, რაც თავისთავად მეურნეობის ამ დარგის ლექსიკის სიმდიდრეზე მეტყველებს, ტერმინოლოგიის დადგენის თვალსაზრისით გარკვეულ სირთულეს ქმნის. ხშირად ძნელი ხდება სინონიმთა სიმრავლეში ერთი ძირითადი ტერმინის შერჩევა. ამ მხრივ ნაშრომმა შეიძლება ხელი შეუწყოს მევენახეობის ტერმინოლოგიის შემუშავებას. საბოლოოდ დადგენილი ტერმინების უქონლობით უნდა აიხსენებოდეს, რომ, მიუხედავად მევენახეობის ტერმინთა სიუხვისა, სპეციალურ ლიტერატურაში და შემდეგ ცოცხალ მეტყველებაშიც, საკუთარ, მკვიდრ ტერმინთა ნაცვლად ვხვდებით ხელოვნურ ტერმინებსა და გამოთქმებს. მაგალითად, პრესაში და სპეციალურ ლიტერატურაში ხმარობენ გამოთქმას „ვაზის დაყენება სარზე“ (ნაცვლად ხალხში გავრცელებული ტერმინებისა: შესარვა, შეჭიგვა, მოხარდენა და სხვ.); „მწვანე ოპერაცია“, „ვაზის ფორმირება“, „ყლორტების დანორმება“ (ნაცვლად ტერმინებისა „გამორჩნა“, „გამოთხელება“, „გახილვა“); „ნიადაგის ფენების გადანაცვლება“

(ნაცვლად გამოთქმისა „მიწის გადაბრუნება“); ასევე „ანასხლავი რქები“, ე. ი. წალამი.

ნაშრომს საფუძვლად უდევს საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც არს. ჩ ი ქ თ ბ ა ვ ა ს ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ი თ ი ყ ო შ ე ს რ უ ლ ე ბ უ ლ ი ³.

³ წიგნის ავტორს განზრახული აქვს მოამზადოს ამ ნაშრომის მეორე ნაწილი, რომელშიც შევა მეღვინეობასთან (და ასევე რთელთან) დაკავშირებული ტერმინები, ვაზის ჯიშების აღმნიშვნელი სახელები და მევენახეობა-მეღვინეობის ტერმინთა ლექსიკონი.

თავი პირველი

ვ ა ზ ი

ვაზი. მე-9, მე-10 საუკუნიდან მოყოლებული ქართული ენის ძეგლებში დადასტურებულია ტერმინი ვაზი ყურძნის ხის მნიშვნელობით. „და იყო ვაზი იგი ვა ვენაჯი მდდელთ მოძღურისა ლუკაძისგან ქადაგებულ“ (იბოლ. TP, III, 8. 87). „იყო მათ თანა ლომი და ვაზი ვენაჯი და კაცი და ორბი იგი“ (იქვე, 8. 81). „პოვა ვენაჯსა შა მსხმოფ ვაზი“ (კიმ. I, 326. 28). „წმიდამან დედოფალმან კელი მიჰყო ზედა კერძო ცხედრისა მისისა მყოფსა მას რტოსა ვაზისასა, მოჰკუთეთა მისგან და შექმნა ჯუარი“ (ცხ. ნინოასი, აგიოგრ. III, 218.4). „მას წელ იყოს ზამთარი კმელ, ტფილ, ვაზი განკმეს სიკმელითა“ (სიბრძ. ფილოს., ლიტ. ქრესტ., 30.12). „...ვაზი, რომლისა რტონი მისნი სავსენი ნაყოფითა ტკბილითა ჰქონან საზრდელად შეილთა თვსთა მარადის“ (სას. პოეზ., 151).

ვაზი ქართული ენის კილოებში: „ვაზი ერთი ძირია, ვენახი—თუ ვაზი გიდგა“ (ქართლ., ატენი): „ახალ ვაზს ჩხირებს ჩაურჭობენ“ (ქართლ., ბერბ.). „აქ ვაზი ჩავყარე“ (იქვე). „ვაზს ჩვენ ვიცნობთ შტოებით, რქებით“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“) „ვაზის წვერები მავთულს ასცდება“ (კახ., ვავაზი). „ვაზს სარს ვუღდავთ“ (კახ., ყვარ.). „ვაზის ფოთოლს მოაწყობენ ქვევრის პირზე“ (იქვე). „ვაზები მოვრწყე“ (კახ., ახმეტა). „ვაზის ჩაყრა“ (კახ., საბუე). „ვაზი ცოცხლობს“ (იქვე). „ვაზი საზრდობს“ (კახ., მატანი). „ვაზი დიდხანს სძლებდა, ძველად მაინც ორი თაობა უნდა გამეეცვალნა ვაზს“ (ქიზ., „შინამრეწვ.“). „ვაზი გაზაფხულზე ატირდეს, ვაზს აზარალებს“ (იმერ., სხვიტ.). „კარგი ნაზარდი ნახეირალი ვაზი იძლევა ბუშებს, ნაყარს“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ვაზის ავადმყოფობა ჩვენში იყო: ნაცარი, ობი და ჭრაქი“ (გურ., „შინამრეწვ.“). „ვაზს აქვს ფესვი, ღერი, ლერწი“ (ზ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „თავს ამოვაყოფინებდით ნეკებს და გადავჭრით ორ კვირტზე, ამოხეთქავდა და გაიზრდებოდა ვაზი“ (ქვ. რაჭა, „შინა-

მრეწვ.“). „ეს შვიდი ვაზი მაქო (შვიდი ღერი) და ის არ გამიკრიფოთ“ (რაჭ., ძიძიგ.). „ეს დაძველებული გადამხმარი ვაზია და აღარ გაახალშენდება“ (ქვ. ლეჩხ., ღერი). „ვენახისთვის კარქია თირიანი მჩალტე მიწა. იმაში ვაზი კარქა მიდის“ (ლეჩხ., „შინამრეწვ.“).

ვენახი. ყურძნის ხეს, ვაზის გარდა, ვენახიც⁴ ეწოდება. ვენახი ვაზის მნიშვნელობით გვხვდება ძველ ქართულში: „მე ვარ ვენახი და თქუენ რტონი, რომელი დამტკიცებულ იყოს ჩემ თანა“ (იოვ., 15.5C). „გამოაბას ვენახსა კიცვ მისი და რქასა ვენახისასა კიცვ ვირისა მისისა“ (დაბად., 49. 11). „ვენახმან მოსცეს ნაყოფი თვისი“ (ზაქ., 8. 12 იერუს.). „მე ვა ვენახმან შუენიერმან გამოვიღე მადლი“ (ისუ ზირაქ., 24.19 ოშ.). „სხუად არს სიტკბოებად ვენახისა და სხუად—ვაშლისა, და სხუად ლელუსა, და სხუად, ფინიკისა“ (ბას. დიდი, 61.8). „შენ ხარ ვენახი ახლად აღყუავებული, მორჩი კეთილი ედემში დანერგული“ (ღმიტრ. შეფე., ლიტ. ქრესტ., 381. 10). „და ესხა ჭიად ვენახთა მათთა“ (ცხ. პეტრ. იბერ., ლიტ. ქრესტ., 267.1).

ვენახი ერთი ძირი ვაზის მნიშვნელობით გვხვდება თანამედროვე ქართულის უპირატესად დასავლურ კილოებში. „ვენახის ლორდი რო გეიზრდება, უნდა ავახვიოთ“ (იმერ., ჭორგ.). „თითო ჭირღვას დოუსობდით თითო ვენახს“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ხარდნის დასმა მინამდისაც ქე იცოდენ ხოლმე, მარა უხარდნო ვენახიც ქე იცოდენ. ისე გედეიზდებოდა იქით-აქეთ მავყლის ბუჩქივით“ (იქვე). „ვენახი მთელი ბალიც არის და ერთი ძირიც“ (იქვე). „ვენახი იმ დრომდე უნდა გეისხლას, სანამ ატირდებოდეს“ (იმერ., ობჩა), „ვენახი ამოიყრის ვაზს“ (იმერ., ამაღლ.). „როკს ვენახის ხეს ვეძახდით, ვენახის ტანს“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „გადაბარდულ ვენახს რომ ავაკრავთ, იმას ვენახის აკვრას ვეძახდით“ (იქვე). „ვენახს ჩვენ ძირად ვეძახდით, ყურძენი ნაყოფია ვენახისა, ვაზს კი ვენახის ლერწს ვეძახდით“ (იქვე). „თონით ან ბარით ვენახის გარშემო მიწა უნდა დაიბაროს“ (გურ., „შინამრეწვ.“) „ვენახი გამოიღებს ახალ ლერწებს და იმას გაუშვებენ ხეზე და ვენახი გაახლდება“ (იქვე). „ხშირად ვენახს როცა მოძველდება, გადაამაგინებენ“ (იქვე); „დღეს ასი ძირი ვენახი კი დავამაგინე“ (გურ., ჟღ. გვ. 71). „ჩვენსკენ შობა (-ხარობს) ველური ვენახი — ადესა“ (ზ. აჭარ., ქართ. დიალ. I,

⁴ ვენახის ძირითად მნიშვნელობაზე (დღევანდელი სლიტერატურო ქართულის მიხედვით) იხ. გვ. 92.

გვ. 410). „პელაგია ყოველი ვენახის ძირში მიდიოდა და ტიროდა“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „ვაზი არის ვენახის შტო“ (ქვ. ლეჩხ., ორხვი). იშვიათად, მაგრამ ვენახი ვაზის მნიშვნელობით ქართული ენის აღმოსავლურ კილოებშიც გვხვდება. „რომელიც გაიხარებდა და მოლონიერდებოდა ვადაჴიღნავდნენ, რომ ცარიელი შარი არ გამოსულიყო და ყოფილიყო ხშირად, ყოველ სამ ჩარეჴზე უნდა ყოფილიყო ვენახი“ (ზ. ქართლ., „მინამრეწვ.“). „ვენახი ფოთოლი გვაჴამეს“ (ქართლ., მხეთ.). „ვენახს ჳიგვას უდგამდით, სარსაც უდგამდით“ (ქიზ., „მინამრეწვ.“).

მამული. ყურძნის ხის მნიშვნელობით ლეჩხუმში მამული გვხვდება. „სარებ-მისმულ დაბალ მამულს ჩხიროდს ვეტყვიტ, მალლა თუა ხეზე, ამას ხე-მამული ქვია“ (ლეჩხ., „მინამრეწვ.“). „წუნწუნს ასხამენ მამულის ძირებს“ (ქვ. ლეჩხ., ორხვი).

ყურძენი. ზემო აჭარულში ვაზის მნიშვნელობით ყურძენიც უხმარიატ. „ყურძნის ჳავლს ჩამოვიღებტ ძირში, ჩავამაგინებტ“ (ზ. აჭარ., ქართ. დიალ. I, გვ. 411). „ყურძენს ყინვების რომ ემიწინან, მიწაში ჩაყრიან და გაზაფხულზე რგავენ“ (იქვე).

ლერწი. რაჴა-ლერჩხუმში ვაზის მნიშვნელობით ლერწიც გვხვდება. „ი ბოშუნამ ხუტი ლერწი გაკრიფა“ (რაჴ., ფრ.). „ერთი არშინის სიგრძეზე ძველი ლერწი დან მიწას ამობარავდენ“ (ქვ. რაჴა, „მინამრეწვ.“). „ლერწი თუ ძლიერია, რამდენიც ეჴნება მოსახვევი გოუმობტ“ (ქვ. ლეჩხ., ონჴ.). „ლერწის ფოთოლი“ (ზ. ლეჩხ., უსახ.).

ივ. ჯავახიშვილი ყურადღებას მიგვაჴეცევინებს იმ გარემოებაზე, რომ იყო დრო, როდესაც ვაზის სხეულს ხესაც ეძახდენ და თვით ვაზიც ხედ ითვლებოდა⁵. „ვითარცა იგი ხჴ ვენაჯისაჲ ხეთა შორის მადნარისათა რომელი მივეც ცეცხლსა შესაწუველად“ (ეზეკ., 15, 2, იერუს.) მისივე აზრით, ამ გარემოებას ცხადჴყოფს საქართველოში გავრცელებული ვაზის ჳიშის სახელი „ხევარდული“. „ხევარდულის“ ანალოგიით ივ. ჯავახიშვილი იჴვე „ძელშავის“ მიხედვითაც ასკვნის, რომ ოდესღაც ვაზის აღმნიშვნელი ძელიც ყოფილა: „რამჲე ეყოს ძელსა მას ვენაჯისასა“ (ეზეკ., 15, 2. იერუს.).

ამრიგად, ყურძნის ხის აღმნიშვნელი ტერმინებია:

ვაზი — ძვ. და ახ. ქართ.

ვენახი — ძვ. ქართ., ქართ. ენის ძირითადად დასავლ.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 299.

კილოები.
შამული — ლეჩხ.
ყურძენი — აჭარ.
ლერწი — რაჭ., ლეჩხ.

ვაზის ნაწილები

ფესვი. ვაზის (ისევე, როგორც ყველა მცენარის) იმ ნაწილს, რომელიც მიწაში არის მოქცეული, ფესვი ეწოდება. „ვაზი რაკი ხამ მიწაზე დავა, ფესვებსაც გაიკეთებს (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“). „დასაბავ რქას ჩავდგავთ ჭანჭრობ (წყლიან) ალაგას და იხარებს. მერმედ ფესვს გაიდგავს და ვიტყვიტ—აი გაიდგა ფესვი და იხარაო“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ძირეულ ვენახს პირველათ მოუჭრიდნენ მიწას თოხით და ჩარგავდნენ, გაიკეთებდა ფესვებს, ტოტებს და მიუდგამდნენ ხარდანს“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ამოვჭრით ორმოს, ვოუშლით ფესვებს და ჩავრგავთ“ (იმერ., ამილლება). „ვაზს აქ ფესვი მიწაში“ (ზ. რაჭა., „შინამრეწვ.“). „ახლად დარგულ ლერწს ძირს შემოუშლით (მიწას), რომ ზედა ფესვი არ გაიკეთოს“ (ლეჩხ., „შინამრეწვ.“). „ფესვი იანი ლერწი“ (ლეჩხ., ქართ. დიალ. I, გვ. 492).

ფერსო. „ფერსო“ დადასტურებულია ყვარელში.

ფესო. „ვენახს აქვს ძირად ფესო. ფესოს ზევით იქნება ტანი“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

ძირი. ქართულ ენაში ფესვზე არანაკლებ არის გავრცელებული ძირი. „ვეთარცა ვენაჲმან ვერ გამოილოს ნაყოფი თავით თუსით, არა თუ დამტკიცებულ არნ ძირსა ზედა...“ (იოვ. 15.4C). „ვაზის წაწილებია: ძირი, ფესო, დედა-ვაზი ან კორძი, რქა“⁶ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ძირი — საიდანაც განტოტებაა გამოსული“ (ქიზ. ნანობ.). „გადაწიგვნის შემდეგ გეიზდებოდა და გეიკეთებდა ძირს, ძირის შემდეგ გეიკეთებდა ტანს“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ყურძენის ჭავლს... ჩავრგავთ, ძირს გეიკეთებს“ (ქვ. აჭარ., ქართ. დიალ. I, გვ. 411). „სარის ნასობზე ძირი ან ლერწს ძირს ჩაუდებდით“ (ქვ. რაჭა, დიალ.).

⁶ ჩანაწერს ახლავს ვაზის ჩანახატი წარწერებით.

ძირკვი. კახეთსა და ქიზიყში ძირკვი გვხვდება, „ერთი ორჯერ ან სამჯერ ძირკვი უნდა შეეჭრაჲ, ის ძირკვი, რომელიც კვირტიდან არის ჩატანილი“ (ქიზ., ქართ. დიალ. I, გვ. 216).

ამრიგად, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დადასტურებული გვაქვს:

ფესვი — ქართლ. კახ., იმერ., რაჭ., ლეჩხ.

ფერსო — კახ.

ფესო — იმერ.

ძირი — ძვ. ქართ., ქართლ., იმერ., აჭარ., რაჭ.

ძირკვი — კახ., ქიზ.

დედა-ვაზი, დედო-ვაზი, დედა. ქართლსა (ატენი, ბერბუკი, მეჯვრისხევი) და კახეთში (ახმეტა) დადასტურებული გვაქვს ვაზის ნაწილის (ფესვიდან პირველ გატოტვამდე) აღმნიშვნელი სიტყვა დედა-ვაზი. „ვაზს ჩვენ ვიცნობთ შტოებით, რქებით. დედა-ვაზით კი ვერ ვიცნობთ“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). ამავე მნიშვნელობით გვხვდება აგრეთვე დედო-ვაზი და დედა. „მიწის ზემოთ ვაზის გამსხვილებული ტანი, დედაა“ (კახ., ლეკ.). „დედო-ვაზს გასხლავენ, ფუჭ ლერწებს ძირზე შეაჭრიან“ (რაჭ., ფრ.).

დედანი. „დედანი — ვაზის ტანი, რომელზედაც საკავებელი და ნაკია დატოვებული გასხვლის შემდეგ“ (ქართლ., ძიძიგ. და სხვ.).

მუშა-ვაზი. საბას ლექსიკონში შეტანილი აქვს ტერმინი „მუშა-ვაზი ძველი ვაზის ფერი, ამბრის ფერია“ მუშა-ვაზი დედა-ვაზის მნიშვნელობით გვხვდება კახეთში (თელავი, გურჯაანი). „მუშა-ვაზის ძველი ვაზის, ე. ი. ვაზის ლერწის იმ ქვედა ნაწილის აღმნიშვნელი ყოფილა, რომელიც თვითონ ყურძენს არ ისხამს, არამედ რომელსაც რქები გამოაქვს და მთელი ვაზის კვებისათვის მუშაობს“. ასე ხსნის მუშა-ვაზის შინაარსს ივ. ჯავახიშვილი⁷.

ვაზი. დედა-ვაზის ერთ-ერთი სინონიმია ვაზი. „ფესვის შემდეგ ჩვენ ვეძახით ვაზს“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ვაზის ფერი სულ ერთნაირია, სულ ერთი ფერისა, ხოლო რქა რო გამოვა, იმას ვატყობთ ეს ბუდეშურია, დანახარულია, ეს მწვანე ვაზია“ (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“). „ვაზი ქვია ვენახის ტანს, მიწასა და მალა ახალ მოსაბმელ ლერწებს შუა რაც არის“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“).

შავი. ქართლში დედა-ვაზს შავს უწოდებენ. „შავიდან გა-

⁷ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 294.

მოღებულნი რქა ნაყოფს არ იღებს“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „შავს ვეძახით ვაზის ტანს — ვენახი რომ ავჩეხე, შავი დან წამოვიღე ახალი რქაო“ (იქვე). „შავი — დედა ტანს ვეძახით ვაზისას, შავი რომ გამოიტანს ვაზს, იმას ბარდლს ვეძახით“ (იქვე), ვისრამიანის ლექსიკონში მუშა-ვაზი ასე არის განმარტებული: „ძველი ვაზი, რომელსაც ხალხი შავს უწოდებს“⁸.

ძირი. დედა-ვაზს, შავად რომ ჩანს, ძირსაც უწოდებენ. „ფესვი, ძირი⁹, ლერწი“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ყურძენს რქაზე შეატყობ, რა ჯიშია, ძირზე კი ვერ შეატყობ“ (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“). „რქა რო გამოვა, მაშინ სხვანაირია: ზოგი სუ მწვანეა, ძირზე კი ვერ შევატყობთ. ძირი კი ერთნაირია ყველასი“ (იქვე). „ვაზს შემომლა უნდა ძირის, რომ ზედა ფესვი არ გაიკეთოს“ (ქვ. ლეჩხ., ონჭიეში). ჩანაწერიდან ცხადია ძირი, რომელსაც მიწაში ყოფნა არ ეკუთვნის, რომელსაც მიწა უნდა მოაშორონ, ზედა ფესვები რომ არ გაიკეთოს, იგივე დედა-ვაზი არის.

ზრო. რაჭაში იხმარება ტერმინი ზრო ძირის, დედა-ვაზის მნიშვნელობით (რაჭ., ფრ.).

ძველი-ვაზი. საბას ლექსიკონში მუშა-ვაზის განმარტებაში ნახმარია ძველი-ვაზი. ივ. ჯავახიშვილის აზრით „ს. ორბელიანის განმარტებითგან ირკვევა, რომ მუშა-ვაზს, თუ ამაზე ადრე არა, მის დროს მაინც, ძველი-ვაზიც ჰრქმევია“¹⁰.

ძველ-კუნძი. დედა-ვაზის მნიშვნელობით ქართლში ძველ-კუნძიც გვხვდება. „ვაზს ჩვენ ვიცნობთ შტოებით, რქებით... ძველ-კუნძით კი, დედა-ვაზით კი, ვერ ვიცნობთ“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

კორძი. ქართლელ გლეხს ვაზის ძველი, შავი ნაწილის აღწერის დროს უთქვამს „დედა-ვაზი ან კორძიო“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). ე. ი. დედა-ვაზის ერთ-ერთ სინონიმად კორძიც უნდა ჩაითვალოს.

ღერი. „ვაზს აქვს ფესვი და ძირი მიწაში, მალა — ღერი, ნამყენი, ლერწი, იმაზე კვირტი“ (ზ. რაჭ., „შინამრეწვ.“). „ვაზს ღერი დან ან ქვეითა ლერწიდან რომელიც კაი რქა ექნება გამოღებული, ორ კვირტზე სამამულედ ისხვლება“ (რაჭ., ფრ.).

⁸ ვისრამიანი, 1884, გამომცემლები ილ. ჭავჭავაძე, პ. უმიკაშვილი და ალ. სარაჯიშვილი, გვ. 467.

⁹ ახლავს ჩანახატი.

¹⁰ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 294.

ტანი, დედა-ტანი. „ვენახს აქვს ძირად ფესო, ფესოს ზევით იქნება ტ ა ნ ი, ტ ა ნ ი ს შემდეგ ვენახი იბამს ვაზს“¹¹ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „გადაწიგნვის შემდეგ გეისდებოდა და გეიკეთებდა ძირს, ძირის შემდეგ გეიკეთებდა ტ ა ნ ს“ (იქვე). „შავი — დ ე დ ა-ტ ა ნ ს ვეძახით ვაზისას“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

წელი „წ ე ლ ი—დედამიწის პირიდან სანაყოფე რქამდე“ (ქიზ., ნანობ.).

როკი. „როკს ვენახის ხეს ვუძახით, ვენახის ტანს“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ვენახის რ ო კ ი რომ ამოიყრის, ვაზსაც ვეტყვიტ და ლერწმსაც ვეტყვიტ“ (იქვე).

ლერწი, რქა. სტ. მენტეშაშვილს აჭარაში ჩაწერილი აქვს „ლ ე რ-წ ი — დედა-ვაზი“ და მეროდ — „ლ ე რ წ ი — ვაზის ტანი, რ ქ ა“. ჩანაწერებიდან ჩანს, რომ აჭარაში რქა და ლერწი ორივე იხმარება ვაზის ტანის მნიშვნელობით.

ივ. ჯავახიშვილის აზრით ლ ე რ წ ი და მუშა-ვაზი ვაზის ზროს აღმნიშვნელი ტერმინებია. „რქა ეხლა და უკვე დიდხანია ვაზის ტოტების აღმნიშვნელ სიტყვად არის ქცეული“, მაგრამ გაცოლებით ამაზე უწინარესაც უნდა იყოს ლ ე რ წ ი ვაზის ზროს აღსანიშნავად წინანდელი რქის მაგიერ შემოღებული“¹².

ამრიგად, ვაზის ტანის (ფესვიდან დატოტვამდე) აღმნიშვნელი ტერმინებია:

დ ე დ ა-ვ ა ზ ი, დ ე დ ა — ქართლ., კახ.

დ ე დ ო-ვ ა ზ ი — რაჭ.

დ ე დ ა ნ ი — ქართლ.

მ უ შ ა-ვ ა ზ ი — საბა, კახ.

ვ ა ზ ი — ქართლ., იმერ.

შ ა ვ ი — ქართლ.

ძ ი რ ი — ქართლ., კახ., იმერ., რაჭ., ლეჩხ.

ზ რ ო — რაჭ.

ძ ვ ე ლ ი-ვ ა ზ ი — საბა.

ძ ვ ე ლ -კ უ ნ ძ ი — ქართლ.

კ ო რ ძ ი — ქართლ.

ლ ე რ ი — რაჭ.

ტ ა ნ ი — იმერ.

¹¹ ვენახი ვაზის მნიშვნელობით არის ნახმარი და ვაზი — რქის.

¹² ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 298.

დედა-ტანი — ქართლ.

წელი — ქიზ.

როკი — იმერ.

ლერწი — აჭარ.

რქა — აჭარ.

ბორჯოყო. ვაზის დედა-ტანი, ისევე როგორც საერთოდ მცენარის ტანი, თავდება პირველი გატოტვის უბესთან. შემდეგ იწყება სხვადასხვა ასაკის ტოტები. იმ ადგილს, სადაც დედა-ვაზი თავდება და ტოტები იწყება რაჭა-ლეჩხუმში ბორჯოყო ეწოდება. „ლერს ბორჯოყო ებმის, ბორჯოყო ის ადგილია, საიდანაც შტოებთან ლერწები იწყება“ (რაჭ., ფრ., გვ. 80). „პირველად სარზე ბორჯოყოსთან მაგრდება ვაზი“ (იქვე, 85). „ბორჯოყო — ტოტების გასაყარი ადგილი“ (ლეჩხ., ალაგ.).

ძველი-რქა, ძველი-ლერწი, ვაზის ტოტების ასაკის გარკვევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვაზის გამენებისა და სწორად მოვლისათვის. როგორც ცნობილია, ნაყოფს ისხამს ერთწლიანი რქა, რომელიც ორწლიან ტოტზე არის დაფუძნებული. ვაზის ტოტები სახელდება იმის მიხედვით თუ რამდენწლიანი კახეთში ვაზის ერთზე მეტი ხნის ტოტს ძველ-რქას ეძახიან. ხოლო იმერეთში — ძველ ლერწს. „ხელშავი არი 4—5 სანტიმეტრის სიგრძის ნაწილი ძველი-ლერწისა, რომელზედაც ამოსულია გასამრავლებლად აჭრილი მეორე წლის ლერწი“ (ზ. იმერ., ძოწ. I, გვ. 421).

ძველიანი. ვაზის ძველი ტოტის აღმნიშვნელი ტერმინი არის ძველიანი. „ძველიანი არის ვაზის დამსხვილებული (ტოტი), შავათა ჩანს“ (კახ., გავაზი). „რქას, ჩასადგებათ რო გვინდა, ძველიანი უნდა ჰქონდეს, წინათ დიდი ქონდა, ეხლა ცოტა აქ“ (ქიზ., „შინამრეწვ.“). „ახალგასამენებლად რომ ვაზს რქას ააჭრიან (ერთი წლისა უნდა იყოს), ძველიანს ერთი გოჯის ოდენას მიაყოლებენ“ (იქვე). „თუ რქას ძველიანი არ მიაყოლე, არ იხარებს“ (ქიზ., მენტ.). „ძველიანი არ იბამს, საყურძნედ სულ ახალი რქა უნდა“ (რაჭ., ფრ.). „ძველიანი საფესვეა და ერთ ციდაზე გადაიჭრება“ (იქვე).

ხელშავი. იმერეთში ძველიანის მნიშვნელობით ხელშავი იხმარება. „ლერწით გამრავლების დროს იმ ჯიშის ლერწი ეიჭრება, რომელი ჯიშის გამრავლებაც გვინდა. ეიჭრება თავისი ხელშავით“ (ზ. იმერ., ძოწ. I, გვ. 421) „დეირგება ხელშავიანი ლერწი“ (იქვე).

ბობლი, ბობლა, ბჯღლა. „ბობლა — ვაზის უნაყოფო ტოტი ძირიდან სამამულე რქამდე, ბჯღლა“ (კახ., მარტ., იმნ.). „გადაწვენა — ბობლს გაუშვებთ“ (კახ., გავაზი).

მხარი. ს. ჩოლოყაშვილი განასხვავებს სამ წელზე მეტი ხნის ტოტს, რომელსაც მხარს უწოდებს და ორი სამი წლის ტოტებს¹³. სამწუხაროდ ჩვენ მხარი ვერც ერთ კუთხეში ვერ დავადასტურეთ.

ამრიგად, გვაქვს ვაზის ძველი ტოტის აღმნიშვნელი ტერმინები:

ძველი-რქა — კახ.

ძველი-ლერწი — იმერ.

ძველიანი — კახ., ქიზ., რაჭ.

ხელშავი — იმერ.

ბობლი, ბობლა — კახ.

ბჯღლა — კახ.

მხარი

ყლორტი. ვაზის ახლად ამოყრილი ტოტების აღსანიშნავად ქართულში გვხვდება ყლორტი, მორჩი, ნურჩი და სხვ. (ეს სახელწოდებები საერთოა სხვა მცენარეებთან). ტერმინი ყლორტი ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. „კვირტი როცა წეიზდება და გეიშლება, იმას ყლორტს უძახით“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ახალ გამოყრილ ვენახს ქვია ყლორტი, რომ გეიზდება — ლერწი“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ნამყენს სამი „გოჯის“ სიმაღლეზე ექნება მიწა დაყრილი. ამოხეთქავს და მეორე თვეზე სიბნელიდან ამოვა ყლორტი“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

ყოტი. „აპრილში შავყელამდით, ყოტი რომ გამოვიდოდა კარგათ. მემრე დავკეტამდით კარებს, რო შიგ აღარავინ შესულიყო თიბათვემდინ“ (ქიზ., „შინამრეწვ.“). „ყოტებზე ძირი ორი ფოთოლი უნდა გამადალდე“ (ქიზ., ქართლ. დიალ. I, 216).

დოყი, დუყი. „ვაზი, მაყვალი, რაც უნდა იყოს, რომელიც თამამი ამოდის მას დოყი ეწოდება“ (კახ., დიალ.). „დუყი — ასალამოყრილი ყლორტი“ (გურ., შარაშ.).

ტოლი. „ხმელს აჭრიან (ვაზის) ტანებს და ახალ ტოლებს ამოიღებს“ (აჭარ., მენთ.).

¹³ ს. ჩოლოყაშვილი, მევენახეობის სახელმძღვანელო, თბ., 1937, გვ. 87.

ყოვერი ყვიორი. „ყოვერი — ხის ახალი ნაზარდი, ვაზის შტო“ (ქართლ. სალ.). „რომ გაიზრდება გავფურჩქნით ყვიორის აგან და ნამხრევისაგან“ (ზ. რაჭ., „შინამრეწვ.“).

ლორდი. „ლორდი იგივე ლერწია, მხოლოდ ლორდი ქვია, სანამ დამწიფდებოდეს და გეისხლებოდეს“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ვენახი რო გამოიღებს კვირტს, რო წამოიზრდება, იმას ლორდი ქვია, ლორდი რო გეიზრდება კარგათ — ლერწია“ (იქვე). „გასხვლის მერე სანამდის ლორდს გამოიღებდეს, შეკონავენ ეკლის საკრით“ (იქვე). „ლორდი ვენახის ახალგაზრდა ტოტი, მწვეანე, ფოთლიანი“ (იმერ., დიალ.).

მორჩი. „...და იგი აღმოსცენდა და აღმოორძნდა მორჩი და მწიფე იყვნეს ტევანნი იგი ყურძნისანი“ (დაბად. 40.11) „მორჩის ამოხეთქვა“ (რაჭ., ფრ.).

ნურჩი: „ნურჩი-ვაზი ახლად რომ ამოიყრის“ (ქართლ., ბერბ.).

ჭავლი. გურიასა და აჭარაში ახალ ამოყრილ ტოტს ჭავლს უწოდებენ. „ვენახი რომ ჭავლებს გამოიღებდა, ამით ვენახი განახლდებოდა“ (გურ., „შინამრეწვ.“). „როცა (ვენახი) ახალ ჭავლებს გამოიღებდა მიურგავდნენ ხეებს“ (იქვე) „ყურძნის ჭავლს ჩამოვიღებთ ძირში“ (ქვ. აჭარ., ქართ. დიალ. I, გვ. 411).

ნახეთქი. „ნეკის ნახეთქს და მოხოულისაგან ახალ მოსახოვს უნდა აკვრა“ (ქვ. ლეჩხ., ორხვი). „რო გეიზრდება ვენახი, მერე აკვრა უნდა და მაშინ ნახეთქს, ამონაყარს ავაკრავთ“ (ქვ. ლეჩხ., ქორენ.).

ამონაყარი, ნაყარი. „ახალი ამონაყარი“ (იმერ., გელათი). „ამონაყრილ და ნ ვარჩევთ სანაწიგრეს“ (ქვ. ლეჩხ., ორხვი). „მოსახვევს ძველს მოვჭრით თავისი ამონაყრით, რომ ვენახი მაღლა არ წავიდეს“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „მოუმბელი ნაყარი უნა მოვტეხოთ“ (იმერ., ქართ. დიალ. I, 462). „ნაყარი — ახლადამოყრილი რტოები“ (გურ., შარაშ.).

ვაზის ახლადამოყრილი ტოტების სახელწოდებები:

- ყოლოტი — ქართული ენის თითქმის ყველა კუთხეში.
- ყოტი — ქიზ.
- დოყი — კახ.
- დუყი — გურ.
- ტოლი — აჭარ.
- ყოვერი — ქართლ.
- ყვიორი — რაჭ.
- ლორდი — იმერ.

მ ო რ ჩ ი — ძვ. ქართ., რაჭ.
 ნ უ რ ჩ ი — ქართლ.
 კ ა ვ ლ ი — გურ., აჭარ.
 ნ ა ხ ე თ ქ ი — ლეჩხ.
 ა მ ო ნ ა ყ ა რ ი — იმერ., ლეჩხ.
 ნ ა ყ ა რ ი — იმერ., გურ.

რქა. ვაზის ერთწლიან ტოტს რქა ეწოდება. „გამოაბას ვენაცსა კიცვ მისი და რქასა ვენაცისასა კიცვ ვირისა მისისაჲ“ (დაბად., 49.11). „ვენაცი რქა შუენიერი ისრაჴლი“ (ოს., 10.1 ოშ.). „სავენავე იქმნა საყუარელისა რქისა ადგილსა პოხილსა“ (ბას. დიდი, 57.18). „რომელთა თანა არა დაშთა ტევანცა ერთი ცხოვრებისაჲ, არამედ არცაღა რქაჲ“ (სინ. მრ., 157.28). „რქა ეწოდების ვენაცის ლერწსა“ (საბა).

ქართული ენის კილოებიდან რქა უპირატესად გვხვდება ქართლურში, კახურში, ქიზიყურში. „მწვანეს მოლურჯო რქა აქვს“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ვაზები რქაჲ შედუნდა იცნო“ (იქვე). „შავიდან გამოღებული რქა ნაყოფს არ იღებს“ (იქვე). „დაირთვილა, მაგრამ როცა გავაცალე ვაზს გამხმარი, ისევ გამაიტანა ყურძენიცა და რქაცა“ (ქართლ., ბერბ.). „ვაზის ფერი სულ ერთნაირიჲ სულ ერთი ფერისა, ხოლო რქა რო გამოვა, იმას ვატყობთ — ეს ბუდეშურია, დანახარულია, ეს მწვანე ვაზია“ (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“). „რქა ერთწლიანია“ (კახ., ლაგოდესი). „გასხვლისას ვანარჩუნებთ ნეკს და რქას“ (კახ., ყვარელი). „რქას, რომელიც საჭირო არ არის მოვჭრით, სამამულეს გავუშვებთ“ (იქვე). „რქაწითელის რქა მოწითალოა და ფოთოლიც მოწაბლო აქვს“ (შ. კახ., „შინამრეწვ.“). „რომელი ვაზი რა ყურძენია, რქით შეეტყობა და ფოთლითაც“ (იქვე). „ჯანაანურამ გრძელი რქის გატანა იცის“ (იქვე). „ვსხლავდით სავაზით დი რქასა და ერთ ნეკს ვაძლევდით“ (გ. კახ., „შინამრეწვ.“). „თუ კაი თამამი ვაზი იქნებოდა, შეხედულეებით, ზოგს ორ-სამ რქასაც ვაძლევდით, უფრო კი — ერთს“ (ქიზ., „შინამრეწვ.“). „რქას ჩასაგდებათ რო გვინდა, ძველიანი უნდა ჰქონდეს“ (იქვე). „ზომიერია სამ რქაზე გაისხლას ვენახი. ბევრი რქა ვაზს ავნებს“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

ლერწი. რქის სინონიმია ლერწი. თუ რქა უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოში იხმარება, ლერწის არეალი ძირითადად დასავლეთ საქართველოში შემოიფარგლება. „ლერწი არის, ლორდი რო დასრულდება“ (იმერ., სხვიტ.). „ლორდი რო გეიზრდე-

ბაკარქათ, ლერწია“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ახალ გამოყრილ ვენახს ქვია ყლორტი, რომ გეიზდება — ლერწი“ (იქვე). „აკიდო — ერთ ლერწზე ორი მტევანი“ (იმერ., საქარა). „კრახუნას ლერწი მთავარი ეზდება“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „კვირტი როცა წეიზდება და გეიშლება, იმას ყლორტს უძახით, მაგრამ როცა დამთავრდება, იმას კი ლერწს უძახით“ (იქვე). „ვაზის ნაყარს ლერწს ვეტყვით“ (იქვე). „ვენახის როკი რომ ამოიყრის, ვახსაც ვეტყვით და ლერწსაც ვეტყვით“ (იქვე). „ვენახის ლერწის აგან მოწნული გვერგვი“ (ლექს., „შინამრეწვ.“). „ლერწი წინოლუნდელია“ (ქვ. ლექს., დერჩი). ტერმინი ლერწი იშვიათად გვხვდება ქართლსა და ქიზიყშიც. „სავენაჯეჲ ჯერ დაბრუნება უნდა ორ ბარი პირზე. დაბრუნები მემრე, ჯერ ლერწზე უნდა იზრუნო“ (ქიზ., ქართ. დიალ. I, გვ. 215). „რქას ჩვენ ვეძახით ვაზის ლერწს“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

ვაზი. რქის მნიშვნელობით ვაზიც იხმარება. „არა თუ ვინმე დაადგრა ჩემ თანა, განვარდა იგი გარე ვითარცა ვაზი, განჯმა, და შეკრიბონ იგი და ცეცხლთა დაასხან იგი და დაიწუას“ (იოვ., 15.6C). „ბოძებს რომ დაუსხავთ და ზედ მერმედ ხეებს გავაწყობთ, ვაზები გადავა, ის ვაზები მერე სულ დაინეკება სამ-სამ კვირტზე, იმას ვეტყვით ხეივანს“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ვაზის არის, რასაც ვენახი ყოველწლიურად ამოიყრის“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ვენახის როკი რომ ამოიყრის, ვახსაც ვეტყვით და ლერწსაც — რავალი ვაზი აქვს, ბასია. შენს ვენახს?“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ვენახს ჩვენ ძირად ვეძახით... ვახსკი ვენახს ლერწს ვეძახით“ (იქვე). „ვაზათხულზე დატოებულ ტოტებს ვახს ვეტყვით, ვაზთან ერთად რჩება რქა. რქა საწინაოს მომცემია; მომავალი წლისათვის უნდა მოგვეცეს ვაზები“ (იქვე). „კარგი შეძლებული ვაზიანი ვენახია“ (იმერ., გელათი). „ვენახი ამოიყრის ვახს“ (იმერ., ამაღლება). „ვაზი—ვენახის შტო“ (ქვ. ლექს., დერჩი). „ვაზი ერთწლიანია“ (იქვე).

ვენახი. ვენახიც უხმარიათ რქის მნიშვნელობით. „ლორდი ქვია ახლათ გამოსულ ვენახს“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „მსხვილ ვენახს დააწვენდნენ გათხრილ მიწაში და დაამაგინებდნენ“ (გურ., „შინამრეწვ.“). „წრეულს რუმ ვენახი გამუა, შეიძლება გაისათ სულ არ გამეისხას, თუ არ გამსხალე“ (ქვ. აჭარ., ქართ. დიალ. I, 411). „მუხლში უნდა გადატეხო ვენახი“ (ქვ. ლექს., საჩხეური).

ბაბილო. ბაბილო ქართლში ტყის ყურძნის მნიშვნელობით იხმარება. ძველ ქართულში, ქართლსა და კახეთში იგი ხეზე აშ-

უებული ვაზის, მალლარის მნიშვნელობით გვხვდება. ძველ ქართულშივე ბ ა ბ ი ლ ო რ ჯის მნიშვნელობით გვხვდება. „იქმნა ვენაჯად და ყვნა წოდნენი და განავრცნა ბ ა ბ ი ლ ო ნ ი მის-ნი“ (დაბად., 17.6). „და განირთხა ბ ა ბ ი ლ ო ნ ი თჳსნი“ (ეზეკ., 17.6. იერუს.). „დაფარნა მთანი ჩრდილმან მისმან და ბ ა ბ ი ლ ო-თ ა მისთა ნაძუნი“ (ფსალმ., 79.9). დ. ჩუბინაშვილის განმარტებითაც „ბ ა ბ ი ლ ო... რქა ვაზთა ან სხვათა ნერგთა, ნორჩი, შიმალი“ არის. ბ ა ბ ი ლ ო ს ა თ ვ ი ს „თავდაპირველი“ მნიშვნელობა უნდა იყოს რქა, შემდეგ რქიანი, რქა გაშვებული, ე. ი. ვაზი, რომელსაც ბ ა ბ ი ლ ო მოზრდილი აქვს, ბ ა ბ ი ლ ო ი ა ნ ი. ხოლო რქის სიგრძე დამახასიათებელია როგორც გარეული, რომელსაც არავინ სხლავს და კვეცავს, ისე ხეზე გაშვებული ვაზისთვისაც. ამიტომაც გარეული და ხეზე გაშვებული ვაზი ერთი და იმავე ტერმინით აღინიშნება. არნ. ჩიქობავას ეკუთვნის ბ ა ბ ი ლ ო ს ი ტ ყ ვ ი ს ე ტ ი მ ო ლ ო გ ი ა. მაღალი ვა-ზის აღმნიშვნელ ბ ა ბ ი ლ ო და დობილო ტერმინებში, გამოყოფი-ლია საერთო.— ბილ-ძირი (ბა- და დო- თავსართისეულ ელემენტებ-ბად არიან მიჩნეული), იგივე ძირი, რასაც ხუნძურის ყურძნის აღმ-ნიშვნელი — ფუძეც შეიცავს, გარკვეულია ამ ძირის ამოსავალი მნიშვნელობა და დაქვნილია ამ მნიშვნელობის საერთო ფუძეები ქართულსა და ხუნძურში¹⁴.

პოწკი. „ყურძნის პოწკი. იგივეა, რაც რქა“ (აჭარ., მენთ.).

ღერო. „ბუშმა ღერო და ფოთლებს შუა იცის ამოსვლა“ (ლეჩხ., „შინამრეწვ.“). „ლორდი რო გეიზდება ლერწია. ვაზიც ლერწია, ღერო ის არის, რომელიც ყურძენს გამოისხამს“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“).

ბოლი. „ოფოურე ხის უენახი იყო, ყოველწლიურად გავსხლავ-დით ბოლებს“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“), „ბოლი — ვაზის რტო“ (გურ., მამათი).

რტო, შტო, ტოტი. ვაზის ტოტის აღსანიშნავად გამოიყენება სხვა მცენარესთან საერთო სახელწოდებაც. სახელდობრ, რტო, შტო და ტოტი „მე ვარ ვენაჯი და თქუენ რტონი“ (იოვ., 15.5 CDE). „რტო ხოლო ვენაჯისაჲ“ (სინ: მრ., 34 15). „წმიდამან დედოფალ-მან კელი მიჰყო ზედა კერძო ცხედრისა მისისა მყოფსა მას რტოსა ვაზისასა მოჰკუეთა მისგან და შექმნა ჯუარი“ (ცხ. ნინოაღი., ლიტ. ქრესტ. I, 218). „ვაზს ჩვენ ვიცნობთ შტოებით, რქებით“

¹⁴ არნ. ჩიქობავა. ერთი ძველი საერთო იბეროულ-კავკასიური ჯგუფის შესახებ მევენახეობის ტერმინში, ივე, ტ VI, თბ., 1954.

(ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „შოტოებს ჩამეიდებს ქვერე“ (ლუჩხ., ქართ. დიალ. I, გვ. 492). „რაც ზედმეტი ტოტია, ვაზს უნდა მოვაცალოთ“ (ქართლ., ქართ. დიალ. I, გვ. 287). „მწკრეხე ჩაჭყრიდა... რქას და მიაყრიდა მიწას. გაზაფხულზე ტოტებს ამოიტანდა“ (გ. კახ., „შინამრეწვ.“). „გასხვლი დროდ უნა მეექვრად ყველა ტოტი და უნა შადრჩეა ერთი რქა და ერთი ნეკი“ (ქიზ., ქართ. დიალ. I, გვ. 216).

შუალა-რქა, ქართლსა და კახეთში ძველი რქისაგან განსხვავებით ერთწლიან რქას შუალა-რქას უწოდებენ (გორი, თელავი, გურჯაანი).

ყურძნიანი რქა. „ყლორტებს რო ამაიტანს, გაფურჩქვნა უნდა, უყურძნო გამეცლება და სამამულე და ყურძნიანი რქები რჩება“ (მ. კახ., „შინამრეწვ.“).

სანაყოფო. „სანაყოფო გრძელი რქაა, ექვს-ათ კვირტზე ისხვლება“ (კახ., თელავი). „გასხვლისას ვაზს უტოვებენ სამ რქას, ერთს — მოკლედ, ორს — გრძლად. მოკლე რქას სამამულე რქა ეწოდება... გრძელს კი სანაყოფო რქას უწოდებენ“ (კახ., ჯოხ.).

მოსაბამი რქა. „რო გასხლავენ ვაზს, რაც დარჩება, იმას უძახიან მოსაბამი რქას“ (ქვ. ლუჩხ., დერჩი). „ბევრი გოჟში მოსაბამი რქაო — თუ კარგი ვენახი გინდა, ცოტა უნდა გოჟშვა“ (იქვე).

საკავებელი. „ვაზს, როგორც ძალს დავუხედავთ, საკავებელს მივცემთ და... თუ უღონო არის, არ მივცემთ საკავებელს და უნდა დავნეკოთ სამ კვირტზე“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „საკავებელი — უნდა აპრილში მანუღლით მივაკრათ და ამას ვეტყვი“ (იქვე). „საკავებელი გრძელია“ (ქართლ., ბერბ.). „ნეკი სამ კვირტზეა, საკავებელი შვიდ-რვა კვირტზე“ (ქართლ., ატენი). „ვაზს ვუტოვებთ ნექს და საკავებელს“ (იქვე). „ვსხლავდით სავაზით და რქას და ერთ ნექს ვაძლევიდით — რქა იგივე საკავებელია“ (გ. კახ., „შინამრეწვ.“).

ბლუნძა. როგორც ქართლელი გლეხი ამბობს, „კახეთში საკავებელს ბლუნძას ეტყვიან“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). კახეთში კი ბლუნძა დადასტურებული არა გვაქვს.

მოსახვევი, მოსახოვი, შემოსახვევი. „ვენახს უტოვებენ მოსახვევს და ორ ნექს“ (იმერ., საჩხერე). „მოსახვევს ორ-სამსად დატოვებენ, თუ გაიმარჯვა“ (იმერ., საქარა). „მოსახვევი გრძელია,

„შვიდ კვირტზე გასწლული“ (იქვე). „მოსახვევი არის, სამზე. მეტ კვირტზე რომ დატოვებენ“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „დაუტოვოთ ერთ ნექს და ერთს მოსახვევს... ნეკი შედგება სამი კვირტისაგან და მოსახვევი კი—რვა კვირტისაგან. რვა კვირტიანს მოვახოვ ხარდაწზე, სამ კვირტიანს არ უნდა ხელის ხლება“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „მოსახვევი წრეულს მოიბამს და მერე მიაჭრი“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „ვაზის... მოსახოვი გამოისხამს მტევნებს“ (იქვე). „ნეკი გაისათ იქნება მოსახვევი“ (იქვე) „მოსახვევი ერთწლიანია“ (ქვ. ლეჩხ., ქორენ.). „მოსახოვს სამ კვირტზე მოუხოვ და ქვემოთ შვიდ-რვა კვირტზე მიაკრა“ (ქვ. ლეჩხ., ორხვი). „მოსახოვი სამ კვირტზე ამოიყრის სანაყოფეს და იმას გაუშობ ნეკათ და მოსახოვად“ (იქვე). „თუ ნეკი კარგს ამოიყრის იმისაგან გაუშვებთ მოსახვევს და ძველ მოსახვევს მოვჭრით თავისი ამონაყრით, რომ ვენახი მაღლა არ წვეიდეს“ (ქვ. ლეჩხ., ტვიში). „მოხოვა ორ კვირტში ხდება, ერთში ნექს ამოიყრის, მეორეში — მოსახოვს“ (იქვე). „მოსახვევი რომ მოიჭრება, დარჩება სანაყოფო და მერე იმისგან გაკეთდება ნეკი და მოსახოვი. ნეკი ქვემოთ არის, მოსახვევი ზემოთ“ (იქვე). „გრძლათ რო დატოვებენ ლერწს, მოსახვევი ლერწი ანუ რქა“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“).

მოსახრელი. „მოსახრელი შეიძლება ოთხიცი დაყვეს (გასხელის შემდეგ), ვენახის შეძლებაზე“ (იმერ., ამაღლ.). „მოსახრელი ლერწი რვა-ცხრა კვირტზე ისხვლება“ (იმერ., შუა გორა).

მოქიანი. „დამძლავრებულ კაი ვაზის ერთ (რქას) ხუთ-ექვს კვირტზე გადავჭრით და თავს ჩაუყავებთ ისე, რომ ვაზს ამოედოს. ეს მოქიანია და მისი თავი ყოველთვის ემაგრება ვაზის რომელიმე რქას, ხარდანს შვაში იქცევს. მომავალ წელიწადს ეს მოქიანი აუცილებლად უნდა ამოიჭრას“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

გაბმულა, გამბულა. საკავებელი ბლუნძა, მოსახვევი, შემოსახვევი და მოსახრელი ჭიგოზე გარკვეული წესით დამაგრებული ყურძნიანი რქის სახელწოდებებია. რქა მაგრდება თავისივე ვაზის ჭიგოზე. მათგან განსხვავებით გაბმულა, გამბულა (და აგრეთვე გასაბამი) ისეთი ყურძნიანი რქა არის, რომელიც მეზობელ სარზე ან ვაზზე არის გაბმული და დამაგრებული. „გაბმულას ავაჭრით ჩხათა“ (ქართლ., ბერბ.). „თუ ღონიერია ვაზი, გაბმულას აცვუშვებთ“ (ქართ., ატენი). „უღონო ვაზს გავსხლავთ ნეკათ და ღონიერ ვაზს ვუტოვებთ ნექსაც, გაბმულასაც, სამამულესაც“ (იქვე).

„თუ უღონო არის, გაბმულას არ მისცემენ, მოკლეთ. ტუკათ (გასხლავენ), რო აიტანოს“ (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“). „საკავებელს ვლუნავთ, კაკვავთ... გაბმულას კი პირდაპირ გადავლუნავთ, ტოტს გავავრძელებთ; ვაზს თუ მიუახლოვდა წვერებს მიუმაგრებთ, თუ არა და სარებს დაუსობთ ვაზს“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

გასაბამი. „გასაბამი — დიდი ლერწი, რომელსაც გააბამენ ერთი ვაზიდან მეორე ვაზამდის — დანეკვის შემდეგ სტოვებენ გრძლად მოსახვევად“ (იმერ., წერ.). „დაუტოვებენ ხოლმე კიდე გასაბამი ლერწს; გასაბამი ლერწი დიდი ლერწია, ერთი ვაზიდან მეორეზე გააბამენ ხოლმე“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „მოსახვევ ლერწს ჩვენში გასაბამის უძახიან“ (იქვე). „ამავე (ნეკზე) მეტკვირტიანი თუ დატოვეს, გასაბამი ან მოსახვევი ქვია“ (იქვე). „გასაბამი გაიჭიმება და მისთვის საგანგებოდ დასმულ ხარდანს მიემაგრება“ (რაჭ., ფრ.). „რაც არ უნდა ღონიერი იყოს ვაზი, გასაბამი რვა-ცხრა კვირტზე მეტი არ შეიძლება, მოქიანი კი ექვს-შვიდ კვირტზე“ (იქვე).

ამრიგად, ვაზის ერთწლიანი ტოტის სახელწოდებებია:

რქა — ძვ. ქართ., ქართლ., კახ., ქიზ., იმერ., რაჭ.

ლერწი — იმერ., ლეჩხ., ქიზ., ქართლ.

ვაზი — ძვ. ქართ., ქართლ., იმერ., ლეჩხ., რაჭ.

ვენახი — იმერ., ლეჩხ., გურ.

ბაბილო — ძვ. ქართ.

პოწკი — აჭარ.

ღერო — ლეჩხ., იმერ.

ბოლი — გურ.

რტო — ძვ. ქართ.

შტო — ქართლ., ლეჩხ.

ტოტი — ქართლ., კახ., ქიზ.

შუალარქა — ქართლ., კახ.

ყურძნიანი რქა — კახ.

სანაყოფო — კახ.

მოსაბამი რქა — ლეჩხ.

საკავებელი — ქართლ., კახ.

ბლუნძა — კახ.

მოსახვევი, მოსახოვი — იმერ., ლეჩხ.,

შ ე მ ო ს ა ხ ვ ე ვ ი — იმერ.

მ ო ს ა ხ რ ე ლ ი — იმერ.

მ ო ქ ი ა ნ ი — რაჭ.

გ ა ბ მ უ ლ ა — ქართლ.

გ ა მ ბ უ ლ ა — ქართლ.

გ ა ს ა ბ ა მ ი — იმერ., რაჭ.

ნეკი. მევენახე ვენახის გასხვლისას ითვალისწინებს, რომელ-
მა რქამ რა ფუნქცია უნდა შეასრულოს წელს და გაისად, მომავალ-
ში. ვაზს მევენახე უტოვებს შვიდ-რვა კვირტზე გასხლულ ერთ-
წლიან რქას — მოსახვევს, რომელიც წელს მოისხამს ყურძენს და
სამ-ოთხ კვირტზე გასხლულ ტოტს, რომელიც შემდეგ წელს იქ-
ნება მსხმოიარე. მოკლედ გასხლულ რქას ნეკი ეწოდება. თუ
ვაზი მეტად „უღონოა“, მას არც ერთ მოსახვევს არ უტოვებენ,
ე. ი. ვაზი წელს ყურძენს არ გამოისხამს, მაგრამ ნეკის დაუტო-
ვებლობა არ შეიძლება. შესაძლებელია შვიდ-რვა კვირტიანმა რქამ
არ გამოიტანა სამამულე, რომელიც გაისად მსხმოიარე რქად გაი-
ზრდება. ასეთ შემთხვევაში ვაზს „გაიტანს“ ნეკი. შემდეგ წელს,
ნეკიდან ამოყრილ ყლორტს სხლავენ შვიდ-რვა კვირტზე —
ე. ი. იღებენ მოსახვევს და ქვედა კვირტიდან ამოყრილი ყლორტი
კი ისხვლება ნეკად. ნეკი ფართოდ არის გავრცელებული სა-
ქართველოს ყველა კუთხეში. „ნეკი სამამულეა, წრეულ რო რქას
ამოიტანს, იმას დავაყენებთ საგაისოდ“ (ქართლ., ბერბ.). „შიძლე-
ბა სამი-ოთხი ნეკი მივცეთ, როცა მძლავრი ვაზია“ (ქართლ.,
ყანჩ.). „თუ ონა ვაზი არის, რქა ნეკათ (ისხვლება), თუ ლონიე-
რი — ნეკს მივცემთ სამამულეს, ნეკი სამამულეა: მერმის ნეკ-
ზე უნდა გავიდეს. მაღლა არ ავწევთ, დაბლა უშვებთ. მაღლა არ
უნდა წაიყვანოს ვაზი, გაფუჭდება“ (ქართლ. სამსრ. „შინამრეწვ.“).
„ვსხლავდით სავაზით და რქასა და ერთ ნეკს ვაძლევდით“ (გ. კახ.,
„შინამრეწვ.“). „თუ კაი თამამი ვაზი იქნებოდა, შეხედულებით,
ზოგს ორ-სამ რქასაც ვაძლევდით, უფრო კი—ერთს. ნეკსაც ვაძ-
ლევდით. უნეკოთ არ შეიძლება. ნეკს ორი ან სამი კვირტი აქვს.
ნეკს იმისათვის ვაძლევთ, რომ შეიძლება გადაკავებულმა იქვე ახ-
ლო არ გამოიტანოს სამამულე, მაშინ ნეკი გაიტანს სამამულეს.
ნეკს სამამულეთ ვაძლევთ“ (ქიზ., „შინამრეწვ.“. „გასხვლის მერე
ლერწებს რო მოჭრიან, რაც დარჩება ლერწის ბოლო ღერო, იმას
უძახიან ნეკს“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ნეკი ქვია სამ კვირტზე
რო დატოვებენ, წლიანი ნაწილი“ (იქვე). „იმ ღერწს, რომელიც

წელს იზავს, მოგვტრით და ნ ე კ ზ ე რომელიც იქნება, იმას დავტოვებთ“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „დაუტოვთ ერთ ნ ე კ ს და ერთს მოსახვევს. ნ ე კ ი შედგება სამი კვირტისაგან და მოსახვევი კი რვა კვირტისაგან. რვა კვირტიანს მოვახოვ ხარდანზე. სამკვირტიანს არ უნდა ხელის ხლება“ (იქვე). „ვენახს როდესაც ვსხლავთ და რამოდენიმეს რომ უშობ. ერთს ან ორ ლერწს ორ-სამ კვირტზე გადავჭრით და იმას ქვიან ნ ე კ ი“ (იქვე). „ზოგმა მარტვა განეკვა იცის. ერთ-სამ ნ ე კ ს დაუტოვებთ და თითოს ოთხ-ხუთ კვირტს შევარჩინთ განეკვილს“ (ზ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „ლერწი რომ წამოიზღებდა იმ წელს ერთ ნ ე კ ზ ე დავტოვებთ ორ-სამ კვირტზე დავაყენებთ; სხვას გადავჭრით“ (ლეჩხ., „შინამრეწვ.“). „თუ ნ ე კ ი კარგს ამოიყრის, ამისგან გაუშვებთ მოსახვევს და მოსახვევს (ძველს) მოგვტრით თავისი ამონაყრით, რომ ვენახი მაღლა არ წავიდეს“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „ნ ე კ ი თავისუფლადაა რო გეიბურდება ვენახი, მერე აკვრა უნდა და მაშინ ნახეთქს, ამონაყარს ავაკრავთ“ (ქვ. ლეჩხ., დღნორისა). „ნ ე კ ი გაისათ იქნება მოსახვევი“ (იქვე). ნ ე კ ი სახალმენოა“ (ქვ. ლეჩხ., საჩხეურთ).

რქა-ნეკი. რაჭაში რ ქ ა-ნ ე კ ი ც იხმარება. რ ქ ა-ნ ე კ ი სამ კვირტზე მეტი არ შეიძლება“ (რაჭ., ფრ., გვ. 82).

საწინაო. „ქუთაისის სანახებში... მოკლედ მოჭრილ ტოტს, ნეკს გარდა სა წ ი ნ ა ო ს ა ც ე ძახიან“ — მოჰყავს ივანე ჯავახიშვილს ერმ. ნაკაშიძის ცნობა¹⁵.

ამრიგად, სამ-ოთხ კვირტზე გასხლული ერთწლიანი რქის სახელწოდებებია:

- ნ ე კ ი — ქართლ., კახ., ქიზ., იმერ., გურ., რაჭ., ლეჩხ.
- რ ქ ა-ნ ე კ ი — რაჭ.
- ს ა წ ი ნ ა ო — იმერ.

სამამულე, სამამულო რქა. ვახის ტოტების სისტემაში კიდევ ერთი გარემოება უნდა გაითვალისწინოს მევენახემ. შვიდ-რვაკვირტიანი რქის — მოსახვევის მესამე კვირტიდან გაზრდილი ყლორტო გაისად გაისხვლება შვიდ-რვა კვირტზე. ასეთი ყლორტის ერთ-ერთი სახელწოდება არის სამამულე. „ს ა მ ა მ უ ლ ე მიკრულია სარზე წნელით. მერე რომ ამოიყრის, შავფურჩნით ბალახით“ (ქართლ.,

¹⁵ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 329.

ბერბუკი). „ს ა მ ა მ უ ლ ე ნ ე კ მა უ ნ და ი მ უ შ ა ო ს, ნ ა ყ ო ფ ი უ ნ და მ ო გ ე-
ც ე ს“ (იქვე). „უღონო ვაზს გავსხლავთ ნეკათ და ღონიერ ვაზს ვუ-
ტოვებთ ნექსაც, გაბმულასაც, ს ა მ ა მ უ ლ ე ს ა ც“ (ქართლ., ატენი).
„რომელიცა ს ა მ ა მ უ ლ ე რ ქ ა არ ი, ი მ ა ს შ ე ვ ა რ ჩ ე ვ თ და დ ა ნ ა რ-
ჩ ე ნ ს გ ა ვ ა ყ რ ე ი ნ ე ბ თ, ხ ე ლ ი თ დ ა ვ ა მ ტ ვ რ ე ვ თ, ლ ა ფ ნ ი თ ა ვ ა ხ ვ ე ვ თ“
(ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“). „უვარგისს გავაგდებინებთ, გამოუ-
საღეგარ რქას; რომელიც ს ა მ ა მ უ ლ ო ა, ის უნდა შევარჩინოთ“
(ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „...გაფურჩქვნა უნდა, უყურძნო გემე-
ეცლება და ს ა მ ა მ უ ლ ე და ყ უ რ ძ ნ ი ა ნ ი რ ქ ე ბ ი დ ა რ ჩ ე ბ ა“ (შ. კახ.,
„შინამრეწვ.“). „ს ა მ ა მ უ ლ ე რ ქ ა მ უ ნ და გ ა ი ტ ა ნ ო ს... ყ უ რ ძ ე ნ ი
უნდა დაისხას“ (კახ. გავაზი). „კულავითვინ მოკავდება ს ა მ ა მ უ-
ლ ე რ ქ ა“ (შ. კახ., მარტ., იმნ.). „შთამომავლობის გამგრძელებელ-
სა ქვიან ს ა მ ა მ უ ლ ე, ნ ე კ ი“ (იქვე). „ნექს იმისათვის ვაძლევეთ,
რო შეიძლება დაკავებულმა იქვე ახლო არ გამოიტანოს სამამულე,
მაშინ ნეკი გაიტანს ს ა მ ა მ უ ლ ე ს. ნ ე კ ს ს ა მ ა მ უ ლ ე თ ვ ა ძ ლ ე ვ თ.
ს ა მ ა მ უ ლ ე ის რ ქ ა არ ის, რომელიც მერმის უნდა დავაკაოთ“
(ქიზ., „შინამრეწვ.“).

სანაყოფე, სანაყოფო. ტერმინი სამამულე, როგორც დავი-
ნახეთ, გავრცელებულია ქართლ-კახეთში, ქიზიყში, იმერეთსა და
რაჭა-ლეჩხუმში. მისი სინონიმია ს ა ნ ა ყ ო ფ ე. „მოხვევილს ქვეშ
რომ სამო კვირტი რჩება, ამ სამ კვირტიდან ვსარგებლობთ ჩვენ მო-
მავლისათვის სანაყოფოთ. ამ სამში წინა ზედა კვირტში უვარგისი
რომელიც იქნება, იმას შევაჭრით ვენახს და დაუტოვთ ერთ ნექს
და ერთს მოსახვევს“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „მოსახოვს სამ
კვირტზე მოუხვოვ და ქვემოთ შვიდ-რვა კვირტზე მიაკრავ. მესამე
კვირტზე ამოიყრის ს ა ნ ა ყ ო ფ ე ს და იმას გოუშობს ნეკათ და მო-
სახოვათ“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „მოსახვევი, ს ა ნ ა ყ ო ფ ე ს რომ
ამოიღებს, იმას იქით მოსატრელია“ (იქვე).

საყურძნე რქა. კახეთში სამამულე რქას ს ა ყ უ რ ძ ნ ე რ ქ ა-
ს ა ც უ ძ ა ხ ი ა ნ. „ს ა ყ უ რ ძ ნ ე რ ქ ა ს თ ა ვ ის უ ფ ლ ა დ გ ა ვ უ შ ე ვ ბ თ“
(კახ., ახმეტა).

სანეკე. ლაგოდესში იმავე სამამულე რქას ს ა ნ ე კ ე ც უ წ ო-
დ ე ს. ეტყობა კახელმა მევენახემ ერთსა და იმავე რქას ს ა ნ ე კ ე
შეარქვა მისგან ამოყრილი იმ ყლორტის მიხედვით, რომელიც ნე-
კად ისხვლება და ს ა ყ უ რ ძ ნ ე კ ი — იმ ყლორტის მიხედვით, რო-
მელიც მოსახვევად უნდა გაიზარდოს.

საწინდარი. „რაჭაში აგრ. ა. გამყრელიძის სიტყვით... ერთწლი-

ან ვაზზე მოკლეთ გასხლილ რქას თურმე საწინდარი ეწოდება“¹⁶.

საკულაო. სამამულეს მნიშვნელობით კახელმა გლეხმა (სოფ. ახმეტა) იხმარა საკულაო. შდრ. „კულავითვინ მოკავდება სამამულე რქა“ (შ. კახ.).

ამრიგად, სამემკვიდრეო ტოტების სახელწოდებებია:

სამამულე, სამამულო რქა—ქართლ., კახ., ქიზ.

სანაყოფე, სანაყოფო — იმერ., რაჭ., ლეჩხ.

საყურძნე — კახ.

სანეკე — კახ.

საწინდარი — იმერ.

საკულაო — კახ.

ვენახის ნერგი, ჩითილი. ვაზის რქით გამრავლების დროს კარგად გახარებულ, ღონიერ ვაზს წინასწარ ააჭრიან რქას, მუხლებად დაჭრიან და ჩარგავენ მიწაში. „რქას რომ ჩავსვამთ მიწაში, მიწას დავაყრით და დავფარავთ“ (კახ., ყვარ.). „ვაზი გაისხლა გაზაფხულზე, აიჭრა რქა. არც ფოთოლი აქვს... ჩავრგავთ მიწაში ეს არის ჩაყრა პალოს ქვეშ (იქვე). „რქას კიდენა სამ-ოთხს ერთ ადგილას ჩავაგდებდით, ზოგი იხარებდა, ზოგი არა... მერმე ის რომ იხარებდა, შეორე მესამე წელიწადს გადავაწვენ-გადმოვაწვენდით“ (ქიზ., „შინამრეწვ.“). ძველებურ ვენახს ახლაც რგავენ. გადამრუნებულ ან გოდოლურუნებულ მიწაში ჩავრგავთ ლერწს. მერე იქა-აქა გეიხარებს“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „დაბარავენ მიწას, მერე ჩარგავენ ლერწს. სამ კვირტზე ერთი კვირტი მალლა იყოს და ვორი—ძირს (იქვე). ვაზის გასამრავლებლად, დასარგავად გამზადებულ რქას ნერგი, ჩითილი ეწოდება. „ნერგი... აღმოცენდა და იქმნა იგი ვენაჯ და ყვნა წიღნენი“ (ეზეკ., 17. 6. იერუს.). „ჩვენ ვეძახით ჩითილს ხილის იქნება იგი, თუ ვაზისა, ჩითილის მაგიერადაც ჩვენ ნერგსაც ვხმარობთ“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ვენახის ნერგებს წინდაწინ ამზადებენ“ (გურ., „შინამრეწვ.“).

დასაბავი რქა. „დასაბავ რქას ჩავდგავ ჭანჭრობ (წყლიან) ალავას და იხარებს“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

ძირეული, ძიროული ვაზი. ძირეული ისეთი ლერწია, რომელიც თავისი ფუძით, ძველი რქის ნაჭრით, არის მოჭრილი. „ამოვთხრი-

¹⁶ ფ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 330.

დით მიწას, თუ ძირეულს ვერ ვიშინდით, მაშინ, ლერწი რომ იქნებოდა, იმას ჩავასობდით“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ძირეულ ვენახს პირველად მოუჭრიდენ მიწას თოხით და ჩაზგავდენ. გაიკეთებდა ფესვებს, ტოტებს და მიუზგავდენ ხარდანს“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „როცა ძიროული ვაზები ირგვება, მაშინ თხრილის გაჭრა ბარით უმჯობესია, ხოლო რქის ჩასაყრელად სახვნელით დაკვალულსაც არა უშავს“ (რაჭ., ფრ., 61). „თუ მძიმე მიწაა ძიროული. მძიმე მიწა ჯობს, მაგრამ ძნელი გასაყვანია. არ ვეიხარებას ყველა. ძიროული კი ეჭვი აღარ უნდა რო ვეიხარებას“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „ძიროული—ორწლიანია. ჯერ დარგავენ ერთ მწკრივში და მერე აიღებენ და დარგავენ სავენახეში — გადაბრუნებულ ადგილში“ (ზ. ლეჩხ., უსახ.).

ხელშავი. „ხელშავი არის 4—5 სმ სიგრძის ნაწილი ძველი ლერწისა, რომელზედაც ამოსულია გასამრავლებლად აჭრილი მეორე წლის ლერწი“ (ზ. იმერ., ძოწ. I, გვ. 421).

ჩასაგდები, ჩასაყრელი რქა. „რქა ჩასაგდებათ რო გვინდა, ძველიანი უნდა ჰქონდეს. წინათ დიდი ჰქონდა, ეხლა ცოტა აქ“ (ქიზ., „შინამრეწვ.“). „ჩასაყრელი რქა საშემოდგომოა, რთველის დროს უნდა აეჭრათ 8,9 კვირტზე, ძველიანსაც მიაყოლებდენ“ (კახ., ბოჭორ.). „ჩასაყრელ რქებს ბოლოში თითო ციდა ძველიანი ჰქონდა“ (ქიზ., ნანობ.).

ახალგასაშენებელი რქა. „ახალგასაშენებლად რომ ვაზს რქას ააჭრიან (ერთი წლისა უნდა იყოს). ძველიანს ერთი გოჯის ოდენას მიაყოლებენ“ (ქიზ., მენტ.).

ძირიანი ლერწი. „სარის ნასობზე ძირიან ლერწს ძირს ჩაუდებდით. ორი ნეკი უნდა ჰქონოდა ლერწს. ერთ ნეკს მარჯვნივ გადავაწვენდით სამ ჩარექზე კვალში და მეორეს — მარცხნივ, თავს ამოვაცოფინებდით ნეკებს და გადავჭრიდით ორ კვირტზე. ამოიხეთქავდა და გეიზრდებოდა ვაზი“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

საწინდარი. ვენახის ვაზით შევსება ხდება რქის დაწვენით. ე. ი. რქას ვაზის ძირიდან სასურველი მიმართულებით საგანგებოდ გათხრილ მიწაში ჩაფლავენ და წვერს მიწის ზემოთ ამოაშვერინებენ. ასეთი რქის ერთ-ერთი სახელწოდება არის საწინდარი. „როცა თელ ვენახს აწვენენ, თუ ძლიერია ეს ვენახი, მაშინ თავს ამოვაცოფიფეთ სამ-ოთხ ლერწს ორკვირტიანს მაინც, რომელსაც ვეძახით **საწინდარს**“ (ზ. იმერ., ძოწ. 1, 421). „ამოთხრილ მიწაში ჩანერგავდენ ლერწს როცა გეიხარებდა იქით-აქეთ გადაწინდინდენ. ამისთანა ლერწებს ერქვა **საწინდარი ლერწი**“ (ზ. იმერ., „შინა-

მრეწვ.“). „ვაზს რომ ჩააწვენენ, ზედაპირზე ს ა წ ი ნ დ ა რ ი ს ე რ -
თი ან ორი კვირტი რჩება“ (რაჭ., ფრ.).

ნაწიგარი, ნაწიკარი რქა. „ნაწიგარი ძირზე ამოსული ნერგია“.
(ლეჩხ., ჩიქ.). „ნ ა წ ი გ ა რ ი — ვაზი რომ გამოისხამს“ (ქვ. ლეჩხ.,
დერჩი). „ნ ა წ ი გ ა რ ს უფრო იტანს მწვანე“ (იქვე). „ნ ა წ ი კ ა რ ი
გადაწვენილი ვაზი ან ხეა“ (ლეჩხ., ალაგ., 145). „სამი წლის შემდეგ
მევენახე „დედო ვაზს“ „ნ ა წ ი კ ა რ რქას“ მოამორებს“ (რაჭ., ფრ.).

სანაწიგრე, სანაწიგრო (ყლორტი). ლეჩხუმში რქას, რომელსაც
აწვენენ ვაზის გასამრავლებლად, ვენახის შესავსებად ს ა ნ ა წ ი -
გ რ ო ეწოდება“. ს ა ნ ა წ ი გ რ ო ყლორტი—საწვენი, გ ა დ ა ს ა -
წ ვ ე ნ ი“ (ქვ. ლეჩხ., ქორენიში). „რო გავფურცქნე ვენახი დოუტოვე
ს ა ნ ა წ ი გ რ ო, გვერდით ვენახი არა აქ“ (იქვე). „ამონაყრიდან
ვარჩევთ ს ა ნ ა წ ი გ რ ე ს“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი).

სამამულე ვაზი. „სამამულე ვაზი — შემდეგი წლისთვის
ვაზის ტანის გადასაყვანად“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

გადაწვენილი რქა. „გადაწვენილს წვერებს მალლა ამოუშვერ-
დით ორ კვირტზე გაუშვებდით“ (ზ. კახ., „შინამრეწვ.“).

საწვენი რქა. „დატუკული ვაზი რქებს გაიტანს — ს ა წ ვ ე ნ
რ ქ ა ს გაიკეთებს და მომდევნო შემოდგომაზე, ან გაზაფხულზე და-
წვება“ (კახ., ბოჭორ. 12).

წიღნა. „და იქმნა იგი ვენაჲ და ყვნა წ ი ღ ნ ე ნ ი“ (ეზეკ., 17.6.
იერუს.). „წ ი ღ ნ ა — გადაწვენილ ვაზის პირველად ამოსული ღე-
რო“ (ქართლ., ლეონ.).

ტუკი. „ტ უ კ ი — წლის წიღნა“ (საბა).

კალამი. სტ. მენთეშაშვილის განმარტებით: „კ ა ლ ა მ ი (არის)
ხის ახალამონაყარი შტო, რომელიც სამყენად გამოდგება“.

ნამკვრევი. „წ ე ლ ი ს რომელიმე ნაწილი რომ გადატყდება და
გადატეხის ადგილას ამავე წელს ტოტებს ამოიყრის, ნ ა მ კ ვ რ ე ვ ი
ეწოდება“ (ქიზ., ნანობ.).

საფესვე რქა, სამორჩე რქა. რქას, რომელიც ფესვად უნდა გა-
იზარდოს ს ა ფ ე ს ვ ე ეწოდება, ხოლო მიწის ზემოთ დარჩენილ
სამ-ოთხ კვირტიანს, ს ა მ ო რ ჩ ე ეწოდება. „ცერად ძველიანი რქა
ირგვება. კვლის ფსკერს პალოთი ჩახვრეტენ და შიგ ს ა ფ ე ს ვ ე ს
მოათავსებენ“ (რაჭ., ფრ., 61).

ტყუილი რქა, გაწბილებული რქა. „თუ საყურძნე რქა მომცდა-
რია მაშინ მას ტყუილი ანუ გაწბილებული რქა ეწოდება“
(რაჭ., ფრ., 87).

ამრიგად, დასარგავი და გადასაწვენი რქის სახელწოდებებია:

დასაბავი რქა — ქართლ.
 ძირეული — იმერ.
 ძიროული — რაჭ.
 ხელშავი — იმერ.
 ჩასაგდები რქა — ქიზ.
 ჩასაყრელი რქა — კახ., ქიზ.
 ახალგადასაშენებელი რქა — ქიზ.
 ძირიანი ლერწი — რაჭ.
 საწინდარი — იმერ., რაჭ.
 ნაწიკარი რქა — რაჭ., ლეჩხ.
 ნაწიგარი — ლეჩხ.
 სანაწიგრე — იმერ.
 სანაწიგრო — ლეჩხ.
 სამამულე ვაზი — ქართლ.
 გადაწვენილი რქა — კახ.
 საწვენი რქა — კახ.
 წიღნა — ძვ. ქართ., ქართლ.,
 ტუკი — საბა
 კალამი — ქიზ.
 ნამკვრევი — ქიზ.
 საფესვე რქა — რაჭ.
 სამორჩე რქა — რაჭ.
 ტყუილი რქა — რაჭ.
 გაწბილებული რქა — რაჭ.

აკიდო. რქის სახელი სხვადასხვა იმის მიხედვით, თუ როგორ ასხია მას მტევნები. აკიდო¹⁷ ისეთი რქა არის, რომელსაც მტევნები წყვილად ასხია. „აკიდო ორმტევნიანია“ (ქართლ.; ბერბუკი). „აკიდო-ორი მტევანი აქათ-იქით. შუაში ხელის ჩასავლები რქა“ (კახ., გავაზი). „აკიდო—რქაზე ორი მტევანი“ (კახ., ახმეტა). „აკიდოს რქიანად ავჭრით“ (კახ., ქისტაური). „აკიდო წყვილმტევნიანი რქაა, ასჭრიან და ისე ინახავენ“ (ქიზ., მენთ.). „აკიდო ორმტევნიანია—ერთ ლერწზე ორი მტევანი“ (იმერ., სხვიტორი).

აკიდონი. „აკიდონი ორმტევანა; ლერწიანად რო აჭრი“ (ქვ. ლეჩხ., ორხვი). „რამდენიმე აკიდონი ერთად შეკრული“ (ქვ. ლეჩხ., ქორენიში).

¹⁷ საბას განმარტებით „აკიდო არის ხილი ერთად შემბული“.

ჩხა. „ჩ ხ ა რვამტევნიანია“ (ქართლ., ბერბუჯი). „ჩ ხ ა ეწოდება მთლათ ვაზი ტოტს, რომელსაც რამდენიმე მტევანი აბია“ (ქარლ., ქართ. დიალ. I, 289). „ჩ ხ ა არის ვაზზე რომ ავჭრით რქას, რომელსაც რამდენიმე მტევანი ასხია“ (კახ., ახმეტა). „ჩ ხ ა—ვაზის ძალიან მსხმოიარე ტოტი. მოჭრილი მტევნებიან-რქებიანად, ტოვებენ მხოლოდ სამამულეს“ (ქიზ., მენტ.). „ჩ ხ ა ს თორმეტ-ცამეტი მტევანი ექნება, ცალკე ინახება“ (ზ. ლეჩხ., უსახელო). ივ. ჯავახიშვილის აზრით „თანამედროვე ქიზიყური ჩ ხ ა უეჭველია ძველი გრჯღას ფონეტიკური სახენაცვალი უნდა იყოს“¹⁸.

გრჯღა, ჯღა. „ყურძენი რო ესხმება ერთ რქას ბლომად, ასეთ რქას რო ასჭრიან. ამას ეტყვიან გრჯღას“ (კახ., დიალ.). „გრჯღა — ვაზის შტო ყურძნიანად, ჯღა“ (ქიზ., დიალ.). ჯღა ამიჭერი — მოსახოვი რო ეიჭრება, იმას ქვია“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი).

ჯაგანი. „ჯ ა გ ა ნ ი ისეთი რქაა, რომელზედაც... ყლორტებიც არის და ზედა აქვს მტევნები“ (კახ., გავაზი). „ჯ ა გ ა ნ ი არის ერთ ლერწზე ბევრი მტევანი“ (იმერ., ჭორვილა).

ამრიგად, ორმტევნიანი რქის სახელწოდება:

ა კ ი დ ო — ქართ., კახ., ქიზ., იმერ.

ა კ ი დ ო ნ ი — ლეჩხ.

მრავალმტევნიანი რქის სახელწოდება კი არის:

ჩ ხ ა — ქართლ., კახ., ქიზ., ლეჩხ.

გრჯღა — კახ., ქიზ.

ჯღა — ქიზ., ლეჩხ.

ჯ ა გ ა ნ ი. — კახ., იმერ.

წალამი. გასვლის დროს წაიჭრება ერთი წლის გახვევებული რქა. რომელსაც, როგორც წესი, კონებად კრავენ და ლობეზე შემოსდებენ ხოლმე ლობისათვის სიმაღლის მისაცემად, ან იყენებენ თონის ჩასანთებად და სხვ. წაჭრილ რქებს წ ა ლ ა მ ი ეწოდება. „წ ა ლ ა მ ი — რო გავსხლამთ და მოვაშორებთ“ (ქართლ., ყანჩ.). „წ ა ლ ა მ ს უვეკონავთ და—ლობეზე“ (ქართლ., გორი), „წ ა ლ მ ი ს კონა“ (ქართლ., ბერბ.). „ვაზი რომ გაიზრდება, გადავჭრით თავზე ვაზის წ ა ლ ა მ ს“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „რომ გაზაფხულდება უნდა გასხლა, მერმედ წ ა ლ ა მ ი აიკრება და შაისარება“ (იქვე). წ ა

¹⁸ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ, გვ. 300.

ლამს კონა-კონა დავაწყობთ მერე შეაკრავთ“ (კახ., ყვარ.). „წალამი — რო გეისხლება, რაც დარჩება, დეიყრება“ (იმერ., სხვიტორი).

წალარი, წილამი. „წალარი — წალამი“ (იმერ., ლეონ.). „წილამი ეწოდება ნასხლავს, წანაჭერს, წასული წლის მონაბავ ჯაზებს რომ მოვჭრით“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „წილამის ლერწის წანაჭერს, ნასხლავს უძახით“ (იქვე).

ნასხლევი, ნასხლავი. ძველ ქართულში გვხვდება ნასხლევი. „ვითარცა — იგი ნასხლევისა ვერ ჰელ-ეწიფების ნაყოფისა მოლებად თავით თვისით, უკუეთუ არა ეგოს ვენაცსა ზედა“ (იოვ., 15. 4 DE). „განვარდეს გარე ვითარცა ნასხლევი და განვმა და შეკრიბონ იგი და ცეცხლსა დაასხან და დაიწუფეს“ (იოვ., 15. 6. DE). „შეემთხვა მათ დედაკაცი ვინმე ბერი, რომელსა ზეეკიდა კონა ერთი ნასხლევი ვენაცისაჲ, რაჲთა განყიდოს შეშად“ (კიმენი, II 36. 14). ნასხლევი ნახმარია კალმასობაში. „ქრისტეს ვენახისა ნასხლევი, საიდან მოხვალ“ (კალმასობა, გვ. 65). იმერეთში გვხვდება ნასხლავი. „ლერწის წანაჭერს ნასხლავს უძახით“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

ლერწი. „ლერწია, რო დეიყრება გასხვლისას“ (იმერ., სხვიტორი). „გასხვლისაჲ უვარგისი რაც დარჩება, ლერწია“ (იმერ., ობჩა). „ლერწის კონები“ (იმერ., შუა გორა). „რო გავსხლავთ, რო დარჩება, წალამიც ქვია და ლერწიც“ (იმერ., ჭორვილა). „ნასხლავს უფრო ლერწს უძახით“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი).

ჯარჯი. „ნასხლავს ჯარჯს უძახიან. ჯარჯი ახიკე. კონათაც ქე შეიკვრება“ (ქვ. ლეჩხ., დღნორისა). „მოჭრილს ჯარჯი ქვია, ღობეებს გადაადებენ“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „წალამი არ გამიგია, ნასხლავს ჯარჯს უძახიან“ (იქვე). „გასხვლის შემდეგ აბოჭვა ხომ იციან ჯარჯის“? (იქვე).

ჩხანკო. წალმის მნიშვნელობით გურიში ჩხანკო იხმარება (ხმელი ტოტები გასხვლის დროს იყრება). „ვენახის ხმელი ტოტები“ (გურ., „ლეონ.“).

ჩინჩხრები. გაღანაჭერ რქებს ჩინჩხრებშაც უწოდებენ. „ჩინჩხრები ავკრიფე, სამ კვირტზე დავტოვე“ (ქართლ., ბერბ.).

ნამორჩი. ვაზის გაფურჩინის, თავის გადატეხის (ცის გახსნა) და გამოთხელების დროს წამტვრეულ ყლორტებს აკრეთვე თავისი სახელი აქვს. წამტვრეული ყლორტების ერთ-ერთი სახელწოდება არის ნამორჩი. „ცის გახსნისას დეიყრება ნამორჩი, — გაფურჩქვნის დროსაც“ (იმერ., ამალღება).

ნაფურჩქნი. „გამოვფურჩქნით—ზედმეტ ფოთლებს და ვაზს ვამოვიღებთ მოუშებელს. ვენახის ნაფურჩქნი, გამონატეხი“ (ქვ. ლეჩხ., ტვიში).

ვენახის (ვაზის) ნატეხი, გამონატეხი, თავნატეხი. „თავის გადატეხვა—ვენახის ნატეხი საქონლისათვის“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „გამონატეხი — გამოვფურჩქნით ზედმეტ ფოთლებს“ (იქვე). „...მერე თავის გადატეხვა. ვაზის თავნატეხი რჩება“ (ზ. ლეჩხ., უსახელო).

კუნკული. „ლერწს რომ თავებს გადავტეხავთ და გადავავლებთ, იმას კუნკულს ვეტყვი“ (ქვ. იმერ., „მინამრეწ.“).

ლორდი. თავის გადამტვრევის დროს ყლორტს, ლორდს შეამტვრევენ. გადამტვრეულსაც ლორდი ეწოდება. „გადანამტვრევს, თავის გადამტვრევის დროს, ლორდი ქვია“ (იმერ., საქარა). „გარანატეხს წალამს არ ვეძახით, ლორდს უძახით“ (იმერ., გელათი).

ალერდი. „ალერდი გასხვლის შემდეგ დაცვენილი ნედლი ლერწი ვაზისა“ (იმერ., წერ.).

ე. ი., ვაზის გასხვლის და სხვა სამუშაოების დროს წაჭრილი და წამტვრეული ტოტების სახელწოდებებია:

წალამი — ქართლ., კახ., იმერ.

წალარი — იმერ.

წილამი — იმერ.

ნასხლევი — ძვ. ქართ.

ნასხლავი — იმერ.

ლერწი — იმერ., ლეჩხ.

ჯარჯი — ლეჩხ.

ჩხანკო — გურ.

ჩინჩხრები — ქართლ.

ნამორჩი — იმერ.

ნაფურჩქნი — ლეჩხ.

თავნატეხი — ლეჩხ.

ვენახის ნატეხი, გამონატეხი — ლეჩხ.

კუნკული — იმერ.

ლორდი — იმერ.

ალერდი — იმერ.

ნამხრევი, ნამხრები, ნამხარი, ნაფხარები. გაზაფხულზე ვაზი გაიხარებს, შეიფოთლება, ამოიყრის ყლორტებს, კვირტებს. მათ შორის ზოგი ზედმეტია და უვარგისი. ზედმეტი ყლორტი ხელს უშლის ვა-

ზის კარგად გახარებას. მევენახე ამ ზედმეტ ყლორტებს თავის დროზე ამორებს ვაზს. ვაზის ზედმეტი ყლორტებისათვის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელი უწოდებიათ, — ხშირად იგივე ყლორტის სახელი. უმეტეს შემთხვევაში კი სახელწოდება გამოხატავს მის ზედმეტობას და იმას, რომ მოსაცილებელია. ზედმეტი ყლორტი შეიძლება რქაზე ამოვიდეს ან დედა-ვაზზე. სხვადასხვა ადგილზე გამოსულ ზედმეტ ყლორტს სხვადასხვა სახელი ეწოდება. რქაზე ფოთლის ძირში გამოსული ზედმეტი ყლორტის სახელწოდება არის ნ ა მ ხ რ ე ვ ი, ნ ა მ ხ ა რ ი. „ვაზს (=ლერწს)... რქაში რომ გამოიტანს, იმას ნ ა მ ხ რ ე ვ ს ვეძახით“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ნ ა მ ხ რ ე ვ ი... ვაზის რქა რქებზევე ამოსული“ (ქართლ., ჭყონ.). „ნ ა მ ხ რ ე ვ ი რომ არ გამოიტანოს, უნდა შემორგოლო (კახ., გურჯანი). „რო გაიზრდება (ვაზი), გავფურჩქნით ყვიორისაგან და ნ ა მ ხ რ ე ვ ი ს ა გ ა ნ... ნ ა მ ხ რ ე ვ ი — უვარგისი ყლორტები ლერწზე“ (ზ. რაჭა, „შინამრეწვ.“) „მეორე ფურცქენის დროს აცლიან ნ ა მ ხ რ ე ვ ე ბ ს. ფოთოლში ამონაყარს“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „ნ ა ფ ხ ა რ ე ბ ი ლერწზე ამოდის უვარგისი შტო, რომელიც არ იბავს, თუ არ მოვაშორეთ გააფუჭებს ვენახს“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

ფხარი. „დავმორჩნით ვენახს, შევაცლით ხ რ ე ფ ს, რო აქ ამონაყარი, ტევანი რახეც არ არი“ (ზ. იმერ., ძოწ. ლ.). „ბიჭა-ბიჭა ფ ხ ა რ ი ა“ (იმერ., სალომინაო).

ნამკვრევი. „ხვევაში თან ნ ა მ კ ვ რ ე ვ ე ბ ს ა ც ვ ა ც ლ ი თ ხოლმე, თუ კიდე ამიტანს კიდე. გავაცლით, ნ ა მ კ ვ რ ე ვ ი ვაზს აწუხებს“ (შ. კახ., „შინამრეწვ.“). „ნ ა მ კ ვ რ ე ვ ი როცა აქვს, ვაზი კარგად ველარ აწუხებს რქასა“ (იქვე). „ნ ა მ კ ვ რ ე ვ ი მეტია, უნდა მოვაშოროთ, ჭივო რომ არ დაამძიმოს“ (კახ., მატანი). „ნ ა მ კ ვ რ ე ვ ი რამწამე გამოვა იმწავე უნდა გაცლა“ (კახ., ახმეტა). „ნ ა მ კ ვ რ ე ვ ი იგივეა, რაც ნამუხლი“ (ქართლ., ძიძიგ. და სხვ.).

ნამქვრევი. „ნ ა მ ქ ვ რ ე ვ ი — ვაზის ლეროსა და ფოთოლს შორის ამონაყარი ყლორტი“ (კახ., მარტ., იმნ.). „ქვევით რო ფოთოლ გავაცლით, იმაჲ ნ ა მ ქ ვ რ ე ვ ი ჰქვიან“ (იქვე).

ქირქა. „ქ ი რ ქ ა ყლორტია, ვაზს ფოთლის ძირში გამოაქვს, ვამტვრევთ ხელით“ (კახ., გავაზი). „ერთი მოწამლი, მემრე კი ქ ი რ ქ ა ამოუა და ქ ი რ ქ ი გამოცლაა საჭირო“ (ქიზ., ქართ. დიალ. I, 216).

რქის-რქა. „რქასა და ფოთოლის შუა ამოდის რქის მსგავსი შედარებით სუსტი ტოტი, რასაც რ ქ ი ს-რ ქ ა ს უწოდებენ“ (ქიზ., ნანობ.).

ბუში. ნაბუშარა. „კარგი ნაზარდი, ნახეირალი ვაზი იძლევა ბუშეებს, ნაყარს. ამ ბუშეებს ვაცლით“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ამონახეთი ტანზე აქვს (ვაზს); ბუში — ფოთოლსა და ლერწს შორის“ (ქვ. ლეჩხ., ღერჩი). „შევკვირტავთ ბუშეებს, — ლერო და ფოთლებს შუა იცის ამოსვლა“ (ლეჩხ., „შინამრეწვ.“). რაჭაში გვხვდება ბუშისაგან ნაწარმოები სიტყვა ნაბუშარა ვაზის ზედმეტი ყლორტის მნიშვნელობით (რაჭ., ფრ., გვ. 87).

ბარტყი, ბლარტი. „რაჭაში რომ გამოიტანს, იმას ნამხრებს ვეძახით ან ბარდლს. ბარტყს“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ნეშოს ძირს რომ ყლორტი ბარტყებს იზამს, იმას ვეძახით ბიჭიას“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ბლარტი ყლორტია, ვამტვრევთ ხელით“ (კახ., ყვარ.).

ნაბარტყი, ნაბურტყალა, ნაყვერავი. რაჭაში გავრცელებულ ვაზის ზედმეტი ყლორტების აღმნიშვნელ სხვა ტერმინებთან ერთად გვხვდება ნაბარტყი, ნაბურტყალა, ნაყვერავი (ფრ., გვ. 87).

ნამუხლი. ზედმეტი გამონაზარდის აღმნიშვნელი ტერმინი ნამუხლიც არის. „ნამუხლი ფოთოლსა და ტოტს შუა ამონაზარდია“ (ქართლ., ძიძიგ. და სხვ.).

ბიჭა-ბიჭა. „მუხლის ძირში ამოსულ ზედმეტ ფოთლებს, ბიჭა-ბიჭას უძახით“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „გაქორჩენა, გამოჩენა ბიჭა-ბიჭისაგან“ (იმერ., საქარა). „ბიჭა-ბიჭა... ფოთლის ძირში ამოდის. კოკოლადანაც ორი, სამი ამოდის, მაგრამ ერთს შევარჩენ“ (იმერ., ობჩა). „ბიჭა-ბიჭა ქვია ფოთლებთან რო ამეიღებს კვირტს“ (ზ. იმერ., ძოწ. ლ.). „ბიჭა-ბიჭა ფხარია“ (იმერ., სალომინაო).

ბიჭია, ბიჭა. „ნეშოს ძირს რომ ყლორტი ბარტყებს იზამს, იმას ვეძახით ბიჭიას“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „როდესაც ფუთქი და ბიჭია ამოვა, თუ არ გამოჩინი. მაშინ გამოყვლეფავს, ან გამოიციარცხება“ (იქვე), „ქე რო იხეთქავს (ვაზი), იმას ბიჭიას ვეძახით“ (იმერ., გელათი).

ნამატი. „ზედმეტს რო გამოიტანს, ნამატი გვაცალეო — ვიტყვით“ (ქართლ., ბერბ.).

მაცილობელა. „ვაზს გაფურჩქნა უნდა. უნდა მოვაშოროთ მაცილობელა¹⁹ ფოთლები“ (ზ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

საფურჩქნი. „მეტი რქა — საფურჩქნი“ (კახ., მატანი).

¹⁹ შდრ. მეგრ. ა-ცილ-ან-ს უშლის“ (არნ. ჩიქობავა).

„...ს ა ფ უ რ ჩ ქ ნ ის მოცლა, მაგრამ მეორეზე ამაჲ ნამქვერევი ისევე“ (კახ., მარტ., იმნ.).

კვირტი. „ვენახის ტანზე რომ ლერწი ამოვა, იმას ვეძახით. კვარს, ვენახის ლერწზე რომ ამოვა, იმას ვეძახით კ ვ ი რ ტ ს“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „კ ვ ი რ ტ ი ანუ ნაფხარები — ლერწზე ამოდის უვარგისი შტო, რომელიც არ იბავს“ (იქვე).

ბრმა-კვირტი. „ბ რ მ ა -კ ვ ი რ ტ ი — ვახის ფოთლის ძირში განვითარებული კვირტი“ (ქართლ., გაჩ.).

ვენახის მორჩი. „ვ ე ნ ა ხ ის მ ო რ ჩ ი — ყლორტები, აცლიან ვენახს რქაზე ფოთლის ძირებში“ (იმერ., დიალ.).

ფურჩი. „ფ უ რ ჩ ი ლეროსა და ფოთოლს შორის ამოტანილი ყლორტი არის“ (კახ. ლაგოდეხი).

ფუთქი, ბუთქი. „ვენახი რომ ამოიყრის ტანზე, იმას ფ უ თ ქ ს ვეძახით. ფ უ თ ქ ს გადავტეხავთ და სულ მოვაცილებდით“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ბიჭებს და ბ უ თ ქ ს რომ ჩავამაგრებდით ერთად მოტეხილს, იმას ბარდს ვეტყოდით“ (იქვე).

ფუნთლი, ფუნთხი, ფუნთხლი. „ფ უ ნ თ ლ ე ბ ი უნდა გამოგვეჩიხა. გაფურჩქვანა ქვიოდა ამას“ (ზ. იმერ., ძოწ. ლ.). „ლერწიფსა გამოუდის თავისი ფ უ ნ თ ხ ი, ფოთოლთან რო არი“ (იქვე). „ფ უ ნ თ ხ ლ ი ა ვახის ზედმეტი ლორდები“ (იქვე). „გამორჩვისას ფ უ ნ თ ხ ლ ს აცლიან“ (იმერ., ლეჟ.).

დუყი „დ უ ყ ი — მცენარის ლეროს და ტოტებს შუა ამოსული პატარა ტოტი ან ფოთოლი“ (გურ., მამათი).

ალერდი. „ა ლ ე რ დ ი იგივეა, რაც ბიჭა-ბიჭა. ზოგ ვენახსა ბევრი ა ლ ე რ დ ი ქონდა აგვიანებდა ადამიანსა, ვენახს რომ ვმორჩამდით“ (ზ. იმერ., ძოწ. ლ.).

ყვიორი. „ყ ვ ი ო რ ი — ლერწ და ფოთოლ შუა ამოსული ზედმეტი ყლორტი“ (ზ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „რო გაიხდება. გავფურჩინით ყ ვ ი ო რ ის ა გ ა ნ და ნამხრევისაგან. ნამხრევი — ლერწ და ფოთოლ შუა ამოსული ზედმეტი ყლორტი. ყ ვ ი ო რ ი — უვარგისი ყლორტები ლერწზე“ (ზ. რაჭა, „შინამრეწვ.“). ამ შემთხვევაში ყ ვ ი ო რ ი უვარგისია, რამდენადაც ზედმეტია: უნდა გამოაცალო ზედმეტი ყლორტები და ფოთლები, რომ უკეთ „იმუშაოს ვაზმა“.

ამონახეთქი. „ა მ ო ნ ა ხ ე თ ქ ს გამოკვირტავენ — ზედმეტ ფოთოლს გამოიღებს ფოთოლსა და ვახს შუა“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი).

ბარდლი, ბარდი. ზედმეტი ყლორტი ვაზმა შეიძლება დედავაზზე გამოიტანოს. „შავი რომ გამოიტანს ვახს, იმას ბ ა რ დ ლ ს ვეძახით“ (ზ. ქართლ. „შინამრეწვ.“). „ბ ა რ დ ლ ი, ბუყლი—დედავაზს

გამოაქვს ზედმეტი“ (ქართლ., ატენი). „ვაზს ძირში გამოუვა ხოლმე ბარდლები იმას გააცლიან და რქას დაუტოვებენ“ (ქართლ., სალ.).

ბიჭაილა. დედა-ვაზზე გამოტანილ ზედმეტ ყლორტს ბიჭაილა ეწოდება. „ახალ მთვარეზე გასხვლა დაუშვებელია... ვაზი უშნოდ გეიბურდება... ბევრ ბიჭაილებს დაიყრის“ (რაჭ., ფრ.).

ბუული. „ბუული დედა-ვაზს გამოაქვს ზედმეტი“ (ქართლ., ატენი). „რომ მორთვილამდა. იქვე ქუსლში მოგლეჯავდა, მერმედ ქუსლში ამოიბლუჯავდა ძალა რომ არ ქონდა იმას ბუულს ვეძახდით“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

კვარი. „ვენახის ტანზე რომ ლერწი ამოვა, იმას ვეძახით კვარს, ვენახის ლერწზე რომ ამოვა, იმას ვეძახით კვირტს“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

მაჟალო. „მაჟალო რო ამოიყრის. უნაყოფოა; საძირეზე ამოიყრის“ (ქართლ., გორი).

არამი, ბღლა. ვაზის ტანზე ამოსული ზედმეტი ყლორტის აღსანიშნავად კახეთსა და ქიზიყში არამი და ბღლა იხმარება. „ვაზის ძირში დედამიწის პირად გამოსულ რქას... ბღლა ეწოდება. ზოგან—არამი“ (ქიზ., ნანობ., 35).

ბობლი. „ვაზის ძირზე ამოტანილი პატარა ყლორტი — ბობლი“ (კახ., გავაზი).

ნაყარი, ამონაყარი. „უნა გავმორჩით — მოუშებელი ნაყარი უნა მოვტეხოთ“ (ზ. იმერ., ქართ. დიალ. I, 462). „კარგი ნაზარდი, ნახეირალი ვაზი იძლევა ბუშებს, ნაყარს. ამ ბუშებს, ვაცლით“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ბიჭა-ბიჭა, ნაყარი ფოთლის ძირში ამოდის“ (იმერ., ამაღლება). „მერე გავმორჩინით — ფოთლები და ნაყარები უნდა შეაცალო“ (ზ. იმერ. ძოწ. I, გვ. 433). „ვაზის ტანზე უვარგის, უჭიშო ამონაყარს ამონაყარი ქვია“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „ამონაყარს თითოს მაინც გოუშობ, იქნებ სახეირო იყოს, სხვას შეაგლიჯავ“ (ქვ. ლეჩხ., ტვიში).

ბორჯლი. „ბორჯლი — პატარა გამოტანილი ნამხარი“ (კახ., ყვარელი).

ვაზის ზედმეტი ყლორტის აღმნიშვნელი ტერმინებია:

ნამხარი — ქართლ.

ნამხრევი, ნამხრები — ქართლ., კახ., რაჭ., ლეჩხ.

ნაფხარები — იმერ.

ფხარი — იმერ.

ნამკვერევი — კახ., ქართლ.
ნამქვერევი — კახ.
ქირქა — კახ., ქიზ.
რქის-რქა — ქიზ.
ბუში — იმერ., ლეჩხ.
ნაბუშარა — რაჭ.
ბარტყი — ქართლ., იმერ.
ბლარტი — კახ.
ნაბარტყი — რაჭ.
ნაბურტყალა — რაჭ.
ნაყვერავი — რაჭ.
ნამუხლი — ქართლ.
ბიჭა-ბიჭა — იმერ.
ბიჭია — იმერ.
ბიჭა — იმერ.
ნამატა — ქართლ.
მაცოლობელა — რაჭ.
საფურჩქნი — კახ.
კვირტი — იმერ.
ბრმა-კვირტი — ქართლ.,
ვენახის მორჩი — იმერ.
ფურჩი — კახ.
ფუთქი, ბუთქი — იმერ.
ფუნთლი, ფუნთხი, ფუნთხლი — იმერ.
ღუყი — გურ.
ალერდი — იმერ.
ყვიორი — რაჭ.
ამონახეთქი — ლეჩხ.
ბარდლი — ქართლ.
ბარდლი — ქართლ.
ბიჭაილა — რაჭ.
ბუყდი — ქართლ.
კვარი — იმერ.
მაყალო — ქართლ.
არამი — ქიზ.
ბღლა — ქიზ.
ბობლი — კახ.

ნ ა ყ ა რ ი — იმერ.
ა მ ო ნ ა ყ ა რ ი — იმერ.
ბ ო რ ჯ ლ ლ ი — კახ.

პწკალი, ბწკალი, პწყალი. ვაზის ერთ-ერთი ნაწილი არის ძაფის მსგავსი ხვიარა წამონაზარდები, რომლისთვისაც სხვადასხვა კუთხესა და სოფელში სხვადასხვა სახელი უწოდებიან. „პწკალი კანაფივით წვრილი, ეხვევა“ (კახ., გავაზი). „მერმე აღარ შეიძლება გაფურჩხნა, გამაგრებული პწკალი რომ მოსტეხო, რქა ზიანდება“ (შ. კახ., „შინამრეწვ.“). „ბწკალი — რომლითაც ეკვრება ვაზს“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „ბიჭოურა ვაზის ბაწარია, პწკალი“ (ქვ. ლეჩხ., ორხვი). იმერეთში პწყალი. გვაქვს დადასტურებული (სოფ. ამაღლება).

კაპწალა, კაპწკალა. „კაპწალეზი — დახვევა რომ იცის სარზედა და ვაზედა“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „კაპწკალა — რითაც ეხვევა ვაზი“ (ქართლ., ატენი).

ბრჭყალი, ბჭყალი, პჭყალი. „წვრილი რომ აქვს წამოზრდილი უღვაშივით, ბრჭყალი ქვია“ (ზ. იმერ. „შინამრეწვ.“).

„ვენახის უღვაშს ბჭყალი ქვია“ (იქვე). „პჭყალეზი — ლერწმა იცის გამოტანა, რომელიც ხარდანს მოეხვევა“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ბჭყალი, რომლითაც ეკვრება, ბჭყალს რომ მოსდებს გაამაგრებს ვაზს“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი).

ფრჩხილი, ბჩხილი. „ვაზის უღვაში—ფრჩხილი“ (ქართლ., ძი-ძიგ. და სხვ.). ვაზის უღვაშს ბჩხილს იმერეთშიც უწოდებენ (ჭორვილა, სხვიტორი, საქარა. ობჩა).

კვანჭი, კანჭი. „კვანჭი ვაზის ფრჩხილი“ (იმერ., კუმბ.). „პწკალეზი, კანჭეზი, პჭყალეზი“ (რაჭ., ფრა.).

ჭვანგი. „ჭვანგეზი ვაზისა — გრძელი, წვრილი, დაგრეხილი წამონაზარდი; ზოგჯერ მას უღვაშებს ეძახიან. ჭვანგეზი შემოეხვევა ხოლმე ხარდანს“ (იმერ., წერეთ.).

შხანკო. „შხანკო — ვაზის უღვაშია, რომლითაც იგი მიმაგრებულია ჭიგოზე ან ხის ტოტზე“ (გურ., შარაშ.).

წკირი. „რითაც ეხვევა ვაზი — წკირი“ (იმერ., საჩხერე).

ბაწარი. „ბიჭოურა ვაზის ბაწარია, ულვაში“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი).

ბეწვი. „ქართულ ვაზს ბეწვები არ აქვს იმდენი“ (ქართლ., ბერა-ბუკი).

ბიჭოურა. „ბიჭოურა ვაზის ბაწარია, პწკალი, ულვაში“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „ბიჭიურა წელს თუ არ შეაჭერი, საგაისოთ არის მავნებელი, ლერწს არ დაანებებს გაზრდას“ (იქვე). „ბიჭოურა რითაც ეხოვა, მავნებელია ყლორტისათვის. სულ აჭრიან გასხვლის და ახოვის ღროსაც. გაფურჩქვნის ღროსაც“ (ქვ. ლეჩხ., ქორენიში). „ბიჭოურა შესატეხია, ფოთოლთან როგორც ძაფი გამოდის, ისე გამოდის“ (იმერ., გელათი).

მასკნე. ძველ ქართულში გვხვდება „ვაზის ულვაშის“ მნიშვნელობით მასკნე. „გამოაბას ვენაჯსა კარაული თუსი და მასკნესა ვენაჯისასა კიცვ კარაულისაჲ“ (იბოლ. TP III 11). „რაჲთა ვითარცა მასკნეთა მიერ მოხუევეითა — სიყუარულისაჲთა შევეიტკბოთ მოყუასი“ (ბას. დიდი, 57,28). „ძირი ვენაჯისაჲ... რტონი მისნი... და რქაჲ და მასკნენი“ (იქვე, გვ. 57.4). „მასკნე — ესე არს ვაზთა და აყიროთა და მისთანათა ძაფივით რომ აქუს ხეზე შესახუჭველად“ — განმარტავს სულხან-საბა ორბელიანი. ივანე ჯავახიშვილის აზრით „მასკნე აქტიური მიმღეობის თავისი მა ფორმანტით თავდაპირველად უნდა შემკვანძელის, შემკვრელის აღმნიშვნელი ყოფილიყო“²⁰.

მასკანა. „ვაზი მასკანამ დაიკავა. მასკანა ლობიოსაც აქვს“ (ქართლ., ყანჩავეთი). დოც. ნ. ჩახნაშვილს ივ. ჯავახიშვილისათვის მიუწოდებია ცნობა, რომ ქართლსა და კახეთში იხმარება ტერმინი მასკანა (პწკალის მნიშვნელობით)²¹.

ხოულა. „ლერწის ხოულა“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი).

მკავანა, კავანა. „ვაზი რო ჭიგოს შემეეჭდება, იმ წვრილ ღერებსაქვიან ვაზის მკავანა“ (კახ., მარტ., იმნ.). „კავანათი თავი უნდა დაიკავოს ვაზმა“ (კახ., ახმეტა). „კავანა ეხოვა კავით“ (კახ., ქისტაური).

კავი. „ვაზის ულვაში — კავი“ (ქართლ., ძიძიგ. და სხვ.).

ულვაში. ულვაში უმეტესად სხვა ტერმინის განმარტებაში გვხვდება. მაგ. „კავი—ვაზის ულვაში“ (ქართლ., ძიძიგ. და სხვ.). „ვენახის ულვაშს პჭყალი ქვია“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „წვრილი რო აქვს წამოზრდილი ულვაშივით, ბრჭყალი ქვია“ (იქვე).

²⁰ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. წაშრ., გვ. 301.

²¹ იქვე.

„...გრძელი, წვრილი, დაგრეხილი წამონახარდი, ზოგჯერ მას უღვაშებს ეძახიან...“ (იმერ., წერეთ.). „ბიჭოურა ვაზის ბაწარი, უღვაში“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი).

ამრიგად, ვაზის ხვიარა წამონახარდის აღმნიშვნელი ტერმინებია:

პწკალი — კახ.

ბწკალი — ლეჩხ.

პწყალი — იმერ.

კაპწალა, კაპწკალა — ქართლ.

ბრჭყალი, პჭყალი — იმერ.

ბჭყალი — იმერ., ლეჩხ.

ფრჩხილი — ქართლ.

ბჩხილი — იმერ.

კვანჭი — იმერ.

კანჭი — რაჭ.

ჭვანგი — იმერ.

შხანკო — გურ.

წკირი — იმერ.

ბაწარი — ლეჩხ.

ბეწვი — ქართლ.

ბიჭოურა — იმერ., ლეჩხ.

მასკნე — ძვ. ქართ.

მასკანა — ქართლ., კახ.

ხოულა — ლეჩხ.

მკავანა, კავანა — კახ.

კავი — ქართლ.

უღვაში — ქართლ., იმერ., ლეჩხ.

წვერი, ვაზის მოვლას დროს მევენახეს ვაზის წვერისათვის, რქის ბოლოებისათვის დასჭირებია სახელის დაჩქევა. „გაბმულას... პირდაპირ გადავლუნავთ. ტოტს გავაგრძელებთ: ვაზი თუ მიუახლოვდა, წვერებს მიუახლოვებთ“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „წვერებს დავატრით ვაზებს“ (ქართლ., ბერბუკი). „წვერის წაჭრა“ (ქართლ., ატენი). „გადაწვენილ წვერებს მალა ამოუშვებდით“ (შ. კახ., „შინამრეწვ.“). „გადაწვენი დროს წვერის გარდა ვაყრით მიწას და წვერს ვუკეთებთ კოკოლას“ (კახ., გავაზი). „წვერე ბის წაჭრა“ (კახ., ახმეტა). „გადავაწვენდით. ერთ წვერს ვაზის ძირშივე ამოვუშვებდით და დანარჩენებს

წვერი უნდა წეემტვრად“ (ქიზ., ქართ. დიალ. I, გვ. 216).

კენწერი, კენწერო. „რქა რო კარგა შამოვა და ძირში რო და-
წითლდება, მაშინ გედევტრება კენწერი“ (შ. კახ., „შინამრეწვ.“).
„კენწერო“ (რაჭ., ამბროლაური).

ქოჩორი. „ქოჩორი ამაიტანა ვაზმა“ (კახ., წინანდალი):

თავი. „შემორგოლვას მირჩევნია თავი გადავჭრა და ქირქა
გამოვაცალო“ (კახ., გურჯაანი). „თავის გადაჭრა — სინოტივე
მალლა რო არ წავიდეს“ (იქვე). „ახლა გადატეხილი აქვს თავი“
(იმერ., გელათი). „ლერწს... თავებს გადატეხავთ“ (ქვ. იმერ., „ში-
ნამრეწვ.“). „თავის გადატეხვა“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი).

ყური. „გაფურჩქვნა მაისსა და ივანობისთვის დამლევს ვიცით.
გავფურჩქნი ფოთოლს, გადავჭრი ყურებს, რომელიც მალლა იქ-
ნება“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

ვაზის წვერის აღმნიშვნელი ტერმინებია:

წვერი — ქართლ., კახ., რაჭ.

კენწერი, კენწერო — კახ., რაჭ.

ქოჩორი — კახ.

თავი — კახ., იმერ., ლეჩხ.

ყური — იმერ.

ყუნწი, ყურწი. ყუნწს აბია ვაზის ფოთოლი, მტევანი, მარ-
ცვალი. „ყურწნი მტევანს აქ ყუნწი. ყუნწზე აბია თვალი ან „ბიმ-
ბილა“ (ზ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „კომპალი — რამდენიმე მარცვალი
რომ იქნება ერთ ყუნწზე მომბული ტევნისა, იმას უძახით“ (ქვ.
იმერ., „შინამრეწვ.“). „ყურწნი ტევანს აქ ყუნწი“ (ზ. რაჭა, „ში-
ნამრეწვ.“). „ყუნწი“ (აჭარა., მენთ.).

ყერწი, ყინწი. „(ტალავერის ვენახს) ფოთლის ყერწი მო-
წითალო აქვს“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „მტევანს სადაც წყვე-
ტენ—ყინწი“ (გურ., მამათი).

კუნწი, კურწი. „ერკუნწზეა გადაკიდებული“ (ქვ. ლეჩხ.,
დერჩი). „როთველში დანები გვიჭირავს და კურწზე მოვჭრით“
(ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

კინწი, კირწი, კიწი „კინწი—ლერწიდან რომ არის, რომელ-
საც მტევანი აბია“ (იმერ., გელათი). „კინწი — ჩვენ ვეძახით
მტევანსა და ვაზს შუა რომ არის მოთავსებული“ (ქვ. იმერ., „ში-
ნამრეწვ.“). „მტევანს ვეძახით ვენახის ნაყოფს, რომელიც ერთი
კინწით კიდია ლერწზე“ (იქვე). „(ბურაულას აქვს) სუსტი

კინწი“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „(ცხენის ძუძუს) აქვს მაგარი-
კინწი“ (იქვე). „ტევანი მიმბულია კინწით, კინწს ზე მარც-
ვალა“ (ლექს., ქართ. დიალ. I, გვ. 492). „ფესვი, ძირი, ლერწი,
კირწი მტევანი“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „(რქაწითელს) წითე-
ლი აქვს ლერწიც, ფოთოლიც და კირწიც“ (ზ. იმერ., „შინა-
მრეწვ.“). „მტევანი და ფოთოლი, რითაც აბია, ის კირწია“ (იქვე).
„კინწმაგარამ მაგარი კინწი იცოდა და არ მოტყდებოდა უვავლა-
ხოთ“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“), „კოთხოწვრილას — სუსტი კინწი“
(ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

ამრიგად, გვაქვს:

ყუნწი — რაჭ.

ყურწი — იმერ., რაჭ., აჭარ.

ყერწი — იმერ.

ყინწი — გურ.

კუნწი — ლექს.

კურწი — ქართლ.

კინწი — იმერ., რაჭ., ლექს.

კირწი — ქართლ., იმერ.

კიწი — იმერ., რაჭ.

ვაზის ფოთოლი, ფოთელი. „ვაზის ფოთლებს ვაფარებთ ქვე-
ვრის პირზე“ (ქართლ., ბერბუკი). „(ბუდეშურს) ფოთოლი შეჭ-
რილი აქვს, თეთრი“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „შეფურჩქენა—
ენკენისთვეში, უნდა გაათხელო ფოთოლი, რომ ჰაერმა იმუ-
შაოს შიგა“ (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“). „რქაწითლის რქა მო-
წითალთა და ფოთოლიც მოწაბლო აქვს“ (შ. კახ., „შინამრე-
წვ.“). „(ნაკუთვნეულს აქვს) რგვალი და სქელი ფოთოლი“ (ქვ.
რაჭა, „შინამრეწვ.“). „ვაზის ფოთოლში (ლერწის ფოთოლ-
ში) ყველის გამოხოვა“ (ქვ. ლექს., დერჩი). „(ვაზის) ჯიშები ფო-
თელითაც გეირჩევა“ (იმერ., ჭორვილა).

ლოფორთი, ლოფორთო. „ღორისთვალას ლოფორთი დანი-
კული ქონდა“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „მაურს ლოფორთო
დანიკული — ხერხის კბილებივით დაჭრილი აქვს“ (იქვე). „ლო-
ფორთი — ფოთოლი“ (ზ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

ფურცელი. ფურცელი გვხვდება ძველ ქართულში. „დას-
ცვის ვენაცსა ფურცელი“ (ეს. 34. 4, იერუს.). „დაპებულ არს
ფურცელი ვენაცისაჲ, რადთა ვნებისაგანცა ჰაერთაჲსა განერეს

ტევანი“ (ბას. დიდი, 60.13). „ვიდრელა ფურცელი ხეთა და ვენაჯთაჲ განჯმა და სცვოლა“ (ცხ. იოვ. და ეფთ., 55.3).

ქართულ კილოებში ფოთოლთან ერთად ფურცელიც გვხვდება. „მაისში თუ არ გავფურჩნეთ, მაშინ გამოულაპავს ფურცელს“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „შაბიამანი უხდება ფურცელს. არ დაწვავს“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „(ზღვაშილას) ფურცელი უკბილო ქონდა“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ფურცელი — ფოთოლი“ (გურ., საბ.).

ნეშო, ნოშო. დასავლეთ საქართველოში ფოთლის მნიშვნელობით ნეშო, ნოშოც იხმარება „(მატლი) შიგ კვირტში ამოიღებს ნეშოს“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „გაზაფხულის ფოთოლს ახალი ნაყარით უწოდებთ ბარდს, ნეშოსაც ვეძახით“ (იქვე). „ვენახის ნეშოა. ბარდი არ ქვია ვენახისას არაფერს. ნეშოს სხვასაც ქვია“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი).

ბაბილო. „ვაზის ავადმყოფობა ჩვენში იყო... ნაცარი — ბაბილოზე აყრის ნაცარს და აფუჭებს ვენახს“ (გურ., „შინამრეწვ.“). „ბაბილო — ვაზის ფოთოლი“ (გურ., საბ.).

ამრიგად, გვაქვს:

ფოთოლი — ქართლ., კახ., რაჭ., ლეჩხ.

ფოთელი — იმერ.

ლოფორთი — იმერ.

ლოფორთო — იმერ.

ფურცელი — ძვ. ქართ., ქართლ., იმერ., გურ.

ნეშო — იმერ.

ნოშო — იმერ., ლეჩხ.

ბაბილო — გურ.

კვირტი. გაუშლელ ფოთოლს კვირტი ეწოდება. „არს წყაროდ ცხოვრებისაჲ ჩუენისა სიხარული, ახლისა ვენაჯისა კვირტი“ (სინ. მრ., 47. 29). „ფესვის შემდეგ ჩვენ ვეძახით ვაზს, ვაზი გამოიბამს კვირტს, კვირტზე გაიზრდება ნორჩი რქა“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „გადაწვენილ ვაზს ორ კვირტზე გაუშვებდით, მარტო ორი კვირტი უნდა შეგვეჩინა. თებერვლიდან დაწყობილი აპრილის ნახევრამდინ ვაზის გადაწვენის დრო იყო, აპრილის მერმე კი კვირტი სცვივა და გადაწვენა აღარ შეიძლება“ (შ. კახ., „შინამრეწვ.“). „მესამე წელიწად ეს გაზდილი რქა უნდა დეექრავ ექვს-შვიდ კვირტზე“ (ქიზ., ქართ. დიალ. I, გვ. 216). „ახლად რომ ამოვა ლერწზე და როცა ჯერ გაუშლელია, იმას ვეტყვით

კვირტს“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ვენახი რო გამოიღებს კვირტს, რო წამოიზრდება, იმას ლორდი ქვია“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ვახს აქ... ლერწი, იმაზე კვირტი“ (ზ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

კვირჩუა (კვირჩუები). „კვირჩუები ახლო ახლოა ერთი მეორესთან მიმსხდარი“ (კახ., ბოჭორ.).

გურტი. საბას ლექსიკონში შეტანილი აქვს გურტი. „გურტი — კვირტი, ვაზის კუკური“.

კუკუტი. „კუკუტი — კვირტი“ (აჭარ., მენთ.).

ამრიგად, გვაქვს:

კვირტი — ძვ. ქართ., ქართლ., კახ., იმერ., რაჭ.

კვირჩუა — კახ.

გურტი — საბა

კუკუტი — აჭარ.

მტევანი. ტევანი. ძველი ქართული ენის ძეგლებში მტევანს თავკიდური მანი არა აქვს. „მწიფე... იყვნეს ტევანი იყი ყურძნისანი“ (დაბად., 40.10). „უამი სთვლებისად მიიწია, რომელსა შინა მოსთვლის ტევანი და დაიწინხოს ფერჯითა“ (კიმენ. I, 81.22). „დაპებულ არს ფურცელი ვენაცისად, რაათა ვნებისაგანცა ჰაერთაჲსა განერეს ტევანი (ბას. დიდი, 60.14). „კაცო, აღდეგ და მომართუ ტევანი ერთ ყურძენი“ (ცხ. ილარ. ქართვ., ლიტ. ქრესტ., 173.16). „ყოველნივე მირბიოდეს ერთბაშად იძულებულნი ბუნებისაგან... ძირი ვენაცისად... რტონი მისნი... მორჩი მისი და რქაჲ... და ტევანი“ (ბას. დიდი, 57.12).

ტევანი თანამედროვე ქართულ კილოებში: „ტევანი გათხვლდა“ (ქართლ., ბერბუკი). „შეკრული ტევანი აქვს საფერეს“ (იმერ., ოზჩა). „ცოლიკოფურმა თხელი ტევანი იცის“ (იმერ., ზეინდარი). „ძველშავს ტევანი ოღნავ შეკრული აქვს“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

მტევანი საქართველოს ყველა კუთხეში გვხვდება: „მტევანს ერთ გამოღებულ ნაყოფს უძახით“, „უწინ არც წამლობა იყო, არც გაფურჩქვნა და ახვევა იყო, მაგრამ იგეთ მტევანს გამაიტანდა, თითქოს ბალღებიაო“ და სხვ.

შეკრული, შაკრული მტევანი. მტევანი განსხვავდება ერთმანეთისაგან მარცვლების სიმჭიდროვით. ზოგ შემთხვევაში მარცვლები ისე მჭიდროდ ასხია, რომ მტევანი ერთ მთლიან ნაყოფად ჩანს. ასე-

თი მტევნის ერთ-ერთი სახელწოდება არის შეკრული მტევანი: „სამ-
ნაირი ჯურა არი შაკრული მტევანი“ (ქართლ., ბერბუკი.)
„როცა დამწიფდება და შაკრული მტევანიც, დამკრახულს
ეტყვიან“ (ქართლ., ყანჩავეთი). „(თავკვრის) ძალიან შეკრული
მტევანი აქვს“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ქვიშურის მტევანი
მსხვილი და შეკრული აქვს“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „(თხი-
ლაგუნეს) ძალიან რგვალი მტევანი ჰქონდა და შეკრული“ (ქვ-
იმერ., „შინამრეწვ.“). „შეკრულ მტევანსაც აქვს ფხრები,
მაგრამ გამოუჩინარი“ (იმერ., ობხა). „(ხოტეურას აქვს) ტევანი
შეკრული და დიდი“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „ჩხარი და შეკ-
რული მტევანი“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი).

კუმსი, კუმში, შეკუმშული. კახეთში შეკრულ მტევანს კუმშ,
კუმს²² მტევანს ეძახიან. „კუმსი მტევანი სავსეა, შეესებული,
მჭიდრო“ (კახ., წინანდალი). „შესანახ ყურძენს რთველში წინა
დღით მოარჩევენ ხოლმე, კარგად მოწვეულსა და თხელ მტევანს.
კუმსი მტევნის მორჩევა არ იქნება, ლბება“ (ქიზ., „შინამრეწვ.“).
„კუმსი—მარცვლებით სავსე, გაჭედილი მტევანი“ (გურ., საბ.).
შეკუმშული მტევანი უწოდეს სოფ. ობჩაში.

მკვრივი. „მკვრივი მტევანი“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“).
„მკვრივი მტევანი აქვს მწვანეს“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი).

შეკუნძული მტევანი. „კუნძას მკვრივი, შეკუნძული
მტევანი აქვს“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“).

დამურგული. „(ოფოურემ) დამურგული (შეკრული) ტევ-
ნები იცოდა“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

ჭიდრო. „ქველოური შავია, საშუალო ზომისა, ტევანი აქჭიდ-
რო“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“).

ხშირი ტევანი. „ხშირი ტევანი“ დადასტურებული აქვს
სტ. მენთეშაშვილს აჭარაში.

სავსე ტევანი. „ჩხავერს (აქვს) წვიტი კაკალი.. ტევანი—
სავსე“ (აჭარ., მენტ.).

კუტალი მტევანი. „კუტალი მტევანი შაკრული მტევანი,
ძიელ შაკრული, როგორც კუტალი“ (ქართლ., ატენი).

თხელი, თხელტევანი. მტევანს, თუ კუფხლები შორი-შორს ას-

²² თ. გონიაშვილი შეკრული მტევნის აღმნიშვნელ სიტყვას კუმსი, კუმ-
ში და ყურძენს ჭიმის ერთ-ერთ სახელწოდებას კუმშუას უკავშირებს ჩაჩნურ სიტყ-
ვას „ქემსი“ (ყურძენი) და დაასკვნის ქართულიდან ჩაჩნურში „შედარებით ადრე
შეთვისებული სიტყვა უნდა იყოსო“. ლექსიკური შეხვედრები ჩაჩნურისა ქართვე-
ლურ ენებათა. ენიმკის მოამბე, ტ. V—VI, თბ., 1940, გვ. 616.

ხია ასეთ მტევანს ეწოდება თხელი, თხელტევანა. „გორულამ თხელი ტევანი იცის“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „თითამ მტევანი თ ხ ე ლ ი იცის“ (იქვე). „თ ხ ე ლ ი მტევანი“ (კახ., წინანდალი). „შესანახ ყურძენს რთველში წინა დლით მოარჩევენ ხოლმე. კარგად მოწეულსა და თ ხ ე ლ მტევანს“ (ქიზ., „შინამრეწვ.“). „ჟღიას თ ხ ე ლ ი მტევანი აქვს“ (იქვე). „კრახუნამ მტევანი თ ხ ე ლ ი იცის“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „(დოდღლაბს) მტევანი მთავარი და თ ხ ე ლ ი აქვს“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „(არაბეულს აქვს) ყურძენი შავი, ტევანი მო თ ხ ე ლ ო, რგვალი ბიმილი“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „თ ხ ე ლ ტ ე ვ ა ნ ა ყურძენი“ (ქართლ., სალ.).

გაშლილი მტევანი. „გ ა შ ლ ი ლ ი მ ტ ე ვ ა ნ ი — მარცვლები იშვიათად, შორი-შორს ასხია“ (იმერ., ამალლება). „(ნოშრიოს აქვს) გ ა შ ლ ი ლ ი ტ ე ვ ა ნ ი, მხრებიანი“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

მეჩხერი, ჩხარი, მეჩხერიანი. „კამურმა თეთრი, დიდრონი კეკალი იცოდა, მტევანზე მე ჩ ხ ე რ ი კეკალი“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „აკიდოს (=ჯიში) ტევანი გრძელი და მე ჩ ხ ე რ ი კეკალი ქონდა“ (იქვე). „მტრედისფეხას მტევანზე მე ჩ ხ ე რ ი კუმფხალი აქვს“ (გურ. „შინამრეწვ.“). „მე ჩ ხ ე რ ი ტევანი—თხელი“ (აჭარ., მენტ.). „ჩ ხ ა რ ი და შეკრული მტევანი“ (ქვ. ლეჩხ., ქორენიში). „მუშკუღი—თეთრი, ძალიან სხვილსხვილი კეკალიანი, მე ჩ ხ ე რ ი ა ნ ი იყო“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

ქაჩალა. „ქ ა ჩ ა ლ ა ყურძენს ვეტყვით თხელ ყურძენს“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

გაბორძლილი. „გ ა ბ ო რ ძ ლ ი ლ ი მტევანი — გაშლილი მტევანი“ (ლეჩხ., დერჩი).

ცანცარა მტევანი. „დანახარულს ც ა ნ ც ა რ ა მტევანი ქონდა, არ იცოდა კარგი მტევანი“ (ქართლ. ჩრ., „შინამრეწვ.“).

ქარაფა, ქარაფცუა მტევანი. „ქ ა რ ა ფ ა მტევანი — ქარაფათ რომ აქ კუმპლები“ (იმერ., ვანი). „ქ ა რ ა ფ ც უ ა — თხელი მტევანია“ (იმერ., ზესტაფონი).

გადაკიდებული. მტევანი განსხვავდება ერთმანეთისაგან აგრეთვე კლერტის დატოტვით. შეიძლება ერთ ყუნწზე ორი თანაბარი მტევანი ებას ან მტევანს ერთი კუმფხალი ყუნწთან სხვა კუმფხლებზე შესამჩნევად დიდი ქონდეს. ასეთი მტევანებისათვის სათანადო სახელი მოუძებნიათ. „გ ა დ ა კ ი დ ე ბ უ ლ ი მტევანი — ერთ კინწზეა გამობმული და ორად მიდის“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი).

ტყუპა. „ტ ყ უ პ ა მტევანი არის ორი მტევანი ერთად რომ მოდის, ერთ ყუნწზეა შეთვისებული“ (ქართლ., ატენი).

პოწიალა. „პოწიალა მტევანი — გადაპოწიალებული რომ იქნება“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი).

ორმტევანა. „ერთ ყუნწზე ორი თანაბარი მტევანი აბიჯ ორ-მტევანაა“ (კახ., ლაგოდენი).

სამჯვარედინა. „ანდრეულამ სამჯვარედინა მტევანი იცის, დიდი მტევანი“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

მხრიანი. „ძველ საფერეს (აქვს) — ფოთოლი მოგრძო, კინწი მაგარი. ტევანი მხრებია“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „ძველ-შავს აქვს ყურძენი მორუხო, ტევანი ოდნავ შეკრული დიდი და მხრიანი“ (იქვე).

ფხრიანი. „ცოლიკოურს კუმპალი მოგრძო აქვს, გრძელი მტევანი აქვს, ფხრიანია, როგორც თითები, ისე გამოიბამს“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

წიწილიანი მტევანი. რაჭაში მხრიან მტევანს წიწილიან მტევანს ეძახიან აგრონომ დიმიტრ ტაბიძის ცნობით (შდრ. წიწილიანი კაპიტონი — ყურძნის ჯიში).

სუსტყუნწიანი, სუსტიკინწიანი, მაგარყუნწიანი. მტევანი სახელდებულია სხვადასხვაგვარი ყუნწის, მარცვლის მიხედვით. „სუსტყუნწიანი, ანუ როგორც აქ უწოდებენ, სუსტიკინწიანი მტევანს ხელით მოწყვეტენ, ხოლო მაგარყუნწიანი ყურძენს პატარა დანით აცლიან“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

წვრილმარცვალა. „ბუდეშური — წვრილმარცვალა, თხელკანიანი, ტკბილია“ (ქართლ., ქართ. დიალ. 1.289). „გაბრიტა წვრილმარცვალა“ (ზ. იმერ., ძოწ. I, 516).

სხვილმარცვალა, სხვილკეკალიანი. „ადრითლი—სხვილმარცვალა ყურძენი“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „მუშკული—თეთრი ძალიან სხვილ-სხვილ კეკალიანი, მეჩხერიანი იყო“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

კუმპალიანი „სამჯვას... ყურძენი შავი ქონდა. მაგრამ კუმპალიანი“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

მრგვალმარცვალა, მრგვალმარცვლიანი. „ღვლიფინა... მსხვილი და მრგვალმარცვლიანი“ (საბა). „ეს ყურძენი მრგვალმარცვალა“ (კახ., ბოჭორ.).

მარცვალმოგრძე. „კრკო ყურძენია მარცვალმოგრძე და მგრგული“ (საბა).

მოკლემუხლიანი. „თითა მოკლემუხლიანია, წაბლა“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

გრძელი. მტევანი დახასიათებულია მისი ფორმის მიხედვით.

„თითამ მტევანი თხელი იცის და გ რ ძ ე ლ ი“ (ქართლ., „შინამრეწვ.“). „კამურმა გ რ ძ ე ლ ი მტევანი იცოდა“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ქულბადიდს გ რ ძ ე ლ ი ბიმბილო და გ რ ძ ე ლ ი მტევანი ქონდა“ (იქვე). „მუაველას ყურძენი — ვარდისფერი, ტევანი — გ რ ძ ე ლ ი“ (ქვ. რაჭ., „შინამრეწვ.“).

მრგვალი. „სვანურს მტევანი შეკრული და რ გ ვ ა ლ ი ქონდა“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

ბორჯლიანი. „საფერავის მტევანი ბ ო რ ჯ ლ ი ა ნ ი ა (მოკლეა და განიერი) და გრძელკუფხლებიანი“ (კახ., ბოჭორ.). „მწვანეს საფერავისებრ ბ ო რ ჯ ლ ი ა ნ ი და მოკლე მტევანი აქვს“ (იქვე).

სრული. „ქველაურს მტევანი გრძელი და ს რ უ ლ ი ა ქვს“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

მსხვილი, სხვილი. „ბერბეშოს აქვს ვარდისფერი ყურძენი, ტევანი მ ს ხ ვ ი ლ ი და გრძელი“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „კრახუნას ტევანი დიდი ეზრდება... ს ხ ვ ი ლ ი ტევანი იცის“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). და სხვ.

ამრიგად, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დადასტურებული გვაქვს:

შ ე კ რ უ ლ ი მტევანი — ქართლ., იმერ., რაჭ., ლეჩხ.

კ უ მ ს ი, კ უ მ შ ი — კახ., ქიზ., გურ.

შ ე კ უ მ შ უ ლ ი — იმერ.

მ კ ვ რ ი ვ ი — იმერ., ლეჩხ.

შ ე კ უ ნ ძ უ ლ ი — იმერ.

დ ა მ უ რ გ უ ლ ი — იმერ.

ჭ ი დ რ ო — იმერ.

ხ შ ი რ ი — აჭარ.

ს ა ვ ს ე — აჭარ.

კ უ ტ ა ლ ი — ქართლ.

თ ხ ე ლ ი — ქართლ., ქიზ., იმერ., რაჭ.

თ ხ ე ლ ტ ე ვ ა ნ ა — ქართლ.

გ ა შ ლ ი ლ ი — იმერ., რაჭ.

მ ე ჩ ხ ე რ ი — იმერ., გურ.

ჩ ხ ა რ ი — ლეჩხ.

მ ე ჩ ხ ე რ ი ა ნ ი — იმერ.

ქ ა ჩ ა ლ ა — ქართლ.

გაბორძლილი — ლეჩხ.
 ცანცარა — ქართლ.
 ქარაფა, ქარაფცუა — იმერ.
 გადაკიდებული — ლეჩხ.
 ტყუბა — ქართლ.
 პოწილა — ლეჩხ.
 ორმტევანა — კახ.
 სამჯვარედინა — ქართლ.
 მხრიანი — რაჭ.
 ფხრიანი — იმერ.
 წიწილიანი — რაჭ.
 სუსტყუნწიანი, სუსტკინწიანი — რაჭ.
 მაგარყუნწიანი — რაჭ.
 წვრილმარცვალა — ქართლ.
 მსხვილმარცვალა, სხვილკეკალიანი —
 იმერ.
 კუმბალიანი — იმერ.
 მრგვალმარცვალა — კახ.
 მარცვალმოგრძე — საბა.
 მოკლემუხლიანი — ქართლ.
 გრძელი — ქართლ., იმერ., რაჭ.
 მრგვალი — იმერ.
 ბორჯლიანი — კახ.
 სრული — ქართლ.
 მსხვილი — იმერ., რაჭ.

კლერტი, კლერტო. მარცვალგაცლილი მტევნის დატოტვილ ღეროს კლერტი ეწოდება. „კლერტი — ყურძნის ღერო“ (საბა). „და დაუტევის კლერტი იგი ტევნისა მის ცუდი“ (სახისა სიტყ., 22.17). „კლერტი“ (ქართლ., ბერბუკი). „კლერტი — მარცვლის გაცლის შემდეგ რაც დარჩება“ (კახ., გავაზი). „როცა ამიწვევდა ღულილში ზევით კლერტი და თხლე, სარცხით გასტეხდნენ ხოლმე და ქვევით დააბრუნებდნენ“ (გ. კახ., „შინამრეწვ.“). „კლერტი მტევნის“ (იმერ., სხვიტორი). „რომ გამოვკენკამთ ყურძნის დარჩება კლერტო“ (ქართლ., ყანჩავეთი). „კლერტო — მტევანს რომ მარცვალს მოვაცლით, რაც დარჩება“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“).

კლერტო. „მარცვლისთვის ვკრიფამთ ყურძენს, თვარა ყ ლ ე რ ტ ო რათ გვინდა?“ (ზ. იმერ., ძოწ. ლ.).

კეპტო, კლეპტო. „კ ე პ ტ ო ა ვენახში დატოვებული“ (ზ. იმერ., ძოწ., ლ.). „კ ლ ე პ ტ ო რალათ მინდოდა“ (იქვე).

ბონძლი, ბონძღვი, ბოდლი. „კალათში ბ ო ნ ძ ღ ე ბ ი დოუტოვე-ბიათ მარტვა“ (ზ. იმერ., ძოწ., ლ.). „ყურძენს ბ ო ნ ძ ღ ე ბ ი ჩემს-კენ გადმოყარა“ (იმერ., დიალ.). „ყურძენს ბ ო ძ ღ ი და ჭაჭის კაკა-ლი სიმწარეს უშობს“ (იქვე).

ბორძღვი. „ბ ო რ ძ ღ ვ ი — ბიმბილებს ქე რო გამოაცლი და ქე რო დარჩება“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი).

ბონძღალი, ბონძღლი. „ბ ო ნ ძ ღ ა ლ ი — უმარცვლო მტევანი“ (იმერ., ოზხა). „ბ ო ნ ძ ღ ა ლ ი, კლერტო — რახედაც მარცვლები აბია, ის არის“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „მარცვალს რო მოაცლი, რაც დარჩება, იმას ბ ო ნ ძ ღ ლ ს უძახიან“ (იქვე).

ბურძღალი, ბურძღენი, ნაბურძღანა. „ბ უ რ ძ ღ ა ლ ა ი — მარ-ცვლებგაცლილი ყურძენის მტევანი“ (გურ., შარაშ.). „ბ უ რ ძ ღ ა ლ ა ი“ (აჭარ., ნიჟ.). „ნ ა ბ უ რ ძ ღ ა ნ ა“ (იმერ., ამადლება). საბას ლექსიკონში შეტანილი აქვს სიტყვა „ბ უ რ ძ ღ ე ნ ი — ყურძენის კლერტი“.

ბოდონძლი, ბუნძლო, ბუძუნძლო, ბუძუნღლო. „ბ ო ძ ო ნ ძ ღ ი — კლერტი მტევანისა“ (ზ. იმერ., წერეთ.). „ყურძენისა და კვახის ბ უ ნ ძ ღ ო ც ვიცით და ბ უ ძ უ ნ ძ ღ ო ც ორივეს უძახით ჩვენ“ (ზ. იმერ. ძოწ. ლ.). „ბ უ ძ უ ნ ძ ღ ო ე ბ ი შენ ქქონდეს“ (იქვე). „ბ უ ძ უ ნ ღ ო — ყურძენის გაკუმბლული მტევანი“ (იმერ., ჯაჯან.).

ბუზუნვლო. ბ უ ზ უ ნ ვ ლ ო იმერული სიტყვაა, შეტანილი არ-ის ბ. წერეთლის და ი. ჭყონიას ლექსიკონებში.

ფონცხი. ფორცხვი, ფურცხვი, ფურცხანია. „ვენახში ცარიელი ფ ო ნ ც ხ ვ ე ბ ი კიღია, ფ ო ნ ც ხ ს ეტყვიან მარცვალგაცლილ ტე-ვანსა“ (ზ. იმერ., ძოწ., ლ.). „ფ ო რ ც ხ ვ ი — ყურძენის უმარცვლო კლერტი“ (რაჭა, დიალ.). „ამას²³ ფ უ რ ც ხ ვ ი, ფ უ რ ც ხ ა ნ ი ა ქვია“ (იმერ., ვანი).

ცინცხვი, ნაფხუწი. „მტევანს აქვს „ყუნწი“, ყუნწზე უვითარდე-ბა „მუხლი“, მუხლს ქვემოთ „ფორცხვი“, „ც ინ ც ხ ვ ი“, „ნ ა ფ ხ უ წ ი“ (რაჭა, ფრ., 89).

კერენჩხო. „გეიტალა მარცვალი და ცარიელი კ ე რ ე ნ ჩ ხ ო დარჩა“ (ზ. იმერ., ძოწ., ლ.).

²³ აჩვენებს კლერტს.

კაჭაჭი, კაჭეჭი. „კაჭაჭი კლერტოა, ცარიელო მტევანი“ (ქართლ., ბერბუჯი). „კაჭეჭი — ყურძენი რაზეც ასხია“ (ქართლ., ყანჩავე.).

ხუნწალი. „ხუნწალი ყურძენს რო შეჰამ და მარტვა ფხები რო დარჩება“ (იმერ., ოზჩა).

ჩენჩო. „მტევანს რო შეჰამ, ჩენჩო დარჩება“ (კახ., ყვა-რელი).

ღერო. „ჭაჭაში ურევია კანი, წიბწა, ღერო“ (კახ., მანავი). მარცვალგაცლილი მტევანის სახელწოდებებია:

კლერტი — ძვ. ქართ. ქართლ., კახ., იმერ.

კლერტო — ქართლ., იმერ.

ყლერტო — იმერ.

კეპტო, კლექტო — იმერ.

ბონძლი, ბონძღვი — იმერ.

ბორძღვი, ბოძლი — ლეჩხ.

ბონძღალი, ბონძღლი — იმერ.

ბურძღალი — გურ., აჭარ.

ბურძღენი — საბა.

ნაბურძღანა — იმერ.

ბოძონძლი — იმერ.

ბუნძლო, ბუნძუნძლო, ბუნძუნდო — იმერ.

ბუნუნღვლო — იმერ.

ფონცხი, ფურცხვი, ფურცხანია — იმერ.

ფორცხვი — რაჭ.

ცინცხვი — რაჭ.

ნაფხუწი — რაჭ.

კერენჩხო — იმერ.

კაჭაჭი, კაჭეჭი — ქართლ.

ხუნწალი — იმერ.

ჩენჩო — კახ.

ღერო — კახ.

კუფხალი, კუფხალა. კლერტის მთავარ ღეროს გამოსხმული აქვს პატარ-პატარა რტოები, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელს უწოდებენ. კუფხალი შეტანილი არის საბას ლექსიკონში „კუფხალი — ტევანის რტო“. (ამავე ლექსიკონში გვხვდება კუფხალისაგან ნაწარმოები სიტყვები:

„მოკუფხვლა — კუფხლის მოწყვეტა“, „მოკუფხვლენ — კუფხლას აგადრობენ“. „ნაკუფხალი—კუფხლის ანაგლეჯი“); კუფხალი განსაკუთრებით ხშირად იხმარება კახეთში (ყვარელი, ქისტაური, ახმეტა, გავაზი, წინანდალი, საგარეჯო და სხვ.). გვხვდება ქართლშიც. „კუფხალა“ (ქართლ., ყანჩავეთი).

კუმფხალი, კუმხალი. არნ. ჩიქობავას აზრით „კუმს იგივე კუფხ-არის; ამ უკანასკნელში „ფ“-მ-საგან უნდა იყოს მიღებული ხ-ს მე-ზობლობაში“²⁴. (მტრედისფხას) მტევანზე მეჩხერი კუმფხალი აქვს“ (გურ., „შინამრეწვ.“). „კუმხალი მტევნის ნაწილი (გურ., შარამ.). „კუმხალი — ყურძნის კლერტოხედ გამოსხმულები“ (ქართლ., კირიონი).

კოფხალი. „კოფხალი, კუფხალი, კიმელი“ (ინგილ., ჯანაშვი.).

კუმპალი, კომპალი. კუმპალი გვხვდება ქართული ენის დასავლურ დიალექტებში. „მხრებს მეორენაირად კუმპალს ეტყვიან: ერთი კუმპალი ყურძენი მომიწყვიტეო“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „კუმპალი (სამი-ოთხი მარცვალი რომ აბია მტევანს ერთად) თხელი ქონდა“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „(თხილაკუნას) კეკალი წვრილი, კუმპალი (ფხარს ვეძახით) — საშუალი“ (იქვე). „კუმპალი — ყურძნის მტევნის ორი-სამი მარცვალი ერთად, კუფხალი“ (გურ., ჟღ.). „კუმპალი — ყურძნის ერთ პოწკზე გამოსხმული მარცვლები პოწკიან მარცვლებიანათ“ (გურ., იმერ., ჭყონ.). „კომპალს, რამდენიმე მარცვალი რომ იქნება ერთ ყუნწზე მომბული ტევნის, იმას უძახით“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

კიმპალი, კიმბალი. „კიმპალი — სამმარცვლიანია“ (ზ. ქართ., „შინამრეწვ.“). „კიმპალი მორჩილია, მტევანი — მთავარი“ (იმერ., გელათი). „კიმპალს ფხარს ვეძახით“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „კიმპალი — არ გინდა ყველა რო შეჭამო, ააძრობ, ხუთი ან ექვსი ბიმბილი ებმება“ (იქვე). „კიმპალი—მტევნის მხარი, ნაწილი რამდენიმე მარცვლით“ (ქართლ., გაჩ.). „კიმბალი—კიმპალი (ქართლ., ძიძიგ. და სხვ.)²⁵

²⁴ არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. ტფ., 1938, გვ. 134.

²⁵ შდრ. „კვიპლა-კვიპლა—კვნიტა-კვნიტა—თირი მიწა კვიპლა-კვიპლა არი ხოლმე შეპარივით“ (იმერ., წერ.).

კიმელი, კიმელა. „მტევანზე რომ სამი-ოთხი მარცვალია გამო-
ბული (ასეა!)... იმას კიმელას ვეტყვი“ (ზ. ქართლ., „შინა-
მრეწ.“). „კიმელა რო ავაგლეჯავთ“ (ქართლ., ბერბუკი). „ყურ-
ძენს ჩავაწყობთ უხმარებელ ქილაში. კიმელ-კიმელათ დავჭ-
რით წვრილათ, ბადაგს დაასხამდა, ქარი არ შესულიყო ქილაში“
(ქართლ. სამხრ., „შინამრეწ.“). „დავჭრიდით კიმელ-კიმელა —
მხარდამხარ, რა!“ (იქვე).

მხარი, ფხარი. „მტევანს აქვს მხრები“ (ზ. იმერ., „შინა-
მრეწ.“). „მტევანს აბია მხრები. მხრებს მეორენაირათ კუმ-
პალს ეტყვიან. ერთი კუმპალი ყურძენი მომიწყვიტეო“ (იქვე).
„კიმპალი — მტევნის მხარის კიდე უფრო პატარა ნაწილი“ (იქვე).
მხარი — მიმბულეებია ბუჩქები“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „მტევანზე
რომ კიდია ოთხი თუ ხუთი მარცვალი ერთად, იმას ვეძახით
ფხრებს“ (ქვ. იმერ., „შინამრეწ.“). „შეკრულ მტევანსაც აქვს
ფხრები, მაგრამ გამოუჩინარი“ (იმერ., ობჩა).

ფხა. „ფხა უნდა აართვა მტევანს“ (ქვ. ლეჩხ., ორხვი). „ფხე-
ბი შეურთმევიათ“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „ფხა — მტევანს რო შეაც-
ლი“ (იმერ., ვანი).

ნაყვი. „ნაყვი — მტევნის რამოდენიმე ნაწილი ბუჭურ-ბუ-
ჭურებათ (ორი-სამი მარცვალი), რომ არის ერთ ყერწზე. რამდენი-
მე მარცვალი, ბიმიბილო რომ აქვს“ (ქვ. იმერ., „შინამრეწ.“).

კინწი. კინწი კუფხლის სინონიმია. „კინწს ჩვენ ვეტყვით
მტევანსა და ვაზს შუა რომ არის მოთავსებული, ერთ მარცვალ ყურ-
ძენს ბიმიბილს ვეძახით, მაგრამ ოთხი მარცვალი რომ კიდია ერთად
მტევანზე, იმასაც კინწს ვეძახით“ (ქვ. იმერ., „შინამრეწ.“).

კიწი. „კიწი — მტევნის პატარა ნაწილი, კლერტის ერთი შტო
მარცვლებიანად“ (ქიზ., მენტ.).

პოწკი. კლერტის ერთ-ერთ „შტოდეს“ — უმარცვლო კუფხალს —
გურიასა და იმერეთში პოწკი ეწოდება. პოწკის ასეთი მნიშვნე-
ლობა გამომყლავნდა სიტყვა კუმპალის განმარტებით: „კუმპალი —
ყურძენის ერთ პოწკზე გამოსხმული მარცვლები პოწკიან-
მარცვლებიანათ“ (გურ., იმერ., ჭყონ.).

კიმპალი. კუფხლის პატარა ორ-სამმარცვლიან ნაწილს კიმ-
პალი ეწოდება. „კუმპალი მარცვალია, და კიმპალი მტევნის
მხარის კიდე უფრო პატარა ნაწილი“ (ზ. იმერ., „შინამრეწ.“).

მტევნის რტოს აღმნიშვნელი სახელწოდებებია:

კუფხალი — საბა, კახ., ქართლ.

კ უ ფ ხ ა ლ ა — ქართლ.
 კ უ მ ფ ხ ა ლ ი — გურ.
 კ უ მ ხ ა ლ ი — ქართლ., გურ.
 კ ო ფ ხ ა ლ ი — ინგილ.
 კ უ მ პ ა ლ ი — გურ., იმერ.
 კ ო მ პ ა ლ ი — იმერ.
 კ ი მ პ ა ლ ი — ქართლ., იმერ., ლეჩხ.
 კ ი მ პ ა ლ ი — ქართლ.
 კ ი მ ე ლ ი, კ ი მ ე ლ ა — ქართლ.
 მ ხ ა რ ი — იმერ., ლეჩხ.
 ფ ხ ა რ ი — იმერ.,
 ფ ხ ა — იმერ., ლეჩხ.
 ნ ა ყ ვ ი — იმერ.
 კ ი ნ წ ი — იმერ.
 კ ი წ ი — ქიზ.
 პ ო წ კ ი — იმერ., გურ.
 კ ი მ პ ა ლ ი — იმერ.

მარცვალი. ტერმინი მარცვალი იხმარება საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში „ყურძნის ერთი ცალის“ აღსანიშნავად უპირატესად მარცვალი იხმარება, დასავლეთ საქართველოში კი მარცვალთან ერთად გვხვდება რამდენიმე სხვა ტერმინიც (ბიმბილი, კაკალი, თვალი და სხვ.). „რკოს ცოტა წოწოლა მარცვალი აქვს, მოგრძო მარცვალი“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „სათერავი შავია, მსხვილი მარცვალი იცის“ (ქართლ. ჩრ., „შინამრეწვ.“). „ნაცარი თეთრად შეაყრის და აღარ იზრდება, მარცვალი სკდება“ (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“). „ყურძნის მარცვალს ავაბნევთ ძაფზედ და შევწოვთ თონეში“ (კახ., ყვარელი). „ავასხამდით ყურძნის მარცვალს, თონეში შევწვამდით“ (გ. კახ., „შინამრეწვ.“). „ჟღისა გურჯალი მარცვალი აქვს“ (ქიზ., „შინამრეწვ.“). „მარცვალს რო გაკრიფავ მტევანს, რაც დარჩება—კლერტო“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ჭრაქი — რომ მიეყრება მარცვლებს და რო მოუხრუკავს ფოთოლს“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ჭრაქი ავადმოფობა არის. უშავდება მარცვლები და ხმება ზედ. ნაცარი მიეყრება მტევანს და ბიმბილებს“²⁶ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ჯაი ბიმბილიანიაო ვიტყვიო,

²⁶ ერთსა და იმავე დროს იმერელი გლეხი მარცვალსაც ხმარობს და ბიმბილსაც.

როცა ტევანს კარგი მარცვალ — თვალი ექნება“ (ზ. რაჭა, „შინამრეწვ.“) „კრახუნა თეთრია, მოგრძო მარცვალი იცის“ (ლექს., „შინამრეწვ.“). „ახლა კაი მარცვალი აქ ვენახს“ (ქვ. ლექს., დერჩი).

ბიმბილი. ბიმბილა, ბიმბილო. „ერთ მარცვალ ყურძენს ბიმბილს ვეძახით“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ბიმბილო შედგება ჭაჭისაგან და ხინწყლებისაგან“ (იქვე). „ბიმბილი — კაკალი ყურძნის“ (იმერ., გელათი). „ყურძენი ტევანს აქ ყურწი, იმაზე აბია თვალი, ან ბიმბილა“ (ზ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „ძველათ იცოდა ვაზმა ავადყოფობა — ნაცარი. ტევანებს ნაცრისფრად ხაო გადაედებოდა, ბიმბილი დასკდებოდა შვა-შვაზე“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „მწვანე რო ისროლო შორს, ბიმბილი არ მოცილდება, მკვირივი მტევანი აქვს მწვანეს“ (ქვ. ლექს., დერჩი).

კაკალი, კეკალი. „(დღვლამს) შავი წვრილი კაკალი ქონდა“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ზღვამილას მომწვრილო კეკალი და მრგვალი. გრძელი მტევანი ქონდა“ (იქვე). „თხილაგუნეს კეკალი რგვალ-რგვალი და ზომიერი ქონდა“ (იქვე). „კამურმა — თეთრი, ღიდრონი კეკალი იცოდა, მტევანზე მეჩხერი კეკალი“ (იქვე). „ჭამუტას მტევანზე კაკლები. მჭიდრო აქვს დასხმული“ (გურ., „შინამრეწვ.“). „კლარჯული მაგარი კაკლებით, საჭმელი ჭიშისა“ (იქვე). „კაკალი — მარცვალი“ (აჭარ., მენბ.).

კუმპალი, კიმპალი. იმერეთში ყურძნის მარცვალს კუმპალს ეძახიან. „კუმპალი მარცვალია და კიმპალი — მტევნის მხარის კიდე უფრო პატარა ნაწილი“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ერთ მარცვალს ბიმბილოსაც და კუმპალსაც უძახით“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „კრახუნას კუმპალი რგვალი და მთავარი აქვს“ (იქვე). „(ამ ყურძენს) ქარათათ (≈ მეჩხრად) აქ კუმპლები“ (იმერ., ვანი). „კრახუნას კუმპალი უფრო წაგრძელებული აქვს“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „კუმპალს აქვს ჭაჭა, წიპწა, ხორცი“ (იმერ., ოზჩა). „კიმპალი ბიმბილია, სოფლურათ უფრო ბიმბილი“ (ქვ. ლექს., დერჩი).

თვალი. „ყურძნი ტევანს აქ ყურწი, იმაზე აბია თვალი, ან ბიმბილა“ (ზ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „კაი ბიმბილიანიაო ვიტყვიო, როცა ტევანს კარგი მარცვალი, თვალი ექნება“ (იქვე).

ყურძნის მარცვალი და მისი სინონიმებია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში:

მარცვალი — ქართლ., კახ., ქიზ., იმერ., რაჭ., ლექს.

ბ ი მ ბ ი ლ ი — იმერ., რაჭ., ლეჩხ.

ბ ი მ ბ ი ლ ო — იმერ.

ბ ი მ ბ ი ლ ა — რაჭ.

კ ა კ ა ლ ი — იმერ., გურ., აჭარ.

კ ე კ ა ლ ი — იმერ.

კ უ მ პ ა ლ ი — იმერ.

კ ი მ პ ა ლ ი — ლეჩხ.

თ ვ ა ლ ი — რაჭ.

წიპწა. ყურძნის თესლს წიპწა ეწოდება. იხმარება უმეტესად კახეთში: „ჭაჭის წვენი... საცერში უნდა გაიწუროს, რომ წიპწა არ შაპყვეს“ (შ. კახ., „შინამრეწვ.“). „ქიშმიშის ყურძენი — უკუტრო, უწიპწო“ (ქიზ., „შინამრეწვ.“). „წიპწა, ჩენჩო“ (ქართლ., ყანჩავეთი). „ხუნწკალი ანუ წიპწა ყურძნი კაკალია (ბურკაა)“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

წიპწის ვარიანტებია: „წიმწა — თესლი, კურკა“ (ლეჩხ., ალავე). „წინწა“ (ზ. იმერ., ჯაჯან.), „კუმპალს აქვს ჭაჭა, წიპწა“ (წიპწა), „ხორცი“ (იმერ., თბიზ.). „წაპწა — ყურძნის კურკები“ (ქართლ., კირიონი).

ხინწკალი. „ბიმბილო შედგება ჭაჭისაგან და ხინწკლები-საგან. ხინწკლსა და ჭაჭას შუა რომ არის, იმას სახელი არა აქვს“ (ქვ., იმერ., „შინამრეწვ.“).

ხუნწკალი, ხუნწარი. „ხუნწკალი ყურძნისა და მისთანათა გურკა“ — განმარტავს სულხან-საბა ორბელიანი. „ხუნწკართ არის მარცვლის კურკა“ (ქვ. იმერ., ამაღლ.). „ხუნწკალი ყურძნის კაკალია“ (იქვე). „ანდასოულს გამოსავალი ნაკლები აქვს, ხუნწკალითაა გამსებული, ხუნწკალი ანუ წიპწა — ყურძნი კაკალია, ბურკაა“ (იქვე). „ხუნწკართ — ყურძნის კურკა“ (იმერ., ჯაჯან.).

ხუნწუნწკალი. „ხუნწუნწკალი ყურძნის თესლი, ღვინის გამოღების შემდეგ რომ დარჩება საწინახელში“ (გურ., შარაშ.).

ღუნწკალი, ღუნწალი. ღვინწკალი. დასავლეთ საქართველოში ხშირად იხმარება ყურძნის თესლის აღმნიშვნელი ტერმინი ღუნწკალი (ღუნწალი, ღვინწკალი). „ბიმბილოს (აქვს) ჭაჭა. გულლი, ღუნწკალი; ღუნწალი“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „მარცვალი შესდგება ჭაჭისაგან და ღვინწკალისაგან“ (იქვე).

კურკა, ბურკა. „მარცვალს რომ შიგ აქვს, შავი, მაგარი გულში, იმას კურკას ვეტყვით“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ნაცრის

დროს მარცვალი გამოიქაჭებოდა და გულში კ უ რ კ ა შეახმებო-
და“ (იქვე). ყურძნის კ უ რ კ ა ს ჰქვიან წიპწა“ (გ. კახ., „შინა-
მრეწვ.“). როგორც ამ ჩანაწერებიდან ჩანს, კახეთში ყურძნის
თესლს კ უ რ კ ა კი არა, წიპწა ქვია. „ხუნწკალი ანუ წიპწა ყურძნის
კაკალია (ბ უ რ კ ა ა)“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“), „ბ უ რ კ ა — კ უ რ -
კ ა, წიპწა“ (აჭარ., მენთ.).

გული. „(მარცვლის ნაწილებია): ჩურჩა, ჭაჭა, გ უ ლ ი“²⁷
(ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

კაკალი, ჭაჭის კაკალი, კეკალი. „კ ა კ ა ლ ი შავი სათესლეა“ (ქვ.
იმერ., „შინამრეწვ.“). „ხუნწკალი ანუ წიპწა — ყურძნი კ ა კ ა ლ ი ა“
(იქვე). „რჩება ხორგოში ჭაჭა — ბიმბილების კანი და კ ა კ ა ლ ი“
(ქვ. რაჭ., „შინამრეწვ.“). „კ ა კ ა ლ ი გავახმოთ და მერე ჩავყაროთ
ღვინოში, გაამაგრებს“ (ქვ. ლეჩხ., ორხვი). „ჭაჭის კ ა კ ა ლ ი დავფქ-
ვით ღორისთვის (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „ყურძნის ბოძლი და ჭაჭის კ ა -
კ ა ლ ი სიმწარეს უშობს“ (იქვე). „კ ე კ ა ლ ს ვეძახით შავსა და მა-
გარს (ყურძნის მარცვალში“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

კანი. „მარცვალს რომ კ ა ნ ი აქვს, იმას კ ა ნ ს ვეტყვით, მაგრამ
რომ დაიწურება, იმას კი ჭაჭას ვეტყვით“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).
(„ჩვილთითას) რბილი კ ა ნ ი ჰქონდა“ (იქვე). „თავკვერსა და განა-
ხარულს კ ა ნ ი შავი აქვთ და წვენი კი — თეთრი“ (გ. კახ., „შინა-
მრეწვ.“).

„თქვლაფა თეთრას ძალიან სუსტი კ ა ნ ი აქვს დაწურვის
დროს ითქვლიფება“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „მარცვალში შიგ-
ნით—ლუნძლი, გარეთ — კ ა ნ ი“ (ზ. რაჭ., „შინამრეწვ.“). „რჩება
ხორგოში ჭაჭა — ბიმბილების კ ა ნ ი და კაკალი“ (ქვ. რაჭ., „შინა-
მრეწვ.“).

გარსი, გარცი. „გ ა რ ს ი — მარცვლის გარეკანი (კახ., გავაზი).
„ბიმბილის კანი გ ა რ ც ი ჩვენებურათ, კულტურულათ გ ა რ ს ი“ (ქვ.
ლეჩხ., დერჩი). „გ ა რ ც ი ბიმბილის კანია“ (ზ. ლეჩხ., უსახ.).

ქერქი. „ჩურჩა — მარცვლის კანს ვეძახით ან ქ ე რ ქ ს“
(ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „მარცვალი შედგება „ქ ე რ ქ ის“ (კა-
ნი), „წვენის“, „ლემეისა“ და კურკისაგან“ (ქიზ., ნანობ.).

ქეფჩო. „ქ ე ფ ჩ ო ს... ჭაჭას ვეძახით“ (ზ. ქართლ., „შინ-
ამრეწვ.“).

ჩენჩი, ჩენჩო. „ჩ ე ნ ჩ ი, ჩ ე ნ ჩ ო მარცვლის კანი“ (ქართლ.,
ბერბუკი). „ჩ ე ნ ჩ ო — მარცვლის კანი“ (ქ ა რ თ ლ . , ა ტ ე ნ ი).

²⁷ ახლავს ჩანახატი.

„ჩენი არის მარცვლის კანი“ (იმერ., ჭორვილა). „ჩენი — მარცვლის კანი“ (იმერ., საქარა).

ჩუჩია. „ჩუჩიას მარცვლის კანს ვეძახით ან ქერქს“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ჩუჩია ყურძნის მარცვლის კანია“ (ქართლ., ბერბუკი). „ცოლიკოურს მაგარი ჩუჩია აქ“ (იმერ., შუა გორა). „ჩუჩია — მარცვლის კანი“ (იმერ., სხვიტორი).

ტყავი. „ტყავი — ქერქი მარცვლის“ (აქარ., მენთ).

აკვი. „მარცვალს აპკე დაუსკდაო, რო დამწიფდება“ (იმერ., სხვიტ.).

ფერფლი. „ფერფლი“²⁸ (ქართლ., ყანჩავეთი). „ფერფლი — მარცვლის გარეკანი, გარცი“ (კახ., გავაზი). „ხარისთვალას ჭაჭა არ ვარგა, საფერავში რო მოჰყვეს არა უშავს რა, მაგრამ თეთრში ერთი ფერფლიც რომ მოჰყვეს, ფერს შაუცვლის და ამღვრევს“ (შ. კახ., „შინამრეწვ.“).

ნაჭი. „ნაჭი — მარცვლის კანი“ (იმერ., საქარა).

ჭაჭა. ყურძნის მარცვლის კანს ჭაჭა²⁹ ეწოდება. „მარცვალი შესდგება ჭაჭისაგან და ღვინუკალისაგან“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ბიბილო შედგება ჭაჭისაგან და ხინუკლებისაგან“ (იქვე). „ჭაჭა მარცვლის კანია“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“).

ჩვეულებრივ ჭაჭას გამოწურული ყურძნის მარცვლის კანს უწოდებენ. „მარცვალს რომ კანი აქვს, იმას კანს ვეტყვით, მაგრამ რომ დაიწურება, იმას კი ჭაჭას ვეტყვით“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „(ხარისთვალა) არც კი გეერევა დასაწურ ყურძენში, იმისი ჭაჭა არ ვარგა... თეთრში ერთი ფერფლიც რომ მოჰყვეს, ფერს შაუცვლის და ამღვრევს“ (შ. კახ., „შინამრეწვ.“). „უცხანური საფერია ღვინის, ღვინოს აშავებს ჭაჭა, წვენი კი წითელი აქვს“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „გამოაგდე პირში ჭაჭა“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი) „ყურძნის მოწურვის შემდეგ ხენჯი დარჩება. ხენჯში ურევია ჭაჭები“ (იქვე).

ღურღლი. მარცვალში არის სისქე, რომლის ერთ-ერთი სახელწოდება არის **ღურღლი**. „სიცხეში თხელდება ჩინურის ტევანი, კი ვერ აფუჭებს. კანი სქელი აქ და ღურღლი. მეტს რომ დასწურაჲს ღურღლი გამოსდევს“ (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“).

²⁸ უჩვენებს ყურძნის მარცვლის კანს.

²⁹ ჭაჭის ძირითად მნიშვნელობაზე და მის სინონიმებზე (ხენჯი, ხენჯი და სხვა). საგანგებოდ შევიჩერდებით ყურძნის დაწურვასთან დაკავშირებულ ტერმინთა განხილვის დროს.

ღუნძლი, ღვინძლი, ღვირძგლი. „ყურძენს აქ მარცვალში შიგნით ღუნძლი, გარეთ — კანი“ (ზ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „ბიმბილი შედგება კანისაგან და ღვინძლი, ღვირძგლი, ღუნძლისაგან“ (რაჭ., ფრ.).

ცილა. „(ყურძნის მარცვლის) ხორცს ჩვენ ცილას ვეძახით“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ცილა — მარცვლის ხორცი“ (ქართლ., ბერბუკი).

გული. „ნაცარის დროს ნაყოფი გამოიჭაჭებოდა და გულში კურკა შეახმებოდა“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ბიმბილოს აქვს ჭაჭა, გული,³⁰ ღუნწკალი“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

ბიმბილი. „კეკალს ვეძახით შავსა და მაგარს, მაგრამ ბიმბილს კი ვეძახით შუანაწილში რომ არის მოთავსებული“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

ლეშკი. „ლეშკი — ყურძნისა და მისთანა ხილეულთა ხორცი. წვენგამოცლილი ნაწილი უკანოდ და უკურკოდ“ (ქიზ., მენთ.).

წვენი. „უღიის წვენს თუ საფერავში მიუშვებ, უფრო ატკბობს, მაგრამ იმისი ჭაჭა არ ვარგა დედათ“ (შ. კახ., „შინამრეწვ.“). „თავკვერსა და განახარულს... კანი შავი აქვთ და წვენი კი — თეთრი“ (გ. კახ., „შინამრეწვ.“). „უცხანური საფერია ღვინის. ღვინოს აშავებს ჭაჭა, წვენი კი წითელი აქვს“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „სამაჭრიას ძალიან ტკბილი წვენი აქვს“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

ფიფქი. ზოგი ჯიშის ყურძნის მარცვალს ფიფქი აქვს გარედან. ყვითელი მწვანე უფიფქოა, ჩვეულებრივი მწვანე ფიფქიანია“ (კახ., ტაბ.).

მტვერი. „მტვერი მარცვალს აქვს ზემოდან“ (იმერ., საქარა).

შევაჯამოთ მარცვლის ნაწილების აღმნიშვნელი სახელები თავთავის სინონიმებით:

1. წიპწა — ქართლ., კახ., ქიზ., იმერ.

წიმწა — ლეჩხ.

წინწა — იმერ.

წიწა — იმერ.

წაპწა — ქართლ.

ხინწკალი — იმერ.

ხუნწკალი — იმერ.

³⁰ ახლავს ნახატი.

- ხუნწარი — იმერ.
 ხუნწუნწკალი — გურ.
 ღუნწკალი, ღუნწალი, ღვინწკალი — იმერ.
 კურკა — ქართლ., აჭარ.
 ბურკა — იმერ., აჭარ.
 გული — ქართლ.
 კაკალი, ჭაჭისკაკალი — იმერ., რაჭ., ლეჩხ.
 კეკალი — იმერ.
2. კანი — ქართლ. კახ., იმერ., რაჭ.
 გარსი, გარცი — კახ., ლეჩხ.
 ქერქი — ქართლ. ქიზ.
 ქეფხო — ქართლ.
 ჩენჩი — ქართლ.
 ჩენჩო — ქართლ., იმერ.,
 ჩურჩა — ქართლ., იმერ.
 ტყავი — აჭარ.
 აპკი — იმერ.
 ფერფლი — ქართლ., კახ.
 ნაჭი — იმერ.
 ჭაჭა — ქართლ., კახ., იმერ., ლეჩხ.
3. დურდლი — ქართლ.
 ღუნძლი, ღვინძლი, ღვირძგლი — რაჭ.
 ცილა — ქართლ.
 გული — ქართლ., იმერ.
 ბიშბილი — იმერ.
 ლეშკი — ქიზ.
4. წვენი — კახ., იმერ., რაჭ.
 5. ფიფქი — კახ.
 მტვერი — იმერ.

ფესო. არის შემთხვევები. როდესაც ფესვის ძირითადი ღერძი და მისი განტოტებები სხვადასხვა სახელით იწოდება. „(ვაზის ნაწილებია): ძირი, ფესო, დედა-ვაზი ან კორძი, რქა“ (ზ. ქართლ., „შინამრეწე.“). „ფილოქსერა დაჭამდა ფესოებს, გაყვითლდებოდა ფესვი“ (იქვე). ორივე შემთხვევაში ძირს, ფესვს უპირისპირდება ფესო — ფესვის განტოტებების მნიშვნელობით.

ფერსო. „ვაზს მიწაში ძირი და მისგან განტოტებული ფერსო... აქვს მოქცეული“ (კახ., ლეკ.).

ძირკვი. „ძირკვეები მიწაშია განტოტებული“ (ქიზ., ნანობ.).

ბარჯგი, ბორჯლი. „რქის კვირტიანი მხარეც ქვემოთ უნდა მოქცეულიყო. ფერსო (თუ ბარჯგი, ბორჯლი) კვირტს უნდა გაეტანა“ (კახ., ბოჭორ.).

ბუსუსი. „ბუსუსი განტოტების სულ მცირე ნაწილები“ (ქიზ., ნანობ.).

მუხლი, კოჟოჟი. დედა-ვაზს აქვს ნაზარდები. „მუხლი ანუ კოჟოჟი ადგილები — დედა-ვაზზე ხნოვანების განმსაზღვრელი ნაზარდები“ (ქიზ., ნანობ.). „დაუმყნობელ ვაზს მხოლოდ მუხლები მოეპოვება“ (რაჭ., ფრ.).

ქუსლი. ნამყენი ვაზის დედა-ვაზს დანამყნები ადგილები ემჩნევა. „ნამყენი ვაზის ტანი ქუსლიანია“ (კახ., ლეკ.). „თუ ვაზი ნამყენია, მაშინ ძირითადი ქუსლიანია“ (რაჭ. ფრ.).

მუხლი, მუკლი. ტოტის ნაწილს კვირტიდან კვირტამდე (ფოთლიდან ფოთლამდე) ეწოდება მუხლი. ასეთი მნიშვნელობით მუკლი (უმუკლო) გვხვდება ქველ ქართულში: „კინ-ლა და უმუკლო არს... ხოლო იფქლი კორძებითა მით და მუკლებითა მიჰკრძალა ბუნებაჲმან“ (ბას. დიდი, 53,4).

ქართული ენის კილოებში: „ანდროულს მუხლი შორი-შორს აქვს“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „თავკვერი შავია. საფერავივით, მოკლე მუხლი აქვს, რქა წითელი აქვს, მუხლებში ვიცნობ“ (იქვე). „მუხლებს ვეტყვით, კვირტსა და კვირტს შუა რომ არის მოთავსებული“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ავიღებ და მუხლებად დაჭრილ ლერწებს (დონდლაბის და ციკვას) ჩავასობ გადაბრუნებულ მიწაში“ (იქვე).

სახსარი. „მუხლებს ვეტყვით კვირტსა და კვირტს შუა რომ არის მოთავსებული, ან სახსარსაც ვეტყვით“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

ბუმბლი. „კაბისტონის ფოთოლს ბუმბლი არა აქვს, წაღმა უკუღმა ერთი აქვს“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

სალი. „ფოთოლი მწვანეა, ადგილი საცნაური... შიგნიდან თეთრი ფერი დასცემს, რგვალი ფოთოლი, მაგრამ სალები (ხაზები) აქვს“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

სერი. „(ჩვილთითას) ფოთოლს სერები ჰქონდა“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

კბილი. „(თითამ) ფოთოლი სქელი იცის, თანაც ფართე კბილები აქვს“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

ყური. ფოთლის კბილის სინონიმია ყური. აქედან ყურები-

ანი ფოთოლი. „ტალავერის ვენახს (ჯიშია) მარცვალი მსხვილი აქვს, ფოთოლი ყ უ რ ე ბ ი ა ნ ი“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

უღელი. „უღელი — კვირტი სადაც უნდა გამოვიდეს“ (ქართლ., ატენი). „უღელში დაბრმავდა — კვირტს რომ არ გამოიტანს“ (იქვე).

მუხლი. „ფოთოლი სადაც ამოვა, იმას მუხლი ქვია, მუხლის ძირში ამოსულ ზედმეტ ფოთლებს ბიჭა-ბიჭას ვეძახით“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“).

ნაოჭი. „ნაოჭს ვეძახით, სადაც კვირტი გამოდის“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

თვალი. „კვირტი სადაც უნდა გამოვიდეს... იმას თვალს ვეტყვით, კვირტეზივით რომ აქვს“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

ღუყუ. „ღუყუ კვირტი რომ უნდა გამოვიდეს, მომზადებულა“ (გურ., მამათი).

ქუსლი. კვირტის ძირს ქუსლი ეწოდება. „კვირტი რომ გამოდის, კვირტს ძირი რჩება ქუსლად“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ნადუდი რომ არის გამოსული, რომ მორთვილამდა, იქვე ქუსლში მოგლეჯავდა“ (იქვე). „რთვილი გააყრევივინებდა ქუსლიდანვე გამოსულ რქასა“ (იქვე).

სახსარი. მტევნის ყუნწის გამობურცულ ადგილს, სადაც ადვილად ტყდება, სახსარი ეწოდება. „სახსარი აქვს მტევანს კუნწზე“ (ქართლ., ბერბუკი). „სახსარი აქვს კუნწს“ (ქართლ., ატენი).

მუხლი. „მუხლი მტევანს აქვს“ (ქართლ., ბერბუკი). „მუხლი — კირწი სადაც ტყდება ადვილად“ (იმერ., კოროვილა). „მუხლზე მტევანი ადვილად წყდება“ (იმერ., საქარა). „მუხლი — სადაც ტყდება მტევანი“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „მუხლი — მოსაწყვეტი“ (იქვე). „მუხში უნდა გადატეხო ვენახი“ (იქვე).

კორძი. „კორძი იგივე მუხლია, მტევანს რომ აქვს კუნწზე“ (იმერ., სხვიტორი).

ნახჭი. სოფ. გელათში სახსარის მნიშვნელობით იხმარეს ნახჭი.

ამრიგად, ფესვის (განტოტებული) ნაწილის აღმნიშვნელი ტერმინებია:

ფესო — ქართლ.

ფერსო — კახ.

ძირკვი — ქიზ.

ბ ა რ ჯ გ ი, ბ ო რ ჯ ლ ი — კახ.

ბ უ ს უ ს ი — ქიზ.

დ ე ლ ა-ვ ა ზ ს ა ქ ე ს:

მ უ ხ ლ ი — კახ., ქიზ., რაჭ.

კ ო ყ ო ყ ი — ქიზ.

ქ უ ს ლ ი — კახ., რაჭ.

ტ ო ტ ს ა ქ ე ს:

მ უ ხ ლ ი, მ უ ჯ ლ ი — ძვ. ქართ., ქართლ., იმერ.

ს ა ხ ს ა რ ი — იმერ.

ფ ო თ ო ლ ს ა ქ ე ს:

ბ უ მ ბ ლ ი — იმერ.

ს ა ლ ი — ქართლ.

ს ე რ ი — ქართლ.

კ ბ ი ლ ი — იმერ.

ყ უ რ ი — იმერ.

უ ლ ე ლ ი — ქართლ.

მ უ ხ ლ ი — იმერ.

ნ ა ო ჭ ი — იმერ.

თ ვ ა ლ ი — ქართლ.

დ უ ყ ე — გურ.

ქ უ ს ლ ი — ქართლ.

ყ უ ნ უ ს ა ქ ე ს:

ს ა ხ ს ა რ ი — ქართლ.

მ უ ხ ლ ი — ქართლ., იმერ., ლეჩხ.

კ ო რ ძ ი — იმერ.

ნ ა ხ ჭ ი — იმერ.

მრავალი სახელწოდებით არის გამოხატული ყურძნის მარცვლის (რქის ფოთლის) სხვადასხვა თვისება.

„შ უ შ უ შ ა (გრძელი) მარცვალი“ (ზ. ქართლ.). „წ ო წ ო ლ ა, მ ო გ რ ძ ე მარცვალი“ (იქვე). „მ ო გ რ ძ ე ლ ო ბ ი მ ბ ი ლ ი“ (ქვ. რაჭა). „შ ო გ რ ძ ო ბ ი მ ბ ი ლ ი“ (ლეჩხ.). „წ ა გ რ ძ ე ლ ე ბ უ ლ ი კ ა კ ა ლ ი“ (ქვ. იმერ.). „მ ო გ რ ძ ო-მ ო რ ჯ ვ ა ლ ო მარცვალი“ (ზ. იმერ.). „ბ ი მ ბ ი ლ ი რ გ ვ ა ლ ი“ (ქვ. რაჭა). „გ უ რ გ ა ლ ი მარცვალი, მარა-ხოში“ (ქიზ.). „ძ რ ი ე ლ წ ვ რ ი ლ ი მარცვალი (ზ. ქართლ.). „ბ ყ ი-ტ ი მარცვალი“ (ქართლ.). „მ ო ს ხ რ ე კ ი ლ ი მარცვალი“ (იქვე). „ჭ ნ ი კ ი, წ ვ რ ი ლ ი, ქ ი ნ ძ ი ს თ ა ვ ი ს ხ ე ლ ა“ (იქვე). „მ ს უ-ქ ა ნ ი მარცვალი“ (ქართლ.). „ბ ლ უ ნ ძ უ რ ა მარცვალი“ (ქართლ.)

„ს ს ვ ი ლ ი მარცვალი“ (ზ. ქართლ.). მ ო ს ს ო მარცვალი, „რ ბ ი -
 ლ ი ა“ (იქვე). „დ ო ნ დ ლ ო მარცვალი“ (ზ. იმერ.). „მ ა გ ა რ ი მარ-
 ცვალი, პირში კ რ ა ხ უ ნ ო ბ ს“ (იქვე). „ბუდეშურივით კ ნ ა -
 ტ უ ნ ა“ (კახ.). „თ ხ ე ლ ი მარცვალი აქვს ც ვ რ ი ა ნ ი. ხელი, რომ
 მოგეჭირა, შორს გადასხავდა“ (ზ. ქართლ.). „წყ ლ ი ა ნ ი
 კ ა კ ლ ე ბ ი“ (გურ.). „მწვანე ს ქ ე ლ კ ა ნ ა ა რ ი ს“ (ზ. ქართლ.). „ან-
 დ რ ე უ ლ ა ს ქ ე ლ კ ა ნ ი ა ნ ი ა“ (იქვე), „მწვანეს მარცვალი
 ს ქ ე ლ კ ა ნ ი ა ნ ი ა“ (ზ. იმერ.), „ანდრეული თ ხ ე ლ კ ა ნ ი ა ნ ი ა
 (ზ. ქართლ.) და სხვ. „ფოთოლი დაჭრილი, როგორც
 მამლის ბიბილო ისეთი ჰქონდა“ (ზ. ქართლ.). „შ ე ჭ რ ი ლ ი ფოთო-
 ლი“ (იქვე), „ფოთოლი შ ე უ ჭ რ ე ლ ი“ (ქვ. იმერ.). „ლოფორთო
 ხ ე რ ხ ის კ ბ ი ლ ე ბ ი ვ ი თ დაჭრილი“ (იქვე). „დაკუწუ-
 ლ ი ფოთოლი, კ უ თ ხ ი ა ნ ი ვ ი თ (შ. კახ.). „ფოთოლი ფ ა რ თ ე -
 დაკბილული (ქვ. იმერ.). „ფოთოლი საშუალო, შეკბილუ-
 ლ ი (იქვე), „ფოთოლი საშუალო კ ბ ი ლ ე ბ ი ა ნ ი“ (იქვე). „ფურ-
 ცელი უკბილო ქონდა“ (იქვე). „ცოტა და ნ ი კ უ ლ ი (დაჭრი-
 ლი) ლოფორთი“ (ქვ. იმერ.). „ფოთოლი. ცოტა დაჭვრეთილი“
 (ზ. ქართლ.). „ფოთოლი ყ უ რ ე ბ ი ა ნ ი“ (ქვ. იმერ.). „ვაზის მ ა კ -
 რ ა ტ ე ლ ა ფოთოლი“ (კახ., ახმეტა). „ფოთოლი გ რ ძ ე ლ ი“
 (ზ. ქართლ.). „ფოთოლსავე შაატყობ, რომ წობანური ყურძენიაო,
 პ ტ ყ ე ლ ი და რ გ ვ ა ლ ი ფოთოლი აქვს“ (შ. კახ.). „ფოთოლი
 თ ხ ე ლ ი და შ ე ჭ რ ი ლ ი“ (ქვ. რაჭა) და სხვ. „რქა პ რ ტ ყ ე ლ ი“
 (ზ. ქართლ.). „მ ო კ ლ ე მუხლი, რქა მოწითალო, რ გ ვ ა ლ ი“ (იქ-
 ვე) და სხვ.

ამრიგად, მარცვალი შეიძლება იყოს:

კ ნ ა ტ უ ნ ა — კახ.

კ რ ა ხ უ ნ ა — იმერ.

თ ხ ე ლ ი (იგივე თხელკანიანი) — ქართლ.

თ ხ ე ლ კ ა ნ ი ა ნ ი — ქართლ.

ს ქ ე ლ კ ა ნ ა — ქართლ.

ს ქ ე ლ კ ა ნ ი ა ნ ი — ქართლ., იმერ.

ც ვ რ ი ა ნ ი — ქართლ.

წყ ლ ი ა ნ ი — გურ.

აგრეთვე შუ შუ შუა, წოწოლა, მოგრძე, რ გ ვ ა ლ ი
 (გურგალი) წვრილი, ბეიტე, მოსხრეკილი, ჭ ნ ი კ ი,
 მსუქანი, ბ ლ უ ნ ძ უ რ ა, ს ს ვ ი ლ ი, დ ო ნ დ ლ ო.

ფოთოლი შეიძლება იყოს:

დაჭრილი. შეჭრილი — ქართლ., იმერ., რაჭ.

დაკუწული — კახ.

დაკბილული შეკბილული — იმერ.,
პეტერ—პეტერკბილებიანი — იმერ.

დანიკული — იმერ.

დაჭვრეთილი — ქართლ.

ყურებიანი — იმერ.

მაკრატელა — კახ. აგრეთვე გრძელი, რგვალი,
პტყელი, თხელი.

ყურძენი, ყურძნის მარცვალი (და აგრეთვე რქა, ფოთოლი) ნაირნაირი ფერის არის. მევენახე — მეურნე ზუსტად არჩევს ამა თუ იმ ჯიშის ყურძნის მარცვლის, ფოთლის, რქის ფერს საერთოდ და მწიფობის სხვადასხვა პერიოდშიც. „თეთრი ყურძენი“ (ქვ. იმერ.). „დედალი მწვანე — მოთეთროა“ (ზ. ქართლ.). „წათეთრო ლერწი“ (ზ. იმერ.). „თეთრ-წითელი მარცვალი“ (ქიზ.). „ჩინური — თეთრ-ყვითელია“ (ზ. ქართლ.). „შავი ფერის“ (ქვ. იმერ.). „ცოტა მოშაო“ (ზ. ქართლ.). „შავია, შავიკუნაპეტვიითა“ (ქართლ. სამხრ.). „შავია მაცვალვიით (იქვე). „თლათ შავი არის“ (ქვ. იმერ.). წიალსავით მხიარული ფერი დაჰკრავს“ (კახ., ბოჭორ.). „თეთრიცა და წითელიც“ (ქვ. იმერ.). „ლერწი ღია წითელი“ (ზ. იმერ.). „რქაც უფრო მუქი წითელი აქვს“ (შ. კახ.). მოწითალო რქა“ (ზ. ქართლ.). „რქა ცოტა უფრო წაწითალოა“ (ზ. ქართლ.). „ზუღეშურს — მოწითალოში-მოთეთრო ფერი“ (იქვე). „მოწითალო-მოწაბლო“ (კახ., ბოჭორ.). „წითელი — წარუხო“ (ზ. იმერ.). „მოწითალო-დ-მოშაო“ (საბას). „ტლავრის ვენახი... ალისფერი არის“ (ქვ. იმერ.). „ყურძენი ვარდისფერი“ (ქვ. რაჭა). „წაბლაა რქა“ (ზ. ქართლ.). „ყვითლად მწიფდება“ (ზ. იმერ.). „მარცვალი ყვითელი“ (იქვე), „თითამოყვითლო იყო“ (ზ. ქართლ.). „ცოტა მოყვითალო ლერწი“ (ზ. იმერ.). „მოყვითალო-ნაცარი ფერის რქაა“ (კახ., ბოჭორ.). „წაყვითალო ფოთოლი“ (ზ. ქართლ.). „დალიბრული ლერწი“ (იქვე). „ყურძენი თაფლაა“ (ზ. ქართლ.). „თაფლისფერი ყურძენი“ (ზ. რაჭა). „ბიმიბილი გრძელი, ქარვასავით“ (ქვ. რაჭა). ყურძენი მორუხო“ (იქვე). „ლერწი წარუხო-წითელი“ (ზ. იმერ.). „მარცვალი ჰქონდა. ლურჯი ფერი დაცემდა—რაღა“ (ზ. ქართლ.). „მოლურჯო რქა. მარცვალი წალურჯო“ (იქვე). „ლეგა (შელურჯებული) აქვს

ფერი რქასა“ (იქვე). „ღრუბელა ვაზი თეთრი-წალურჯოა“ (იქვე). „მარცვალი მწვანე ფერისა“ (ქართლ.). „რქა წამწვანოა და ჭორფლიანი“ (კახ., ბოჭორ.). „ფოთოლი ჰქონდა მწვანე რალა, ხასხასი გაჰქონდა“ (ზ. ქართლ.). „ფოთოლი ხალიანი“ (იქვე).

მარცვლის (ფოთლის, რქის) ნაირნაირი ფერი და მისი ვარიანტებია: თეთრი, მოთეთრო, წათეთრო, თეთრ-წითელი, თეთრ-ყვითელი, შავი, მოშაო. კუნაპეტივით შავი, მაცვალევით შავი, თლათ შავი, წიაღსავით, წითელი, ღია წითელი, მუქი წითელი, მოწითალო, წაწითალო, მოწითალოში-მოთეთრო, მოწითანო-მოწაბლო, წითელი-წარუხო, მოწითანოდ-მოშაო, ალისფერი, ვარდისფერი, წაბლა, ყვითელი, მოყვითლო, მოყვითანო, მოყვითანო — ნაცარი, წაყვითლო, დალიბრული, თაფლა, თაფლისფერი, ქარვასავით, მორუხო, წარუხო-წითელი, ლურჯი, მოლურჯო, წალურჯო, ლეგა, შელურჯებული, თეთრი-წალურჯო, მწვანე, წამწვანო, ჭორფლიანი, ხასხასა.

ვაზის ზრდა, კალა და უნარი

ვაზის ზრდის სხვადასხვა პერიოდი სხვადასხვა სიტყვით აღიწინება.

გაინძრევა. განძრეული. „გასხვლის დროს ვენახი (ვაზი) გამძრეული არ არის“ (იმერ., საქარა).

გაირყევა. „სანამ კვირტი გეირყეოდეს...“ (რაჭ., ფრ.).

ამოძრავდება. „სხვლის ძირითადი დრო გაზაფხულია, სანამ „ლოპრი“ (წვენი) ამოძრავდებოდეს“ (რაჭ., ფრ., 79).

კვირტის ძვრა. „კვირტის ძვრა — კვირტის პირველი ამოძრავება, გასაცოცხლებლად მომზადება“ (ქიზ., მენტ.).

გაიღვიძებს, გაღვიძება (კვირტის). „მანამ კვირტი გაიღვიძებს, მინამდისი უნდა შეიყელოს“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „მეორე წელს ვაზი რომ გაიღვიძებს, ვწამლით“ (კახ., გავაზი). „კვირტის გაღვიძება“ (ქიზ., მენტ.). „მანისა (ვაზის ჯიშია) შუა მაისამდის ხმელი გგონია, არ გეიღვიძებს, კვირტი არ გამოვა“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „გაღვიძება ვაზისა — კვირტები რო გამოუვა“ (იმერ., ამალღება).

იხარებს, გაიხარებს. „(თავკვერმა) ხარობით იხარა, მაგრამ მტევანი არ გამოიტანა ხეირიანი“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

„დასაბავ რქას ჩავდგავთ ჭანჭრობ (წყლიან) ალაგას და იხ ა რ ე ბ ს. მერმედ ფესვს გაიდგავს და ვიტყვით „აი, გაიდგა ფესვი და იხ ა რ ა ო (იქვე). „თოხი და ბარი მარჯვე უნდა, რო ბალახი არ ამოიშვას, მაშინ ვაზი იხ ა რ ე ბ ს, კარგათ გათამამდება“ (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“). „ლერწებს... ჩავასობ გადაბრუნებულ მიწაში; როცა გა იხ ა რ ე ბ ს, ვუწამლებ“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ვაზის (ნერგმა) არ გა იხ ა რ ა“ (ზ. ლეჩხ., უსახელო). „გ ა ხ ა რ ე ბ ა მცენარისა — დარგული ან დამყნობილი მცენარის გაზრდა“ (ქიზ., მენტ.).

დახარდება. „რომ დახ ა რ დ ე ბ ო დ ა [ვაზი], სამ წელიწადს იქეთ ვენახია“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

ხეირობს, იხეირებს. „თირი მიწა“ კარგია, მალე ხ ე ი რ ო ბ ს (ვაზი). შევნოყიერ მიწაში ქვე უჭირს, გვიან ხ ე ი რ ო ბ ს“ (ზ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „ჩხავერი, ალადასტური... აგინი იყო, მარა მუვლელობის გამო არ იხ ე ი რ ა და დარჩა მარტო ადესა“ (ქვ. აჭარ., ქართ. დიალ. I, 410).

გაგება „გ ა გ ე ბ ა-მცენარის გახარება“ (ქიზ., მენტ.).

ვაზის დასხდომა. „სავენახედ გადაბრუნებულ მიწაში ვაზის მოსვლა, ვაზის კარგად გახარება — სავენავე სამ ბარი პირზე გადავებრუნე, კაი ამინდი დაიჭირა, დაცხა და იგეთი ვ ა ზ ი დასხდა, რო ავ თვალს არ ენახებოდა“ (ქიზ., მენტ.).

ვაზი ტირის, ატირდება, ვაზის ტირილი. ვაზი რომ „გაიღვიძებს წვენი ჩაუდგება. ამ დროს რომ გადაჭრა რქა წვენი წვეთ-წვეთად წამოვა. ამაზე ამბობენ ვაზი ტ ი რ ი ს ო. ვაზი ტ ი რ ი ს გაზაფხულზე, წინწყალი ჩამოდის გასხვლის დროს“ (ქართლ., ბერბ.). „ვაზი ტ ი რ ი ს გასხვლისას“ (ქართლ., ატენი). „ვენახი იმდრომდე უნდა გეისხლას, სინამ ა ტ ი რ დ ე ბ ო დ ე ს, ადრე არ ა ტ ი რ დ ე ბ ა“ (იმერ., ობხა). „ვაზი ტ ი რ ი ს გასხვლის დროს, წვენი გადმოდის“ (ქვ. ლეჩხ., ქორენ.). „ვაზი ტირის სხვლის შემდეგ. გვიან გასხლულმა იცის მეტი ტ ი რ ი ლ ი, მეტ წყალს კარგავს“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „ადრე რო გავსხლავთ ტირილი იცის, ცრემლი, და ადრე ყივნა გააფუჭებს“ (იმერ., სხვიტ.).

კვირტის წვიმა. „კ ვ ი რ ტ ი ს წ ვ ი მ ა მარტშია. წამოვა და მერე კვირტსაც გამოიღებს“ (იმერ., შუა გორა).

ამრიგად, ვაზის პირველი გაღვიძების აღმნიშვნელი სიტყვები და გამოთქმებია:

გ ა ი ნ ძ რ ე ვ ა — იმერ.

გ ა ი რ ყ ე ვ ა — რაჭ.

ამოძრავდება — რაჭ.

კვირტის ძვრა — ქიზ.

გაიღვიძებს — ქართლ., კახ., იმერ.

იხარებს — ქართლ.

გაიხარებს, გახარება — ქიზ., იმერ., ლეჩხ.

დახარდება — ქართლ.

ხეირობს — რაჭ.

იხეირებს — აჭარ.

გაგება — ქიზ.

ვაზის დასხდომა — ქიზ.

ვაზიტირის, ატირდება, ვაზის ტირილი — ქართლ., იმერ., ლეჩხ.

კვირტის წვიმა — იმერ.

გამოიტანს, ამოიტანს (რქას, მტევანს, ნიშანს...). გახარებული ვაზი ყლორტებსა და მტევნებს გამოისხამს, გამოიტანს, გამოიღებს. გამოაქვს, ამოიყრის და სხვ. „თავკვერმა მტევანი არ გამოიტანა ხეირიანი“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ნიშანი გამოიტანა“ (ქართლ., ატენი). „გამოიტანით არ გამოიტანა ვენახმა კარგათ“ (კახ., ყვარ.). „ძირზედ აქვს ყლორტი ამოიტანილი“ (იქვე). „მტევან გამოიტანს“ (ქიზ., ქართლ. დიალ. I, 217).

გამოაქვს. „გამააქვს ყურძენი“ (კახ., გავაზი).

გამოიღებს (გამოღებულია). „რქას გამოიღებს“ (კახ., ახმეტა) „მერე კვირტსაც გამოიღებს“ (იმერ., შუა გორა). „მევერია ნოშო გამოღებული, ხომ არ გავფურჩქნო?“ (ქვ. ლეჩხ., ღერხი).

ამოიყრის. „ამაიყრის“ (კახ., ახმეტა). „რვა და სამი კვირტი რომ ამოიყრის, ამას შემდეგ გამოორჩავთ გლახა, უვარგისი კვირტისაგან“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ვენახი ამოიყრის ვაზს“ (იმერ., ამაღლება). „მიწიდან რომ ამოიყრის, კვირაში ერთხელ უნდა ვუაქიმოთ“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

გამოვა. „როცა ტევანი გამოვა და რომ დაატყობ, რომ აღარაა გამოსავალი ტევანი, მაშინ უნდა წამალი“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „რქა რომ გამოვა, იმას ვატყობთ — ეს ბუდეშურია, ეს დანახარულია, ეს მწვანე ვაზია“ (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“). „ვენახი გამოუა“ (ქვ. აჭარ., ქართ. დიალ. I, გვ. 411).

ამოჭრის. „ნერგს რომ დავრგავთ, დავაყრით თავზე კარგი

ფხვიერო მიწას... მერმედ ამოჭრის ვაზი“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

ამოხეთქს, იმოხეთქავს, ამოხეთქილი. „ჯერ რომ დავრგამთ (ნერგს), მიწას წავაყრით, რომ ამოხეთქს. მოვრწყამთ“ (ზ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „ნამყენს... ექნება მიწა დაყრილი. ამოხეთქავს და მეორე თვეზე სიბნელიდან ამოვა თესლი“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“). კარგი შეძლებული ვაზიანი ვენახია და ამოხეთქა კუკური“ (იმერ., გელათი). „ახლად ამოხეთქილი ყლორტი“ (ქიზ., ქართ. დიალ. I, გვ. 216).

ამოკუკურდება. „დამყნილს გადაბრუნებულ მიწაში დავრგავთ ღროლს და შევხურავთ მიწით, ბღვერით, ის ამოჭრის, ამოკუკურდება“.

ამრიგად, მტევნის, ფოთლის, ყლორტის... გამოსხმის აღმნიშვნელი ტერმინებია:

გამოიტანს — ქართლ., კახ., ქიზ.

გამოაქვს — კახ.,

გამოიღებს — კახ., იმერ., ლეჩხ.

ამოიყრის — იმერ., რაჭ.

გამოვა — ქართლ., აჭარ.

ამოჭრის — ქართლ.

ამოხეთქს, ამოხეთქავს — ქიზ., იმერ., რაჭ.

ამოკუკურდება — ლეჩხ.

გამომცენარდება ვაზი. ვაზი იმოსება ფოთლით, უმსხვილდება და ეზრდება რქა. მევენახე ვაზის ზრდის ყოველ საფეხურს თავის სახელს უწოდებს. „ვაზი გამომცენარდება — ფოთლებსა და ყვავილს რო გამოიტანს“ (ქართლ., ქართ., დიალ. I, გვ. 288).

ამოიფოთლება, გამოფოთილი. „ნერგი რო ამოიფოთლებდა, უნდა დატუკო სამ კვირტზე“ (ქართლ., გორი). „გამოფოთილი ვენახს ქვია ლორდი“ (იმერ., საქარა).

დაიმორჩება, დამორჩილი, დაიყორტება. „რამდენიმე დღის შემდეგ დამორჩილი ვენახი დაიყორტება“ (რაჭ., ფრ., გვ. 87).

დაყვერდება. „ყოლორტი თანდათან დაყვერდება“ (რაჭ., ფრ., გვ. 87).

დაიმუხლება. „ძველიანებს ასხია რქები, რომლებიც გაზაფხულზე მხოლოდ ამონახეთქია, ნაყარია, ზაფხულზე მომაგრ-

დება, და იმ უხლებს, ხოლო შემდგომ დამწიფდება და რქებად გადაიქცევა“ (რაჭ., ფრ., გვ. 80).

გაიფუთქება, გაფუთქვა. ვაზი შეიფოთლება. „ფოთოლში რომ არის ვაზი, იმას გაფუთქვას ვეტყვი“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „გაიფუთქა — კარგა რო შაიმსება ფოთლით ვაზი“ (ქართლ., ატენი).

დაჩქოლება, ჩქოლობა. „როგორც ყვავილობაზე არ შეიშობა ვენახში სულდგმული, ისე დაჩქოლებაზე, ჯობია გოუთოხარი დატოვო, ვინემ შეხვიდე და მორჩი დაფერთხო“ (რაჭ., ფრ., გვ. 86). „ჩქოლობაზე ნაკობარ ვაზს მხოლოდ რქა-ნეკზე სსლავენ“ (იქვე, გვ. 83). „ჩქოლობაზე ვენახში შესვლა არ შეიძლება. მორჩები ბუდეში ლონდეთა“ (იქვე, გვ. 87).

ყვავის, აყვავდება, ყვავილში შავა, ყვავილობს, ყვავილობა. „ვიხილოთ თუ ყუავიან ვენახნი“ (ქება ქებ., 12.1 ოშ.). „რო აყვავდება, მერე დაიყვავილებს მერე ყურძენი დაიხორბლება“ (ქართლ., ბერბუკი). „ყვავილში შავა“ (ქიზ., ქართ. დიალ. I, გვ. 216). „შაიძლება ყვავილობაშიც შაიწამლოდ“ (ქიზ., ქართ. დიალ. I, გვ. 216). „ყვავილობს ვენახი“ (იმერ., ამაღლება).

ხრიალი, ხრილობა, ხრიალში შავა, ხრიალობა. „ვაზმა თქვა — ღმერთო პატრონი ხრილობაში (ხრიალობაში) ავად გამიხადე-ო“ (ანდაზა). „ხრილობა ეწოდება ვაზი როცა ყვავილშია, რო აყვავდება“ (ქართლ., ატენი). „ხრიალობაში მარცვალი გასცვივა“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ხრიალი მემრე ყურძენი იწყებს გამოხვარბლებად“ (ქიზ., ქართ. დიალ. I, გვ. 217). „ხრიალში რო შავა ვაზი, მაშინ ადამიანი ფეკი არ უნდა გეეკაროდ ვაზებთან, თორე კუმში მტევინი მაგივრათ თხელ მტევან გამაიტანს“ (იქვე).

დაიყვავილებს, ყვავილიდან გამოვა, ყვავილს დაყრის. დაიყვავილებს, ყვავილიდან გამოვა... ნიშნავს ყვავილობის მოთაგებას. „რომ აყვავდება, მერე დაიყვავილებს, მერე ყურძენი დაიხორბლება“ (ქართლ., ბერბუკი). „ვაზი რომ დაიყვავილებს, მერე დაისრიმდება“ (ზ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „ყვავილიდან რომ გამოვა, შემდეგ დაიწყებენ შეფურჩქენას“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „სანამ ყვავილიდან არ გამოვა, ვენახში არ შევლენ, რომ არ გააყრევინოს და არ მოხეკოს“ ((კახ., გურჯაანი). „ყვავილს რო დაყრის, დეირჩევა ვენახი“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი).

დახრილვა. „ყვავილიდან გამოსვლა — ვენახის დახრილვა“ (რაჭ., ფრ., გვ. 90).

ამრიგად, ვაზის ზრდის სხვადასხვა პერიოდის აღმნიშვნელი სიტყვებია:

გამომცენარდება — ქართლ.

ამოიფოთლება, გამოფოთლილი — ქართ., იმერ.

დაიმორჩება, დამორჩილი — რაჭ.

დაიყოტება — რაჭ.

დაყვერდება — რაჭ.

დაიმუხლება — რაჭ.

გაიფუთქება, გაფუთქვა — ქართლ.

ჩქოლობა, დაჩქოლება — რაჭ.

ყუავის — ძვ. ქართ.

ყვავდება — ქართლ.

ყვავილშიშევა (შავა) — ქიზ.,

ყვავილობს — იმერ.

ყვავილობა — ქიზ.

ხრილობა, ხრიალობა — ქართლ.

ხრიალი — ქიზ.

ხრიალშიშევა (შავა) — ქიზ.

დაიყვავილებს — ქართლ., რაჭ.

ყვავილიდან გამოვა — ქართლ., კახ.

ყვავილს დაყრის — ლეჩხ.

დახრილვა — რაჭ.

გადაბარდება, გადაბარდება. „გადაბარდება — ტოტების გადაშლა ცენტრიდან ნაპირებისაკენ და მიწაზე დაწყობა — ძიენ არ გადაბარდლოს ვენახი“ (ქართლ., ძიძიგ. და სხვ.).

გადაბარდული. „გადაბარდულ ვენახს რომ ავაკრავთ, იმას ვენახის აკვრას ვეძახით“ (ქვ. იმერ., „შინამარეწვ.“).

გაიბურება. „გაიბურა ვაზი“ (კახ., ახმეტა).

გაიბურდება, გაიპარტყნება. „რო გაიბურდება ვენახი, მერე აკვრა უნდა“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „ვაზი როდესაც ბევრ ნამხრევებს გამოიტანს, იტყვიან გაიბურდა, გაიპარტყნაო“ (რაჭ., ფრ., გვ. 79).

გაიბურტყლება. „ლონიერ ვაზს რქა თუ დააკელი, ბევრ ნამხრევებს და ყვიორს გამეილებს, გეიბურტყლება“ (რაჭ., ფრ., გვ. 82).

გაიფარხნება. „ვაზს რომ ხეზე გავუშვებდით, ის გაიფარხნებოდა, ზედ ტოტებზე გავიდოდა და იმას ბაბილოს ვუძახდით“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

გადახახვა. „რქაწითელმა სწორად იცის წასვლა, მაღლა ჭიგოს აჰყვება პწკლითა და ზედ შეეხვევა. რქაწითელის გარდა სუყველა ვაზმა გადახახვა იცის“ (კახ., ბოჭორ., გვ. 6).

გადაიჩიხლება. „გედეიჩიხხალა ვაზი და დეიყარა ძირს, უნდა ავაკრათ ხარდანზე“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი),
ამრიგად, ვაზის ზრდის თავისებურება გამოუხატავს სიტყვებით:

- გ ა დ ა ი ბ ა რ დ ლ ე ბ ა — ქართლ.
- გ ა დ ა ბ ა რ დ ლ ვ ა — ქართლ.
- გ ა დ ა ბ ა რ დ უ ლ ი — იმერ.
- გ ა ი ბ უ რ ე ბ ა — კახ.
- გ ა ი ბ უ რ დ ე ბ ა — ლეჩხ., რაჭ.
- გ ა ი პ ა რ ტ ყ ნ ე ბ ა — რაჭ.
- გ ა ი ბ უ რ ტ ყ ლ ე ბ ა — რაჭ.
- გ ა ი ფ ა რ ხ ნ ე ბ ა — ქართლ.
- გ ა დ ა ხ ა ხ ვ ა — კახ.
- გ ა დ ა ი ჩ ი ხ ლ ე ბ ა — ლეჩხ.

თამამობს, გათამამდება, გათამამება. კარგად განხარებულ ვაზზე ამბობენ თამამობს, გადამამდაო. „სამამულე რქა უფრო თამამობს“ (ქართლ., ატენი). „ვაზი გათამამდა — ვიტყვით, როცა კარგა გაიხარებს“ (იქვე). „თუ კარგად იხარა და თამამია, შეიძლება დავაკაოთ, თუ არა, მაშინ ისევ დავატონკებდით, რო გათამამდეს“ (შ. კახ., „შინამრეწვ.“). „ლერწი არ ვარგა გათამამება უნდა“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი).

პატრიარქობს ვაზი. „ვაზი პატრიარქობს—ვაზი სწრაფად და თამამად იზრდება“ (კახ., მარტ., იმნ.). „ვაზი პატრიარქობს“ (ქართლ., იკოთი).

გაყიალდება. ზედმეტად წაზრდილი რქები ულამაზოდ ესვევა ჭიგოს ან სცილდება კიდევ მას. ქართველ მევენახეს ასე გაზრდილი ვაზისთვისაც მოუძებნია სახელი. „როცა შავი, ღალიანი მიწაა, იქ ბევრი რქის მიცემა ჯობია, თუ არა ლერწი გათამამდება და უშნოდ გაყიალდება“ (რაჭ., ფრ., გვ. 83).

ვაზი მაღლა მიდის. როცა ვაზი ჩქარა და ძლიერად იზრდება, მასზე ამბობენ ვაზი მაღლა მიდისო. „ვაზი მერმის ნეკზე უნდა გავიდეს. მაღლა არ უნდა წაიყვანო ვაზი, გაფუჭდება“

(ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“). „მოსახვევს (ძველს) მოვჭრით თავისი ამონაყარით, რომ ვენახი მაღლა არ წავიდეს“ (ქვ. ლეჩხ. ტვიში). „ვენახი რომ არ წევიდეს მაღლა (მერე ნიადაგი აღარ ყოფნის), ამისათვის არის კარგი ნეკი“ (იქვე).

გაბრიყვებული. გათამამებულ ვაზზე სხვაგვარად ამბობენ „გაბრიყვებული ვაზი-ო“ (რაჭ., ფრ.).

გავირდება ვაზი. „ლონიერ ვაზს რქა თუ დააკელი, ბევრ ნამხრევებს და ყვიორს გამეილებს, გეიბურტყლება და მერე ქვე გავირდება“ (რაჭ., ფრ., გვ. 82).

გაჩოყება. „გაჩოყება — ვაზის გათამამება. ვაზი მსხვილ რქას, რომ დაიყრის და არ მოისხამს“ (ქიზ., მენტ.).

ამრიგად, ვაზის (რქის) ზრდის თვისების აღმნიშვნელი ტერმინებია:

თამამობს — ქართლ.

გათამამდება, გათამამება — ქართლ., კახ., ლეჩხ.

პატრიარქობს — ქართლ., კახ.

გაყილდება ლერწი — რაჭ.

მაღლა მიდის ვაზი — ქართლ., ლეჩხ.

გაბრიყვებული ვაზი — რაჭ.

გავირდება ვაზი — რაჭ.

გაჩოყება ვაზის — ქიზ.

ლონიერი ვაზი. სხვადასხვა ღონისა და ძალის ვაზს სხვადასხვა სახელი ეწოდება. „თუ გადააბრუნე დედამიწა, ღონიერი ვაზი იქნება“ (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“). „მერე შევყელამთ, და ვაკავფთ სარზე. თუ ძან ღონიერი ვაზია, გავაბამთ ერთმანეთზე“ (ქართლ., ქართ. დიალ. I, გვ. 287).

მძლავრი დამძლავრებული, ძალუმი ვაზი. „მძლავრი ვაზია, ღონიერი“ (ქართლ., ყანჩავეთი). „დამძლავრებულ კაი ვაზის ერთ ნეკს ხუთ-ექვს კვირტზე გადაეჭრიდით“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „თუ ძალუმი ვაზი, ორივეს (რქას) გავუშვებთ“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი).

მაგარი. „ჩინური მაგარი ჯიშია“ (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“).

თამამი ვაზი. „რომელიც გადავწიდნეთ ნიშნებს გამოიტანს, რომელიც თამამია“ (ქართლ., ბერბ.). „რომელი ვაზიც თამამი იყო და გადასაწვენათ გვინდოდა“ (შ. კახ.. „შინამრეწვ.“). „თუ კარ-

გად იხარა, და თამამია, შეიძლება დავაკაოთ“ (ქიზ., „შინამრეწვ.“).

ტყაპუნა ვაზი. სტ. მენტეშაშვილი თავის ქიზიყურ ლექსიკონში წერს: ტყაპუნა ვაზი ზოგის სიტყვით ცალკე ჯიშია, ზოგის ახსნით კი თამამ ვაზს ნიშნავს. მაგ., ბუერა, თავკვერი და მისთანა ტყაპუნა ვაზებიანო“.

ულონო ვაზი. „ულონო ვაზს გავსხლავთ ნეკათ“ (ქართლ., ატენი). „ვაზი ულონო იყო და (ყურძენი) ვერ დაამწიფა“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ვაზი თუ ულონო არის, გაბმულას არ მისცემენ, მოკლეთ ტუკათ გასხლავენ, რო აიტანოს, საპანე რო აგვიდოს, თუ ვერ მეერევი არ წაიქცევი?“ (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“).

უძლური, კინი. „აღმოცენდა და იქმნა ვენაჯად უძლურად და კინად სიდიდითა და სახედავად მისსა“ (დაბად., 17.6). „არა მოუძლურდეს ვენაჯი“ (მალაქ., 3. 11. იერუს.).

ონა ვაზი. „თუ ონა ვაზი არის—რქა-ნეკათ, თუ ღონიერი, ნეკს მივცემთ სამამულეს“ (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“).

ღარიბი ვაზი. „ღარიბი ვაზი რქა-ნეკზე ისხვლება, მუშა ვაზი გასაბამ-მოქიანზე“ (რაჭ., ფრ., გვ. 81). „ღარიბი ვაზი სანამდი არ მოლონიერდება, სულ რქა-ნეკზე უნდა სხლა“ (იქვე, გვ. 82).

ალეში ვაზი. ალეში ვაზი ბევრს, მაგრამ მდარე ყურძენს იხანავს. ზოგიერთის აზრით, ალეში ყურძენის ჯიშის სახელწოდება ყოფილა³¹. „ალექსანდროული ალეში ვით არ დეიხირხლება ტევნებით მარა რასაც მეიბამს კარგათ ამწიფებს“ (რაჭ., ფრ., გვ. 20). ღღეს, ყოველ შემთხვევაში ალეში ბევრი და მდარე ყურძენის მომსხმელი ვაზია. შდრ. „ალეში — თხელი, მდარე ღვინო“ (ვ. ბერ.).

ამრიგად, სხვადასხვა ძალის ვაზისათვის უწოდებით:

ღონიერი — ქართლ.

მძლავრი — ქართლ.

დამძლავრებული — რაჭ.

ძალუმი — ლეჩხ.

მაგარი — ქართლ.

თამამი — ქართლ., კახ., ქიზ. ლეჩხ.

ტყაპუნა — ქიზ.

ულონო — ქართლ.

³¹ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 440.

უძლური — ძვ. ქართ.

კინი — ძვ. ქართ.

ონა — ქართლ.

ღარიბი — რაჭ.

ალეში — იმერ., რაჭ.

გადამხმარი, დაძველებული ვაზი (გადაძველდება ვაზი). მოუვლელობისა და უამინდობისაგან (ან მეტისმეტად დიდი ხნის ვაზი) შეიძლება „დაძველდეს“, „დაბერდეს“, „შეწუხდეს“, „მოიფშრუკოს“ და „გადახმეს“ კიდევ. „ეს დაძველებული, გადახმამარი ვაზია და აღარ გაახალშენდება“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „რო არ გადაძველდეს ვენახი, ქვემოთ ამოყრილს გოუშობთ“ (იქვე).

ვაზი დაბერდება, დაბერება. ვაზმა დაბერებაც იცის „ძველად როცა ვაზი დაბერდებოდა, გაუთხრიდით ვაზს წინ და იმ ვაზს გადავწინავდით“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „რომელიც ვაზი დაბერდებოდა, ემას ველი ქონდა, გაუთხრიდით საფლავსა და ჩავაწვენდით“ (იქვე). „ვაზი ბერდება“ (კახ., ყვარ.). „ვენახისთვის თირი მიწა კარგია, მალე ხეირობს, მარა საქმე ისაა, რომ დაბერებითაც მალე ბერდება იქ ვაზი“ (ზ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „თვითეულ ვაზს სამ-ოთხ რქაზე ვსხლავდით; ახლაც ასე უნდა, თუ ვენახი არ გვინდა მალე დაგვიბერდეს“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

შეწუხდება ვაზი. „შეწუხდა ვაზი უწყლობით“ (იმერ., დიალ).

უჭირს ვაზს (ვენახს). „სიცხეში უჭირს ვენახებს“ (კახ., დიალ).

მოიფშრუკება. „ვაზი რათ მაიფშრუკა? — წყალს ასხამენ და მისთვინა. ამას რათ უნდა წყალი—ცხარე მიწა უნდა“ (ქართლ., იკოთი). „მოფშრუკვილია, გადახმო, ურწყავია წირქოლში“ (ქართლ., ყანჩავეთი).

მოიხალეება. „მოიხალეება — დიდი სიცხისაგან ხილეული ნადრევად ჩამოცვივა. „თუ გვალვამ გასტანა, შესაძლებელია (ყურძენი) მოიხალოს და ჩამოცვინდეს“ (გურ., საბ.).

მოუვლელობისა და უამინდობისაგან ან დიდი ხნის გამო წამხდარი ვაზის აღმნიშვნელი სახელწოდებებია:

გადამხმარი ვაზი — ლეჩხ.

დაძველებული ვაზი — ლეჩხ.

გ ა დ ა ძ ვ ე ლ დ ე ბ ა ვ ა ზ ი — ლეჩხ.

დ ა ბ ე რ დ ე ბ ა — ქართლ., კახ., რაჭ.

შ ე წ უ ხ დ ე ბ ა — იმერ.

მ ო ი ფ შ რ უ კ ე ბ ა — ქართლ.

მ ო ი ხ ა ლ ე ბ ა — გურ.

უ ტ ი რ ს ვ ა ზ ს — კახ.

ავფეხი ვაზი. ზოგ შემთხვევაში ვაზი ნაყოფს არ გამოიხსამს. ასეთი ვაზისთვისაც სახელი უწოდებიათ. „ვაზი რომ გაკრიკინავდებოდა, საძაველი რომ გახდებოდა, ა ვ ფ ე ხ ს ვ ე ტ ყ ო დ ი თ“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „გამოერეოდა, რომ არ მოიხსამდა, ამიტომ ვიტყვით ა ვ ფ ე ხ ი არისო“ (იქვე).

უსარგებლო ვაზი. „ვაზი რომ გაკრიკინავდება, გადარჯულდებოდა. უ ს ა რ გ ე ბ ლ ო ვ ა ზ ი ო დ ა რ ა ლ ა დ ა ვ ა კ ა ვ ო თ ო“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

ავრეხი. ივ. ჭავჭავაძის ალნიშნავს, რომ ძველ საქართველოში ბუნებით უნაყოფო ვაზისათვისაც განსაკუთრებული სახელწოდება ა ვ რ ე ხ ი ყ ო ფ ი ლ ა³². ა ვ რ ე ხ ი საბას განმარტებითაც „გუარად უნაყოფო ვაზი“ არის.

უგვარო ვაზი. „თითა, თავკვერი, საფერავი... არის კიდევ უ გ ვ ა რ ო ვ ა ზ ი, იმას სახელს არ ვეძახით“ (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“). „უ გ ვ ა რ ო ვ ა ზ ი, რომელიც არ იხსამს“ (ქართლ., ატენი).

გაკრიკინავდება (გაკრიკინავება), გადარჯულდება. თამამი ვაზი ან არ გამოიხსამს მტევანს, ან გამოიხსამს, მაგრამ თამამის გამობმული მტევანი არ მწიფდება. როდესაც ვაზი ყურძენს ველარ ამწიფებს, ასეთ ვაზზე ამბობენ გ ა კ რ ი კ ი ნ ა ვ დ ა და გადარჯულდაო. „ვაზი რომ გ ა კ რ ი კ ი ნ ა ვ დ ე ბ ა, გადარჯულდებოდა... ა ვ ფ ე ხ ს ვ ე ტ ყ ო დ ი თ“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ზოგი ვაზი გათამამდება და აღარ შეინარჩუნებს ყურძენს, ამას გ ა კ რ ი კ ი ნ ა ვ ე ბ ა ე წ ო დ ე ბ ა“ (ქართლ., ატენი).

ამრიგად, უნაყოფო ვაზის და მისი გადაგვარების აღმნიშვნელი ტერმინებია:

ა ვ ფ ე ხ ი — ქართლ.

უ ს ა რ გ ე ბ ლ ო ვ ა ზ ი — ქართლ.

³² ივ. ჭავჭავაძის აზრით ავრეხ სიტყვაში მეორე ნაწილი გამოსარკვევია, პირველი კი ავ-ი (ავკაცი, ავქალა) უნდა იყოს, რასაც მხარს უჭერს ის ფაქტი, რომ „გარეულ ვაზს“ ჭანჭრად ბალი ბინეხი, ე. ი. ცუდი ანუ ავი ვაზი (ვენახი) ეწოდებოდასახ. ნაშრ., გვ. 479.

ავრეხი — საბა.

უგვაროვაზი — ქართლ.

გაკრიკინავდება — ქართლ.

გადარჯულდება — ქართლ.

ვაზის ავადმყოფობა, საბკივარი

„ვაზის ავადმყოფობა ჩვენ არ ვიცოდით“ (ქართლ. ჩრ., „შინამრეწვ.“). „ამ 70—80 წლის წინეთ ჩვენში ვენახს გაუჩნდა ავადმყოფობა და თითქმის ყველა ჯიშის ვენახი გაახმო“ (გურ., „შინამრეწვ.“). „ძვირად იქნებოდა, რო ვაზს სატკივარი გასჩენოდა“ (შ. კახ., „შინამრეწვ.“).

ყურძენსა და ვაზს ვნებს, ახმობს და სპობს ყინვა, რთვილი, ჭირხლი, სეტყვა, ძლიერი ქარი და სხვ. ძველ ქართულში გვხვდება ეენახისა და ვაზის დაზიანების გამომხატველი სიტყვები მოსპო, მოსრა და სხვ.

ავნებს. „სიცივემან ავნოს ვენაცთა (წინადასწ. ფილოს., ლიტ. ქრესტ., გვ. 29.1) „მაისსა თვრთილმან ავნოს-რე ვენაცთა“ (ასტრ. თხზ. ლიტ. ქრესტ., 30.36).

მოსპობს. „ზამთრისა ყინვლმან მოსპნეს ვენაჯნი“ (ასტრ. თხზ., ლიტ. ქრესტ., გვ. 28).

მოსრავს. „მოსრა სეტყვთა ვენაჯები მათი“ (დაბად. II, გვ. 125).

გაახმობს. „ვაზს ახმოზ და ყინვა, ჭირხლს რო მოჰკიდებდა თოვლი, მოწმენდილ ჰაერზე ვაზს შუაზე გაჰხეჩავდა ხოლმე“ (შ. კახ., „შინამრეწვ.“). „ფურცელი ხეთაჲ და ვენაცთაჲ განჯმა“ (ცხ. იოვ. და ეფთ.).

განწყუნის, განმწყუნელი. „განვრყუნეს სავენაჯენი მისნი“ (ოს., 2. 12. ოშ.). „გუპურენით მელნი მცირენიო. განმრყუნელი ვენაჯთანი“ (იპოლ., TP 20,60).

დართვილავს, დაირთვილება. მორთვილავს. „ე მაგას ზევით დართვილა ყურძენი“ (ქართლ., ბერბ.). „შარმან დაირთვილა, მაგრამ საცა გავაცალე გამხმარი ისევ გამაიტანა ყურძენიცა და რქაცა“ (იქვე), „რომ მორთვილამდა, იქვე ქუსლში მოგლეჯავდა“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ძვირათ იქნებოდა, რო ვაზს სატკივარი გასჩენოდა. ვაზს ახმობდა ყინვა, ჭირხლს რომ მოჰკიდებდა თოვლი, მოწმენდილ ჰაერზე ვაზს შუაზე გაჰხეჩავდა ხოლმე“ (შ. კახ., „შინამრეწვ.“).

ამრიგად, ვენახისა და ვაზის დაზიანების გამომხატველი სახელწოდებებია:

ავნებს — ძვ. ქართ.

მოსპობს — ძვ. ქართ.

მოსრაფს — ძვ. ქართ.

გაახმობს — ძვ. ქართ., კახ.

განრყუნის, განმრყუნელი — ძვ. ქართ.

დართვილავს, მორთვილავს — ქართლ., კახ.

ნაცარი, ნაცარა. ნაცარი ვაზის სენია (ამერიკული წარმოშობის სოკო — იოდინუმი). „ნაცარი ავადმყოფობა იყო, მზე რომ დახედავდა, მერმედ ცრიავივით (ბურუსივით გაყვებოდა ღრუბელი) და მეორე დილას მზე რომ დახედავდა, დასკტებოდა ნაყოფი, როგორც დანით დასერო და გამოიჭაჭებოდა და გულში კურკა შეახმებოდა“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ნაცარი თეთრად შეაყრის და აღარ იზრდება, მარცვალი სკდება, არც ჭაჭა ვარგა იმის და აღარც ტკბილი აქვს“ (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“). „ნაცრის გაჩენაც უსუფთაობამ იცოდა. თუ თავს მივანებებდით და არ შავსა-რამდით, წაქეუულ ვაზს ნაცარი ადვილად უჩნდებოდა“ (მ. კახ., „შინამრეწვ.“). „წინათ არაფერი ავადმყოფობა არ ჰქონდა ვაზს. მემრე და მემრე გაჩნდა ნაცარი“ (გ. კახ., „შინამრეწვ.“). „ავანტყოფობა თუ გოუჩნდებოდა რამე ვენახს, მაგ. ვენახის ჭირი, ნაცარი, მოთხრიდენ და წვამდენ“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ვაზის ავადმყოფობაა ობი და ნაცარი... ორივე ავადმყოფობას შველის გოვირდი“ (იქვე). „წმინდა თეთრა მოვლას ბევრს თხოულობს, ნაცარი ეტანება და მის მოშენებას ერიდებიან“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“). ძველათ იცოდა ვაზმა ავანტყოფობა — ნაცარი. ტევნებს ნაცრისფრად ხაო გადაედებოდა, ბიმბილი დასკდებოდა შვა შვაზე და ტე-ვანი ისე ხმებოდა“ (იქვე). „შეწამვლა არ ჭირდებოდა ძველათ, უმალ გაჩნდა ნაცარა. მერე ფილოქსერაც შემოითესლა საცხაიდან“ (ლეჩხ., „შინამრეწვ.“) „ნაცარია, ბუნება რო წაახთენს“ (ქვ. ლეჩხ., ქორენ.).

დანაცრავს. „ყურძენს დანაცრავდა. არც დამაგინებამ ცა-და (უშველა) და არც არაფერმა“ (ქვ. აჭარა, ქართ. დიალ., I,411).

ნაცარს აყრის, მიაყრის (მიეყრება), მოაყრის, შეაყრის. „ბაბი-ლოზე ნაცარს აყრის და აფუჭებს ვენახს“ (გურ., „შინამრეწვ.“). „ყურძენს ნაცარს მიაყრის“ (ქვ. ლეჩხ., დერ-ჩი). „ნაცარი მიეყრება თითო მტევანს“ (ქვ. იმერ., „შინა-

მრეწვ.“). „ნ ა ც რ ი ს მ ო ყ რ ა დააჭნობს ფოთოლს“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ნ ა ც ა რ ს ის ე შ ე ა ყ რ ი ს, როგორც ნაცრის ფერი გინახავს“ (იქვე).

ჭრაქი. **ჭ რ ა ქ ი,** ამერიკული წარმოშობის სოკოა.—მილდიუმი.³³ **ჭ რ ა ქ ი** თ დაავადებულ ფოთოლს უჩნდება ყვითელი ლაქები და ცვივა, მარცვლიც ჭკნება და ხმება. ტერმინი **ჭ რ ა ქ ი** იხმარება დასავლეთ საქართველოში. „ქვიშხურმა **ჭ რ ა ქ ი** იცის სხვაზე უფრო“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ვენახმა მოუვლელიობის გამო **ჭ რ ა ქ ი** იცის, ფოთლები გაყვითლდება, კუმბალიც ჩამოცვივა, ამის საწინააღმდეგოთ არი ადრე აქიმობა და კარგი აქიმობა“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ობი ან **ჭ რ ა ქ ი** გაჩნდა 1870 წელს“ (გურ., „შინამრეწვ.“) „**ჭ რ ა ქ ი** ავადმყოფობაა“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი).

დაჭრაქავს. „მწვანე უფრო ღონიერი იყო სხვა ვენახებზე და არ დაჭრაქავს—ქე რომ დაწვავს ფოთელს“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

ობი. **ჭ რ ა ქ ს** სხვაგვარად **ობ ს ა ც** უწოდებენ. „ვაზის ავადმყოფობაა **ობ ი** და ნაცარი. **ობ ს** უჩენს წვიმა. ორივე ავადყოფობას შველის გოგირდი“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „**ობ ი** ან **ჭ რ ა ქ ი** გაჩნდა 1870 წელს“ (გურ., „შინამრეწვ.“).

ოდი. „**ო დ ი** ყურძნის მტევნის ავადმყოფობაა, მარცვლებს ახმობს და აცვენს“ (ქართ., დიალ.). **ო დ ი**“ (უჩნდება) როცა ჯერ წამოიწვიმს, მერე დაცხება“ (ქართლ სამხრ., „შინამრეწვ.“).

ოდი დაჭრაქავს. „**ო დ ი** დაკრა ქართულ ყურძნისა — სიცხის შემდეგ ბურუსი ან სიცხე და ცვარი“ (ქართლ., ბერბ.). „**ო დ ი** რომ დაკრავეს, მარცვალი გაშადება და გასცვივა“ (ქართლ., ატენი).

აიოდება, აიოდლება. „**არ ა ი ო დ ო ს** ვაზი“ (ქართლ., ატენი). „ვაზს ქარი უნდა ხვდებოდეს, რომ არ გამოიხანძლოს... **ა ი ო დ ლ ო ს,** კოდა არ გაიკეთოს“ (იქვე).

ფოთლის ხმობა. **ფ ო თ ლ ი ს ხ მ ო ბ ა** იგივე დაავადებაა, რაც **ჭ რ ა ქ ი**“. „წინათ არაფერი ავადმყოფობა არ ქონდა ვაზს. შემრე და შემრე გაჩნდა ნაცარი და **ფ ო თ ლ ი ს ხ მ ო ბ ა**“ (გ. კახ., „შინამრეწვ.“).

ვენახის ჭირი. „ავანტყოფობა თუ გოუჩნდებოდა რამე ვენახს. მაგალითად. **ვ ე ნ ა ხ ი ს ჭ ი რ ი,** ნაცარი. მოთხრიდენ და წვამდენ“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“).

³³ კახეთში შესულია ჭრაქის ლათინური სახელწოდების მილდიუმის სახეცვლილი მინდაო, მილდაო. „მინდაო — რო მუწუკდება ვაზის ფოთოლი“ (კახ., დიალ.) „მინდაო არის ფოთლის მეჭეჭი“ (კახ., ახმეტა).

ჭორფლი. „წროულს თეთრ ფრანგას შავი ჭორფლი გოუჩთა გლახა აერის გამო“ (ზ. იმერ., ძოწ. I).

დაიჭორფლება. „ყურძენი დაიჭორფლა“ (კახ., წინანდ.).

სუფარიანა. „შავ-შავი ფიფქი მიეყრება ფოთელს და ტევანს. ამას ქვია სუფარიანა“ (ზ. იმერ., ძოწ. I).

წერნაგი, წითელა. „წერნაგი ვაზის ავამყოფობაა, შავათ გაუჩნდება, წითელა“ (კახ., ყვარელი). „წერნაგი — მცენარეთა პარაზიტი მუწუხელებით აყრის“ (ქიზ., მენტ.).

უანგი. „ვაზი ფოთოლ უანგი მეექვიდა“ (კახ., წინანდ.). ყურძენს უჩნდება აგრეთვე: **მაჯაურა — კოჟრები** (კახ., ახმეტა), **მეჭეჭა** (იქვე).

მოტუტავს, მოტუტვა. „ვენახის ავატყოფობა იგი იყო, რომ პატარ-პატარა მოტუტავდა. მოტუტვა მტევანს დახეთქავს, დაფშუტავს და ზედ მიახმებოდა ძირზე“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

დანათლული. „ყურძენი დანათლულია — დახეთქილა მარცვალი აქვს“ (კახ., „წინანდ.“).

დახვატავს. „გაფურჩქენა უნდა ვენახს, რომ არ შეიხუთოს და არ წახტეს კუმპლები; რომ არ დახვატოს (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „სიმხურვალე, ხვატი ახთენს ყურძენს, ამისთვის გავფურცლავთ“ (იქვე).

გამოულაპავს. „მაისში თუ არ გავფურჩნეთ. მაშინ გამოულაპავს ფურცელს“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

გამოყვლეპავს, გამოიცარცხება. „როდესაც ფუთქი და ბიჭია ამოვა, თუ არ გამოორჩი, მაშინ გამოყვლეპავს ან გამოიცარცხება — გამოწვავს“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

თხელდება, გათხელდება მტევანი. „სიცხეში თხელდება ჩინურის მტევანი“ (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“). „ე მაგას ქვეით დართვილა... ტევანი გათხელდა“ (ქართლ., ბერბ.).

გამოიხანძლება, გამოხანძვლა. თუ ვაზს ზედმეტ ფოთლებსა და ყლორტებს დროზე არ მოაცილებს მევენახე, ყურძენს მარცვალი არ გამოაქვს კარგად და მტევანი „თხელდება“. „მომეტებული გვალვისაგან თხელდება მარცვალი, გამოიხანძვლა იცის გვალვამა და ქვენა ქარმა“ (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“). „ფიცხი ადგილი უყვარს, ქარიანი, ქარი უნდა ხვდებოდეს, რომ არ გამოიხანძლოს“ (იქვე). „გამოიხანძლება — მარცვალს რომ გამოიტანს მტევანი გათხელდება“ (ქართლ., ატენი).

ფოთლის ზედმეტად გამოცლაც აფუჭებს ყურძენს, ფოთოლი და ყლორტი იფარავს ვაზს და ყურძენს ზედმეტი სიცხისაგან.

გულში ამოღება. გულში ამოღება — ზედმეტად გამომორჩნა. „გაფურჩქენა უნდა ვენახს... მაგრამ თუ მეტი უქენი, დაწვავს, რადგან გულში ამოღება ვენახს ახთენს“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

დაწვავს, გამოწვავს, მზე ერევა: „გაფურჩქენა უნდა ვენახს, მაგრამ თუ მეტი უქენი დაწვავს, მზე ერევა“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „თუ არ გამოჩინი, გამოწვავს, ჰაერის მოძრაობა რომ არ ექნება, ჩერიო (ჩდილი) გაუჩინდება ვენახს და ფუჭდება“ (იქვე).

ვახის სხვადასხვაგვარი დაავადებისა და მისი შეყრის აღმნიშვნელი ტერმინებია:

ვახის ავადმყოფობა — ქართლ.. კახ., იმერ.
და სხვა.

ვახის სატკივარი — კახ.

ავნებს ვენავს — ძვ. ქართ.

მოსპობს, მოსრავს — ძვ. ქართ.

გაახმობს — ძვ. ქართ., კახ.

განრყუნის, განმრყუნელი — ძვ. ქართ.

დართვილავს — ქართლ.

დაირთვილება — ქართლ.

მორთვილავს — ქართლ.

დაჭირხლავს — კახ.

ნაცარი — ქართლ., კახ., იმერ., გურ., რაჭ., ლეჩხ.

დანაცრავს — აჭარ.

ნაცარს აყრის (მიყრის, მოყრის,
შეყრის) — ქართლ., იმერ., გურ., ლეჩხ.

ჭრაქი — იმერ., გურ., ლეჩხ.

დაჭრაქავს — იმერ.

ობი — იმერ., გურ.

ოდო — ქართლ.

ოდო დაპკრავს — ქართლ.

აიოდება, აიოდლება — ქართლ.

ფოთლის ხმობა — კახ.

ვენახის ქირი — იმერ.

ჭორფლი — იმერ.

დაიჭორფლება — კახ.

სუფარიანა — იმერ.

წერნაგი — კახ.
 წითელა — კახ.
 ქანგი — კახ.
 მაყაურა — კახ.
 კოყრები — კახ.
 მეჭეჭა — კახ.
 მოტუტავს, მოტუტვა — იმერ.
 დანათლული ყურძენი — კახ.
 ხვატი — იმერ.
 დახვატავს — იმერ.
 გამოულაპავს (ფურცელს) — ქართლ.
 გამოყვლეპავს — იმერ.
 გამოიცარცხება — იმერ.
 თხელდება, გათხელდება — ქართლ.
 გამოიხანძლება, გამოხანძვლა — ქართლ.
 გულში ამოღება — იმერ.
 დაწვავს, გამოწვავს — იმერ.
 მზეერევა — იმერ.

ვაზის მანებლები: ფილოქსერა, ფილაქსერა. „ფილოქსერა თვალ გაუცდელი ცოტა მოგრძო ჭიაა“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ფილოქსერა დაჭამდა ფესოებს, გაყვითლდებოდა ფესვი“ (იქვე). „ფილოქსერა ახმობს ვენახს“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ვაზის ავადმყოფობა ჩვენში იყო... ფილოქსერა“ (გურ., „შინამრეწვ.“). „ამ სამოცდაათი წლის წინათ გაჩნდა ვაზის ავანტყოფობა — ფილოქსერა. ფილოქსერა თვალით დასანახია — ყვითელი ფერის, ტირიფის ტილს გავს, ძირს უთხრის ვაზს და ერთიანათ ახმობს“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „უმალ გაჩნდა ნაცარა. მერე ფილოქსერაც შემოითესლა საცხაიდან“ (ლეჩხ., „შინამრეწვ.“). „ე წამლობა რო დოუწყეთ, ფილაქსერა მვისპო“ (ლეჩხ., ქართ. დიალ. I, 493).

კოკონა, კოკონაჰია. „ვაზის ავადმყოფობა ჩვენ არ ვიცოდით, მხოლოთ ერთი პატარა ჭია იცოდა კოკონა. იმას დიდი ნისკარტი ჰქონდა და ფოთოლს დაახვევდა და ყურძენსაც აფუჭებდა“ (ქართლ. ჩრ., „შინამრეწვ.“). „კოკონა ვაზს უჩნდება, კვირტს ჭამს“ (ქართლ., ატენი). „კოკონა ჭია საცა ის ხმება, მაგრამ იმ წამალს რომ შეაყრი, მაშინვე ჩამოვა, ის ველარ გაძლევს“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

ხანჭოჭია. „ხ ა ნ ჭ ო ჭ ი ა გადაწყვეტავს ვაზს“ (კახ., ახმეტა).

კვირტაჭია. ჭია. „კ ვ ი რ ტ ა ჭ ი ა, განაფხულზე რომ ფოთოლი უნდა გამოიტანოს, მანამდი გამოიღებს კვირტსა“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „კ ვ ი რ ტ ა ჭ ი ა ვაზს უჩნდება“ (იქვე). „ჭ ი ა უჭამს კვირტს, თლათ არ ახმობს, ცოცხალი კი არის, მაგრამ ნაყოფს არ გამოაღებინებს“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). ჭია ძველ ქართულშიც გვხვდება. „დაესხა ჭიაჲ ვენავთა მათთა“ (ცხ. პეტრ. იბერ., ლიტ. ქრესტ. 267.1).

მატლი. „ჩვენი ვენახის ავადმყოფობა მ ა ტ ლ ი ა, ამისი საწინააღმდეგო წამალი ვერ მოიგონეს. შიგ კვირტში ამოიღებს ნეშოს“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

პეპელი. „პ ე პ ე ლ ი — ესეც ავადმყოფობა არის, ბაცილა უჩნდება კვირტში და არ აძლევს გაზრდის საშუალებას“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

მჭრელი. კახეთში გვხვდება მ ჭ რ ე ლ ი .

ამრიგად, ვაზის მავნებლებია:

ფ ი ლ ო ქ ს ე რ ა — ქართლ., იმერ., გურ., რაჭ. ლეჩხ.

ფ ი ლ ა ქ ს ე რ ა — ლეჩხ.

კ ო კ ო ნ ა, კ ო კ ო ნ ა ჭ ი ა — ქართლ.

ხ ა ნ ჭ ო ჭ ი ა — კახ.

კ ვ ი რ ტ ა ჭ ი ა — ქართლ., იმერ.

ჭ ი ა — ძვ. ქართ.

მ ა ტ ლ ი — იმერ.

პ ე პ ე ლ ი — იმერ.

მ ჭ რ ე ლ ი — კახ.

სარეველა ბალახი ვენახში არის: **კანჭა ბალახი, კლანჭა ბალახი.** „კ ა ნ ჭ ა ბ ა ლ ა ხ ი თუ ერთი ვენახში გაჩნდა, ძნელი მოსასპობია“ (ქიზ., მენთ.).

მწივანა ბალახი. „მ წ ი ვ ა ნ ა — კონინდარია ვაზის მავნებელია“ (კახ., ყვარ.). „მ წ ი ვ ა ნ ა ბ ა ლ ა ხ ი — თმასავით წმინდა ბალახი“ (ქიზ., მენთ.).

ღოლკლერტა. ღორიქალა. „ბალახებიც ძიენ ბევრია, შვილო ჩვენ ვენახში, მაგრამ ვებრძვიტ ხომე. ბალახებსა ქვიან: ღ ო ლ - კ ლ ე რ ტ ა, ღ ო რ ი ქ ა ლ ა“ (შ. კახ., მარტ., იმნ.).

შვინდარწლა, ხვართქლა. „შ ვ ი ნ დ ა რ წ ლ ა ხ ვ ა რ თ ქ ლ ა — ვაზის მავნებლებია“ (კახ., ყვარელი).

ჭყიმი. „ჭყიმი თეთრყვავილიანია — ვაზის მავნებლები!“ (კახ., ყვარელი).

სარეველა ბალახის სახელებია:

კ ა ნ ჭ ა ბ ა ლ ა ხ ი, კ ლ ა ნ ჭ ა ბ ა ლ ა ხ ი — ქიზ.

მ წ ი ვ ა ნ ა ბ ა ლ ა ხ ი — კახ.

ღ ო ლ კ ლ ე რ ტ ა, ლ ო რ ი ქ ა ლ ა — კახ., ქიზ.

შ ვ ი ნ დ ა რ წ ლ ა — კახ.

ხ ვ ა რ თ ქ ლ ა — კახ.

ჭ ყ ი მ ი — კახ. და სხვ.

აჩენავს, გაკაფავს, გაკაჭავს, მოთხრის. თუ გაუჩნდებოდა ვაზს ჭრაქი, ჭირი ნაცარი და სხვ. გახმებოდა და გადაგვარდებოდა, იმდენად, რომ არც გადაწიგვნა უშველიდა და არც გადამუხვლა. ასეთ ვაზს ა ჩ ე. ხ ა ვ დ ნ ე ნ. „ვაზი რომ გაკრიკინავდება, გადარჯულდებოდა, იმას ა ვ ჩ ე ხ ა ვ დ ი თ“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ნაცარიც ყველაზე წინ ჯანაანურას ააჩნდებოდა ხოლმე, ამისათვის გ ა ვ კ ა ფ ა ვ დ ი თ ხოლმე და ამის მაგივრად რქაწითელას ვაწვენდით“ (შ. კახ., „შინამრეწვ.“). „გ ა ვ კ ა ფ ა ვ დ ი თ“ (კახ., საბუე). „ვენახი გაუკაჭა წალდით“ (კახ., გურჯაანი). „ავანტყოფომა თუ გოუჩნდებოდა რამე ვენახს, მაგალითად ვენახის ჭირი, ნაცარი მ ო თ ხ რ ი დ ე ნ და წვამდენ“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“).

მევენახე ვაზის დაბერებასა და გახმობას ვერ უჩივდება და ყოველ ზომას ხმარობს, რომ გამოაკეთოს იგი.

ვაზს დაადაბლებს, დაბლა, ძირს წევს, უშვებს. ვაზი ძირს მიდის. ზედმეტად გაზრდილი რქები უნდა გადაჭრან, ვაზი რომ არ დასუსტდეს. ასეთ საქმიანობას ვ ა ზ ის დ ა დ ა ბ ლ ე ბ ა (ვაზს დაადაბლებს) ეწოდება. „ვაზს მალლა არ ავწევთ, დაბლა უშვებთ“ (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“). „რა მეიბა ვენახმა, მარა ვერ მოუარა და წახდა; მერე და ა და ბ ლ ა, მარა ვერ გამოკეთდა“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „ნეკით ვენახი და და ბ ლ დ ე ბ ა და მომბითაც ბევრს იბამს“ (ქვ. ლეჩხ., ონჭეიში). „რაც უფრო ძირს მოუხვევ, ვენახი ძ ი რ ს მ ი დ ი ს“ (იქვე). „სულ ზემოთ და ზემოთ ისხვლება... რამდენიც ძირს იქნება, უკეთესია, ნეკი ძირს წევს“ (იქვე). „სამს-ხუთს წელიწადში ვენახი უნდა გადაშენდეს, ხე დაისხვოს, ვენახი და ბ ლ ა და ი შ ვ ა ს, გაისხლას და დამაგინდეს“ (გურ., „შინამრეწვ.“).

გააახლებს ვაზს, განახლდება. „ბებერი ვაზი უნდა გა ა ა ხ ლ ო“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „გ ა ა ხ ლ დ ე ბ ა ვ ა ზ ი“ (კახ., ახმეტა). „ჩააწვევენ... მიწაში ვენახს... ვენახი რომ ჭავლებს გამოიღებდა, ამით ვენახი გ ა ნ ა ხ ლ დ ე ბ ო დ ა“ (გურ., „შინამრეწვ.“).

გადააახლებს ვაზს. „ვაზს რომ კარგი... რქები ექნება, იმას გა-

დავაწვევნილთ... და ამოვიდოდა რტო, როგორც გა და ა ა ა ხ ლ ო ის არის“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

ახალგაზრდავდება ვაზი. „რაც უფრო ძირს მოუხვოვ, ვენახი ახალგაზრდება და ძირს მიდის“ (ქვ. ლეჩხ. დერჩი)...

გაახალშენდება ვაზი. „ვენახი დავწიგნე გა ა ა ხ ა ლ შ ე ნ დ ე ბ ო და მიწაში ძირები“ (იმერ., გელათი). „ეს დაძველებული, გადამხმარი ვაზია და აღარ გა ა ა ხ ა ლ შ ე ნ დ ე ბ ა“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი).

გაყმაწვილდება ვაზი. „ვაზი რომ დაბერდება, გავჭრით მიწას, ორმოს, ჩავაწყობთ შიგა... და ის ერთი გადაიქცევა შვიდ. რვათ და გაყმაწვილდება“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

ამრიგად გვაქვს:

ა ჩ ე ხ ა ვ ს — ქართლ.

გ ა კ ა ფ ა ვ ს — კახ.

გ ა კ ა ჭ ა ვ ს — კახ.

მ ო თ ხ რ ი ს — იმერ.

ვ ა ზ ს და ბ ლ ა უ შ ვ ე ბ ს — ქართლ., გურ.

გ ა ა ა ხ ლ ე ბ ს ვ ა ზ ს — ლეჩხ.

და ა და ბ ლ ე ბ ს — ლეჩხ.

გ ა ა ხ ლ დ ე ბ ა ვ ა ზ ი — კახ., გურ.

გ ა და ა ა ხ ლ ე ბ ს ვ ა ზ ს — ქართლ.,

ახალგაზრდავდება ვაზი — ლეჩხ.

გ ა ა ხ ა ლ შ ე ნ დ ე ბ ა — იმერ., ლეჩხ.

გ ა ყ მ ა წ ვ ი ლ დ ე ბ ა — ქართლ.

გარეული ვაზი, ტყის ყურძენი

გარეული, ველური ვაზი, ტყის ყურძენი. ვაზი ველურად თითქმის მთელს საქართველოში იზრდება, თავისით გახარებულ გაზრდილ ვაზს გარეულსაც უწოდებენ, ვ ე ლ უ რ ს ა ც, ვ ე ლ უ რ ვ ე ნ ა ხ ს ა ც და ტ ყ ი ს ყ უ რ ძ ე ნ ს ა ც.

„კრიკინა შავი და თეთრი ვ ე ლ უ რ ი ჯ ი შ ი ა“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „კრიკინა გარეული ყურძენია, წითელი. ვ ე ლ უ რ ი“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ჩვენსკენ შობა (=ხარობს) ველური ვენახი—ადესა“ (ზ. აჭარ., ქართ. დიალ. I). „კაჭიჭი ტყის ყურძენია“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

ქართულ ენაში ხშირ შემთხვევაში გარჩეულია გარეული ვაზი და გარეული ყურძენი. საბას განმარტებით „კრიკინა ვ ე ლ უ რ ი ყურძენია“ და „უსურვაზი კრიკინა ვაზი“. ე. ი. ვ ე ლ უ რ ი ვაზი.

ასევე გაარჩევს გარეულ ყურძენსა და ვაზს კახელი გლეხიც. „უსურვაზს ვეძახით კრიკინა ყურძენს რომ გამაისხამს“ (ახმეტა). ასეთი განსხვავება გარეულ ვაზსა და გარეულ ყურძენს შორის ყოველთვის არ ჩანს.

კრიკინა ვაზი. გარეული ყურძენის აღმნიშვნელი მრავალი სახელწოდება გვაქვს. ერთ-ერთი ასეთი სახელწოდება არის კრიკინა. კრიკინა ქართული ენის კილოებში: „კრიკინა ვაზი ჭნიკი (წვრილი, ქინძისთავისხელა იყო). კლდეებში ამოვიდოდა; წყლის პირზე. სახლში დავრგეთ, მაგრამ არ იმშენია. შავი ყურძენია“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „კრიკინა კი სულ პატარა იყო, ჩიტო რომ აეჩეკავს, ისეთი იყო“ (იქვე). „კრიკინა შავი და თეთრი არის, ველური ჯიშია, წვრილი და გრძელი მარცვალი აქვს, ფოთოლი — წვრილი“ (იქვე). „კრიკინა ყურძენია“ (ქართლ., ბერბ.). „კრიკინა ტყის ყურძენია. ხეზე გადის, შავია“ (კახ., ახმეტა). „კრიკინა გარეული ყურძენია, წითელი“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „კრიკინა ტყის ყურძენი“ (იმერ., ობზია). „გარეულ ვაზს რაჭაში... ეძახიან... კრიკინას“ (რაჭ., ფრ.).

აღ. მაყაშვილის ცნობით ქიზიყში ტყის ყურძენს კირკენა ეწოდება, ხოლო ფშავში — კირკინა.

მორცხულა, მორცხვილი, მოცხარი, მენცხერო, ომცხარო. რაფიელ ერისთავის ლექსიკონში ტყის ყურძენს ერთ-ერთ სახელწოდებად შეტანილია მორცხულა და აღნიშნულია, რომ იგი გურიაში იხმარება. მორცხვილი გვხვდება იმერეთში: „მორცხვილი ტყის ყურძენი იყო. მას კაცი არ აკეთებდა ღვინოდ; შავვია. ჩიტები ჭამდა, სხვანაირად ძალყურძენას უძახოდით“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). ივანე ჯავახიშვილი მორცხულას მოცხარულას უკავშირებს, რომელიც „გარეული ვაზის ყურძენის წვრილმარცვლიანობით მოცხართან მსგავსების გამომხატველი სახელი უნდა ყოფილიყო... ცხრ თანხმოვანთა კომპლექსის ადგილმონაცვლეობით მოცხარულა დროთა განმავლობაში მორცხულად ქცეულა“³⁴. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს უსურვაზის სინონიმად აღ. მაყაშვილის მიერ ლეჩხუმში დადასტურებული სიტყვა მოცხარი.

აღ. მაყაშვილი უსურვაზის ლეჩხუმში გავრცელებულ სინონიმად მოცხართან ერთად მენცხეროსაც ასახელებს. ლეჩხუმურ ლექსიკონში მიხეილ ალავეძეს შეტანილი აქვს სიტყვა ომცხარო; „ძღვაბმლი, ომცხარო გარეული ყურძენი“.

³⁴ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 296.

კაჭიჭი. ტყის ყურძნის აღმნიშვნელი ტერმინი კ ა ჯ ი ჭ ი გვხვდება ქვ. იმერეთში „კ ა ჯ ი ჭ ი — ტყის ყურძენი, თეთრი, ხეზე ება; ღვინო არ გამოგვიხდის, ყურძნად ვჭამდით; ძალიან გემრიელი იყო“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

ბაბილო, ტყის ბაბილო, მთის ბაბილო. რაფიელ ერისთავის განმარტებით „ბ ა ბ ი ლ ო არის კრიკინა, გრძღვამლი, უსუტრვაზი...“. ბაბილო გვხვდება ქართლში: „ბ ა ბ ი ლ ო ტყის ყურძენია“ (ქართლ.. ატენი). „ბ ა ბ ი ლ ო იგივეა, რაც კრიკინა; გარეული წვრილი ყურძენია“ (ქართლ., დიალ.). „ბ ა ბ ი ლ ო ს წვრილი მარცვალი აჭ შავი, ყურძნის გემო „აჭ“ (ქართლ., ხოვლე). „ქინწურა ან იმერული ვაზი ახლა შემოიღეს... როგორც ტყის ბ ა ბ ი ლ ო, ეგრეთი მარცვალი იცის“ (ხ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ტყის ბ ა ბ ი ლ ო გამოუსადეგარია... ფრინველების მეტს იმისაგან სარგებლობა არავის უნახავს“ (იქვე), მთის ბ ა ბ ი ლ ო ქართლში იხმარება ალ. მაყაშვილის ცნობით.

ძალყურძენა. იმერეთსა და ლეჩხუმში ძ ა ლ ლ ყ უ რ ძ ე ნ ა ჩვეულებრივ ისეთ ხვიარა მცენარეს ეწოდება, რომლის ნაყოფი ყურძნის მტევანს მიაგავს და არ იჭმება, მაგრამ იმერეთში იხმარება გარეული ყურძნის მნიშვნელობითაც. „მორცხვილი ტყის ყურძენი იყო... სხვანაირად ძ ა ლ ლ ყ უ რ ძ ე ნ ა ს ვუძახოდით“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

დათვიყურძენა. „გარეულ ყურძენს რაჭაში... აქა-იქ ეძახიან ტყის ყურძენს, დათვიყურძენას და კრიკინას“ (რაჭ., ფრ.).

პანტაყურძენი „ტყის ყურძენი, პ ა ნ ტ ა ყ უ რ ძ ე ნ ი წვნიკი კაკალი აქვს, მყავდა“ (აჭარ., მენტ.).

თხილაგუნა, თხილაკუნა. ქვემო იმერეთში გვხვდება ტყის ყურძნის აღმნიშვნელი სიტყვები თ ხ ი ლ ა გ უ ნ ა, თ ხ ი ლ ა კ უ ნ ა. „თ ხ ი ლ ა კ უ ნ ა ს თეთრს, ხის, ტყის ყურძენს ვეძახოდით“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „თ ხ ი ლ ა გ უ ნ ა თეთრი ყურძენი იყო“ (იქვე).

ბურუხი. ქვემო იმერეთში (სოფ. ღვებუნა, ხონის რაიონი) ველური ყურძნის მორცხვილის განმარტების დროს მთქმელს ნახმარი აქვს სიტყვა ბ უ რ უ ხ ი. „მორცხვილი ტყის ყურძენი იყო, მას კაცი არ აკეთებდა ღვინოდ. შავი იყო, ჩიტები ჭამდა, ბ უ რ უ ხ ი იყო (სუროსავით მოქნილი იყო და შემოხვეული ხეზე)“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). იმერელ გლეხს ბ უ რ უ ხ ი ნახმარი უნდა ჰქონდეს მორცხვილის სინონიმად, მორცხვილის განსამარტავად. ამას მხარს

უკერს მეგრულში ბ უ რ ე ხ ი ს არსებობა ველური ყურძნის მნიშვნელობით³⁵.

აღ. მაყაშვილი შენიშნავს, რომ ბ უ რ ე ხ ი თანამედროვე მეგრულში მეტწილად დაქვეითებული ვაზის მიმართ იხმარება“. მნიშვნელობის ასეთი გადახრა ბუნებრივია, რადგან ველური ყურძენი, ველური ვაზი მდარე ხარისხის ვაზია, შდრ., კრიკინა, პატარა, უხეირო მტევანი კახეთში³⁶.

ბურძღუმი. ბურზღუმი. ივ. ჯავახიშვილი გარეული ვაზის სხვა ქართულ სახელებთან ერთად ასახელებს ბ უ რ ძ ლ უ მ ს ა ც და აღნიშნავს რომ ბ უ რ ძ ლ უ მ ი ჰერეთსა და საინგილოში არის გავრცელებული. აღ. მაყაშვილს ველური ყურძნის აღმნიშვნელი ტერმინი საინგილოში დასახელებული აქვს ბ ე რ ზ ლ უ მ ი.

ბრძღუამლი, ბრძღვამლი, ქართლის ცხოვრებაში გვხვდება გარეული ყურძნის აღმნიშვნელი ტერმინი ბ რ ძ ლ უ ა მ ლ ი: „შესაძრწუნებელ არს სვლა კაცისა... ტყისა სივშირითა... განრთხმული ბ რ ძ ლ უ ა მ ლ ი თ ა“ (ქართლ. ცხ., II, 261). გ ძ ძ ლ ვ ა მ ლ ი რ ა ფიელ ერისთავის ცნობით გავრცელებულია იმერეთში.

ძღუამლი, ძღვამლი, რძღვამლი. ძ ლ უ ა მ ლ ი საბას შეტანილი აქვს ლექსიკონში. ძ ლ ვ ა მ ლ ი, რ ძ ლ ვ ა მ ლ ი იხმარება რაჭაში (აღ. მაყაშვილისა და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის მიხედვით).

ძღვამბლი. ძღვამბლი აღ. მაყაშვილის ცნობით რაჭაში იხმარება, მ. ალავეძის ცნობით კი — ლეჩხუმში. ამბროლაურში გარეულ ვაზს ძ ლ ვ ა მ ბ ლ ი უწოდეს.

ზღვამბლი. „გარეულ ვაზს რაჭაში ძირითადად ძღვამბლი (ზ ლ ვ ა მ ბ ლ ი) ეწოდება“ (რაჭ., ფრ.).

ძღვლამი. რძღვლამი. რაფიელ ერისთავის ლექსიკონში, აგრეთვე ნათქვამია, რომ ძ ლ ვ ლ ა მ ი, რ ძ ლ ვ ლ ა მ ი იმერეთშია გავრცელებული.

ზღვამილა. იმერეთში გავრცელებული გარეული ვაზის ერთ-ერთ-

³⁵ И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, СПб., 1914.

³⁶ ბურეხზე მსჯელობის დროს ივ. ჯავახიშვილი სვამს კითხვას: „სამეგრელოში გავრცელებული... სახელი ბურეხი ისე გასაოცრად მიაგავს „ქერ-დეტვთა და სხვათაგან“, მათ შორის ხილისაგანაც, დამზადებული სასმელის სახელს ბურახ-ს (იხ. საბას ლექსიკ.), რომ თავისდათავად იზადება საკითხი, ბურეხი-ც გარეული ყურძნის, ანდა მისგან დამზადებული სასმელის სახელი ხომ არ არის“-ო (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 296).

თი სახელწოდებაა ზღვაშილა. „ზღვაშილა ნამდვილი ტყის ყურძენი იყო, ფერად წითელი. ფოთოლი დიდი მრგვალი და ფურცელი უკბილო ქონდა. მომწვრილო კეკალი და მრგვალი, გრძელი ტევანი ქონდა, კუმპალი (=ფხარი) მრგვალი ქონდა“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

უსურვაზი. ქართლსა და კახეთში ველური ვაზის მნიშვნელობით გვხვდება უსურვაზი³⁷. „უსურვაზი ტყეში იცის; წვნიკ ყურძენს ისხამს“ (კახ., ახმეტა). „უსურვაზს იმას ვეძახოდით, გრძელი რომ იყო, ისხამდა ყურძენსა... უსურვაზსაც ვაახლებდით“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). ზემო ქართლშივე ზოგიერთის თქმით უსურვაზი ვაზი არ არის. „ის (=უსურვაზი) ტყვილია. მსგავსი ვაზისა, კი არ ისხავს რა, შემოეხვევა და ადის ხეზე“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). ივ. ჯავახიშვილი უსურვაზს ორ ნაწილად შლის: სიტყვის პირველ ნაწილს უსურს უკავშირებს „უსურაჲს“. „უსურვაზი ქართულ ვაზსა ჰნიშნავს, ამ სახელში ქართველ მიწისმოქმედსა და მევენახეს გარეული ვაზ-ყურძნის დაბალი ღირსება გამოუმჟღავნებია“³⁸.

ჭანჭყატო. სოფ. ოზანელ (წითელწყაროს რაიონი) მთხრობელთა გადმოცემით „ჭანჭყატო ხეზე გადის, უსურვაზს მიეგვანება, წარგიზივით ყვითელი თავი აქვს წამობმული, სამფოთლიანია, ვაზივით არის“. ამ ცნობის საფუძველზე ეთნოგრაფი ი. ნანობაშვილი ჭანჭყატოს გარეული ვაზის ჯიშის სახელწოდებად ვარაუდობს (გვ. 52).

ამრიგად, გარეული ვაზის, ტყის ყურძნის აღსანიშნავად გვხვდება შემდეგი სახელწოდებები:

კ რ ი კ ი ნ ა ვ ა ზ ი — ქართლ., კახ., იმერ.,
რაქ.

კ ი რ კ ე ნ ა — ქიზ.

კ ი რ კ ი ნ ა — ფშ.

მ ო რ ც ხ უ ლ ა — გურ.

მ ო რ ც ხ ვ ი ლ ი — იმერ.

მ ო ც ხ ა რ ი, მ ე ნ ც ხ ე რ ო, ო მ ც ხ ვ ა რ ო — ლუჩხ.

კ ა ჭ ი ჭ ი — იმერ.

ბ ა ბ ი ლ ო, ტ ყ ი ს ბ ა ბ ი ლ ო, მ თ ი ს ბ ა ბ ი ლ ო —
ქართლ.

³⁷ უსურვაზი იხმარება სუროს მნიშვნელობითაც.

³⁸ ივ. ჯავახიშვილი, აღსახ. ნაშრ., გვ. 295.

ძალდაუხერხებელი -- იმერ.
დათვიანუხერხებელი -- რაჭ.
პანტაფილუხერხებელი -- აჭარ.
თხილაგუნა, თხილაკუნა -- იმერ.
ბურუხი -- იმერ.
ბურძღუმი -- კახ., საინგ.
ბურზღუმი -- საინგ.
ბრძღუამლი -- „ქართ. ცხ“,
ბრძღვამლი -- იმერ.
ძღვამლი, რძღვამლი -- რაჭ.
ძღუამლი -- საბა
ძღვამბლი -- რაჭ., ლეჩხ.,
ზღვამბლი -- რაჭ.
ძღვლამი, რძღვლამი -- იმერ.
ზღვამილა -- იმერ.
უსურვაზი -- ქართლ., კახ.
კანჭყატო -- ქიზ.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

ვენახი

ვენახი. ვაზის ბაღის აღმნიშვნელი ძირითადი ტერმინი არის ვენახი, ძვ. ქართულში ვენაკი. „შვილო, წარვედ დღეს და იქმოდე ვენაკსა ჩემსა“ (მათე, 21.28.DE). „აღდგა აქაბ და შთავიდა ვენაკსა“ (III. მეფ. 17,2, ოშ.). „და განვიდა ველად კრებად არიოთისა და პოვა ვენაკი“ (IV მეფ., 39. 1, ოშ.). „განამრავლეთ მტილები თქუენი და ვენაკები თქუენი“ (ამოსი 4.9. იერუს). „ვენაკი დავასხ და ზღუდე გარემოვსდევ მას“ (ბას. დიდი, 57.19). „შთავიდეს ორნივე ზოგად ვენაკსა მას შცნებულსა მისსა კეთილად — ნაყოფიერსა“ (გრ. ხანძთ. ოდ. 3, 11).

ვენახი თანამედროვე ქართული ენის კილოებში: „ეს ვენახი სამეტანია“ (ქართლ., ბერბუკი), „ვენახს განიერი ალაგი უნდოდა, მაღლობი ალაგი, დაბლობში ვაზი არ გამოდგება“ (ქართლ. ჩრ., „შინამრეწვ.“). „ვენახი — საცა ყურძენია, ვაზი“ (ქართლ., იკოთი). „ვენახი სამი ჩარეჟი გვაქო“ (კახ., ყვარელი), „ვენახი ახო ადგილზე უფრო გამოდიოდა“ (შ. კახ., „შინამრეწვ.“). „ერთ ძმასა ჰქონდა მინდობილი გუთანი და ურემი, მეორეს — ცხვარი, მესამეს — სახლ-კარი და ვენახი“ (ქიხ., „შინამრეწვ.“). „მინდოდა დღეს გულდაგულ შენი წაყვანა ვენახში“ (იმერ., ობჩა). „ვისაც შორს ქონდა ვენახი, მარანი აუშენებია თვით ვენახში“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „ვენახი კი აყვე, მაგრამ გადოუახლებიათ, გადოუბრუნებიათ, და ახალი ვენახი ჩოუყრიათ“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი).

მენახი. სტ. მენტეშაშვილს აჭარაში ჩაუწერია მენახი. „აქ თაა, მენახი არ არისო, მენახი ბარ ადგილებში იცისო“ (აქარ., მენტ.).

ვენახი ფართოდ არის გავრცელებული ქართული ენის კილოებში, მაგრამ გვხვდება სხვა სახელწოდებაც ვენახთან ერთად,

თუ მის მაგივრად. ეს ტერმინებია: ვენაკოვანი. სავენაჯე, საყურძენი, მამული, ვახიანი, ვახი.

ვენაკოვანი (ვენაკონი). ძველი ქართული ენის ძეგლებში გვხვდება ვენაკოვანი. „ეგრძე ჰყო ვენაკოვანი შენი და ლელოვანი შენი“ (გამოსლვ. 23. 11). „დამადგინეს მე მცველად ვენაკოვნი სა“ (ქება, ქებ. 15.1. ოშ.).

სავენაჯე. სავენაჯე, ვენაკოვანის მსგავსად, ვენახისაგან ნაწარმოები სიტყვაა და ვენაკოვანისაგან განსხვავებით, დღესაც იხმარება. მხოლოდ თანამედროვე ქართულში სავენახე გამოხატავს, რომ რაიმე ვენახისათვის არის გაშადებული, ვენახისათვის არის განკუთვნილი. „მიწას სავენახედ ჩვენ სამ ჩარქვზე ვაბრუნებთ“ (ქვ. იმერ., „შინამრეწ.“). „სავენახე ადგილს იქ. ირჩევენ, სადაც ფშენილი მიწა იყო“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწ.“). „მიწა სავენახე და მაქვს მოხსული“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). ძველ ქართულში სავენაჯე ორივე მნიშვნელობით გვხვდება. სავენაჯე გამოხატავს რომ ვენახისათვის არის განკუთვნილი (ადგილი, საქმე). „რომელთა აქუნ მის საქმისა მეცნიერებაჲ, — გინა თუ სამჭედლოჲ იყვის გინა სახუროვნოჲ გინა სავენაჯე, — და მათ თანა დაიურვოს სამამოს“ (ცხ. იოვ. და ეფთ., 74,4). საბას სიტყვა აგარაკი ასე აქვს განმარტებული: „ესე არს ადგილი საყანური, გინა სავენაჯე, გინა დაბა“.

სავენაჯე—ვენახის მნიშვნელობით: „განიყვანეს იგი ვარემე სავენაჯესა მას და მოკლეს. აწ რაჲ უყოს მათ უფალმან სავენაჯისა მან? (ლუკა. 20,15 CDE). „ლედუ ვისმე ედგა ნერგი სავენაჯესა თუსსა, და მოვიდა და ეძიებდა ნაყოფსა მისგან და არა პოვა“ (ლუკა, 13.6 C). „განაგდეს ვარე სავენაჯისა მისგან“ (მათე, 21.39DE). „სავენაჯე იქმნა საყუარელისა რქისა ადგილსა პოხილსა“ (ბას. დიდი 57. 18).

საყურძენი, საყურძენი, საყურძენი „ვენახის“ მნიშვნელობით მხოლოდ ძველ ქართულში გვხვდება. „რამეთუ მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა მამასახლისსა, რომელ გამოვიდა განთიადითგან დადგინებად მოქმედთა საყურძენსა თუსსა“ (მათე, 20.1 C). „მივედით თქუენცა საყურძენსა მას ჩემსა და რაჲ-იგი ღირდეს მიგცე თქუენ“ (მათე, 20,4C); „მივედ დღეს და იქმოდეს საყურძენსა ჩემსა“ (მათე, 21.28 C). „საყურძენი იგი მისცეს სხუათა მოქმედთა, რომელთა მისცოდინ მას ნაყოფი ჟამთა მათთა“ (მათე. 21.41 C). „შეიპყრნით მელნი მცბიერნი გამრყუნე-

ლნი საყურძენისა ჩემისანი“ (სახისა სიტყ., 24. 20—31). „იხილენ რა ჩოვენებით მკეცნი მძუნვარენი. განმრყოვნელნი შრომით დანერგოვლთა მათ საყოვრძენთა“ (სას. პოეზ. უგ. 87).

მამული. ქართული ენის დასავლურ კილოებში, ვენახის გარდა, ვაზნარის მნიშვნელობით გვხვდება მამული³⁹. „ვისაც დიდი მამული ჰქონდა საკრეფი ჩვენში, ყურძნის კრეფაზედ ნაღს იხმარდენ“ (გურ., „შინამრეწვ.“). „მამული კონმა გააფუჭა და არ ვიცი ჩვენში კაცი უღვინოდ როგორ ვაძლებს“ (იმერ., ბერ.). „მამულე ბი რავარია თქვენსკენ“ (იმერ., ჭორვილა). „ეს⁴⁰ მამულის ყურძენია, იგი ადესაა ხეზე შესული“ (იმერ., წითელხევი). „დიდ ხუთშაფათს და ამალლობას ვიცოდით ყანაში და მამულში წრა ბალის (მწარე ბალი) ჯობის დასმა“ (ლეჩხ., „შინამრეწვ.“). „მამული მაქ ვაზში, იქანე დავდგე, ვაშს რა ვუყო?“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „ქიხიყში მამულად ვენახი იგულისხმება თითქმის ყოველთვის“ (ქიხ., „შინამრეწვ.“).

ვაზიანი. შედარებით იშვიათად იხმარება ვენახის მნიშვნელობით ვაზიანი. „ვაზიანი ში ბალახს სათიბელათი ვთიბავთ. ნამგალი სათიბელაზე დიდია და გაშლილი“ (ქართლ., ატენი). „ლობოს დავეთესავთ შიგ ვაზიანი ში“ (იქვე). „ვაზიანი — ყურძენი რო დგა“ (ქართლ., ხოვლე). „ვაზიანს დაბარვა უნდა. ერთ წელიწადს მაინც უნდა დაიბაროს მეორე წელიწადს გაითოხნოს“ (ქართლ., იკოთი). „ვენახს ვეძახით ვაზიანისა, ერთ ცალზე არ ვიტყვი“ (ქართლ., ყანჩავეთი).

ვაზი. ვენახის მნიშვნელობით უხმარით. აგრეთვე. ვაზიც. „სათიბელათი ვაზი უნდა გაგვეთიბნა წელიწადში ორჯერა“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ვაზის ვენახის მნიშვნელობით ხმარება მოულოდნელი არ არის, რადგან ქართულისათვის ბუნებრივია კულტურის და ამ კულტურით დათესილი ადგილის ერთი და იმავე სიტყვით აღნიშვნა. „ლობიოში მივიღვარ“, „სიმინდში ძროხა შესულა“ და სხვ.

³⁹ ქართლსა და კახეთში მამული უფრო ფართო მნიშვნელობით იხმარება. „მითო მამულზე ზედსიძედ მივიდა“ (კახ., ახმეტა). „მამული არის ეზო, ბახჩა, ვენახი“ (კახ., ყვარელი). „მამულში ყველაფერი მოგვყავ წინაკაც, კომბოსტოც“ (ქართ., ბერბუკი). „მამული — მიწა“, ე. ი. სახნავ-სათესი (ქართლ., ნოსტე). „თუ ამპარტავანი მამულია, ლასტი ზოგ ხუთ საყენზეც გააქვს“ (ქიხ., „შინამრეწვ.“). „სულ მამულია ეს, რო ხნამენ“ (ქართლ., იკოთი).

⁴⁰ აჩვენებს ყურძენს.

შევაჯამოთ ვაზნარის, ვაზის ბაღის აღმნიშვნელი ტერმინები, —
ვენახი და მისი სინონიმები — გვექნება:

ვენახი — საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში.

ვენაცი — ძვ. ქართ.

მენახი — აჭარ.

ვენაკოვანი, ვენაკოანი — ძვ. ქართ.

სავენაკე — ძვ. ქართ.

საყურძენი, საყურძენე — ძვ. ქართ.

მამული — იმერ., გურ., ლეჩხ.

ვაზიანი — ქართლ.

ვაზი — ქართლ.

ვენახისაგან და მისი სინონიმებისაგან ნაწარმოები სიტყვები გვხვდება ახალსა და ძველ ქართულში: „ნავენახარი ადგილი. სადაც წინათ ვენახი იყო გაშენებული და ახლა სახნავ-სათესადაა გადაქცეული“ (დ. ჩუბინ.). „ნაზურევი — ადგილი, სადაც წინათ ზუარი იყო“ (იქვე). „ვეშაპნი გამოჩნდეს ანჩისა ვენაჯსა და მევენაკე.ნი ივლტოდეს“ (გრ. ხანძთ., TP მე 1. III). „მერმე თვნიერ მჭედელთა და ხუროთა და გალატოზთა და მევენაკეთა და ნავის-მოქმედთა და სხუათა ესევითართა ამის ესევითარისა ვრცელისა ლავრისა დამკახვა უღონო არს“ (ცხ. იოვ. და ეფთ. 20.25). „მევენახე, ვინც ვენახს უვლის — მამულიც ქვია“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „მეზვრე — ვენაჯის მცველი“ (საბა). „მეზუარე ყურძნის დამკრეფი“⁴¹. „რომელნიმე დაადგინნეს... მცნველად და მომკალად, ვენაჯის მოქმედად და მეზუარედ“ (1 მეფ. 8. 12, ოშ.). „მეზვრე ვენახის მომვლელი“ (ქიზ., მენთ.). ძველ ქართულში გვხვდება, აგრეთვე, მოქმედი ვენაჯისაჲ, უფალი ვენაჯისაჲ, მუშაკი ვენაჯისაჲ და სხვ. „მოვიდეს და წარწყმიდნეს მოქმედნი იგი მის ვენაჯისანი“ (მარკოზ., 12.9 C). „მე ვარ ვენაჯი ჭემშარიტი, და მაჰაჲ ჩემი მოქმედი არს“ (იოვ., 15., 1 CDE). „რომელ გამოვიდა განთიადითგან დადგინებად მოქმედთა საყურძნესა თვისსა“ (მათე, 20.1C). „რადმე უკუე უყოს უფალმან მის ვენაჯისამან“ (მარკოზ., 12.9. C). „მოვედ აწ მონაო სახიერო და სარწმონო მოვშაკო ქრისტეს ვენაჯისაო“ (სას. პოეზ. რნა).

როგორც ცნობილია, ვენახი ძველ ქართულსა და ახალი

⁴¹ ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

ქართულის დიალექტებში გვხვდება ყურძნის ხისა და ყურძნის ბა-
ლის მნიშვნელობით. ძველი ქართული ენის ერთსა და იმავე
ძეგლში გვხვდება ვენახი ორივე მნიშვნელობით. მაგა-
ლითად ოთხთავში: 1. „მე ვარ ვენაჯი, და თქუენ რტონი“ (იოვ.,
15. 5 CDE). „ყოველმან ვენაჯ მან რომელ ჩემ თანა დამკვდრე-
ბულ არს და არა გამოილოს ნაყოფი. მოჰყუეთოს იგი“ (იოვ. 15.2C)
და სხვ. 2. „განვიდა განთიად დადგინებად მუშაკთა ვენაჯსა
თუსსა“ (მათე, 20.1DE); „წარავლინნა ივინი ვენაჯსა თუსსა“
(მათე, 20.2TE) და სხვ.⁴² ასევე დაბადებაში: 1. „გამობას ვენაჯ-
სა კიცვ ვირისა მისისაჲ“ (49. 11) და 2. „იყო ვენაჯი წინაშე ჩემ-
სა და ვენაჯსა მას სამნი ძირნი“ (40. 10). ბასილი დიდი: 1.
„სხუაჲ არს სიტკბოებაჲ ვენაჯისაჲ, და სხუაჲ — ვაშლისაჲ“
(61.8) და 2. „ვენაჯი დავასხ და ზღუდე გარემოვსდეგ მას“
(57.19). ვისრამიანში: 1. „ვენაჯისა ებრ ნაყოფიერი ხე იყავ“
(88. 14). და 2. „ვენაჯსა ჰგუანდა ვისისა პირი, ვენაჯისა კარი
მაგრა ხშულიყო“ (56,3). ივ. ჯავახიშვილი სვამს კითხვას: „ვენახის
პირვანდელი მნიშვნელობის შეცვლის პროცესი ხომ უკვე ასეთ
შორეულ ხანაში არ დაიწყო, როდესაც ეს ძეგლი (= დაბადება)
გადმოუქართულებიათ“⁴³.

საბას ლექსიკონში შეტანილი აქვს „ვაზი — ყურძნის ხე“,
ხოლო სხვადასხვა სიტყვის განმარტებაში ვაზის მნიშვნელო-
ბით ვენაჯს ხმარობს. მაგალითად, „ჯოჯვა — ვენაჯის შტოს
მოტეხა“, ვყელავდი — ვენაჯს სარზე ვაკრავდი“. „სასხლევი —
ვენაჯის დანა“ და სხვა. ზოგიერთი სიტყვის განმარტებაში ვე-
ნაჯი ვაზნარია. მაგალითად. „ზვარი — მეპატრონის ვენაჯი“,
„მეზვრე-ვენაჯის მცველი“ და სხვ. საბა ორბელიანი თვით ვე-
ნახს განმარტავს როგორც საყურძნეს და წყაროდ ასახელებს დაბა-
დებას „მიცემად შენდა ქალაქებისა მის... რომელნი არა შენ ალა-
შენე ვენაჯებისა მის და ზეთის ხილებისა რომელ არა შენ და-
ნერგენ“ (2 შჯ. 6. 11, ოშ.), სადაც ვენახი ყურძნის ხის მნიშვნე-
ლობით არის ნახმარი, უნდა ვიფიქროთ, რომ ვენახის განმარტება-
შიც „ვენაჯი საყურძნე“, საბა საყურძნე ხეს გულისხმობს, ე. ი. რო-
გორც ძველ ქართულში, ისე საბას ლექსიკონშიც ვენახს, „ვაზნარისა“
და „ყურძნის ხის“ მნიშვნელობით ხმარება, ამავე დროს ტერმინ ვა-

⁴² ამავე ძეგლში გვხვდება ტერმინი ვაზი: „არა თუ ვინმე დაადგრა ჩემ თანა-
განვარდა იგი გარე ვა ვაზი, განვა“ (იოვ. 15. 6C). მხოლოდ ვაზი რტოს მნიშვნელო,
ბით არის ნახმარი და არა ყურძნის ხისა.

⁴³ ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ, გვ. 291.

ზის (ყურძნის ხე) არსებობა და ვაზნარის აღმნიშვნელი ტერმინების: ვენაჯოვანი, სავენაჯე, საყურძნის ერთდროულად არსებობა ასახულია საბას ლექსიკონში.

დობილო, ადგილს, თუ იქ ბევრი ხე დგას, რომელზეც ვაზია ასული იმერეთსა და გურიაში ეძახიან დობილოს: „დობილო ადგილია, სადაც ხეებია და ზედ ყურძენი“ (იმერ., ობჩა). „ამ ადგილზე ხეები იყო და ზედ შავი მალლარი ყურძენი, ამ ადგილს ახლაც დობილო ეწოდება“ (იქვე). „სა ნახეს ცხვრები? — დობილოში იყვნენ“ (ზ. იმერ., ძოწ. I, გვ. 526). ილია ჭყონიას თავის „სიტყვის კონაში“ დობილოს განმარტებაში უწერია: „ასე ეძახიან დასავლეთ საქართველოში ერთს რომელიმე ადგილას ხშირად გამეჩნებულ ხეებზე აშვებულ ვენახს“.

დობირო. დობილოს გარდა გურიაში გვხვდება დობირო⁴⁴; „დობირო არის ვაკე ადგილი, სადაც ვენახის ვაზები ხეებზეა გაშენებული“ (გურ., ქლ.)

44 გ. შარაშიძის განმარტებით, დობირო აგრეთვე გარკვეული ადგილის (ნაყანების) აღმნიშვნელი ტერმინია, შდრ. ნიადაგის აღმნიშვნელი ტერმინი „დობირო“ (გ. შარაშ.) და „დობერა“ („ვაკე, მაგრამ მომადლო ალაგი“ პ. ჭარაია).

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

ვ ა ზ ის, ვ ე ნ ა ხ ის ს ა მ უ შ ა რ ე ბ ი

ვ ა ზ ის დ ა რ გ ვ ა, ვ ე ნ ა ხ ის გ ა შ ე ნ ე ბ ა

ვაზი შეიძლება თესლით გაეხარებიათ, მოჭრილი: ლერწით, ნამყენით და, აგრეთვე, მოუჭრელი ლერწით (ლერწის გადაწვენით). ყველა შემთხვევაში სავენახე ადგილსა და ნიადაგს შეარჩევდნენ, დასარგავ და გადასაწვენ ლერწებს, დამყნილ ნერგებს დაამზადებდნენ, მიწას გადააბრუნებდნენ, არხს გათხრიდნენ, დაშარავდნენ. ლერწს ჩარგავდნენ, თუ ჩააწვენდნენ, მიწას დააყრიდნენ, მოტენიდნენ, დარგულსა და გადაწვენილ ლერწს ორ-სამ კვირტზე თავს ამოაყოფინებდნენ, ფხვიერ მიწას წააყრიდნენ, აუტოკოლაგებდნენ გაზაფხულზე კვირტი ახალ ყლორტებს ამოიყრიდა, პირველ ორ-სამ წელიწადს ახალ ნერგს დატუჟავდნენ. მესამე წლიდან ვაზს უვლიდნენ ჩვეულებრივი წესით. შეწამლავდნენ, შეხარდნავდნენ, ააკრავდნენ, გამორჩინდნენ და სხვ.

ვანვიხილოთ ვაზის დარგვის, ვენახის გაშენებისა და მასთან დაკავშირებული საქმიანობის აღმნიშვნელი ტერმინები.

ვ ა ზ ს დ ა რ გ ა ვ ს, მ ი უ რ გ ა ვ ს, ჩ ა რ გ ა ვ ს. ვ ე ნ ა ხ ის გ ა შ ე ნ ე ბ ის ა თ ვ ის ს ა ჭ ი რ ო ა რ ქ ის (ნერგის, ნამყენის) დ ა რ გ ვ ა. ა მ მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ი თ ი ხ მ ა რ ე ბ ა ტ ე რ მ ი ნ ი დ ა რ გ ა ვ ს თ ა ვ ის ი ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი თ (მ ი უ რ გ ა ვ ს, ჩ ა რ გ ა ვ ს და სხვ.). „ლერწს ასე რ გ ა ვ ე ნ: მოლუნავენ და ორივე მხრით ამოაყოფინებენ თავს მიწაში“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ვენახს უნდა კარქი ვაკე ადგილის ამორჩევა. წინეთ ასე რ გ ა ვ დ ე ნ: ოთხკუთხათ ამოჭრიდენ მიწას და ჩ ა რ გ ა ვ დ ე ნ შ ი დ ლ ე რ წ ს“ (იქვე). „(მოთხრილ ნამყენს) რიგში დ ა ვ ო რ გ ა ვ თ შ ვ ი დ ი ჩ ა რ ე ქ ის დ ა ც ი ლ ე ბ ი თ“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „ჭერ რომ დ ა ვ ო რ გ ა მ თ, მიწას წავაყრით, რომ ამოხეთქს, მოვრწყამო“ (ზ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „შეიმოდგომაზე რომ გადავაბრუნებთ მიწას, გაზაფხულს დ ა ვ ო რ გ ა მ თ“ (იქვე). „მიწას გადავაბრუნებთ, დავსაჯანავთ, დავაპალოებთ და დ ა ვ ო რ გ ა ვ თ ლ ე რ წ ს ს ა მ ი ა რ შ ი ნ ის ს ი შ ო რ ე ზ ე“ (ლექს.,

„შინამრეწვ.“). „ახლათ დარგულ ლერწს შემოუშლით, რომ ზედა ფესვი არ გეიკეთოს“ (იქვე). „ხშირად ტყიან ადგილებს კაფავდენ, დასტოვებდნენ მხოლოდ ზოგიერთ ხეებს ვენახის მისარგველად“ (გურ., „შინამრეწვ.“). „გასწმენდენ ადგილს, ორ-სამ წელიწადს იზამდენ ყანად და შემდეგ, როცა ხეები წამოიზრდებოდა, მიურგავდენ ხეებს ვენახს“ (იქვე). „ვაკე ადგილებზე ვენახ მიურგავდენ თხემლას ხეებსაც“ (იქვე). „ვაზი გაისხლა, გაზაფხულზე აიჭრა რქა. არც ფოთოლი აქვს.. ჩავრგავთ მიწაში. ეს არის— ჩაყრა (კახ., ყვარ.). „ვენახს რო დაბარავდენ, მიაყრიდენ ნაკელს და ისე ჩარგავდენ ლერწს“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „დაბარავდენ მიწას. მერე ჩარგავდენ ლერწს, სამ კვირტზე. ერთი კვირტი მალლა იყო და ვორი ძირს“ (იქვე). „ყურძნის ჭავლს ჩამოვიღებთ ძირში, ჩავამაშინებთ, ჩავრგავთ“ (ქვ. აჭარ., ქართ. დიალ. I, 411).

ჩანერგავს. „ამოთხრილ მიწაში ჩანერგავენ ლერწს, როცა გეიხარებდა, იქით-აქეთ გადაწილნიდენ“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“).

ჩასვამს. „რქას რომ ჩავსვამთ მიწაში, მიწას დავაყრით, დავფარავთ. მერე ფოთოლს ამიიტანს და მაირწყვება“ (კახ., ყვარ.).

ჩაასობს. „მუხლებად დაჭრილ ლერწებს ჩავასობ გადაბრუნებულ მიწაში“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ძირიან ლერწს ჩაასობ მიყოლებით“ (რაჭა, ამბროლაური). „ნამყენს გადაბრუნებულ მიწაში ჩავასობთ ისე, რომ დამყნილი ზევით დარჩეს მიწიდან“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

ჩაავდებს. „რქას ჩავავდებდით“ (ზ. კახ., მარტ., იმნ.). „რქას კიდენა 3—4 ადგილას ჩავავდებდით, ზოგი იხარებდა. ზოგი არა. ერთ არშინ გამოუშვებდით კიდე, სამ-ოთხ ჩავავდებდით“ (ქიზ., „შინამრეწვ.“).

ჩადგამს. „დასაბავ რქას ჩავდგამთ ჭანჭრობ ალავას და იხარებს“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

დააბავებს, ჩააბავებს. „თავკვერი ვაზი იცის ხიდისთავში აქ (მეჯვრისხევში) ბევრჯერ დავაბავე, არ ივარგა“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „გავჭრიდით სიგრძეზე გრძელ რქებს, ორ რქას გადაუზავდით წვერებს ერთმანეთზე და ჩავაბავავდით და მივაყრიდით მიწას, მივცემდით წყალსა“ (იქვე).

ამრიგად, ვაზის დარგვის აღმნიშვნელი სახელწოდებებია:

დარგავს — იმერ., რაჭ. ლეჩხ.

მიურგავს — გურ.

ჩარგავს — კახ., იმერ., აჭარ.

ჩანერგავს — იმერ.

ჩასვამს — კახ.

ჩაასობს — იმერ., რაჭ.

ჩააგდებს — კახ., ქიზ.

ჩადგამს — ქართლ.

დააბავებს; ჩააბავებს — ქართლ.

ვენახს გააშენებს. „ვაზის გარკვეული წესით დარგვასა და გახარებას ვენახის გაშენება ეწოდება. აშენებს, შენებულ გვხვდება ძველ-ქართულში: „მერმე აშენოთ ვენაგები მთასა სამარიასასა“ (იერემ., 31,5 იერუს.). „შთავიდეს ორნივე ზოგად ვენაგსა მას აშენებულსა მისსა კეთილად ნაყოფიერსა“ (გრ. ხანძთ. ოდ.).

ტერმინი გააშენებს თანამედროვე ქართული ენის კილოებში: „წინათ რქაზე აშენებდენ“ (ქართლ., ყანჩავეთი). „რქებს რომ მოვჭრიდით, იმას გავამწკრივებდით. გავამრავლებდით, გავაშენებდით“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ჯერ არ არის გაშენებული ვენახი, სავენახეა და ვაზი უნდა ჩაყარო“ (კახ., გავაზი). „არ ვიცოდით ვაზის პირდაპირ ჩაყრა ერთბაშად და ერთი ვენახის აშენებას მთელ ჩვენ სიცოცხლეს ვუნდებოდით“ (გ. ვახ., „შინამრეწვ.“). „მეორე-მესამე წელიწადს გადავაწვევ-გადმოვაწვენდით, გადავწინავდით... ის—იქიდან, ის—აქიდან ერთმანეთში გაიბმებოდა და აშენებოდა ვენახი“ (ქიზ., „შინამრეწვ.“). „როცა ვენახი აშენება გვინდოდა, ჯერ გადავჭრიდით შარებათ ორ ბარი პირზე“ (იქვე). ძველი ვენახის ამოვარდნის შემთხვევაში ახალი ვენახის გაშენებას შეუდგებოდა“ (კახ., ბოჭორ.). „ვენახის გასაშენებელი იარაღი ეს იყო: მახვილი, ხელწალდი“ (ვურ., „შინამრეწვ.“). „ვენახის გაშენება-მოვლისათვის საჭიროა: სამხუთს წელიწადში ვენახი უნდა გადაშენდეს...“ (იქვე).

ვენაგს დაასხამს. ვენაგს დაასხამს გვხვდება ვენახის გაშენების მნიშვნელობით ძველი ქართული ენის ძეგლებში. „კაცი ვინმე იყო მამასახლისი, რომელმან დაასხა ვენაგი და შეზღუდა იგი“ (მათე 21. 33 C). „კაცმან ვინმე დაასხა ვენაგი და მისცა მოქმედთა“ (ლუკა, 20.9 C). „ვენაგი დაასხა კაცმან და გარემომს მოზღუდა და აღმოთხარა ტაგარი და ქმნა გოდოლი და მისცა იგი მოქმედთა და წარვიდა“ (მარკოზ., 12.1 C). „ვენაგებსა ნუ დაასხამთ“ (იერემ., 35.7 იერუს.): „ვენაგი დავასხ და ზღუდე გარე-მოვსდე მას“ (ბას. დიდი. 57,3).

ვენაჯს დანერგავს. ძველ ქართულში ვენაჯის დასხმის გარდა გვხვდება აგრეთვე ვენაჯის დანერგვა. „აღვიშენენ ჩემდა სახლნა, და ვნერგე ჩემდა ვენაჯნი“ (ეკლესია სტ., 24 იერუს. „მესამესა წელსა სთესოთ და მოიმკოთ და დაჰნერგოთ ვენაჯები“ (JV მეფ. 19, 29. ოშ.), „დასანერგავად ვენაჯისა“ (მიქია, 1, 6. იერუს.). „მე და ვნერგე შენ ვენაჯად ნაყოფიერად“ (იერ., 2, 21, იერუს.). „მცირედ ვენაჯნი ჭირით და ურავით და უნერგვან და გვრცთვე მტილები“ (გრ. ხანძთ.. 24, 26).

ვენახის კეთება: „მარტიდან უნა დავიწყოთ ვენახის კეთება“ (იმერ., ქართ. დიალ., 1, 462).

ვაზს ჩაყრის. „სუ ნიადაგი იყო, ე. ი. არაფერი — არც ხე, არაფერი იყო, მერე ვაზი ჩაეყარეთ“ (ქართლ., ბერბ.). „ჩავყრ' დი ვაზსა მწვანეს“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ახლად რომ ჩაეყარი დით ცარიელ მიწაში ვაზსა, იმას ბაგას ვეტყოდით“ (იქვე). „უნდა გადააბრუნო დედამიწა არშინზე, ისე ჩაჰყარო ბაგა“ (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“). „ჯერ არ არის აშენებული ვენახი. სავენახე და ვაზი უნდა ჩაეყარო“ (კახ., ვაზი). „ვაზის ჩაყრა, ახლად რო გააშენებ, დარგვა — სათბურში ნახერხს ჩაეყრით, დამყნობილებს ნახერხში ჩაესხამ“ (კახ., ყვარ.). „ვაზი გაისხლა, გაზაფხულზე აიჭრა რქა, არც ფოთოლი აქვს, ჩავრგავთ მიწაში. ეს არის (ვაზის) ჩაყრა“ (იქვე). „გვინდა ვაზი ჩაეყაროთ, თავსა და ბოლოში პალოებს დავარკობთ, მართულს გავაბამთ“ (კახ., საბუე). „ამოთხრილ, დაბარულ მიწაში ჩაჰყარი და რქას და მიაყრიდა მიწას. გაზაფხულზე გაიკეთებდა კვირტს. ტოტებს ამოიტანდა“ (გ. კახ., „შინამრეწვ.“). „წელს რომ ჩაეყარი თ ვენახს, ახალშენს უძახით“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „მარტში რომ ჩაეყარი თ ნამყენს, მაისში ამოსულია“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

დაბავავს, დაბავავა, დაიბავება (ვაზის დაბავავით ახალი ვენახი—ბაგა კეთდება): „წინათ რქაზე აშენებდნენ, დაბავამდენ“ (ქართლ., ყანჩ.). „უნდა დაიბავავოს ესე: რუები გაიჭრება და რქას გაუჩრებთ, მერე მივაყრით მიწასა და მერე მოიწყვეება და იხარებს“ (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“).

ვაზს გააახლებს. გამხმარი ვაზის ადგილზე ცარიელი ადგილი რომ არ დარჩეს ვენახში, ახალი ვაზის გახარება არის საჭირო. ახალი ვაზის გახარებას, ვაზის გაახლება ეწოდება. „გაუთხრიდით განივრად სამარეს ორი ბარის პირს, მერე გადვიყვანდით რქასა და ველს გავავსებდით და გაავახლებდით ვაზსა. როგორც გაავახლებდით, ისე გავამრავლებდით“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

„უსურ ვაზსაც ვაახლებდით, განა სულ ძირიანად კი არ მოვჭრი-
დით, ვაახლებდით“ (იქვე). „იცოდენ ძველათ ვაზის გადა-
ბარვა, ვაზის გაახლება“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

ვენახის ავსება. ვენახში ცარიელი ადგილის ვაზის გადაწვევით
შევსებას ვენახის ავსება ეწოდება. „ავსება ვენახისა —
ვენახის შევსება ვაზით“ (ქიზ., მენთ.). „მესამე წელიწადს
მწკრივში გავასწორებდით, დავშარავდით და მეოთხე წელიწადს და-
ვიწყებდით ავსებას. ექვს წლამდი უნდოდა (ვენახის) ავსე-
ბას“ (კახ., „შინამრეწვ.“).

გაავსებს, გადაავსებს, შაავსებს. „გაუთხრიდით განივრად სამა-
რეს ორი ბარის პირს, მერე გადავიყვანდით რქასა და ველს გაავსე-
სებდით“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „გადავწიდნით და გა-
დავავსებდით, შარი შარ... ჩავყრიდით და ამას ვეძახოდით
ბავას“ (იქვე). „თუ ვაზი ამოხმებოდა, სხვა ვაზს გადავაწვევდით და
შაავსებდით“ (ზ. კახ., „შინამრეწვ.“).

ამრიგად, ვენახის გაშენების და შევსების აღმნიშვნელი ტერმინებია:

გააშენებს (ვენახს) შენებული — ძვ.

ქართ., ქართლ.

აშენდება, აშენება, აშენებული — კახ.,
ქიზ.

გაშენება, გასაშენებელი — გურ., კახ.

დაასხამს ვენახს — ძვ. ქართლ.

დანერგავს — ძვ. ქართლ.

ვენახის კეთება — იმერ.

ჩაყრის — ქართლ., კახ., იმერ., რაჭ.

დაბავსებს, დაიბავება — ქართლ.

გაახლებს — ქართლ., რაჭ.

ავსება — კახ., ქიზ.

გაავსებს, გადაავსებს — ქართლ.

შაავსებს — კახ.

**გადაწვენს ვაზს, რქას (ვაზის გადაწვენა), გადმოაწვენს, დაწ-
ვენს (დაწვება), ჩაწვენს.** ვენახის ავსება, ვაზის გაახლება ხდება
რქის გადაწვევით, რქის გადაწვევით ვენახის გაშენებას სხვადასხვა
სახელს უწოდებენ. ერთი მათგანია გადააწვენს. ტერ-
მინი გადააწვენს (გადაწვენა, აწვენს, და-

აწვეენს, გადმოაწვეენს, ჩააწვეენს და სხვა.) საქართვე-
 ლოს თითქმის ყველა კუთხეში იხმარება. თუმცა გადააწვეენს
 ტერმინთან ერთად ქართველი მეურნე სხვადასხვა კუთხეში
 სხვა ტერმინებსაც ხმარობს (წილნავს, გადაწივინს, დაამაგი-
 ნებს). „ნაცარიც ყველაზე წინ ჯანაანურას ააჩნდებოდა ხოლმე,
 ამისათვის გავკაფავდით ხოლმე და იმის მაგივრად რქაწი-
 თელსა, საფერავსა და სხვა ყურძნებს ვაწვეენდით“ (შ. კახ.,
 „შინამრეწვ.“). „ვაზის წვეენა უფრო მაშინაა კარგი, ვინემდისინ
 კვირტი გამოა, მერმე კი არა“ (შ. კახ., მარტ., იმნ.).
 „ამდენი და ამდენი ვაზი მაქვს საწვეენი“-ო (კახ., ბოჭორ.). „ვაზს
 რომ კარგი ტოტები, რქები ექნება, იმას გადავაწვეენდით და
 გადავმუხლავდით და ამოვიდოდა ახალი რტო, როგორც გადააახ-
 ლო ის არის“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „როცა ვაზი ბერდება, ოთხ
 რქას ვუშვებთ ზედა, გადავაწვეენთ და შეემატება ვაზი ვე-
 ნახს“ (კახ., ყვარ.). „გაზათხულზე რომ გადააწვეენ, ამოიტანს
 რქებს“ (კახ., გურჯაანი). „თუ ვაზი ამოხმებოდა, სხვა ვაზს გად-
 ვაწვეენდით და შევავსებდით“ (შ. კახ., „შინამრეწვ.“). „ვაზის
 ძირიდან გავჭრიდით ორ ბარის პირზე და გადავაწვეენდით, რო-
 ვრთ არშინზე ახლო არ დამდგარიყო“ (იქვე). „აპრილის მერმე კი
 კვირტი სცვივა და გადაწვეენა აღარ შეიძლება. თითო ვაზი
 თავნის ვარეთათ სამ-ოთხ ვაზსა მატულობდა“ (იქვე). „გადა-
 წვეენა გაუჭრი მიწას, წეიყვან ლერწმს და ამოაყოფინებ თავს“
 (იმერ., საქარა). „ერთ წეკს მარჯვნივ გადავაწვეენდით სამ ჩა-
 რექზე კვალში და მეორეს — მარცხნივ“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“).
 „ერთი არშინის სიგრძეზე ძველი ლერწმიდან მიწას ამობარავდენ
 თითქმის ორ ჩარექ ნახევარზე, წეკს გადმოაწვეენდენ ამობა-
 რულში“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „რქას კიდენა სამ-ოთხს ერთ
 ადგილას ჩავვაგდებდით, ზოგი იხარებდა, ზოგი არა... მერმე
 ის რომ თხარებდა, მეორე მესამე წელიწადს გადავაწვეენ-გადა-
 მოვაწვეენდით“ (ქიზ., „შინამრეწვ.“). „დატუკული ვაზი რქებს
 გაიტანს — საწვენ რქას გაიკეთებს და მომდევნო შემოდგომაზე ან
 გაზათხულზე დაწვეება“ (კახ., ბოჭორ., 12). „გაითხრებოდა მიწა
 სამ ჩარექ სიღრმეზე, არშინი სიგრძე ექნებოდა და რქას ჩააწვეენ-
 დენ ნახევრად და ამოუშვებდენ ზევით ერთი ჩარექი დონს“
 (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „საცა ვაზი უნდა გადაგვეწვი-
 ნა, — იქ ორი ბარი პირ ამოვიღებდით და ვაზ ჩავაწვეენდით,
 წვეერს იქ ამოუშვებდით, საცა აკლდა“ (ქიზ., „შინამრეწვ.“).

წიღნა. წიღვნა. წიღნა, წიღვნა ვაზის გადაწვევით გამრავლების აღმნიშვნელი სიტყვებია. „წიღნა — ვენაჯის გარდაფლვა“ (საბა). „წიღნა — ვაზს რომ კარგი ტოტები, რქები ექნება იმას გადაწვევით და გადავმუხლავდით და ამოვიღოდა რტო, როგორც გადააახლო ის არი“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „როდესაც ვაზის რქას გადახნეკავენ, შუაწელს მიწაში ჩაუფლავენ და წვერს ზემოთ ამოაშვერინებენ, რომ მისგან წარმოიშვას ახალი ვაზი, მას ეწოდება წიღნა“ (ქართლ., ლეონ.). „წიღვნას ვეტყვოდი, რომელიც ვაზი დაბერდებოდა, ემას ველი ქონდა, გაუთხრიდით საფლავს და ჩავაწვევდით და ჯერ პატივს მივყარიდით ერთ ზურგს. რასაც მოერეოდა ერთი კაცი, მერე შემდეგ მიწასა. ორიდან სამამდე კუთხეებში იმ ბებერ ვაზს ამოუშვერდით რქას, ორგან, სამგან მეტს არა“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

გადაწიღნის, გადაწიღვნავს. „წრეულ რომ გადავწიღნით მეორე წელს მოისხამს“ (ქართლ., ბერბ.). „შევარჩენთ (ვაზს) ოთხ ტოტს, გავთხრით მიწას და გადავწიღნით“ (იქვე). „ძველად როცა ვაზი დაბერდებოდა, გაუთხრიდით ვაზს წინ და იმ ვაზს გადავწიღნავდით“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „გადაწიღვნა (არის) ერთი ვაზი რომ იყო, იმას გავსხლავდით და გაუშვებდით ოთხამდე. ექვსამდე“ (იქვე). „(რქა) რომელიც გაიხარებდა და მოლონიერდებოდა გადაწიღნავდენ რომ ცარიელი შარი არ გამოსულიყო და ყოფილიყო ხშირად, ყოველ სამ ჩარექსე უნდა ყოფილიყო ვენახი“ (იქვე). „რქას კიდენა სამ-ოთხ ერთ ადგილას ჩავაგდებდით, ზოგი იხარებდა, ზოგი არა... მერმე ის რომ იხარებდა, მეორე, მესამე წელიწადს გადავწვევ-გადმოვწვევდით, გადავწიღნავდით“ (ქიზ., „შინამრეწვ.“). „ამოთხრილ მიწაში ჩანერგავდენ ლერწს, როცა გეიხარებდა იქით-აქეთ გადაწიღნიდენ“ (ზ. იმერ.. „შინამრეწვ.“).

დაწიღნის, დაწიღვნა, დაწიღვნა. დაწიღნვა და დაწიღვნა ორივე ფორმა გვხვდება საბას ლექსიკონში „დაგამინება სიტყვის განმარტებაში“, „ორმოც ამოჭრიან, დაწიღნიან. მერე პატივ დააყრიან. ესლა შამაილეს ნამყენი“ (ქართლ., ყანჩ.). „თავთავ დააწყობენ რქას, იხეირებდა და მერე დაწიღნიდენ“ (იქვე).

ჩაიწიღნება. „თხელი ვაზი სადაც არის ჩაიწიღნება მიწაში. რომელსაც კაი რქა აქვს იმას დავწვევით“ (ქართლ., ატენი).

გადაწიღნვა. ივ. ჯავახიშვილის აზრით, წიღნა უნდა წინდი-სა-

გან იყოს წარმომდგარი⁴⁵. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს იმერეთში გავრცელებული იმავე მნიშვნელობის ტერმინი გადაწინდვა „გ ა დ ა წ ი ნ დ ვ ა ვენახისა—გადაწინდნა ვენახისა“ (ზ. იმერ., წერეთ.).

გადაწინდრვა. „წინათ ასე რგავდენ: ოთხკუთხათ ამოჭრიდენ მიწას და ჩარგავდენ შიგ ლერწს. მერე იცოდენ გ ა დ ა წ ი ნ დ ვ რ ა ვაზს წავუთხრიდით მიწას და წამოვაქცევდით“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“).

დაწინდმის. „გაზაფხულზე უნდა გაგვესხლა, დასაწინდმი იყო დაეწინდმიდით, დავბარამდით და შავყელამდით“ (ქართლ., „შინამრეწვ.“).

გადაწიგნავს, დაწიგნავს, წიგნა. გადაწინდნავს, წიღვნა, წიღნას-მნიშვნელობით როგორც ქართლში, ისე იმერეთში იხმარება გ ა დ ა წ ი გ ნ ა ვ ს , დ ა წ ი გ ნ ა ვ ს , წ ი გ ნ ა . „ადგილი აღარ გვქონდა, რომ გადაგვეწიგნა (სქელში რათ უნდოდა წიგნა, ველი რომ აღარ იყო)“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ძველად გ ა დ ა ვ წ ი გ ნ ი დ ი თ , როდესაც ვენახი ტანზე ამოიყრიდა, რომ ნაყოფი გამოვლო“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „გ ა დ ა წ ი გ ვ ნ ი ს უმძღვე გეიზრდებოდა და გეიკეთებდა ძირს, მერე ტანს“ (იქვე). „ვენახისათვის რომ თხრილს გავთხრიდით და ზედ ლერწებს გადავიყვანდით, იმას ვეძახოდით გ ა დ ა წ ი გ ვ ნ ა ს ვენახის გასამრავლებლად“ (იქვე). „ვენახი დ ა ვ წ ი გ ნ ე ; გაახალშენდებოდა მიწაში ძირები“ (იმერ., გელათი). „მესამე წელიწადს გ ა დ ა ს ა წ ი გ ნ ა რ ი ა ლერწი“ (იქვე).

გადანაწიგრება. „გ ა დ ა ნ ა წ ი გ რ ე ბ ა — ვაზის დაწინდვა“ (ლენხ., ჩიქ.).

დაბაგვა. „დ ა ბ ა გ ვ ა ვაზის გადაწიღვნა, ვაზის მიწაში გადაწვენა და ჩაფლვა გასამრავლებლად, ვაზით ახალი ვენახის გაშენება“ (ქართლ., ძიძიგ. და სხვ.).

დაამაგინებს, გადაამაგინებს, დამაგინდება, ჩაამაგინებს. გუჟრია-აჭარაში ვაზის გადაწვენას დ ა ა მ ა გ ი ნ ე ბ ს , გ ა დ ა ა მ ა გ ი ნ ე ბ ს ეწოდება. „უფრო შემოდგომაზე ვ ა მ ა გ ი ნ ე ბ თ“ (ქვ. აჭარ., ქართ. დიალ. I, 411). „გ ა დ ა მ ა გ ი ნ ე ბ ა ასე ხდებოდა მოძველებულ ვენახს ჩამოსწევენ ქვევით, ხის ძირშივე მოთხრიან მიწას და შიგ გააწვენენ. ორბოტიკა ჯოხით მიწაში ვენახს ჩაამაგრებენ და ზედ მიწას მიაყრიან. ეს ვენახი გამოიღებს ლერწებს და ამას გაუშვებენ ხეზე და ვენახი გაახლდება. ძველს მიაჭრიან“ (გურ.,

⁴⁵ ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრ., გვ. 313.

„შინამრეწვ.“). „ხშირად ვენახს როცა მოძველდება გაღამაგინებენ“ (იქვე). „სამ-ხუთს წელიწადში ვენახი უნდა გადაშენდეს, ხე დაისხეპოს, ვენახი დაბლა დაიშვას, გაისხლას დაღამაგინდეს“ (იქვე). „მსხვილ ვენახს დააწვენენ გათხრილ მიწაში დაღამაგინებდენ“ (იქვე). „ყურძენს დანაცრავდა, არც დაღამაგინებამ ცადა და არც არაფერმა“ (ქვ. აჭარ., ქართ. დიალ. I, 411) „ყურძნის ჭავლს ჩამოვიღეთ ძირში, ჩავამაგინეთ, ჩავრგავთ, ძირს გეიკეთებს“ (იქვე).

დაგამინება. „დაგამინება — დაწინდვა (დაწინდნა)“ ვკითხულობთ საბას ლექსიკონში.

გადაგაზავს, დაგაზავს (დაგაზვა). ხანისწყალელთა მეტყველებაში დადასტურებულია გადაგაზვა, დაგაზვა გადაწვენის მნიშვნელობით. „დაგაზვა — ვენახის გადაწვევ-გადმოწევა“ (იმერ., დიალ.) „გადაწვენა, გადაფშანვა — გადავგაზე ვენახი — გადავწვინე, დავწიგნე“ (იქვე).

გადაფშანავს, დაფშანავს. გადაფშანვა იგივეა, რაც გადაწვენა. „გადაწვენა. გადაფშანვა — გადავგაზე ვენახი — გადავწვინე, დავწიგნე“ (იმერ., დიალ.). დათოხნის მერე დავფშანავთ — წავაქცევთ ვენახს და ლერწებს ამოვაცოფინებთ თავს“ (იმერ., ქართ. დიალ. I, 462).

გადაბარავს, გადაბარვა. დასავლეთ საქართველოში გადაწვენის მნიშვნელობით გადაბარვაც გვხვდება. „ვაზის გადაბარვა — ერთი არშინის სიგრძეზე ძველი ლერწიდან მიწას ამობარავდენ, თითქმის ორ ჩარქე ნახევარზე, გადმოაწვენდენ ამობარულში. ნეკს ამოაცოფინებდენ თავს ძველი ვაზის ერთი არშინის დაცილებით და გადაჭრიდენ ორ კვირტზე. ამოხეთქავდა და ახალი ვაზის შოღონიერების შემდეგ ძველ ვაზს მიაჭრიდენ მიწაში გადმოსულ ლერწს“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „იცოდენ ძველათ ვაზის გადაბარვა, ვაზის გაახლება“ (იქვე). „ცოლიკოურის გადაბარვარ შეიძლება“ (იმერ., ობჩა). „მიწას გადაბარავდენ ხოლმე და ჩარგავდენ ლერწს. გეიხარებდა და გადაბარავდენ გვერდზე“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). ამ ფრეზაში პირველი გადაბარვა ჩვეულებრივი დაბარვაა, მეორე კი დაწინდვის მნიშვნელობით არის ნახმარი.

გადაშენდება. გადაშენდება ნიშნავს, რომ ვაზი გადაიწინდება. „სამ-ხუთს წელიწადში ვენახი უნდა გადაშენდეს“ (გურ., „შინამრეწვ.“).

გადააქცევს, გადმოაქცევს, წააქცევს. „აკლია ვაზი—ვაზი შავი-
ძლია გადმოაქციო“ (ქართლ., ყანჩ.). „დარჩება გადასაქ-
ცევად (რქა). გადავაწვენთ და შავყელამთ“ (იქვე). „ვაზი მაქვს
წასაქცევი“ (კახ., ბოჭორ., 12). „დათონის მერე დავფშანავთ—
წავაქცევთ ვენახს და ლერწებს ამოგაყოფინებთ თავს“ (იმერ.,
ქართ. დიალ. I, 462).

გადაიყვანს. ქართლში გვხვდება აგრეთვე გადაიყვანს ვაზის
გადაწვევის მნიშვნელობით. „გაუთხრიდით განივრად სამარეს ორი
ბარის პირს, მერე გადავიყვანდით რქასა და ველს გავავსებ-
დით“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

ჩაფუძნება. „მორჩებიან თუ არა „ძიროულების დაბინაევებს“,
მერე დაიწყებენ რქების „ჩაფუძნებას“ (რაჭ., ფრ.).

დამუხლავს, გადამუხლავს. ვენახში შიგა და შიგ გამხმარი ვა-
ზის ადგილი რომ შეეცსოთ, ამისათვის მეზობელი ვაზიდან რქა უნ-
და გადმოეწვინათ, ასეთი ხერხით ვაზის გაახლებას დამუხვლა
ეწოდება „დამუხვლა ვაზის გამრავლების საშუალებაა“
(ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ვაზის დამუხვლა ვიცოდით, ერთი
ვაზის დაბერებულის გაახლება იყო“ (იქვე). „...გადავწინდით. ვა-
ზის გასამრავლებლად მეორე საშუალება იყო დამუხვლა; ძა-
ლიან დაბერებული, დაღონებული (დასუსტებული) ვაზის დამუ-
ხვლა ვიცოდით“ (იქვე). „დიდ ხანს უნდა გაველო რომ ვენახი სა-
მუდამოდ „ამოვარდნილიყო“. თუ ვაზი ამოხმებოდა მეზობელი ვა-
ზის შესაფერის რქას „გადამუხლავდენ — გადაწვენდენ“
(კახ., ბოჭორ., 12). „მწკრეზე ჩაჰყრიდა... შარში რქას და მიიყრიდა
მიწას. გაზაფხულზე გაიკეთებდა კვირტს, ტოტებს ამოიტანდა და
მერმე იმ შამადგომაზე და ზამთარში გადავმუხლავდით,
მერმე კარგს ამოიტანდა და მაშინ გადავაწვენდით“ (გ. კახ., „შინა-
მრეწვ.“).

დაათარგულებს, დათარგულება. დათარგულებას ბ. წერეთელი
იმერულ ლექსიკონში ასე განმარტავს: „მალღარ ვენახს რომ გად-
მოიყვანდნენ ხიდან; მიწას მოუჩხრეკდნენ; ჩარგავდნენ და როდე-
საც გაიხარებდა, შეუშვებდნენ მეორე ხეზე, ამ საქმიანობას უწო-
დებენ დათარგულებას“. „მალღარს ზოგჯერ მეორე ხეზე გა-
დაიყვანდნენ ხოლმე ხიდან. მერე მიწაზე დათარგულებდენ:
ხიდან რო უნდოდათ გადმოიყვანა, მიწას გოუჩხრეკდენ და გადაიყ-
ვანდნენ, მერე შეუშვებდნენ მეორე ხეზე. მეორე-მესამე წელიწადს
გასხლავდენ წალდით“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“).

ამრიგად, ვაზის გადაწვევით გახარების აღმნიშვნელი ტერმინებია:

აწვენს, წვენა, საწვენი — კახ.
გადააწვენს — ქართლ., კახ., ქიზ., იმერ., რაჭ.
გადმოაწვენს — ქიზ., რაჭ.
დაწვება — კახ.
ხააწვენს — ქართლ., კახ., ქიზ.
წიდნა, წიდვანა — საბა, ქართლ.
გადაწიდნის — ქართლ. კახ., ქიზ., იმერ.
დაწიდნის, დაწიდვანა, დაწიდვანა — საბა, ქართლ.
ხაიწიდნება — ქართლ.
გადაწინდვანა — იმერ.
გადაწინდრვანა — იმერ.
დაწინდმის — ქართლ.
წიგნა — ქართლ.
გადაწიგნავს — ქართლ., იმერ.
დაწიგნავს — იმერ.
გადანაწიგრება — ლეჩხ.
დაბავანა — ქართლ.
ამაგინებს — აჭარ.
გადაამაგინებს — გურ.
დაამაგინებს, დაამაგინდება — გურ., აჭარ.
ჩაამაგინებს — აჭარ.
დაგამინება — საბა
გადაგაზავს — იმერ.
დაგაზვანა — იმერ.
გადაფშანვანა — იმერ.
დაფშანავს — იმერ.
გადაბარავს — იმერ., რაჭ.
გადაშენდება — გურ.
გადააქცევს — ქართლ.
გადმოაქცევს — ქართლ.
წააქცევს — კახ., იმერ.
გადიყვანს — ქართლ.
ჩაფუძნება — რაჭ.
დამუხლავს — ქართლ.
გადამუხლავს — კახ.

მცნობა. საქართველოში ფილოქსერის გავრცელების შემდეგ (მე-19 საუკ.) შემოიღეს ვაზის მცნობა.

ამყნის, ანამყნის, დამყნა, დამყნობა, დაიმყნობა (დაიყვანება). „ეხლა ვაზს მწარეზე ანამყნიან, იმას ფილოქსერა არ უჩნდება“ (ქართლ., გაჩ.). „ლერწს ასე ვამყნით“ (რაჭ., „შინამრეწვ.“). „და მერე დაიყვანება ტკბილი ვაზი იქნება ერთი „ვერშოკი“ და მწარე ვაზი იქნება შვიდი ვერშოკი და დაიყვანება და მერედ მოეხვევა რაფია“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ვაზის დამყნა“ (კახ., გავაზი). „დამყნობილი ვაზი“ (კახ., ყვარ.). „წინათ დამყნა არ იცოდენ“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“), „საჭირო იყო ძველი ვენახის მოსპობა და ამ ჯიშების დამყნა“ (ქვ. რაჭ., „შინამრეწვ.“). „მწარე ლერწზე სხვადასხვა ჯიშების დამყნობა“ (იქვე).

მონამყენდება. „მერე მონამყენდება გაზაფხულზე ისი წარე ლერწზე. კაი ჯიშის ვენახს დავამყნით წარეზე—საძირეზე“ (ზ. იმერ. ძოწ., 1.432). მყნობა სხვადასხვაგვარია და სახელიც სხვადასხვა ჰქვია.

კალმით მყნობა, კინწით (კინწით) მყნობა სტ. მენტეშაშვილის ქიზიყურ ლექსიკონში „კინწით მყნობა და კალმით მყნობა“ შემდეგნაირად არის ახსნილი: „ახალი შტოთი მყნობა. საძირეს გადასტრიან, ქერქსა და მერქანს შორის წვერწათლილ შტოს, კალამს ჩაურჭობენ, მერმე ზემოდან და გარშემო მონაჭერს აყალო ლაფს წაუსვამენ სქლად, ჩვარს შემოახვევენ, ბაწარს შემოუჭერენ, რომ წვიმის წყალი არ ჩავიდეს, ან მზემ არ შეაწუხოს, კენწერი გარეთ ჩანს, როცა გაიგებს (გაიხარებს) შემოხსნიან ჩვარსაც და ლაფსაც“ (ქიზ. მენტ.).

კვირტში მყნობა. „მყნობა ორნაირად ვიცით: კინწით მყნობა და კვირტში მყნობა“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“), „კვირტზე დამყნობა“ (იმერ., ამაღლება), „ნამყნობა რომ შემოვიდა. რკო ყურძენი კვირტად იყო დასამყენად“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

ცივათ მყნობა. „კარგა აკეთებს კოლექტივი ცივათ დამყნობილ არც როდის არ ჩაყრის და ეგრეც უნდა. როცა ცივათ დამყნობილი ჯერ „შკოლათ“ არის გაკეთებული და მერმე სავენახე ადგილში ჩაიყრება, მაშინ გაცდენაც ნაკლებია“ (ქიზ., ქართ. დიალ. I, 216).

ნამყენობა. „ავანტყოფობა ამ ნამყენობაში არ იცის,

ოლონდ ჰრაქი იცის, თუ წამალი შეუცდა“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“), „ჩნაველი საოჯახო ღვინო იყო. ნ ა მ ყ ე ნ ო ბ ა მოვიდა, მოსპო მაშინ იგიც“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

დაკალმება. ახალი შტოს — კალმის სამყენად აჭრას და კ ა ლ მ ე ბ ა ეწოდება. „დაკალმება — კალქმის აჭრა“ (მაყ.).

ირიბი. „შვაზე, ამ ი რ ი ბ ზ ე გაუკეთებთ დასამყნელ ენას“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „აუცილებლათ კვირტის მახლობლათ უნდა გავაკეთოთ ი რ ი ბ ი“ (იქვე).

დასამყნელი ენა. „ირიბზე გაუკეთებთ დასამყნელ ენას, ვანსაც ასე გადავთლით და გაუკეთებთ ენას ისე, რომ ენები ერთი მეორეს გადაკეტავენ“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

ნაჭრელები. „ვჭრით მწარეს და ვამყნობ ვაზს შუაზე და ნაჭრელებში ვაერთებთ ორივეს“ (კახ., გავაზი).

ნაჭდევი, კილო. „დედოსაც და კვირტსაც ირიბულად წაჭრილი თავის შუაში უკეთებენ ნაჭდევის — კილოს“ (იმერ., ჭუმბ.).

ამრიგად, მყნობასთან დაკავშირებული სახელწოდებებია:

ამყნის, ანამყნის — ქართლ., რაჭ.

დაიმყნობა (დაიყვნება), დამყნა,

დამყნობა — ქართლ., კახ., ქიზ., იმერ., რაჭ.

მონამყენდება — იმერ.

კალმით მყნობა — კახ., ქიზ.

კინწრით მყნობა — კახ., ქიზ.

კვირტში მყნობა, კვირტზე მყნობა —

იმერ., რაჭ.

ცივათ მყნობა — ქიზ.

ნამყენობა — იმერ.

დაკალმება — მაყ.

ირიბი — რაჭ.

დასამყნელი ენა — რაჭ.

ნაჭრელები — კახ.

ნაჭდევი — იმერ.

კილო — იმერ.

სავენახე ადგილი, მიწა

ვენახისათვის საგანგებოდ უნდა შეირჩეს ადგილი. „ს ა ვ ე ნ ა ზ ე ადგილს შერჩევა უნდა“ (გურ., „შინამრეწვ.“); „თუმცა კა-

ხელი გლეხის თქმით „ს ა ვ ე ნ ა ხ ე ა დ გ ი ლ ს ჩ ე ვ ე ნ ა რ ვ ა რ ჩ ე ვ -
 დ ი თ, ვ ი ს ა ც ს ა დ უ ნ დ ო ლ ა ი ქ დ ა ვ შ ა რ ა ვ დ ი თ“ (გ. კახ., „შინამრეწვ.“).
 „ვენახს განიერი ალაგი უნდოდა მაღლობი ალაგი, დაბლობ-
 ში ვახი არ გამოდგება“ (ქართლ. ჩრდ., „შინამრეწვ.“). „ვენახს უნდა
 ზ ი გ უ ლ ი ა დ გ ი ლ ი, ს ა დ ა ც ზ ი გ უ ლ ი უ დ გ ე ბ ა“ (ზ. ქართლ., „შინა-
 მრეწვ.“). „ვენახს უნდა ცოტა ფერდა ადგილი ძალიან ვაკე არ
 ვარგა; მშრალი—ტალახზე არ ივარგებს“ (ქართლ. სამხრ., „შინა-
 მრეწვ.“). „ალაგი უნდა მოგვენახა, რო მისდგომოდა წყალი, მოგვერ-
 წყა, ფ ი ც ხ ი ა დ გ ი ლ ი უ ყ ვ ა რ ს, ქ ა რ ი ა ნ ი“ (იქვე). „(ვახს) ქარი
 უნდა ხვდებოდეს, რო არ გამოიხანძლოს, შიგ უნდა იმუშავოს ქარ-
 მა, აიოდლოს, კოდა არ გაიკეთოს“ (იქვე). „აქ სუ სავენახე ადგი-
 ლებია, არც სუ ჭყანტშია კარგი, არც მთაში. ეგრე შუა ადგილი,
 ცოტა ფერდა ჯობია, აგრე რო წყალი არ უნდა გუბდებოდეს“
 (შ. კახ., „შინამრეწვ.“). „ვენახი ახო ადგილზე უფრო კარგი გამო-
 დიოდა, ან დიდი ხნის დაყამირებული ადგილი იქნებოდა“
 (კახ., დიალ.). „პირჩრდილში ყურძენი არ იწეოდა, პ ი რ მ ზ ე შ ი კ ი
 კ ა რ გ ა ი წ ე ო ლ ა“ (იქვე). „მიწას აბრუნებენ სამ ჩარექზე თუ გვერ-
 დობია, ერთ არშინზე“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ვენახისათვის შავ
 მიწას შეარჩევენ ხოლმე მოწმენდილი, მ ზ ი ა ნ ა დ გ ი ლ ზ ე“ (იქვე)
 „სავენახე ადგილებს ავარჩევთ, რაც შეიძლება თბილს, ქარი⁴⁶ არ
 უნდა უდგებოდეს, თბილი ადგილი უნდა იყოს, წ დ ა ლ ი ა დ გ ი -
 ლ ი, ჭყონდი და ჭაობიანი რომ არ იქნება“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).
 „სავენახე ადგილს მზე უნდა უდგებოდეს, გრილი არ უნდა იყოს“
 (იქვე). „ს ა ვ ე ნ ა ხ ე ა დ გ ი ლ ე ბ ს ფ ე ნ ი ლ ი ა დ გ ი ლ ი უ ნ დ ა“ (იქ-
 ვე). „მ ზ უ ა რ ე ა ა დ გ ი ლ ი, ს ა დ ა ც მ ზ ე ა დ გ ე ბ ა დ ი ლ ი დ ა ნ ს ა ლ ა მ ო მ -
 დ ე—მ ზ ვ ა რ ე ა ვ ე ნ ა ხ ი დ ა კ ა რ გ ი ყ უ რ ძ ე ნ ი გ ა მ ო ვ ა ო“ (იმერ.,
 დიალ.). „მ ზ უ ა რ ე — პ ი რ ი მ ზ ი თ რ ო გ ვ ე რ დ ო გ ა მ ო დ ო ს ზ ო ვ ა დ -
 გ ი ლ ს ს ა ხ ე ლ ა დ ა ც ქ ვ ი ა“ (იქვე). „ჩვენში სავენახე ადგილისათვის
 უფრო ზ ე გ ნ ე ბ ს ე ტ ა ნ ე ბ ო დ ნ ე ნ, ს ა მ ზ ე უ რ ო ა დ გ ი ლ ე ბ ს“ (გურ.,
 „შინამრეწვ.“). „სავენახე ადგილს იქ ირჩევენ, სადაც ფხვნილი მიწა
 იყო, სადაც უ მ ხ რ ო ბ დ ა მ ზ ე, ჩამავალი და ამომავალი. უმეტე-
 სად ჩამავალ მზეს ეტანებოდენ, რადგან ეს ყურძენს უფრო ამწი-
 ფებს“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „ვახითვინ ვარჩევთ მ ზ ი ლ რ
 ა ლ ა გ ს... ფ ე რ დ ო ჯ ო ბ ი ა, მ ზ ე ზ ე მ ი ფ ი ც ხ ე ბ უ ლ ი“ (ზ. რაჭა,

46. იგულისხმება დიდი ქარი.

„შინამრეწვ.“). „ვენახს — თბილი და მზიური მხარე“ (იქვე). „ვარჩევთ შავ მიწას; ცოტა ნიავი რომ მოქმედობს — ჰე, ისეთს. თლა ჩავარდნილ ადგილს არ ვარჩევთ“ (იქვე).

ამრიგად, ქართველ მევენახეს სავენახე ადგილად სასურველად მიაჩნია:

ფერდა — ქართლ., კახ.

ფერდო — რაჭ.

გვერდო, გვერდობი — იმერ., რაჭ.

ფენილი — იმერ.

ზიგული — ქართლ.

პირმზე, — კახ.

პირიმზით — იმერ.

მზიანი ადგილი — იმერ.

მზე უდგებოდეს — იმერ.

მზუარე — იმერ.

მზიური — რაჭ.

მზე უმხრობს — რაჭ.

მზეზე მიფიცხებული — რაჭ.

სამზეური ადგილი — გურ.

ზეგანი — გურ.

თბილი — იმერ., რაჭ.

მშრალი — ქართლ.

მალლობი — ქართლ.

ფიცხი — ქართლ.

ქარიანი — ქართლ.

ქარი უნდა ხვდებოდეს — ქართლ.

ქარმა იმუშავოს — ქართლ.

ნიავი მოქმედებს — რაჭ.

წყალი არ გუბდებოდეს — კახ.

წყალი მიუდგეს — ქართლ.

ახო ადგილი — კახ.

დაყამირებული — კახ. და სხვ.

ვენახს, ვაზს საგანგებოდ უნდა მიწის შერჩევაც.

თირი, თირიანი. „თირი მიწა კარგია, ვაზი იმაში ნებაზე მუშაობს, კაცი სამუშაოთ იოლია“ (ზ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „ვენახით-ვინ თირი მიწა კარგია, მალე ხეირობს, მარა. საქმე ისაა, რომ და-

ბერებთანაც მალე ბერდება იქ ვაზი“ (იქვე). „ვენახისთვის კარგია თირიანი, მჩალტე მიწა“ (ლექს. „შინამრეწვ.“).

ხირხატი, ლამი. „ხირხატში კაი ღვინო მოდის და ცოტა ღამში ბევრი მოდის, მაგრამ დაბალია“ (ქიზ., „შინამრეწვ.“).

დიხაშხო. „სავენახე ადგილებია: დიხაშხო მიწა—შავი მიწა არის და როგორც ნაკელი, ისეა, სუყველას ჯობიან“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

ქვაგუნდა. „სავენახეთ არის კიდევ ქვაგუნდა მიწა, ამის დამუშავება ადვილია“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

მჩალტე მიწა. „ვენახისთვის კარგია თირიანი, მჩალტე მიწა“ (ლექს., „შინამრეწვ.“).

ხრიშიანი. „თირიანი მიწის მერე კარგია ხრიშიანი, შავი მიწა. ხრიშიანს ვეტყვით ქვიშანაირს“ (ლექს., „შინამრეწვ.“).

ჯანიანი. „თუ ადგილი „ჯანიანი“ („მსუქანი“) და ამინდიც კარგი შეხვდა, საფერავი გამოტანილ ნაყოფს შეიძინებს“ (კახ., ბოქორ.).

მშრალი მიწა. „ვენახს უნდა მშრალი მიწა. ჯობია, რო კლდე არ ქონდეს“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“).

შავი, შავნოყიერი მიწა. „ვენახს შავი მიწა ურჩევნია“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „თირი მიწა კარგია, მალე ხეირობს, მარა საქმე ისაა, რომ დაბერებთანაც მალე ბერდება იქ ვაზი. შავნოყიერი მიწაში ქვე უჭირს გვიან ხეირობს, მარა გვიანაც ბერდება“ (ზ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

ფხვნილი მიწა. „სავენახე ადგილს იქ ირჩევენ, სადაც ფხვნილი მიწა იყო“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

შირიფი. „სავენახედ ეირჩევა შირიფი მიწა“ (რაჭ., ფრ. 51). ამრიგად, მევენახე ვენახისათვის ისეთ ადგილს შეარჩევს, სადაც არის მიწა:

თირი, თირიანი — რაჭ., ლექს.

ხირხატი — ქიზ.

ლამი — ქიზ.

დიხაშხო — იმერ.

ქვაგუნდა — იმერ.

მჩალტე — ლექს.

ხრიშიანი — ლექს.

ჯანიანი — კახ.

მშრალი — იმერ.

კლდე არ ქონდეს — იმერ.

შ ა ვ ი, შ ა ვ ნ ო ყ ი ე რ ი — რ ა ჯ .

ფ ხ ე ნ ი ლ ი — რ ა ჯ .

შ ი რ ი ფ ი — რ ა ჯ . და ს ხ ე .

მიწას აბრუნებს, გადააბრუნებს. ვაზის კარგად გახარებისა და უხვი მოსავლის მიღებისათვის საჭიროა სავენახე მიწის გადაბრუნება. მიწის გადაბრუნება ხდება ორი ან სამი ბარის პირზე (ორპირად, სამ ხარეჭზე და სხვ.). „უნდა გადააბრუნო დედამიწა არშინზე, ისე ჩაყარო ბაგა. თუ გადააბრუნე დედამიწა, ღონიერი ვაზი იქნება“ (ქართლ., „შინამრეწ.“). „მარტში მიწა გვექნება გადაბრუნებულსამ ხარეჭზე და იმ მიწაში დავრგავთ სანერგეს“ (ზ. ქართლ., „შინამრეწ.“). „მანამდის გადაბრუნება არ იცოდენ. მიწას გადაბარავდენ ხოლმე და ხარგავდენ ლერწს“ (ზ. იმერ., „შინამრეწ.“). „მიწას აბრუნებენ სამ ხარეჭზე, თუ გვერდობია — ერთ არშინზე“ (იქვე). „მიწას აბრუნებენ ვორი ბარის პირს“ (იქვე). „გადაბრუნებულ ან გოდო უბრუნებელ მიწაში ჩავრგავთ ლერწს. მერე იქა-იქა გვიხარებს“ (იქვე). „პირველად გადავავბრუნებთ მიწას და გვეგვამავთ“ (ქვ. იმერ., „შინამრეწ.“). „სავენახედ ჩვენ სამ ხარეჭზე ვავრუნებთ, როდესაც მიწის ბრუნებას დავიწყობთ, პირველად თხრილს გავჭრით, ერთს და მერე მივყვებით და ორი ბარის პირზე ვავრუნებთ“ (იქვე). „ყურძენს ნაცრავდა. არც დამაგინებამ ცადა და არც არაფერმა. გადაბრუნებულ მაც არ ქნა“ (ქვ. აჭარ., ქართ. დიალ. I, 411). „ნამყენს გადაბრუნებულ მიწაში ჩავასობთ ისე, რომ დამყნილი ზევით დარჩეს მიწიდან“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწ.“). „მიწას ასე ვავრუნებთ: ერთ ბარი პირს რომ ამოვიღებთ, მობარულს ამოვწმენდავთ და წინ გადავყრით. ამ ამოწმენდილს ხელახლა ამოვბარავთ და პირველ ნაბარავს დავაყრით. მიწა ფხვიერდება და იშოშნება“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწ.“). „მიწას გადავავბრუნებთ, დავსაჯნავთ, დავაპალოებთ და დავრგავთ ლერწს“ (ლექს., „შინამრეწ.“). „წინეულს კიდევ გადავავბრუნე და ოცდაათი ძირი ცოლიკოური ჩავყარე“ (ქვ. ლექს., ონკეიში).

დაბრუნება, მიწიბრუნება. „სავენაჯეა ჯერ დაბრუნება უნდა ორ ბარი პირზე. დაბრუნები მერე ლერწზე უნდა იბრუნო“ (ქიზ. ქართ. დიალ. I, 215). „მიწიბრუნება დავიწყე სავენახედ“ (ქვ. ლექს., დერჩი).

ააქვავებს, აჰკენჭავს, თუ მიწა ქვიანკენჭიანია, მას საგანგებოდ

ასუფთავებენ ქვებისაგან. ამ საქმიანობის აღმნიშვნელი სიტყვებია. ააქვავებს, აჰკენჭავს“ (ქიზ. მენთ.).

შეხურავს. „დამყნილს გადაბრუნებულ მიწაში დავრგავთ ოროლს და შევხურავთ მიწით, ბღვერით“ (ლეჩხ., ქართ. დიალ. I, 492).

წაშლის. „არხში ჩალაგებულ რქას „წაშლიდენ“ მიწას მიაყრიდენ“ (კახ., ბოჭორ.).

მოტენის. „ძირში ვაზს მოუჭრიდით მიწას, მერმედ პატარა კელას (ნაკელს) ჩაუყრიდით, წავაყრიდით მიწას და მოვტენიდით“ (ქვ., იმერ., „შინამრეწვ.“). „კვლის ფსკერს პალოთი ჩახვრეტენ და შიგ ფესვებს მოათავსებენ... შემდეგ თხრილს მიწით ამოაესებენ და მოტენიან“ (რაჭ., ფრ., 61).

შემოუშლის, შემოშლა. „ახლადღარგულ ლერწს შემოუშლით, რომ ზედა ფესვი არ გეიკეთოს, ძალიან უწყობთ ხელს“ (ლეჩხ., „შინამრეწვ.“). „ვაზს შემოშლა უნდა ძირის“ (ქვ. ლეჩხ., თნქეიში).

უმქვრევს, მქვრევა. „მქვრევა — ახლამოსული ვაზის გარშემო ფხვიერი მიწის აკოკოლავება, შემოყრა“ (კახ., მარტ., იმნ.). „ჯერ სათბურში გამოჰყავთ. როცა მალა ამოა, უმქვრევდენ თავს“ (იქვე).

სავენახე მიწის დამუშავების აღმნიშვნელი სახელწოდებებია:

აბრუნებს, გადააბრუნებს, გადაბრუნება, გადაბრუნებული — ქართლ., იმერ., აჭარ., რაჭ., ლეჩხ.

დაბრუნება — ქიზ.

მიწიბრუნება — ლეჩხ.

ააქვავებს — ქიზ.

აჰკენჭავს — ქიზ.

შეხურავს — ლეჩხ.

წაშლის — კახ.

მოტენის — იმერ., რაჭ.

შემოუშლის, შემოშლა — ლეჩხ.

უმქვრევს, მქვრევა — კახ.

დაკვალავს, დაკვალვა. ვაზის დასაწვენად კვალის გავლებას დაკვალვა ეწოდება. „გრძელ-გრძელ სამარხებს, ან არხებს გაჭრიდენ ორბარიპირზე, ან გუთნით დაკვალავდენ“ (კახ., ბო-

ჰორ). „დაკვალვა სახენელითაც იცოდნენ და ბართაც“ (რაჭ., ფრ.).

დაშარავს, დაშარვა. „დაშარვა — ვაზის, ხეხილის მწკრივად გაშენება“ (ქართლ., ძიძიგ. და სხვ.). „მესამე წელიწადს მწკრივში გა-
ვასწორებდით, და ვშარავდით და მეოთხე წელიწადს დავიწ-
ყებდით ავსებდას“ (შ. კახ., „შინამრეწვ.“). „სავენახე ადგილს ჩვენ
არ ვარჩევდით. ვისაც სად უნდოდა, ან სადაც ჰქონდა ადგილი, იქ
და ჰშარავდა, ე. ი. მწკრეზე ჩაჰყრიდა ორი ბარის პირის სიღრ-
მეზე ამოთხრილ შარში რქას“ (გ. კახ., „შინამრეწვ.“). „ვაკე ან
მცირედ დაფერდებული ადგილის დაშარვა მიღებულია სიგანე-
ზე, ხოლო დამრეცი ფერდობისა—ცერად“ (რაჭ., ფრ.). როგორც
ამ განმარტებიდან ჩანს დაშარვა ორგვარია სიგანეზე და-
შარავს და ცერად დაშარავს, ან იმავე მნიშვნელობის
განზე დაკვალავს და ცერად დაკვალავს.

შარი-შარ ჩაყრის. „გადაწილნიდით და გადავავსებდით, შა-
რი-შარ ჩაყრდით და ამას ვეძახოდით ბავას“ (შ. ქართლ.,
„შინამრეწვ.“).

შარებათ დარგავს (რგია). „ვაზი თუ სწორათაა დარგული, ვიტყ-
ყვით—შარებათ რგიას“ (შ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

მოირმიცოთ რგია. „ვაზი თუ სწორათაა დარგული, ვიტყვით —
შარებათ რგიას. თუ ირიბათაა—ვიტყვით მოირმიცოთ რგიაო“
(შ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

მწკრივში გაასწორებს, გაამწკრივებს. „სამ წელიწადს ვატონ-
კებდით და შემდეგ ვაწვენიდით. პირველ წელიწადს ისევე იქვე დავაყენ-
ებდით პატარას, მეორე წელიწადსაც ისევე დავაყენებდით ორ-სამ
კვირტზე, თუ შნო ჰქონდა, აქათ-იქით გადავაწვენიდით. მესამე წე-
ლიწადს მწკრივში გავასწორებდით“ (კახ., „შინამრეწვ.“).
„რქებს რომ მოვჭრიდით იმას გავამწკრივებდით და გავამ-
რავლებდით, გავაშენებდით“ (შ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

მწკრეზე ჩაჰყრის. „მწკრეზე ჩაჰყრიდა ორი ბარის პი-
რის სიღრმეზე ამოთხრილ შარში რქას და მიაყრიდა მიწას“ (გ. კახ.,
„შინამრეწვ.“). „გადავაწვენდით. ერთ წვერს ვაზის ძირშივე ამო-
ვუშვებდით და დანარჩენებს — მწკრეზე“ (იქვე).

სიმართლეში დააყენებს. „რო იხარებდა, მეორე მესამე წელი-
წადს გადავაწვენ-გადმოვაწვენდით, გადაწილნავდით, დავაყენ-
ებდით სიმართლეში, მივაყოლებდით, ის—აქიდან, ეს—
აქიდან ერთმანეთში გაიბმებოდა და აშენდებოდა ვენახი“ (ქიზ.,
„შინამრეწვ.“).

რიგში დარგავს, გაურიგებს. „გაზატხულზე რიგში დარგავთ შვიდი ჩარეჟის დაცილებით“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „უნდა დაიბავოს ესე: რუები გაიჭრება და რქას გაურიგებთ“ (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“).

ვენახს წკაპათ აკეთებს. „ვენახს ყოველ წელიწადს უნდა შემოთოხნა და გაწმენდა თოხით, ვენახს უმეტესად წკაპათ აკეთებენ“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“).

ამრიგად, რა წესით გათხრიან არხს ვაზის ჩასარგავად, ან გადასაწვენად გამოხატავენ სახელწოდებებით:

- დაკვალავს (დაკვალვა) — კახ., რაჭ.
- დაშარავს (დაშარვა) — ქართლ., კახ., რაჭ.
- განზე დაკვალავს — რაჭ.
- ცერად დაკვალავს — რაჭ.
- სიგანეზე დაშარავს — რაჭ.
- ცერად დაშარავს — რაჭ.
- შარი-შარი ჩაყრის — ქართლ.
- შარებათ დარგავს (რგია) — რაჭ.
- მოირმიცოთ რგია — რაჭ.
- მწკრივში გაასწორებს — კახ.
- მწკრეზე ჩაჭყრის — კახ.
- გაამწკრივებს — ქართლ.
- სიმართლეში დააყენებს — კახ., ქიზ.
- რიგში დარგავს — რაჭ.
- გაურიგებს — ქართლ.
- წკაპათაკეთებს — იმერ.

ვაზის დარგვის, გადაწვევისა და დამყნის დროს სრულდება სხვადასხვა სამუშაოები.

კვირტები დეცლება. „მწარე ლერწს სათითად კვირტები დეცლება“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

კვირტს უბრმავებს. „სანაწიგროს მიწაში კვირტებს ვუბრმავებთ, სამ კვირტზე ამოვაცოფინებთ თავს“ (ქვ. ლეჩხ., დარჩი).

დააფესოებს, ჩააფესოებს. „დააფესოება ძირზე საკვირტე მასალის დამყნის ადგილას, მიწის ზევით გამოღებული ფესვების ღაჭრა, რომ მიწაში მყოფმა საძირემ გაიღოს ფესვები“ (ზ. იმერ., ბოწ. ლ.). „გემრიელის ლერწი როა დამყნილი წარეზე, ა გემრიელს მოჭკრით ფესოფეს და ესაა ჩააფესოება“ (იქვე).

დანეკავს. „ნამყენი უნდა ჩავრგათ გაზაფხულზე მიწაში, მერე ამოვა ისი და ფესოები იცის და იმას დავწეკამთ, ჩამოვაქრით ფესოებს, ახლა უძახიან დაფესობას მანამდე უძახოდენ დანეკვას“ (ზ. იმერ., ძოწ. ლ.).

ფესო დაეჭრება. „მარიობისთვეში ნერგს უნდა გამოეცვალოს მიწა და დეეჭრას ფესო“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

წვერებს გადაუზამს. „ორ რქას გადაუზავდით წვერებს ერთმანეთზე და ჩავაბავადით და მივაყრიდით მიწას“ (ს. ქართლ., „შინამრეწვ.“).

ქუსლებით აჯვარედინებს. „ყოველ წყვილ რქას ქუსლებით აჯვარედინებენ“ (რაჭ., ფრ.).

ამოუშვებს. ჩარგულ ან გადაწვენილ რქას წვერს ორ კვირტზე მიწის ზემოთ დაუტოვებდენ. „რქას ჩააწვენდენ ნახევრად და ამოუშვებდენ ზევით ერთი ჩარეჭი დონს“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

თავს ამოაყოფინებს. „ლერწს ასე რგავდენ: მოლუნავდენ და ორივე მხრით ამოაყოფინებდენ თავს მიწაში“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ლერწებს ამოვაყოფინებდით ნეკებს და გადავჭრიდით ორ კვირტზე“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

ამოაბრუნებს. „გავთხრიდით ბრით... ჩავაწვენდით და ამოვაბრუნებდით წვერს“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

აუკოკოლავენ. გადაწვენილ და დარგულ ლერწს თავს ამოაყოფინებენ რახედაც, აგრეთვე მიწას მიაყრიან ფხვიერად, რასაც აკოკოლავენბა ეწოდება. „ნამყენს აუკოკოლავენბენ მიწას, მერე ბარვა, თოხი, შეწამლვა“ (კახ., ლავოდხი).

კოკოლა. ნერგის და დაწვენილი ლერწის ამოშვერის თავზე წაყრილ მიწას კოკოლა ეწოდება. „ვუკეთებთ კოკოლაებს ხელით“ (კახ., გავაზი). „ფერიცვალობას ვუწყებთ ფესოს დაჭრას და კოკოლაებს აღარ ვუკეთებთ“ (იმერ., ოზია).

მოთხრის. ერთი წლის შემდეგ დარგულ რქას, თუ ნამყენს მოთხრიან. მოთხრილ ნამყენს ორმოში ინახავენ. „მარტში რომ ჩავყრით ნამყენს, მაისში ამოსულია, იზრდება და შემოდგომაზე მოვთხრით ისევ, ორმოებში შევინახავთ“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „გაზაფხულამდე შენახული გვაქვს. მოთხრილი ნამყენი სოველ ორმოებში“ (იქვე).

მოწვდა. „ფესვიანი ვახების — ძიროულების მოწვდა“ (რაჭ., ფრ.).

ანიავებს, გააბზიურებს. ქვიშაში შენახულ ნამყენს დროდადრო ანიავებენ. „ნამყენს შევინახავთ ქვიშაში. ვანიავებთ თვეში ორჯერ, გავაბზიურებთ“ (იმერ., ობჩა).

ვაზის დარგვის, გადაწვენის და დამყენის დროს იხმარება შემდეგი სიტყვები და გამოთქმები:

კვირტები დაეცლება — ქართლ.

კვირტს უბრმავეებს — ლეჩხ.

დააფესოებს, ჩააფესოებს — იმერ.

დანეკავს — იმერ.

ფესო დეეჭრება — ქართლ.

წვერებს გადაუბამს — ქართლ.

ქუსლებით აჯვარედინებს — რაჭ.

ამოუშვეებს — ქართლ.

თავს ამოაყოფინებს — იმერ., რაჭ.

ამოაბრუნებს — ქართლ.

აუკოკოლავებს — კახ.

კოკოლა — კახ., იმერ.

მოთხრის — რაჭ.

მოწვდა — რაჭ.

ანიავებს — იმერ.

გააბზიურებს — იმერ.

ვაზის, ვენახის მოვლა

მალლარს მოვლა არ უნდოდა. „მალლარს არც დათოხნა უნდოდა, არც დაბარვა, არც გასხლვა და არც არაფერი აქიმობა... იყო მიშვებული ხეზე“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ანდასოული ხის ყურძენია, უწამლეა“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ხის ვენახს არ გავკვირტავდით, ახწევა, გაფურჩქვნა, შეკონვა არ უნდოდა“ (იქვე). თუმცა ზოგიერთის თქმით, „ხის ვენახს... ყოველწლიურად გავსხლავდით, გვეიღოდით ხეზე იმ სიმაღლეზე, რომ კოდალი ვერ აუწევდა“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

მალლარისათვის საჭირო იყო ხის შერჩევა. „ხუმბრაზე და ბეოლაზე მეტად ხეობდა“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „სავენახე ხეებად უფრო უკეთესია ხუმრა, ბალი, კოპიტი და ბეოლი“ (გურ., „შინამრეწვ.“).

დროდადრო ხეს, რომელზედაც ვაზი იყო ასული, კ ა ფ ა ვ დ ე ნ, ხმელ ტოტებს გამოაცლიდნენ. „მაღლარს ათასში ერთხელ თუ შევაჭრიდით გამხმარ ტოტებს“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „დობილოს უ ჩ ე ხ ე ნ ხ ე ე ბ ს, ჩვენ არ ვუჩეხავთ“ (იმერ., სხვიტორი). „მაღლარს ხეს უ ხ ე ტ რ ა ვ დ ე ნ“ (იმერ., ჯაჯან.). „ყოველ მესამე წელს ს ხ ე პ დ ე ნ. გამოსჭრიდენ ზედმეტ რტოებს და გასწმენდნენ ხმელი ტოტებიდან“ „გურ., „შინამრეწვ.“). „ადესა ყურძენს უნდა ს ხ ე პ ვ ა“ (ქვ. აქარ., ქართ. დიალ. I, 411).

გამოხმელავს. „ვაზს ხმელ ლერწებს გამოაცლის. — მაღლარი გენახი ხეზე იყო ასული იმას მერე გაზაფხულზედა გ ა მ ო ვ ხ მ ე ლ ე მ დ ი თ — ხმელი რომელიც იყო გამოვაცლიდით, ნედლს გოუშობდით ზედ“ (ზ. იმერ., ძოწ., ლ.).

გადაკიდებს. მაღლარისათვის სასურველი მიმართულება რომ მიეცათ, ხის ტოტებზე ლერწებს გ ა დ ა ჰ კ ი დ ე ბ დ ე ნ ხოლმე. „ხის ვენახს გაფურჩქენა, შეკონვა არ უნდოდა, მხოლოთ გ ა დ ა ვ კ ი დ ე ბ დ ი თ ხელით“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

გადაწყობა. „ადესა ყურძენს უნდა სხეპვა, გ ა დ ა წ ყ ო ბ ა“ (ქვ. აქარ., ქართ. დიალ. I, 411).

გასხვლა. გაზაფხულზე ან შემოდგომაზე ვაზი უნდა გ ა ი ს ხ ლ ა ს. ვაზის დროზე და სწორად გასხვლას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ვაზის შემდგომი გაზარებისათვის, მევენახემ უნდა „დაადაბლოს“ ვაზი, უნდა დაუმოკლოს „თამამი“ რქა, შეარჩიოს „სამამულე“ და „მოსავლიანი“ რქები და სათანადოდ გ ა ს ხ ლ ა ს.

ტერმინი გ ა ს ხ ვ ლ ა გვხვდება ძველი ქართული ენის ძეგლებში: „ექუეს წელ განსხლათ ვენაცი თქუენი... ხოლო წელსა მეშუდესა... ვენაცი შენი არაგანსხლა“ (ლევიტ. 253). „და ჟამი ს ხ ლ ვ ა დ ვენავთა მოიწია და ს ხ ლ ვ ე ნ ვენავთა“ (სინ. მრ., 159, 11). „დაუტეო ვენაცი ჩემი და არა განისხლას და არცა მოითოჯნოს“ (ეს. 56 იერუს.).

გ ა ს ხ ვ ლ ა ქართული ენის კილოებში: „გაზაფხულზე უნდა გა გ ვ ე ს ხ ლ ა“ (ქართლ. ჩრ., „შინამრეწვ.“). „ს ხ ვ ლ ა შ ი მაკრატელი და ხერხი უნდა“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ვაზი... უნდა გა გ ვ ე ს ხ ლ ა, შეგველა“ (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“). „ვაზი გ ა ი ს ხ ლ ა გაზაფხულზე“ (კან., ყვარ.). „ვაზს გ ა ს ხ ლ ა ვ

დაკრეფის შემდეგ“ (კახ., ახმეტა). „მარტი როცა გავიდოდა, გავს-
ხლავდით, შამოდგომაზე შეიძლებოდა გასხვლა, მანამ სი-
ცივე მასწრობდა“ (შ. კახ., „შინამრეწვ.“). „ვსხლავდით სა-
ვაზით და რქასა და ერთ ნექს ვაძლევდით“ (გ. კახ., „შინამრეწვ.“).
„თებერვალ-მარტში გავსხლამდით და აპრილში შავყელამ-
დით“ (ქიზ. „შინამრეწვ.“). „რომ გასხლავენ, დატოვებენ სამ-
კვირტს“ (იმერ., სხვიტ.). „ლორდი რო გეიზრდება, მეორე წლის-
თვის უნდა გაისხლას“ (იმერ., ამაღლება). „გასხვლა... ვე-
ნახს მესამე წლიდან უნდა. რავარც მოკრიფავ, მაშვინათვე უნდა
გასხლა“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ჩვენ ვენახს ვსხლავთ
მარტში... ერთი კვირით აპრილი სანამ მოუვა, უხდა გავსხლათ,
რომ წყალი არ მოუვიდეს ვენახს, რომ მოუვა, მაშინ აღარ ივარ-
გებს“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „სამ-ხუთ წელიწადში ვენახი უნ-
და გაისხლას“ (გურ., „შინამრეწვ.“). „თვითეულ ვაზს სამ-ოთხ
რქაზე ვსხლავდით. ახლაც ასე უნდა, თუ ვენახი არ გვინდა მალე:
დაგვიბერდეს“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „მარტში ავაშენებთ...
გასხლულ ვენახს. ვსხლავთ შემოდგომაზე. გაზაფხულზედაც
ვიციტ ვასხვლა. ზომიერია სამ რქაზე გაისხლას ვენახი“
(იქვე). „ვენახის გასხვლა ვიციტ, სავაზეთი“ (ლეჩხ., „შინა-
მრეწვ.“). სულ ზემოთ და ზემოთ ისხვლება, რამდენიც ძირს იქ-
ნება, უკეთესია. ნეკი ძირს წევს“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი).

იმერეთში უხმარიათ მოსხლავს ფორმა. „რო გაზაფხულ-
დება, მოვსხლამთ, მოვსარამთ“ (ზ. იმერ., ძოწ. I, 518).

გამსხლავს. „წრეულს რუმ ვენახი გამუა შეიძლება გაისათ სულ
არ გამეისხას, თუ არ გამსხალე“ (ქვ. აჭარ., ქართ. დიალ. I, 411).

ჩასხეპავს. „ვენახი... რომ შეიქმნება სამი წლის... ჩავსხე-
პავსამ ჩარექზე, კვირტის ქვეშე“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

დანეკავს, განეკავს. სამ-ოთხ კვირტზე გასხლული რქა ნეკია,
ამიტომ ასეთ გასხვლას განეკვა, დანეკვა, ნეკათ გასხვლა და
აგრეთვე მოკლეთ გასხვლა ტუკად გასხვლა და სხვ. ეწოდება. „თუ
უღონო არის ვაზი, არ მივცემთ საკავებელს და უნდა დავნეკოთ
სამ კვირტზე“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ბოძებს რომ დაუსხავთ
და ზედ ხეებს გავაწყობთ, ვაზები გადავა. ის ვაზები მერე სულ და-
ანეკება სამ-სამ კვირტზე“ (იქვე). „ვენახს უნდა დანეკვა-
სამ კვირტზე დატოვება“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „თუ ავანტყო-
ფობა გაუჩნდებოდა და თუ მაშინ სამი ლერწი იქნებოდა, ერთზე
დაუყენებდი, დოუნეკავდით იმაზე ლერწს და დავამოკლებდით, რომ
ავანტყოფობას მორეოდა“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). ზოგმა

მარტვა განეკავა იცის. ერთ სამ კვირტს დაუტოვებს და თითოს ოთხ-სუთ კვირტს შევარჩენთ განეკილს“ (ზ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „ერთ ლერწს დავნეკავ, მეორეს მოუხვოვ“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი).

დატოკავს, დატოკვა. „გაზაფხულზე საჭიროა აზდილი ტოტების დატოკვა... უნდა დაატოკო ორ კვირტზე (ქიზ., ქართ., დიალ. I, 216).

დატუკავს. „ნერგი რო ამოიფოთლებს, უნდა დატუკო სამ კვირტზე“ (ქართლ., გორი).

ატონკებს, დაატონკებს. „ვატონკებდით“ (შ. კახ., „შინამრეწვ.“). „სამ წელიწადს ვატონკებდით და მემრე ვაწვენდით“ (ქიზ., „შინამრეწვ.“).

დატუნკავს დაიტუნკება. „ვაზი დაიტუნკება, დატუნკევაზი — მოკლეთ რომ გასხლავ“ (კახ., გავაზი).

ტუკათ გასხლავს (სტუკათ, მოკლეთ, სამ-ოთხ კვირტზე). „თუ უღონო არის ვაზი, გაბმულას არ მისცემენ, მოკლეთ, ტუკათ გასხლავენ, რო აიტანოს“ (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“). „წლეულ რო დავწიდნეთ, მეორე წელს სტუკათ გაისხლება ახალი ამოწვერილი სამ კვირტზე, ოთხზედაც“ (ქართლ., ატენი).

ამრიგად, გვაქვს:

გასხლავს — ძვ. და ახ. ქართულში

მოსხლავს — იმერ.

გამსხლავს — აჭარ.

წასხეპავს — იმერ.

და მოკლედ გასხვლის აღმნიშვნელი სიტყვები და გამოთქმები:

დანეკავს, დაინეკება — იმერ.

განეკავს (განეკვა, განეკოლი) — რაჭ.

დატოკავს, დატოკვა — ქართლ.

დატუკავს — ქართლ.

ატონკებს, დაატონკებს — კახ., ქიზ.

დატუნკავს, დაიტუნკება — კახ.

ტუკათ, სტუკათ, მოკლეთ... გასხლავს — ქართლ.

სახსლავი იარაღი. ძველად ვენახის სასხლავ იარაღად სავაზე იხმარებოდა.

სავაზე. „ჩვენ მამა-პაპას ხერხი და სავაზე ეჭირა, სავაზით რქას აჭრიდნენ“ (შ. კახ., „შინამრეწვ.“). „ვსხლავდით სავა-

ზით და რქასა და ერთ ნეკს ვაძლევდით“ (გ. კახ., „შინამრეწვ.“). „ს ა ვ ა ზ ე არის ძველებური სასხლავი. პრტყელპირიანი და დაბლა ხისტყავგადაკრული“ (კახ., ახმეტა). „ვენახის გასხვლა ვიციოთ ს ა ვ ა ზ ე თ ი. სასხლავი ქვია იმერულათ. წალდივითაა, მოკლე ტარიანი“ (ლეჩხ. „შინამრეწვ.“).

სავალზე. „ს ა ვ ა ლ ზ ე — პატარა უნიღრო საჭრელი, პატარა წალდსა ჰგავს. ყუნწით დაგებულია ხის ტარზე, ტარი გრძელია. ვაზის სასხლავად ყოფილა წინათ მიღებული“ (ქიზ., მენთ.).

სასხლავა, სასხლევი, სასხლეპი, სასხლეზი. დასავლეთ საქართველოში ვაზის გასასხლავი იარაღი იყო **ს ა ს ხ ლ ა ვ ა**. „ვენახს ხელწალდათი, **ს ა ს ხ ლ ა ვ ა თ ი** სხლავენ“ (იმერ., ობჩა). „**ს ა ს ხ ლ ა ვ ა** ქვიოდა ძველათ“ (იმერ., გელათი). „ვენახის სასხლავათ ვხმარობთ **ს ა ს ხ ლ ა ვ ა ს** და მაგრატელს. მე **ს ა ს ხ ლ ა ვ ა** მირჩევნა“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „**ს ა ს ხ ლ ე ვ ი** — მევენავის დანა“ (საბა). „**ს ა ს ხ ლ ე ვ ი** რკინის იარაღი, პატარა წალდივითაა“ (იმერ., დიალ.). „**ს ა ს ხ ლ ე ვ ი** წალდივითაა პატარა. ვენახს სხლიან იმითი“ (იქვე). „**ს ა ს ხ ლ ე პ ი** პატარა წალდუნა არის“ (იმერ., ჭორვილა). „ვენახს სხლევედენ მარტში. გასხვლა იცოდენ **ს ა ს ხ ლ ე ბ ი თ**, ახლა მაგრატლით სხლევენ“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“).

სასხლავი დანა. „პატარა-პატარა **ს ა ს ხ ლ ა ვ ი** დანები გვქონდა“ (ქიზ., „შინამრეწვ.“). „ვენახის გასასხლევათ არი დანა ცოტათი მოღუნულია, ნამგალივით ფართე და სქელია“ (იმერ., დიალ.).

წალდულა, წარდულა, წალდუნა. „წ ა ლ დ უ ლ ა თ ი ვსხლავთ, ხელისოდენა“ (ქართლ., ბერბ.). „ძველათ ვაზს რითაც ვსხლავდით, იმას წ ა რ დ უ ლ ა ს ვეძახდით. ახლა კი მაკრატელს ეძახიან“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ვაზს წ ა ლ დ უ ნ ი თ ა ვსხლავთ“ (ქართლ., ატენი). „სხლავენ ვენახის სასხლავი მაგრატლით, წინეთ — წ ა ლ დ ი თ“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი).

ხელწალდი, ხელწალდა. „ვენახის გასაშენებელი იარაღი იყო და არის გაღესილი **ხ ე ლ წ ა ლ დ ა** — სავაზე“ (გურ., „შინამრეწვ.“). „ვენახის გასაშენებელი იარაღი ეს იყო მახვილი, **ხ ე ლ წ ა ლ დ ი** — წალდი მოკლე ტარით“ (იქვე). „ვენახს **ხ ე ლ წ ა ლ დ ა თ ი**, სასხლავათი სხლავენ“ (იმერ., ობჩა).

ვაზის მაკრატელი, სასხლავი მაგრატელი (მარგატელი). დღევანდელ სოფელში ვენახს ძირითადად **ს ა ს ხ ლ ა ვ ი** **მ ა კ რ ა ტ ლ ი თ**, **ვ ა ზ ი ს** **მ ა კ რ ა ტ ლ ი თ** სხლავენ. „ძველად ვაზს რითაც ვსხლავ-

დით, იმას წარდულას ვეძახდით. ახლა კი მაკრატელს ეძახიან“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „სხვლაში მაკრატელი და ხერხი უნდა“ (იქვე). „სასხლავი მაკრატელი“ (ახმეტა). „გასხლავ სასხლავი მარგატლით“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „სხლევდენ წინათ სასხლავით, ახლა — მაგრატლით“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ვენახის სასხლავათ ვხმარობთ სასხლავას და მაგრატელს (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „მარგატელი, დანა და სასხლავი მეტი კი არა უნდა რა (ვენახს)“ (ლეჩხ., „შინამრეწვ.“).

მახვილი. „ვენახის გასაშენებელი იარაღი ეს იყო მახვილი, ხელწალდი“ (გურ., „შინამრეწვ.“).

ნამგალი. „ავახვევდით, ე. ი. ჭიგოს მივაკრავდით, რაც ჭიგოს ზევით წავიდოდა, იმას ნამგლით მოვაჭრიდით“ (გ. კახ., „შინამრეწვ.“).

ცხემლარი. სამეგრელოში ვენახის სასხლავად ცხემლარს ხმარობენ. „ვენახს გასხლავენ ცხემლარით და დანით“ (ქვ. სამეგრ. „შინამრეწვ.“) „ცხემლარი — ცულის მაგვარი, მოკლეტარიანი იარაღია, რომელსაც მოკაუჭებულნი წვერი აქვს“ (იქვე).

ხერხი, ხელიხერხი. „სხვლაში მაკრატელი და ხერხი უნდა“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ჩვენ მამა-პაპას ხერხი და სავაზე ეჭირა. სავაზით რქას აჭრიდნენ და ხერხით კიდე, ბებერ ვაჟს გადაჭხერხამდნენ“ (შ. კახ., „შინამრეწვ.“). „სხვლაზე ხელიხერხი გამოიყენება“ (რაჭ., ფრ., 70).

სასხლავი იარაღის სახელწოდებებია:

სავაზე — კახ., ლეჩხ., სავალზე — ქიზ.

სასხლავი — ქართლ.

სასხლავა — საბა., იმერ., რაჭ.

სასხლევვი, სასხლევი, სასხლები — იმერ.

სასხლავი დანა — ქიზ., იმერ.

წალდულა, წალდუნა. წარდულა — ქართლ.

წალდი — ლეჩხ.

ხელწალდი, ხელწალდა — გურ.

ვაზის მაკრატელი, მაგრატელი — ქართლ.

კახ., იმერ. და სხვ.

სასხლავი მაგრატელი — ლეჩხ.

მახვილი — გურ.

ნამგალი — კახ.

ცხემლარი — სამეგრ.

ხ ე რ ხ ი — ქართლ., კახ.

ხ ე ლ ი ხ ე რ ხ ი — რაჭ.

ქირქას (ნამხრევს, ბუშებს...) **გამოაცლის** (შემოაცლია).
ქირქის (ნამხრევის...) **გამოცლა**. ვაზის ზომიერად დატვირთვას და თანაბრად განვითარებას ხელს უწყობს (გასხვლის გარდა) ზედმეტი ყლორტებისა და ფოთლების გაცლაც. ზედმეტ ყლორტებს მევენახე ხელით აცლის, რადგან იმტვრევა ნორჩი ყლორტები. ამ საქმიანობის აღმნიშვნელი სხვადასხვა სიტყვა და გამოთქმა არსებობს. „შემორგოლვას მირჩვენია თავი გადავჭრა და ქირქა გამოვაცალო“ (კახ., გურჯაანი). „ერთი მოწამლი მემრეკი ქირქა ამოუა და ქირქი გამოცლაა საქირო“ (ქიზ., ქართ. დიალ. I, 216). „კარგი ნაზარდი, ნახეირალი ვაზი, იძლევა ბუშებს (ნაყარს), ამ ბუშებს ვაცლით (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „გვერდებში ამეიღვს ბუშებს (ნაყარს), უნდა ორჯერ დოუარო და შემოაცალო“ (ლეჩხ., ქართ. დიალ. I. 492).

„ქირქის გამოცლის სინონიმური გამოთქმებია: „ნეშოს შეართუმს“ (იმერ., ამაღლება), ხრეფს მოვაცილეფთ“ (ზ. იმერ., ძოწ. ლ.), „ამონაყარს შეაგლიჯავს“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი).

გამოფუნთხლავს, გამოფუნთხვლა. „ზედმეტი ფუნთხლების, ზედმეტი ლორდების გამოცლას უძახით გამოფუნთხლავს“ (ზ. იმერ., ძოწ. ლ.). „ფუნთხლია—ვაზის ზედმეტი ლორდები, რომელიც აღარ იზრდება და უნდა გამოფუნთხლო“ (იქვე).

მომჭვრევა. „ნამჭვრევი — აცლილი მომჭვრევის დროს“ (კახ., მარტ., იმნ.).

გამორჩავს (გამორჩნის), **გამორჩვა** (გამორჩნა), **დამორჩნის**. „ვენახი უნდა გავმორჩოთ (იმერ., ქართ. დიალ. I, 462). „გამორჩვაც იცოდენ: მოუბმელი ლერწის გამოკლება“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „მაისში გამორჩვა ვიცით — ბევრი ფოთოლი რომ ექნება ნაყარი, დავაყენებთ სამ-ოთხ ლერწზე“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ვენახს გაზაფხულზე ნედლ ყლორტებს გამოაცლიან, ამას ქვია ვენახის გამორჩნა“ (ზ. იმერ., დიალ.). „დავმორჩნით ვენახს შევაცლით ხრეფს, რო აქ ამონაყარი, ტევანი რაზეც არ არის, სულ მოვაცილეფთ“ (ზ. იმერ., ძოწ. ლ.).

გამომორჩნის. გამომორჩნია — გლახა ლორდებს, მოუბმელებს გამოკვირტავენ“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“).

გამოლორდვა, დალორდვა. „გამომორჩვას ზოგჯერ გამო-

ლორდვასან გამოკვირტვას უწოდებენ“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ვაზს ვხადავხა უნდა გამოლორდვა, ზედმეტი ნაყარი ტოტების გამოცლა“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „დალორდვა — ვენახის ტოტების გამოცლა, გამოკლება“ (იმერ., დიალ.).

გაკვირტავს, გამოკვირტავს, შეკვირტავს. „პირველათ გავსხლავთ, მარტის დამლევს მოვახვოვთ, ხარდანს გამოუცვლით, დავწმინდავთ და გავკვირტავთ“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ვამომორჩინიან — გლახა ლორდებს, მოუბმელებს, — გამოკვირტავენ“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „რომელიც გლახაა, აშენების დროს გამოკვირტავ ფოთოლს“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „ვენახი გამოკვირტე, გამოფურჩქნე“ (ქვ. ლეჩხ., ორხვი). „რომ გაიფურჩქნება, ავაკრავთ ხის კანით, შევკვირტავთ ბუმებს“ (ლეჩხ., „შინამრეწვ.“).

გაფურცლავს. „რადგან სიმხურვალე ხვატი ახთენს, ამისათვის გავფურცლავთ გამოვაკლებთ“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

ფურჩნის (ფურჩენა), გაფურჩნის (გაფურჩენა), შეფურჩნის (შეფურჩენა). „ფურჩნა — რაც ზედმეტია რქაი, უნდა გაეცალოს“ (ქართლ., ბერბ.). „გასხვლა უნდოდა მარტში, ყელვა — აპრილში, ფურჩენა თიბათვეში“ (ქართლ. ჩრ., „შინამრეწვ.“). „გაფურჩენა — ვაზის ზედმეტი ისენი რაცა აქვს, იმას ამტვრევინ“ (ქართლ., იკოთი). „ყლორტებს რო ამაიტანს, გაფურჩენა უნდა, უყურძნო გემეცლება და სამამულე და ყურძნიანი რქები ღარჩება“ (შ. კახ., „შინამრეწვ.“). „გაფურჩენიან გამოაცლიან მავნებელს და საღს დატოვებენ, მერე გადასტეხავენ თავს“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „გაფურჩენიან ხელით“ (ზ. ლეჩხ., უსახელო). „შეფურჩენა — უსარგებლო ტოტს რომ გავაცლით მაისში“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „შევფურჩენით უყურძნო რქას“ (ქართლ., ატენი).

გაფურჩქნავს, გაიფურჩქნება (გაფურჩქნის, გაფურჩქენა). „მერმედ გავფურჩქნავთ ვენახს. მაისში თუ არ გავფურჩენეთ⁴⁷. მაშინ გამოულაპავს ფურცელს“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ფოთლებს რომ მოვაცილებთ, იმას ვეტყვით გავფურჩქნას“ (იქვე). „ვენახი იფურჩქნება“ (კახ., ყვარელი). „უწინ არც წამლობა იყო, არც გოგირდი იყო, არც გაფურჩქენა და ახვევა იყო“ (შ. კახ., „შინამრეწვ.“). „ამაჲ მაჲდევს მემრე ფურჩქენა...

47 ერთსა და იმავე ფრაზაში გაფურჩქნასაც ხმარობს და გაფურჩქნასაც.

გაფურჩქნა ორჯერ მაინც უნდა“ (ქიზ., ქართ. დიალ. I, 216). „გაფურჩქნა მაისა და ივანობისთვის დამლევს ვიცით. გაფურჩქნი — ფოთოლს, გადავჭრი ყურებს, რომელიც მაღალი იქნება“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „გაზაფხულზე რომ გაიფურჩქნებ ამოწვამლავთ გოგირდით“ (ზ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „გაზს გაფურჩქნა უნდა“ (იქვე). „მაგალითად, ბევრია ნოშო გამოღებული, რომ არ გაფურჩქნოს, ყვავილის დროს გამოიხარშება“ (ქვ. ლეჩხ., ონჭეში). „რო გაიფურჩქნება, ავაკრავთ ხის კანით“ (ლეჩხ., „შინამრეწვ.“).

გამოფურჩქნის, გამოფურჩქვნა. „გამოფურჩქნის დროს დაიყრება ნამორჩი“ (იმერ., ობხა). „გამოფურჩქნით — ზედმეტ ფოთლებს და ვაზს გამოვიღებთ მოუშებელს“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი).

შეფურჩქნა. „ყვავილიდან რომ გამოვა, შემდეგ დაიწყებენ შეფურჩქნას. მერმე გვიანობამდე არ იქნება“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „შეფურჩქნა — ენკენის-თვეში უნდა, გაათხელო ფოთოლი, რომ იმუშაოს შიგა ჰაერმა“ (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“).

გაფურჭკნის. „რომელიც სავარგისი რქა იყო, იმას უშვებდით, და რომელიც ფუჭი იყო გაფურჭკნიდით“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

გაფურცქვნა. „ფურცქვნა — აცლიან უნაყოფო ტოტებს; ამ დროს ტოტებს სანაწიგრეს“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „ფურცქვნის დროს აცლიან ნამხრევებს“ (იქვე). „მერე გაფურცქვნის მერე — თავის გადატეხვა“ (ქვ. ლეჩხ., ტვიში).

გაქორჩვნა. „გაქორჩვნა — ფოთლებს რო გავაცლით“ (იმერ., საქარა).

გამოქურჩნა. „გაზაფხულზე ვაზის ზედმეტი გამონაყარის შეცლას ვეტყვით გამოქურჩნას“ (ზ. იმერ., ძოწ. ლ.).

გაკიწნის. „ერთიანად გაწმენდს... ნამხრევებისაგან — ბიჭა-ბიჭარო არ გააცალო, ერთი კიმპალიც არ იქნება, გავკიწნით იმას და ფოთლები დარჩება და ყურძნის ტევანი“ (ზ. იმერ., ძოწ. ლ.).

გამოყელავს. „პირველ თიბათვეში ფურჩვნა ვიცოდით, გამოვყელამდით, ძაან მოვლა ვიცოდით აქეთ“ (ქართლ. ჩრდ., „შინამრეწვ.“).

გაათხელებს ფოთოლს, **გამოთხელება** ფოთლის „უნდა“ გაათხელო ფოთოლი, რომ ჰაერმა იმუშაოს შიგა“ (ქართლ.

სამხრ., „შინამრეწვ.“). „ფოთლის გამოთხელება ენკენისთვეში უნდა, სიმწიფეში რო შედის ყურძენი“ (ქართლ., ატენი).

გახილავს. გახილვა ზედმეტი ფოთლებისა და ყლორტების გამორჩევას აღნიშნავს. „ვენახს რომ გავხილავთ, იმას ძერე მოუხზოვთ ტანზე“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

გამოხშირვა. „გამოხშირვა — შეთვალეზულ მტევანს მეტი ჰაერი რომ ჰქონდეს, ზედმეტ ფოთლებს ზომასზე აცლიან“ (რაჭ., ფრ., 89).

დაირჩევა ვენახი. „ყვავილს რო დაყრის დეირჩევა ვენახი. დეირჩა ვენახი და მაშინ გამოირკვევა მოსავლიანობა“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი).

გამორჩევა. „გამორჩევა — ზედმეტი ფოთლების, ტოტების გამოცლა — ორჯერ ვიცით“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „იმას არც გამორჩევა უნდოდა — ლოფორთებიან ვაზს რომ ამოიღებდა, მისი მოცილება არ უნდოდა“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

აჯოჯვა, ჯოჯვა. ძველ ქართულში გვხვდება ტერმინი აჯოჯვა. „ოდესცა რამე საერთო საქმე არნ მონასტრისაჲ, გინა თუ ვენახთა ასარგასა, გინა თუ აჯოჯვასა, გინა თუ სთულებასა“ (ცხ. იოვ. და ეფთ. 42.2). საბაჲს ლექსიკონში შეტანილია სიტყვა „ჯოჯვა ვენახის შტოს მოტეხა“. თანამედროვე ქართულში ჯოჯვა, აჯოჯვა არ შეგვხვედრია.

ნამხრეგებისა და ზედმეტი ყლორტების გაცლის აღმნიშვნელი ტერმინებია:

ქირქას გამოაცლის — კახ., ქიზ.

ნამხრევის (ბუშს) აცლის, შემოაცლის — იმერ., ლეჩხ.

ამონაყარს შეაგლიჯავს — ლეჩხ.

ნეშოს შეართუმს — იმერ.

ხრეფს მოაცილფს — იმერ.

გამოფუნთხლავს, გამოფუნთხლვა — იმერ.

მომქვრევა — კახ.

გამორჩავს, გამორჩვა — იმერ

გამორჩნის, გამორჩნა — იმერ.

დამორჩნის — იმერ.

გაკვირტავს — იმერ.,

გამომორჩნის — იმერ.

გამოლორდვა — იმერ., რაჭ.

დალორდვა — იმერ.
 გაკვირტავს — იმერ.
 გამოკვირტავს — იმერ., ლეჩხ.
 შგკვირტავს — ლეჩხ.
 გაფურცლავს — იმერ.
 ფურჩნის, ფურჩვინა — ქართლ.
 გაფურჩნის — იმერ., ლეჩხ.
 შეფურჩნის, შეფურჩინა — ქართლ.
 იფურჩქნება — კახ.
 ფურჩქვინა — ქიზ.
 გაფურჩქნის — ლეჩხ.
 გაფურჩქნავს — ქართლ.
 გაიფურჩქნება — რაჭ.
 გაფურჩქვინა — ქართლ., კახ., იმერ., რაჭ.
 გაიფურჩქნება — ლეჩხ.
 გამოფურჩქნის, გამოფურჩქვინა — იმერ.
 ლეჩხ.
 შეფურჩქვინა — ქართლ.
 გაფურჭკნის — ქართლ.
 გაფურცქვინა — ლეჩხ.
 გაქორჩვინა — იმერ.
 გამოქურჩინა — იმერ.
 გაკიწნის — იმერ.
 გამოყელავს — ქართლ.
 გაათხელებს ფოთოლს — ქართლ.
 გახილავს — იმერ.
 გამოხშირვა — რაჭ.
 დეორჩევა — ლეჩხ.
 გამორჩევა — იმერ.
 აჯოჯვა, ჯოჯვა — ძვ. ქართ.

თავს (ყურებს...) გადაჭრის, დააჭრის, მოაჭრის (წაჭრა). ყლორ-
 ტების ზრდის მოწესრიგებისათვის საჭიროა ყლორტების წვერის
 წაჭრა, თავის გადაჭრა, რადგან ყლორტების გადაჭარბებული ზრდა
 „გათამამება“ შევსებელია ვაზისათვის. „ვაზი რომ გეიზდება, გა-
 დავჭრით თავზე ვაზის წალამს“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „და-
 ბოლოვების დროს კენწერი უნდა გედეეჭრას, რქა რომ კარგა
 შამოვა და ძირში რომ დაწითლდება, მაშინ გედეეჭრება კენწე-
 რი“ (შ. კახ., „შინამრეწვ.“). „თავის გადაჭრა ორჯერ (უნდა), თუ

მოითხოვს. ზოგჯერ სულ არ მოითხოვს“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „გაფუტურჩქნი ფოთოლს, გადავტერი ყურებს, რომელიც მაღალი იქნება“ (ქვ. იმერ., შუა გორა). „წვერები დაგაჭერით ვაზებს“ (ქართლ., ბერბ.). „ავახვევდით, რაც ჭიგოს ზევით წავიდოდა, იმას ნამგლით მოვაჭრიდით“ (გ. კახ., „შინამრეწვ.“). „წვერის წაჭრა“ (ქართლ. ატენი). „წვერების წაჭრა, წაკაფვა“ (კახ., ახმეტა.).

თავს გადატეხავს (რქას). „ლერწს თავს გადავტეხთ“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ლერწს რომ თავებს გადავტეხავთ, ზედმეტ თავებს უწოდებთ“ (იქვე). „თავს ტეხენ ივნისში ან მწიფობას რომ დეიწყებს მაშინ ტეხავს თავს“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „ჭიგოზე ახოვენ, მერე გაფუტურჩქნიან..., მერე გადატეხვენ თავს“ (ქვ. ლეჩხ., ორხვი). „თავის გადატეხვა, ვენახის ნატეხი—საქონლისათვის“ (ქვ. ლეჩხ., ონჭეიში).

თავს გადაამტვრევს (თავის გადამტვრევა) **წაამტვრევს**. „თავებს რომ გადავამტვრევთ ხელით, თავის გადამტვრევაა“ (კახ., გავაზი). „ახვევის მერე თავი უნდა გადავამტვრიოთ“ (იმერ., ჭორვ.). „თავს გადაამტვრევენ გამორჩვის შემდეგ“ (იმერ., სხვიტ.). „ფოთლებს რომ მოვაცილებთ, იმას ვეტყვით გაფუტურჩქნას, ზომის ზევით რაც არის, რქას წავამტვრევთ“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

ქუღს გაუტეხს. ე. ი. ცას გაუხსნის. „მაღლა, ნამგლით რომ წავაჭრიდით (ვაზს თავს), იმას ასე ვეტყობდით „ქუღი გავუტეხეო“ (გ. კახ., „შინამრეწვ.“).

ცის გახსნა. ზრდადამთავრებულ ვაზის ყლორტებს წვერებს წააჭრიან, რადგან ყლორტი უკვე საკმაოდ გახვევებულია. ყლორტის წვერებს ნამგლით აჭრიან. „ცის გახსნა — ვაზი როცა დიდად გაიზრდება, გაიბურება და თავებს გადააჭრიან, სინათლე რომ მოხვდეს“ (იმერ., ტაბ.). „ცის გახსნისას დაიყრება ნამორჩი, გაფუტურჩქნის დროსაც“ (იმერ., ობჩა).

ვაზისათვის თავის გადაჭრის აღმნიშვნელი სიტყვები და გამოთქმებია:

გადაჭრის თავს (ყურებს) — ქართლ., კახ., იმერ.

დააჭრის წვერებს — ქართლ.

მოაჭრის — კახ.

წაჭრა (წვერების) — ქართლ., კახ.

გადატეხავს (თავს) — იმერ., ლეჩხ.

გ ა დ ა ა მ ტ ვ რ ე ვ ს (თავს...) — კახ., იმერ.

წ ა ა მ ტ ვ რ ე ვ ს (თავს) — ქართლ.

ქ უ დ ს გ ა უ ტ ე ხ ს — კახ.

ც ი ს გ ა ხ ს ნ ა, ც ა ს გ ა უ ხ ს ნ ის — იმერ.

სარი. საგანგებოდ არის სახელდებული ვაზის სხვადასხვაგვარი საყრდენი, საყრდენის დამზადების წესი და ვაზისათვის საყრდენის შედგმის საქმიანობა. ვაზის საყრდენის ერთ-ერთი სახელწოდება არის **სარი**. **სარი** გვხვდება ძველ ქართულშიც და თანამედროვე ქართულის თითქმის ყველა დიალექტში. „**სარი** — ვაზის მანა“ (საბა). „ვინამთგან ახალ-ნერგ იყენეს წუთლა ვენაჭნი, ყოველთა სარითა განგებაჲ უნდა“ (ცხ. იოვ. და ეფთ. 89,6).

ქართული ენის კილოებში: „**სარს** შეუდგამთ ვაზს“ (ქართლ., ბერბუკი). „ვაზს **სარს** მივაკრავთ მანეულით“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „უწინა ჩვენ ფეხის ვაზი არ ვიცოდით: ხეივანი იყო... თითა, თავკვერი შიგადაშიგ იყო გარეული და **სარი** არ უნდოდა, ლატანი უნდოდა. **სარს** ა ბევრი ამაგი უნდოდა, ლატანს არ უნდოდა“ (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“). „**სარს** ვაზსაც ვუდგავთ, **სარი** უნდა გაითალოს მუხა“ (კახ., ყვარ.). „**სარი** მუხის გულისაა გამოთლილი, დიდხანს სძლებს“ (გ. კახ., „შინამრეწვ.“). „ნამყენი ვაზი ვიცით **სარებზე** მიკრული“ (ზ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

ჭიგო, ჭიგვა, ჭიღვა, ჭირღვა. **ჭიგო**, ძირითადად კახეთში არის გავრცელებული. „**ჭიგოს** ვაზს შაუდგამენ“ (კახ., დიალ.). „**სარი** მუხის გულისაა გამოთლილი... **ჭიგო** კი ყველანაირი ხისაა“ (გ. კახ., „შინამრეწვ.“). „**ჭიგვას** მოვჭრით, შავსარავთ ვენახს“ (კახ., ყვარელი), „**სარი** ანუ **ჭიგო** ჯაგისა, რუხილისა, იფნისა და ხეშავისაა“ (ქიზ., „შინამრეწვ.“). „ვენახს **ჭიგვას** უდგამდით, **ჭიგვა** გასხებილი წვრილი ხეა“ (იქვე). „ერთ **სარს** დაუსვავთ თითო ვაზსა ან **ჭიგვას**, ასედაც ვეტყვით“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). იმერეთში გვხვდება **ჭიღვა**, **ჭირღვა**. „თითო **ჭირღვას** დოუსვამდით თითო ვენახს“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ვაზს წაბლის ტყავით მივაკონკვებთ **ჭირღვაზე**“ (იქვე). **ვ. ბერიძის** განმარტებით **ჭირღვა** **სარი** კი არ არის, რომელზედაც დამაგრებულია ვაზი, არამედ წნელია, რომლითაც ვაზი მაგრდება **სარზე**. საბას განმარტებით „**ჭიგო** — დიდი **სარი**“.

ხარდანი. „**ხარდნის** დასმა მანამდისაც ქე იცოდენ, მარა უხარდნო ვენახიც ქე იცოდენ“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „(ვაზი) როცა გეიზრდებოდა **ხარდანს** ჩოუსვამდენ“ (იქვე). „**ხარდანი** — ვენახის ერთი დასასობი ჯონია“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

„პყალეები — ლერწმა იცის გამოტანა, რომელიც ხ არ დ ა ნ ს მოე-
ხვევა“ (იქვე). „ხ არ დ ა ნ ი იცის კარგი ბჟოლამ, მარა ეს ჩვენ
ტყეებში მოისპო დიდხანია და ახლა ეზოებში და ყანის კიდევებზე
გვაქვს. კოპიტმაც კარგი ხ არ დ ა ნ ი იცის“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“).
„გასხვლის შემდეგ მოუხზოვთ ხ არ დ ა ნ ზ ე“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი).

სარჩუტა. ახლადამოსულ ვაზს პატარა სარებს უსობენ — ს ა რ-
ჩ უ ტ ე ბ ს: „პატარა ვაზს ს ა რ ჩ უ ტ ე ბ ს ვუსობთ“ (ქართლ., ატე-
ნი).

ჩხირი. „ახალ ვაზს ჩ ხ ი რ ე ბ ს ჩაურჭობენ“ (ქართლ., ბერბ.)

ჯოხი. „პირველი წლის ვაზს ვუკეთებთ პატარა ჯ ო ხ ე ბ ს“ (კახ.,
გაევაზი).

პალო. „პ ა ლ ო ს (უკეთებენ) პირველად ჩაყრილ ვაზს“ (კახ.,
ყვარ.). „გვინდა ვაზი ჩაყვართ, თავსა და ბოლოში პ ა ლ ო ე ბ ს
დავარჭობთ; მავთულს გავაბამ“ (იქვე).

კაკვი, ორპოტიკა ჯოხი. გადაწვენილ რქას მიწაში პატარა კ ა კ-
ვ ე ბ ი თ ან ო რ პ ო ტ ი კ ა ჯ ო ხ ი თ ამაგრებენ. „ვენახს ხის ძირში
მოთხრილ მიწაში ჩააწვენენ და პატარა კ ა კ ვ ე ბ ი თ დაამაგრებენ
მიწაში ვენახს“ (გურ., „შინამრეწვ.“). „ო რ პ ო ტ ი კ ა ჯ ო ხ ი თ მი-
წაში ვენახს ჩაამაგრებენ და ზედ მიწას მიაყრიან“ (იქვე).

მერქანი. „მ ე რ ქ ა ნ ი „ ვაზის შესადგმელად დახეთქილი მუხის
გულის სარი...“ (ქიზ., მენთ.). „ქიზიყში უფრო მიღებულა სარი სა-
ხელწოდება გასხეპილი სწორე ხისათვის, ხოლო გათლილი, დახეთ-
ქილი მუხისგულისათვის — მ ე რ ქ ა ნ ი“ (ქიზ., „შინამრეწვ.“).

ცილამპალი. „ც ი ლ ა მ პ ა ლ ი — ქერქ და ცილაშემომპალი
მუხის მანა. გამძლეა, ვაზს უდგამენ ჭიგოს მაგიერ“ (ქიზ., მენთ.).

სარი, მერქანი და ცილამპალი უფრო დიდა, ვიდრე
ჭ ი გ ო . და ხ ა რ დ ა ნ ი . „ს ა რ ე ბ ს დოუსვამენ (ვაზს), როცა მო-
საბმელათ დადგება“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). მობმული ვაზი მძიმეა
და ცხადია, მას უფრო დიდი და მაგარი საყრდენი ჭირდება. „ჭ ი გ-
ვ ა გასხეპილი წვრილი ხეა. ს ა რ ი , დახეთქილი მუხის მ ე რ ქ ა ნ ი ,
ც ი ლ ა მ პ ა ლ ი“ (ქიზ., „შინამრეწვ.“). ვაზი ხშირად სარიდან სარ-
ზე გაჭიმულ მავთულზეა გაშვებული. ასეთი მავთული სწორედ მა-
გარი მუხის სარებზე უნდა იყოს დამაგრებული. „მ ე რ ქ ა ნ ი ამაგ-
რებს ათი, ოცი ვაზის შემდეგ მავთულს“ (კახ., კარდან.)

ჯლა, ჯლარი. ჯ ლ ა , ჯ ლ ა რ ი ტოტებიანი ხარდანია. ეს ტერ-
მინი იმერეთში გვხვდება. „ჯ ლ ა სარივით არი და ზედ აქვს თითები“
(იმერ., ოზხა). „ჯ ლ ა ხარდნის მაგივრად ძველათ იყო“ (იმერ., შუა
გორა). „ტალავერს ვეძახით ოთხყურიანს... ჯ ლ ა რ ს კ ი ერთი ძირი

ვენახი რომ არის გადებული,—ვენახის გასამაგრებელ დაბალ ხეს უძახით“ (იქვე). ზოგიერთის თქმით ჯღარ იგივე ხარდანია. „ჯღარს ჩვენ ხარდანს ვუძახით“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

ხალახინი. ტოტებიან ხარდანს საგანგებო სახელს ხალახინს უწოდებენ. „ხალახინი“ ტოტებიანი ხარდანი, ან ხე, რომელზედაც ვაზი აღის“ (ლექს., ალავ.). „ხალახინი შტოებიანი ხარდანია“ (ქვ. ლექს., დერჩი).

ოლიხი. „ოლიხი — დიდი კაპიანი ბოძი. აყვანილ ვენახს ოლიხებს შეუყენებენ“ (იმერ., დიალ.).

ქანდარა. ტოტებიან ჯღარს ქანდარა ეწოდება. „ჯღარს რომ მოცილდება პატარა შტოები და დიდი შტოები დარჩება თავში, იმას კი ქანდარას უძახით“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

ხალახი. ხალახი ეწოდება საყრდენიან ვაზს. „ხალახის იმას უძახით, რომ ერთ ჯღარზე რომ ერთი ძირი ვენახია“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

ჩანგალი. „როდესაც ხარდანს დიდი ქიმები აქვს და ზედ დიდი ტოტები გადავა ვენახის, ვეტყვიო ჩანგალს“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

ტერმინები ხალახი და ჩანგალი იხმარება საყრდენიან ვაზის მნიშვნელობით. საბას განმარტებით ხარდანიც სარდასმული ვაზის მნიშვნელობით იხმარება. „ხარდანი — სარიანი ვენახი.“

ვაზის საყრდენის სახელებია:

სარი — ძვ. ქართ., ქართ. ენის თითქმის ყველა კუთხე.

ჭიგო, ჭიგვა — საბა, კახ., ქიზ., ქართლ.

ჭიღვა, ჭირღვა — იმერ.

ხარდანი — საბა, იმერ., რაჭ., ლექს.

სარიშუტა — ქართლ.

პალო — კახ.

კაკვი — გურ.

მერქანი — ქიზ.

ცილამპალი — ქიზ.

ჯღა, ჯღარი — იმერ.

ხალახინი — ლექს.

ოლიხი — იმერ.

ქანდარა — იმერ.

ჩანგალი — იმერ.

ხალხი — იმერ.

ჭიგოს, ხარდნის დამზადება. სასარე, სახარდნე ხეს საგანგებოდ არჩევენ და აშენებენ კიდევც. „ს ა ბ ე ლ ა ვ ი — სამი-ოთხი წლის სახარდნე ხე“ (ლეჩხ., ალავ.). ჭიგოს, ხარდნის მოჭრით იწყება ვენახის მუშაობა.

გაჩეკავს, დაჩეკავს, ჩაუჩეკავს. მოჭრილი სარისათვის წვერის წათლას გაჩეკავა, დაჩეკავა, ჩაუჩეკავა ეწოდება. „წალდით ჭიგოს ჩეკამენ“ (კახ., თელავი). „სარს რომ წვერს წაუთლოთ, იმას გაჩეკას ვეძახით“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ჭიგვას ძირს ვაუჩეკავთ (წალდით ძირს გაუთლით). და ჩავარჭობთ ჭიგვას“ (კახ., ყვარელი). „პირველად სარ გამოვაცლით, სარ დავჩეკავთ“ (ქართლ., ბერბ.). „სარის დაჩეკვა“ (იმერ., დიალ.). „ჩაუჩეკავენ ჭიგვებს თავს“ (კახ., ახმეტა).

საჩეკეოლა. „ს ა ჩ ე კ ე ლ ა „ჭიგვის დასაჩეკი“ (კახ., ახმეტა).

მახვავს (მახვა), დამახვავს, დაუმახვავს. „ხარდანს ვენახში ჩამოვიტანთ და იქ ვ მ ა ხ ვ ა ვ თ“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „თუ კაი ამინდები იქნა, თებერვალშიც დავიწყებთ ტყეში ხარდნის მოჭრას და მ ა ხ ვ ა ს“ (იქვე). „დ ა მ ა ხ ვ ა ჭიგვასი, სარისა — სარისათვის წვერობების წაწვეროება“ (იმერ., დიალ.). „ორასი ხარდანი დ ა ვ მ ა ხ ვ ე“ (ქვ. ლეჩხ., დეროი). „ხარდანს დ ო უ მ ა ხ ვ ა ვ თ კარგებს თავს და ისევე ჩოუცვლით“ (იქვე).

დასწრაფული. „ხარდანი — დაბალ ვენახს რომ დაუსობთ დ ა ს წ რ ა ფ უ ლ სარს (წვერი რომ აქვს წათლილი)“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

დარაფვა. „დ ა რ ა ფ ვ ა სარის წვერის წაწვეტება, დამახვა“ (ქვ. იმერ., ჭუმბ.).

სარის გამოცლა, გამოყრა. შემოდგომამზე ვენახში სარს, ჭიგოს ამოაძრობენ, რომელსაც ს ა რ ი ს გ ა მ ო ც ლ ა, ს ა რ ი ს გ ა მ ო ყ რ ა ეწოდება. „(ვახს) ს ა რ ს გ ა მ ო ა ც ლ ი ა ნ, დამარხამენ და ბელტებს დააწყობენ“ (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“). „ვენახში სულ პირველათ ს ა რ ს გ ა მ ო ვ ყ რ ი თ“ (ქართლ., ბერბ.).

ხმელიანს გაასწორებს. სარი ხანდახან შერჩევით არის ამოსაყრელი და არა მთლიანად. ამ პროცესს კახეთში ხ მ ე ლ ი ა ნ ი ს გ ა ს წ ო რ ე ბ ა ეწოდება. „ხ მ ე ლ ი ა ნ ს გ ა ვ ა ს წ ო რ ე ბ თ — დაუვლით ვენახ. ჭიგვა, რომელიც კარგია, დავტოვებთ, რომელიც ცუდია — გავწმენდავთ, ჭიგვას ძირს გაუჩხრეკავთ და ჩავარჭობთ“ (კახ., ყვარ.).

ჩაუცვლის (ჩოუცვლის). „გავსხლავთ, მერე ავაშენებთ — დო-

უმანვავთ კარგებს თავს და ისევე ჩოუცვლით, რომელიც არ ვარგა გადავყრით“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი).

შეფანტვა. „შეფანტვა ეწოდება... შესარვამდე ჭიგობის დაყრას ვაზებთან“ (ქართლ., ლეონ.).

მირიგება (ხარდნის). „აშენებას წინ უძღვის მირიგება. თითო „ილია“ გამზადებულ ხარდანს ვენახში შეიტანენ და გაანაწილებენ“ (რაჭ., ფრ., 84).

ასარავს, მოსარავს, შესარავს (შასარავს, შაისარება), ჩასარავს. საგანგებო ტერმინებით აღინიშნება ვაზისათვის სარის შედგმა. „ოდესცა რამე საერთო საქმე არნ მონასტრისაჲ... გინა თუ ვენახთა ასარვასა, გინა თუ აჯოჯვასა, გინა თუ სთულებასა“ (ცხ. იოვ. და ეფთ. 89.3). „ვენახს გასხლევენ... მერე მოსარევენ“ (იმერ., ქართ. დიალ. I, 44). „ახალგაზაფხულზე ხდებოდა მოსარვა. ჭირღვას მოვჭრიდით და დოუსვამდით თვითო... ვენახს“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ვაზს რომ სარს ჩაუდგამთ, იმას შესარვას ვეტყვით“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ვენახი ისხვლება მარტში... რო დავბარამთ, მერე შევსარამთ“ (ქართლ., ქართ. დიალ. I, 287). „შავსარავთ ვენახს“ (კახ., ყვარელი). „იანვარშიც შეიძლება შასარვა“ (კახ., „შინამრეწვ.“). „ვაზის წვენა... მემრე მოადევს ჭიგვის ჭრა, ჩასარვა“ (შ. კახ., მარტ., იმნ.).

ხარდნის, ახარდნავს, მოხარდნავს, შეხარდნავს. „ვენახს ხარდნიდენ“ (იმერ., შუა გორა). „ვენახს გავსხლავთ... მერე ავხარდნავთ“ (იმერ., ქართ. დიალ. I, 462). „მარტში ავაშენებთ — მოვხარდნავთ გასხლულ ვენახს“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „შეხარდნავენ აწი ვენახს“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „ვენახი მაქ შესახარდნავი“ (იქვე).

მოჭიღვავს, მოჭიღვა. „მოჭიღვა — მოსარვა. მოვჭიღვეთ ვენახი, მოვსარეთ, სარები დავუსვით“ (იმერ., დიალ.).

დააპალოებს. „მიწას გადავებრუნებთ, დავსაჯნავთ, დავაპალოებთ და დავრგავთ ლერწმს“ (ლეჩხ., „შინამრეწვ.“).

მოჩხირვა. „მოჩხირვა — ვენახისათვის სარის დასობა“ (ქვ. იმერ., ჭუმბ.).

ვაზის აყენება. ვაზს საყრდენს რომ შეუდგამდნენ, ვაზს აყენებენ ფეხზე. „გაზაფხულზე აუშვებდით ვაზს, ავაყენებდით“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

განგებაჲ. ძველ ქართულში ვაზისათვის სარის შეყენებას განგებაჲ ეწოდება. „ვინაფთგან ახალ-ნერგ იყვნეს წუთ-ლა ვენაჯნი ყოველთა სართთა განგებაჲ უნდა“ (ცხ. იოვ. და ეფთ. 89. 6).

ვენახის აშენება, მოშენება. „მარტში ა ვ ა შ ე ნ ე ბ თ (მოგხარ-
დნავთ) გასხლულ ვენახს“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „გასხვლის. და
ა შ ე ნ ე ბ ის შემდეგ მარტშივე ან აპრილის დასაწყისში ვენახს გაგ-
თოხნით ღრმად“ (იქვე). „გავსხლავთ მერე ა ვ ა შ ე ნ ე ბ თ ხარდ-
ნით“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „ორასი ხარდანი დავმახვე, მევე ა ვ ა შ ე-
ნ ე“ (იქვე). „ვენახს რომ დაუსობთ ხარდანს, იმას ვეძახით ვენახის
ხარდანის მ ო შ ე ნ ე ბ ა ს“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

მიუღვამს, შეუღვამს (სარს., ხარდანს, ჭიგოს). „სარს. მი უ ღ-
ვ ა მ თ“ (ქართ., ატენი). „სარს შ ე უ ღ ვ ა მ თ“ (ქართ., ბერბუკი).
„...მალა უნდა ყოფილიყო ორი კვირტი. მაშინვე ჭიგოებს შ ე ვ უ-
ღ ვ ა მ დ ი თ“ (გ. კახ., „შინამრეწვ.“). „ვახს. სარს ვ უ ღ ვ ა ვ თ“
(კახ., ყვარელი). „მარტო მართულიც არაა შველის საქმე, წვრილი
ჭიგოც საჭიროა, რო შ ე ე დ ვ ა მ“ (ქიზ., ქართ. დიალ. I. 216).
„ხარდანს მი უ ღ ვ ა მ ე ნ“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“).

დაუსობს, მიუსობს (სარს., ხარდანს, ჭიგოს...). „ვენახი იმ წელი-
წადს ამოჭრის მიწას და ამოვა, მეორე წელიწადს ხარდანს და უ-
ს ო ბ თ“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ხარდანს დ ო უ ს ო ფ თ“ (ქვ.
ლეჩხ., დერჩი). „სარს მი უ ს ო ბ თ“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).
„მი უ ს ო ბ თ ვენახს ჭიღვას“ (იმერ., ქართ. დიალ. I, 462). „ნამ-
ყენს რიგში დავრგავთ... ხარდანს მი უ ს ო ბ თ და ვუაქიმებთ“ (ქვ.
რაჭა, „შინამრეწვ.“).

დაუსვამს, მიუსვამს (სარს., ხარდანს...). „სარებს დ ო უ ს ვ ა-
მ ე ნ, როცა მოსაბმელათ დადგება“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ხარ-
დნის დასმა მანამდისაც ქე იცოდენ ხოლმე მარა უხარდნო ვენა-
ხიც ქე იცოდენ (იქვე). „ხარდანს ჩრდილო მხარეზე მი უ ს ვ ა მ თ“
(ლეჩხ., „შინამრეწვ.“).

ხალახინზე აყვანა, ხალახინზე შესვლა. „ხ ა ლ ა ხ ი ნ ზ ე ა ყ ვ ა ნ-
ა — ხეს დოუსობენ ვენახს და ერთი ძირი აყვება“ (ქვ. ლეჩხ., დერ-
ჩი). „ყურძენი ატამზე რო შევა, იმაზეც იტყვიან ხ ა ლ ა ხ ი ნ ზ ე
შ ე ვ ი დ ა ო — სახლზეც“ (იქვე).

ჭიგოს დამზადების და ვაზისათვის სარის შედგმის აღმნიშვნელი
ტერმინებია:

ჩ ე კ ა ვ ს — კახ.

გ ა ჩ ე კ ა ვ ს, გ ა უ ჩ ე კ ა ვ ს — ქართლ., კახ.

დ ა ჩ ე კ ა ვ ს — ქართლ., იმერ.

ჩ ა უ ჩ ე კ ა ვ ს — კახ.

მ ა ხ ვ ა ვ ს, მ ა ხ ვ ა — რაჭ.

დ ა მ ა ხ ვ ა — იმერ., ლეჩხ.

დასწრაფული — იმერ.
 დარაფვა — იმერ.
 სარის გამოცლა — ქართლ.
 სარის გამოყრა — ქართლ.
 ხმელიანს გაასწორებს — კახ.
 ჩაუცვლის — ლეჩხ.
 შეფანტვა — ქართლ.
 მირიგება — რაჭ.
 ასარავს — ძვ. ქართ.
 მოსარავს — იმერ.
 შესარავს — ქართლ., კახ.
 ჩასარავს — კახ.
 ხარდნის — იმერ.
 ახარდნავს — იმერ.
 მოხარდნავს — რაჭ.
 შეხარდნავს — ლეჩხ.
 მოჭიღვავს, მოჭიღვა — იმერ.
 დააპალოებს — ლეჩხ.
 მოხხირვა — იმერ.
 აყენება ვაზის — ქართლ.
 განგებად — ძვ. ქართ.
 ვენახს ააშენებს, ვენახის აშენება —
 რაჭ., ლეჩხ.
 მოშენება — იმერ.
 უდგამს (სარს...) — ქართლ.
 შეუდგამს (სარს...) — ქართლ., კახ., ქიზ.
 მიუდგამს (ხარდანს...) — იმერ.
 დაუსობს (ხარდანს...) — იმერ.
 მიუსობს (სარს...) — ქართლ., იმერ., რაჭ.
 დაუსვამს (სარს...) — იმერ.
 მიუსვამს (ხარდანს...) — ლეჩხ.
 ხალახინზე აყვანა — ლეჩხ.
 ხალახინზე შესვლა — ლეჩხ.

ყელავს (ყელვა), შეყელავს (შეიყელება, შეყელილი). ვაზი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა წესით მაგრდება ჭიგოზე. ვაზის ჭიგოზე სხვადასხვაგვარად დამაგრებას სხვადასხვა სახელი ეწოდება. „გასხვლა უნდა მარტში, ყელვა — აპრილში, ახვევა (შაკონვა) — თიბათვეში“ (ქართლ. ჩრდ., „შინამრეწვ.“). „ყელვა პირველათ უნ-

და“ (კახ., ქისტაური). „სვეს ვეძახით, იმითა ვყელამ დით. ეხ-
 ლაც ის არის“ (ქიზ., „შინამრეწვ.“). „გაზაფხულით გავსხლამთ და
 შავყელამთ“ (ქართლ., ყანჩავეთი). „შაიყელე ბა ერთხელ“
 (იქვე). „სანამ კვირტი გაიღვიძებს, მინამდისი უნდა შეიყელოს“
 (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ვაზი წინათ უნდა გაგესხლა, შეგე-
 ყელა“ (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“). „დასაწილმი იყო, დაგ-
 წილმიდით, დავბარამდით და შავყელამ დით“ (ქართლ. ჩრ.,
 „შინამრეწვ.“). „შავყელამთ ფუხეჩით“ (კახ., გურჯაანი). „იან-
 ვარშიც შეიძლება შასარვა, მარტშიც, აპრილში შეიყელე ბა“
 (შ. კახ., „შინამრეწვ.“). „შავყელამ დით სვიით, ან ლაფნით“
 (იქვე). „თუ ვენახი შაყელილი იყო, თუ დაკავებული იყო ვაზი,
 სიცივე აფუჭებდა, თუ არ იყო შაყელილი, ვერაფერსაც ვერ
 დააკლებდა“ (იქვე). „შაყელილ ვაზს ხელ-ფეხი აქვს შაკრული
 ერთ ადგილას არის გაჩერებული და ჰყინავს. შაუყელავი ვაზი კი
 მიინძრევ-მაინძრევა და სიცივე ვერას უზამს“ (იქვე). „თებერვალ-
 მარტში გავსხლამდით და აპრილში შავყელამ დით“ (ქიზ., „შინ-
 ამრეწვ.“).

აკრავს, შიაკრავს. გაფოთლილი ვაზის კარგად ამოყრილი
 ყლორტების ჭიგოზე დამაგრებას აკვრა ეწოდება. „აკვრა ივანო-
 ბისთვეში ვიცით, ლერწები რომ ექნება ვენახს, იმას ავაკრავ
 ხარდანზე და მერე გაეთოხნი“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „გადა-
 ბარდულ ვენახს რომ ავაკრავთ იმას ვენახის აკვრას ვეძახით“
 (იქვე). „შეკონას არ ვეძახით, მაგრამ ტანზე რომ ლერწს მოვაბავთ
 ბეოლის და წაბლის კანით, იმას აკვრას ვეტყვით“ (იქვე).
 „ლერწს მოახვევდენ და მიაკრავდენ ხოლმე თელის, ლაფნის
 და ეკლის საკრით“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ვაკრავთ ეკლის
 ქერქით. კანს ჩავალბობთ წყალში, მერე ავაკრავთ“ (ქვ. ლეჩხ.,
 დერჩი). „ნეკი თავისუფლადაა, ხო გეიბურდება ვენახი, მერე აკვ-
 რა უნდა და მაშინ ნეკის ნახეთქს, ამონაყარს ავაკრავთ, მოსა-
 ხოვის ყლორტებს ავაკრავთ“ (ქვ. ლეჩხ., ქორენიში). ჯერ გავ-
 სხლავდით, რქებს დავაჭრიდით, ორ რქას შევარჩინდით, ერთს სა-
 კავებელს გაუკეთებდით, მოვრკალავდით ან დავაკავებდით. და სარს
 შევსარავდით და მივაკრავდით ზედ ვაზს“ (ზ. ქართლ., „შინა-
 მრეწვ.“). „წინათ არ სწამლობდენ ვენახს და არც უხვევდენ
 (ხარდანზე მარტო ერთხელ მიაკრავდენ)“ (ქვ. რაჭა, „შინა-
 მრეწვ.“).

დააკავებს (დააკავდება, დააკავება). „ორ რქას შევარჩინდით,
 ერთს საკავებელს გაუკეთებდით, მოვრკალავდით ან დავაკავებ-

დით და სარს შეესარავდით და მივაკრავდით ზედ ვაზს“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „სარს (მანეულით ან სვიით) ან ჭიგოს მივაბავთ, და ვაკავებთ საყელავით“ (იქვე). „თუ კარგად იხარა და თამამია, შეიძლება დავაკავოთ, თუ დაღლია მაშინ ისევ დავატონკებდით, რომ გათამამდეს. მეორე წელიწადს (გავსებიდან) დავაკავებდით, ექვს-შვიდ კვირტს მივცემდით და იქვე დავაკავებდით“ (ზ. კახ., „შინამრეწვ.“). „ვაზს დავაკავებთ, მერე მაიწამლება და მერე აიხვევა და თავი გედეჭრება“ (კახ., ყვარ.). „მართულზე ვაზს დავაკავებთ“ (იქვე). „ჯერ უნდა დავაკავო (ყელვა), მერე აახვიო“ (კახ., ახმეტა). „დაკავება — გასხვლის დროს ვაზზე დატოვებული გრძელი რქის (70 სმ-მდე), სამამულის რკალივით მოხრა და ჭიგოზე მიკვრა შეყელვისას“ (ქიზ., მენტ.). „ვაზისათვის გრძელი რქის მიცემა ისე, რომ შეყელვის დროს მოიკავოს, დაკავდეს“ (ქიზ., დიალ.).

თავს ჩაუკავებს. ვაზის ჭიგოზე გარკვეული წესით დამაგრების გამომხატველია გამოთქმა თავს ჩაუკავებს. „დამძლავრებულ კაი ვაზის ერთ ნექს ხუთ-ექვს კვირტზე გადავჭრით და თავს ჩაუკავებთ. ისე რომ, ვაზს ამოედოს ეს მოქიანია და მისი თავი ყოველთვის ემაგრება ვაზის რომელიმე რქას, ხარდანს შვაში იცევს“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

მოკონავს, შეკონავს. „ნამყენი ვაზი ვიციტ სარებზე მიკრული. ლერწს მოვკონავთ“ (ზ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „(ხის ვენახს) ახვევა, გაფურჩქვნა, შეკონავა არ უნდოდა“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ახვევა (შეკონავა) იციან თელის კანით“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „შეკონავთ ხი ქერქით და, რომ დამწიფდება, ვიდელი და კოდით ვკრეფამთ“ (ზ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

აწვერდება, აწვერება. „ნეკი რო ნაყარს იზამს ის აწვერდება (მომავალი წლისთვის რომ მზადდება) კანით აწვერდება ჭიგოზე“ (იმერ., ოზია). „ვენახის მოხოვა—ქე რო პირველათ ავახოვთ, აწვერება — მერე ამონაყარს“ (იქვე).

შეფურჩნის. „სამამულე მიკრულია სარზე წნელით. მერე რო ამოიყრის შავფურჩნით ბალახით“ (ქართლ., ბერბუკი). „შეფურჩნით ვილით“ (იქვე).

აახვევს, მოახვევს, შეახვევს. წამოზრდილი ყლორტების დამაგრებას სარზე ახვევა, მოხვევა, შეხვევა და სხვ. ეწოდება. „ლაფნით ავახვევთ“ (ქართლ., „შინამრეწვ.“). „გასხვლა უნდა მარტში, ყელვა — აპრილში, ახვევა (შაკონვა) — თიბათვეში“ (ქართლ. ჩრ., „შინამრეწვ.“). „ვაზი მაიწამლება და მერე

ა ხ ვ ე ვ ა“ (კახ., ყვარელი). „გაფურჩენის შემდეგ ა ხ ვ ე ვ ა უნდა,
 ეს იქნება პირველი ა ხ ვ ე ვ ა“ (შ. კახ., „შინამრეწვ.“). „მემრე (გას-
 ხვლის შემდეგ) როცა რქა გეიზრდებოდა, ა ვ ა ხ ვ ე ვ დ ი თ, ე. ი.
 ჭიგო მივაკრავდით“ (გ. კახ., „შინამრეწვ.“). „ა ხ ვ ე ვ ა — ვაზის ახალ-
 გამოტანილი ყლორტების ჭიგოზე მიკვრა, რომ ქარმა არ ატოკოს“
 (ქიზ., მენტ.). „ა ხ ვ ე ვ ა ს ვიწყებთ აპრილში, ვ ა ხ ვ ე ვ . სახვევი
 სუროთი და ლაფანით“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „გასხვლის მერე
 სანამდის ლორდს გამოიღებდეს, შეკონავენ ეკლის საკრით, ან ტყა-
 ვის საკრით, მიაბამენ სარზე. მერე ერთ ლერწს მიაკრავენ მაღლა,
 გამომორჩინან... მაღლა რო მიაკრავენ საკრით, ამას ქვია ა ხ ვ ე ვ ა.
 ასე რომ, ორჯერ არი აკრული სარზე“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“).
 „წინათ ვენახს სულ არ ვუხვევდით, ახლა ვაზი რაც უფრო იზდე-
 ბა — უფრო ხშირათ უნდა ა ხ ვ ე ვ ა“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“).
 „წინათ არც სწამლობდენ ვენახს და არც უ ხ ვ ე ვ დ ე ნ (ხარდანზე
 მარტო ერთხელ მიაკრავდენ“ (იქვე). „რო წამოიზდება ყლორტები
 ა ა ხ ო ვ ე ნ კანით“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „ა ა ხ ო ვ კაპიტის წკენით“
 (ზ. ლეჩხ., უსახელო). „ლერწს მ ო ა ხ ვ ე ვ დ ე ნ და მიაკრავდენ
 ხოლმე თელის, ლაფნის, ან ეკლის საკრით“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“).
 „ჩავსხებავ სამ ჩარექზე კვირტის ქვეშე, ზევით — კი დაუტოვებ
 ექვს კვირტს და შემდეგ მ ო უ ხ ვ ე ვ ძირზე. სამ კვირტს დაეტო-
 ვებ გოუნძრეველად“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ვენახს რომ გავ-
 ხილავთ იმას მერე მ ო უ ხ ო ვ თ ტანზე. მ ო ხ ვ ე ვ ა ს კი ვეტყვით,
 როდესაც გამოზაფხულზე მოუღუზავთ ლერწს და მოვაბავთ ისევ
 ხარდანზე“ (იქვე). „მესამე წლით მ ო უ ხ ვ ე ვ თ და იმუშავებს მე-
 რე ვაზი“ (ლეჩხ., „შინამრეწვ.“). „ერთს დავნეკავ, მეორეს მ ო უ-
 ხ ო ვ“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „რაც უფრო ძირს მ ო უ ხ ვ ე ვ ვენახი
 ახალგაზრდება და ძირს მიდის“ (ქვ. ლეჩხ., ტვიში). „რქას რომ
 გამოიტანს ვაზი, მერემედ შე ვ ა ხ ვ ე ვ თ, რომ არ გააფუჭოს ქარმა
 ყურძენი. შე ხ ვ ე ვ ა ორჯერ უნდა“ (ზ. ჭართლ., „შინამრეწვ.“).
 ამრიგად, ვაზის ჭიგოზე სხვადასხვაგვარად დამაგრების აღმნი-
 შნელი ტერმინებია:

ყ ე ლ ა ვ ს, ყ ე ლ ვ ა, შე ყ ე ლ ა ვ ს (შეიყულება, შეყუ-
 ლილი, შეუყულავი) — ქართლ., კახ., ქიზ.

ა ა კ რ ა ვ ს, ა კ ვ რ ა — იმერ., ლეჩხ.

მ ი ა კ რ ა ვ ს — ქართლ., რაჭ.

დ ა ა კ ა ვ ე ბ ს. (დაკავდება, დაკავება) — ქართლ., კახ.,
 ქიზ.

თავს ჩაუკავებს — რაჭ.

მოკონავს — რაჭ.

შეკონავს (შეკონვა) — იმერ., რაჭ.

აწვერდება, აწვერება — იმერ.

ახვევს, აახვევს, ახვევა — ქართლ., კახ., ქიზ.,
იმერ., რაჭ., ლეჩხ.

უხვევს — რაჭ.

აიხვევა — კახ.

მოახვევს, მოუხვევს, მოხვევა — იმერ.,
ლეჩხ.

შეახვევს, შეხვევა — ქართლ.

საკრი, საკრე, ასაკრავი, გარსაკრი. ვაზის ჭოგოზე დასამაგრებლად იყენებენ ზოგიერთი მცენარის, უმეტესად ხვიარა მცენარის, მოქნილ ტოტებს. „ლერწს მოახვევდენ და მიაკრავდენ ხოლმე თელის, ლაფანის ან ეკლის საკრით“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „მაღლა რომ მიაკრავენ საკრით, იმას ქვია ახვევა“ (იქვე). „გასხვლის მერე, სანამდის ლორდს გამოიღებდეს, შეკონავენ ეკლის საკრით, ან ტყავის საკრით, მიაბამენ სარზე“ (იქვე). „ხარდანზე ავაკრავთ საკრით“ (იმერ., საქარა). „საკრე — თელის, ეკლის“ (იქვე). „ვენახის ასაკრავი წითელი ტილიფის ხის ქერქისა. ავაციის, თელას ტყავიც შეიძლება“ (იმერ., დიალ.) „გარსაკრი, საკრი — ვენახის საკრი, სურო ან მცენარის კანი, რომელსაც ვაზის ასახვევ — ასაკრავად ხმარობენ“ (იქვე).

მარნა, მარნეული, მანეული. „მარნა — წურილი ტირიფი, ვენაგის ასაკრავი“ (საბა). „მარნეული მარნას რტოთავანი“ (იქვე). „მანეულით ვყელავთ“ (ქართლ., ბერბ.). „ვაზს რომ მივაკრავთ მანეულით, იმას შეყელვას ვეძახით“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „საკავებელი უნდა აპრილში. მანეულით მივაკრათ“ (იქვე). „მანეული ვაზის შესაყელავი ყვითელი ხე“ (ლეჩხ., ალაღ.). „მანოულით ან წაბლის ტყავით მოუხოვთ. მანოული ყველას ჯობს. მანოული საუკეთესო წკნელია“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი).

კაპიჭი. „კაპიჭი — ტირიფის, წნორის... წვრილი ტოტები, რომლითაც ვაზს ამაგრებენ ჭოგოზე (ჰყელავენ)“ (ქართლ., ლეონ.). „აახოვ კაპიჭის წკენით — ტილიფის ხეს შეასხლავენ“ (ზ. ლეჩხ., „უსახელო“).

სვია, სვე. „სარს მანეულით, სვიით... მივაბავთ, დავაკავებთ

საყელავით“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ს ვ ი ა ლობეებში ამოდის ვაზის შესაყელადაც ხმარობენ“ (კახ., დიალ.). „ს ვ ე თ ი ვყელავთ“ (კახ. ახმეტა). „ს ვ ე ს ვეძახით, იმითა ვყელამდით... მხრალსაც ვხმარობდით და ვხმარობთ ეხლაც“ (ქიზ., „შინამრეწვ.“).

საყელავი. „სარს მანეულოთ, სვით ჭიგოს მივაბავთ, დავაკავებთ საყელავით“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „საყელავი — ახვევის დროს“ (კახ., ახმეტა): „საყელავი — ხრალისაგან“ (კახ., ქისტ.).

სახვევი. „(ვენახს) მარგატელი, დანა და სახვევი, მეტი კი არა უნდა რა“ (ლეჩხ., „შინამრეწვ.“).

საკონავი. „საკონავი — წაბლის ან აკაციის კანი... ვაზის ასაკრავად“ (იმერ., ლეონ.).

ლაფანი. „ლაფანი კეთდება ცაცხვის ქერქისაგან ინახვენ სველ მიწაში, ლაფში. ხმარობენ ვენახის ასაკრავად. თელის ლაფანი წყალში არ ინახება, მაშინვე ნედლად შეიძლება გამოყენებული იქნეს“ (ქართლ., დიალ.). „ლაფანი თ შეჰყელავ“ (კახ., ახმეტა). „ავახვევთ ლაფანით, რქას მივაკრავთ ჭიგოზზე“ (კახ., ახმეტა). „თელის ლაფანით მიაკრავდენ...“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ლაფანი — სახვევი ვენახის“ (ქართლ., დიალ.);

ხარალი. „ხარალი ხის ქერქი, რომლითაც ვაზს ახვევენ“ (ქართლ., კირიონი). „ხარალი — ვაზის ასახვევი, შესაყელი“ (კახ., ახმეტა).

ხრალი, მხრალი. „ხრალი ესე არს რააც ხის ქერქი დაიხვევის“ (საბა), „ხრალი — ფურცლის ტოტის გარე კანი“ (კახ., გავაზი). „ვაზს ჯოხებზე ვაკრავთ ხრალით“ (იქვე). „ტყეში არის ლაფნის ხრალი გავხდით, გავახმობთ, დავალბობთ წყალში, მერე ავახვევთ“ (კახ., ყვარ.). „ვენახში ბაყილოები ყველას გვედგამხრალისთვის“ (ქიზ., „შინამრეწვ.“).

ქვთელო. „ქვთელო... აკაციის ტყავი, რომელსაც ვენახის ასახვევად ხმარობენ“ (იმერ., ლეჟ.).

ჭონი, ჭონია. „ჭონი, ჭონია არის ვენახის ასახვევი, თელის ხის კანისაგან გაკეთებული“ (რაჭ., დიალ.).

ვაზის ასაკრავად იყენებენ, აგრეთვე სხვადასხვა მცენარეს, მცენარის წნელს, კანს (ტყავს) ან ლაფანს. „ვაზს ჭილით ვკრავთ“ (ქართლ., ბერბუკი). „ვაზს ჭილით ვახვევთ“ (ქართლ., ატენი). „ავახვევთ თელათი“ (იმერ., სხვიტორი). „მარმალო, წნორი ვაზის ასაყელად“ (კახ., ახმეტა). „ღვედკეცი, ღვერტკეცი შესაყელი“ (კახ., საბუე) და სხვ. „ტირიფის წკენით უხოვენ“

(ქვ. ლეჩხ., დერჩი). „ნერგი წ ნ ე ლ ი თ შავყელავთ“ (ქართლ., ბერ-ბუჯი). „ქ ე ჩ ე ჩ ი—სიმინდის ფუჩეჩი დამბალი შესაყელად“ (კახ., ლაგოდუხი). „ახვევა (შეკონვა) იციან თელის კ ა ნ ი თ, ეკლის ხის კ ა ნ ი თ, წაბლის კ ა ნ ი თ“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ნეკი რო ნაყარს იზამს, ის აწვერდება, კ ა ნ ი თ აწვერდება“ (იმერ., ობჩა). „ცაცხვის კ ა ნ ს, თელის კ ა ნ ს წინათ ასახვევათ ვხმარობდით... ახლაც ბევრ-მა იცის თელის კ ა ნ ი“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „რომ გაიფურჩქ-ნება (ვაზი), ავაკრავთ ხის კ ა ნ ი თ“ (ლეჩხ., „შინამრეწვ.“). „კ ა ნ ი თ აახოვენ რო წამოიზრდება ყლორტები“ (ზ. ლეჩხ., უსახელო). „წაბლის, ეკლის ხის კ ა ნ ი თ ვაზს აკრავენ ხარდანზე“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „მანოულით ან წაბლის ტყავით მოუხოვთ (ქვ. ლეჩხ., დერჩი).

- ს ა კ რ ი, ს ა კ რ ე — იმერ.
- ა ს ა კ რ ა ვ ი, გ ა რ ს ა კ რ ი — იმერ.
- მ ა რ ნ ა, მ ა რ ნ ე უ ლ ი — საბა.
- მ ა ნ ე უ ლ ი — ქართლ., ლეჩხ.
- კ ა პ ი ჭ ი — ქართლ., ლეჩხ.
- ს ვ ი ა, ს ვ ე — ქართლ., კახ., ქიზ.
- ს ა ყ ე ლ ა ვ ი — ქართლ., კახ.
- ს ა ხ ვ ე ვ ი — ლეჩხ.
- ს ა კ ო ნ ა ვ ი — იმერ.
- ლ ა ფ ა ნ ი ქ ა რ თ ლ., კ ა ხ., იმერ.
- ხ ა რ ა ლ ი — ქართლ., კახ.
- ხ რ ა ლ ი — საბა, კახ.
- მ ხ რ ა ლ ი — ქიზ.
- ქ ვ თ ე ლ ო — იმერ.
- ჭ ო ნ ი, ჭ ო ნ ი ა — რაჭ. და სხვ.

შემორგოლავს, შემოგოლავს. ვაზის „გათამამებულ ყლორტების რგოლად შემოჭრიან კანს, რომ „წვენის“ მაღლა წასვლას შეუშალონ ხელი. „ნამხრევი რომ არ გამოიტანოს, უნდა შე მ ო რ გ ო ლ ო“ (კახ., გურჯაანი). „შ ე მ ო რ გ ო ლ ვ ა ს მირჩევნია თავი გადავჭრა და ქირქა გამოვაცალო“ (იქვე). „დღეს დღეობით შე მ ო გ ო ლ ვ ა არ კეთდება“ (კახ., საბუე).

წალმის ახიკვა. „გასხვლის დროზე წ ა ლ მ ი ს ა ხ ი კ ვ ა ვ ი ც ი თ“ (რაჭ., ამბროლაური).

გათოხნა, დათოხნა, თოხი მოხვდება, თოხს მოუხვამენ. „თოხნით კაი სიგრილე აქ (ვაზს)... აღარ უნდა ბევრი მორწყვა, რო გ ა თ ო ხ ნ ი“ (ქართლ., სამხრ., „შინამრეწვ.“). „ვაზს დ ა ვ თ ო ხ ნ ი-

ღი თ, ტენი არ გამოეღიოსო“ (იქვე). „რომ გაზაფხულდება, უნდა გასსლა... გვიანობის შემდეგ თოხს მოუსვამენ, რომ (ვაზი) ბალახით არ დაიჩავროს“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). გათოხნი-თაც ეხლა ხშირათითოხნება. სამჯერ-ოთხჯერ უნდა გაითოხნოს, მაგრამ თუ ყინვა არის, გათოხნა არ შეიძლება, სიცხეში გათოხნაც აფუჭებს, მიწა ცხელია და სწყენობს“ (შ. კახ., „შინამრეწვ.“). „ვენახი დაიბარება გაზაფხულზე და მერე გადაითოხნება“ (კახ., ყვარელი). „გათოცვა არ ვიცოდით“ (ქიზ., „შინამრეწვ.“). „გასხვლის და აშენების შემდეგ მარტოვე ან აპრილის დასაწყისში ვენახს გათოხნით ღრმად“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „ყოველ წელიწადს უნდა შემოთოხნა და გაწმენდა თოხით“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“).

დაბარავს. „მიწას დავბარავ დით ორპირად“ (კახ., ყვარელი). „თოხით ან ბარით ვენახის გარშემო მიწა უნდა დაიბაროს“ (გურ., „შინამრეწვ.“). „ერთ ბარისპირს რომ ამოვიღეთ მიწას, მობარულს ამოვწმენდთ ბარით და წინ გადავყრით. ამ ამოწმენდილს ხელახლა ამოვბარავთ და პირველ ნაბარავს დავაყრით“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“). ამ ორ წინადადებაში რაჭველმა მევენახემ იხმარა ტერმინები: „ბარისპირი“, „მობარული“, „ბარი“, „ამობარავს“ და „ნაბარავი“.

ვენახს გაამოსთიბავენ, დახნავენ, მორწყავენ. „ვენახებს...თუ ბალახი მეერეოდა, გამოსთიბავდნენ და გაანებებდნენ თავსა“ (შ. კახ., „შინამრეწვ.“). „სავენახე ადგილს წინათ დავხნავ დით ღრმად“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „დავკეტამდით კარებს, რო შიგ არავინ შესულიყო თიბათვემდის. მემრე გავხსნიდით კარებს, შევიტანდით სათიბლებს, გაუთიბამდით ვახების ძირებს, მტევნებს ეგრე ავწევდით და დავაწყობდით ნათიბზე“ (ქიზ., „შინამრეწვ.“). „ვაზი წინათ უნდა გაგესხლა, შეგეყელა, მოგერწყო თავის ღროზედა“ (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“). „წყალს მთლიანად ჯერ ერთ შარში მიუგდევენ, ბოლოში რომ გავა, ახლა მეორეში, ახლა მესამეში და ა. შ. აგრე მუშაობაც გადვილებულია, არც წყალი გაეპარება და ვენახიც თანაბრად მოიწყვის“ (ქიზ., „შინამრეწვ.“). „ორ რქას გადაუბავდით წვერებს ერთმანეთზე და ჩავაბავდით და მივაყრიდით მიწას და მივცემდით წყალსა შემდეგ იხარებდა და თოხნა-ბარით მოუფლიდით“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

წამლავს, დაწამლავს, მოწამლავს, შეწამლავს (შეწამლავა). მე-19 საუკუნის ბოლოდან საქართველოში შემოიღეს ვენახის შაბი-

ამნით წამლობა. „არა წამლიან ვენახსა“ (კახ., ყვარ.). „უწინ არც წამლობა იყო, არც გოგირდი იყო“ (შ. კახ., „შინამრეწვ.“). „ვენახი იწამლებს სწორიდან სწორზე ყოველკვირა“ (კახ., გავაზი). „მანამდი ვენახის წამლობა არ იცოდენ და არც ჭირდებოდა“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ხის ვენახებს წამლობა არ უნდოდა, ხოლოდ ყოველწლიურად გავსხლავდით“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ათ მაისს უწამლებთ, ეს იქნება. პირველი წამლობა. ათ ივანობისთვის უწამლებთ, ეს იქნება მეორე წამლობა, ოცდახუთ ივანობისთვის უწამლებთ, ეს იქნება მესამე წამლობა“ (იქვე). „(ანდასოული) ხის ყურძენია, უწამლეა“ (იქვე). „წამლობა ახალი საქმეა; წინათ არც სწამლობდენ ვენახს და არც უხვევდენ“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „შაბიამანით წამლობა შემოიღეს 1886 წლიდან ტბეთელმა... ნესტორ ჭოხონელიძემ მოიტანა ქუთაისიდან „ვერმორცის“ მანქანა“ (იქვე) „და ვწამლეთ ვენახი. ხთებოდა, მეოთხედ დავწამლეთ. ორჯერ მეტად არ უნდა დაწამლვა, მარა ხთენა დეიწყო“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „შაურიანის ხელა რო გეიხდება ფოთოქლი დავწამლავთ მაისის თვეში“ (იქვე). „წინათ არ უნდოდა მოწამვლა (ვენახს)“ (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“). „ვენახი მაიწამლებს და მერე აიხვევა“ (კახ., ყვარელი). „შაბი იმთვენიც არი კულავაც გვეყოფა... რაკი შაბი ბევრი იყო, გულუხვად მოვწამლეთ“ (იქვე). „ვენახების მოწამლა რო დაიწყეს, ხალხი ვერა ჰსვამდა ნაწამლ ღვინოს“ (შ. კახ., „შინამრეწვ.“). „სტაროსელსკიმ შემოიტანა დამყნაც და მოწამლვაც“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „გაზაფხულზე რომ გაიფურჩქნება, მოვწამლავთ გოგირდით, მერე შაბიამანით“ (ზ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „შეწამვლა არ ჭირდებოდა ძველათ ვენახს“ (ლეჩხ., „შინამრეწვ.“).

მორწყავს. მორწყავს, იგივეა, რაც წამლავს. „რომ მოთავდება მთელი ვაზი, მერმეთ მოვრწყავთ შაბიამანით ათ დღეში ერთხელა მარიობისთვის თითქმის გასვლამდე“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ნაისიდან მოვრწყავთ ვენახს, დავწამლავთ“ (იმერ., საქარა). „მერე რწყავენ შაბიამანით. მარტში თოხნიან“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“).

უაქიმებს. „მაღლარს... არც დათოხნა უნდოდა, არც დაბარვა, არც გასხლვა და არც არაფერი აქიმობა“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ვენახის აქიმობა ენკენისთვის დამღვევამდე არ ეშლება“ (იმერ., ობჩა). „გავთოხნით მაისში და ვუაქიმებთ. მეორეთ

შვა იენისის თვეში ვ უ ა ქ ი მ ე ბ თ. იციან კიდევ შესამეთ ა ქ ი მ ო ბ ა ივლისში“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

მიაშხეფებს. „მივაშხეფავთ ვაზს საგველით წამალს“ (კახ., გავაზი).

მისხურება. „ცოცხითაც იცოდენ წამლის მისხურება ვაზზე“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

გოგირდის შეყრა, გოგირდს შეაყრიან. „გოგირდის შეყრა და შაბიამანის დასხმა სულ არ ვიცოდით“ (გ. კახ., „შინამრეწვ.“). „გოგირდს შევყართ კვირტი რო გამოუვა“ (კახ., ახმეტა). „აიღებ ნაცარს, გაცრი, ჩაყრი ქუფსოია... მერმედ დაუბერავ, შეაყარო ვაზსა“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

უბღვირებს. „შაბიბანთან ვაძლევდით გოგირდს, თავის საბერველით, უბღვირებდით იმას“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

შეაფრქვევს. „(საბერველით) შეაფრქვევენ გოგირდს“ (იმერ., ტაბ.).

„ვენახს სასუქს ვაყრიდით ლეკები გამოდიოდენ და იმათ ვაყრევენებდით. ვაყრიდით იგრე ოთხ წელიწადში ერთხელ, როცა გვქონდა“ (ქიზ., „შინამრეწვ.“). „ძირში ვაზს მოუჭრიდით მიწას, მერმედ პეტერა კელას (ნაკელს) ჩაუყრიდით“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ნაკელს კაა დამპალს მივცემთ შემოდგომაზე ყოველ მეორე წელიწადს“ (ლეჩხ., „შინამრეწვ.“). „შემოდგომაზე რომ გადავბრუნებთ მიწას, გაზაფხულზე დავრგამთ, პატივს ჩაუყოლებთ“ (ზ. რაჭა, „შინამრეწვ.“). პატივი უნდა მიცე ძლიერ დამპალი — გიორგობის თვეში“ (ლეჩხ., „შინამრეწვ.“). „ვენახის დაპატივება ვიცით ძველი პატივით“ (ზ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

წუნწუხი. „წუნწუხი სასუქია“ (იმერ., ობჩა).

ვაზის სხვადასხვა სამუშაოების აღმნიშვნელი ტერმინებია:

შემორგოლავს, შემოგოლვა — კახ.

წალმის ახიკვა — რაჭ.

გათოხნა, დათოხნა, თოხნი მოხვდება,

თოხს მოუხვამს — ქართლ., კახ., ქიზ., იმერ., რაჭ.

დაბარავს — კახ., გურ. და სხვ.

გამოსთიბავს — კახ. და სხვ.

დახნავს — რაჭ. და სხვ.

გაუთიბავს ძირებს — ქიზ. და სხვ.

მორწყავს — ქართ., ქიზ. და სხვ.

წყალს მიუგდებს — ქიზ.

წყალს მისცემს — ქართ.

წამლავს და წამლავს, მოწამლავს,

შეწამლავს, — ქართლ., კახ., იმერ., რაჭ., ლეჩხ., და სხვ.

მორწყავს — ქართლ., იმერ.

უაქიმებს — იმერ., რაჭ.

მიაშხეფებს — კახ.

მისხურება — რაჭ.

გოგირდს შეაყრის — ქართლ., კახ.

უბღვირებს — იმერ.

სასუქს აყრის — ქიზ., კელას ჩაუყრის — იმერ., პატრის ჩაუყოლებს — რაჭ.

დააპატრებს — რაჭ.

სახენელი. „სახენახე ადგილს წინათ დაეხნავდით ღრმათ, თითო არშინის დაცილებით კვალებს გავაყოლებდით სახენელით“ (ქვ. რაჭა. „შინამრეწვ.“).

სათიბელა, სათიბელი. „ნამგლით უნდა ყანა მოგვემკა და სათიბელათი ვენახი გვეთიბა. სათიბელა პატარაა, პატარა ბიჭინა“ (ქართლ. სამხრ. „შინამრეწვ.“). „სათიბელათი ვახი უნდა გაგვეთიბნა წელიწადში ორჯერა. ერთი მაისში, ერთი ენკენის თვეში“ (იქვე). „სათიბელით ვენახში თიბავენ“ (კახ., ყვარ.). „ყოტირო გამოვიდოდა კარგათ, მემრე დავეტამდით კარგებს... თიბათვემდის. მემრე გავხსნიდით კარებს, შევიტანდით სათიბელებს, გაუთიბამდით ვახების ძირებს“ (ქიზ., „შინამრეწვ.“).

ბიჭინა. „სათიბელათი ვენახი (უნდა) გვეთიბა. სათიბელა პატარაა, პატარა ბიჭინა“ (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“).

ქორჩი. „ქორჩი თოხისებური იარაღია. იხმარება ვენახში“ (ქართლ., დილ.). „ქორჩი — თოხივით, მაგრამ მძიმეა და დიდი, დაჩირკნის დროს კარგია“ (იქვე).

ვაზის გუთან: „ვაზის გუთანი პატარაა, „პლანებს“ შუა ხნავს“ (კახ., ყვარელი).

თოხწერაქვი, თოხწერაქვა. „მარტში თოხნიან თოხნწერაქვით“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „თოხწერაქვას ვხმაროფთ იქ, სადაც კავი არ უდგება, ვთხონი თიმით“ (ზ. იმერ., ძოწ. ლ.).

ვენახში, აგრეთვე, მუშაობენ თოხით, ბარით. „ბარვაში ბარები უნდა გაზაფხულით, შემოდგომით ვბარავთ“ (ზ. ქართლ., „შინა-

მრეწვ.“). „თოხით ან ბარით ვენახის გარშემო მიწა უნდა დაი-
ბაროს“ (გურ., „შინამრეწვ.“). „შემდეგ თოხს მოუხვამენ, რომ ბა-
ლახით არ დაიჩაგროს, მერმედ წამლობას შეუხსრულებდით“ (იქვე).

შაბიამანი, შაბიაბანი. ვენახს წამლავენ შაბიამნით. „ათ გირვან-
ქა შაბიამანზე სამი გირვანქა გოგირდი უნდა... აღარ შეატ-
ყობინებს ღვინოს შაბიაბანის გემოს თუ გოგირდი მიეშველა“
(ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „შაბიამანი ძალიან მოუხდა ჯანაა-
ნურსა და მწვანეს“ (შ. კახ., „შინამრეწვ.“). „ჯერ შაბიაბანს გა-
ვადნობდით თბილ წყალში, ახლა კი ცივ წყალში ვადნობთ“ (ქვ.
იმერ., „შინამრეწვ.“).

შაბიაბანს პირდაპირ წამალსაც უწოდებენ. „წამალი მა-
შვინ არ ვიცოდით“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „მტვეანი რომ დაა-
პირებს აყვავებას, მაშვინ უნდა მიაშველო წამალი“ (იქვე). „ვენა-
ხის წამალი“ (კახ. ყვარ.). „წამალი სულ ვის გაუგონია; ქვე
კი არათფერი უჩნდებოდა და რა ვიცით“ (ლუჩხ., „შინამრეწვ.“).

გოგირდი. „ორ გირვანქა ნახევარი გოგირდი (უნდა) გათ-
ქვიფო წყალში და დაურიო მაგრათ პატარა ქვაფში რომ ხელს მო-
აფლებ გოგირდი კარგად დაისრისება“ (ზ. ქართლ., „შინა-
მრეწვ.“).

ნაცარი. ვაზს ნაცრით წამლობენ „კათათვის შემდეგ
რომ ეხლა შათვალეზაშია (წითობას რომ დაეპირება)... აიღებ ნა-
ცარს, გაცრი, ჩაყრი ქუფსშია... მერმედ დაუბერავ, რომ შეაყა-
რო ვაზსა“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

აპარატი, აპარატი. „ვენახის აპარატი“ (კახ., ყვარ.). „(ვე-
ნახს) ვწამლით აპარატით“ (კახ., ახმეტა, გავაზი). „აპარატი
აქვს მკლავი“ (კახ., ყვარელი).

საგველი, ცოცხი. „საგველი — ბალახია, რომლითაც ვენახს
წამლავენ“ (კახ., გავაზი). „ცოცხითაც იცოდენ წამლის მისხუ-
რება ვაზზე“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

საბერველი, ქუფსი. „ქუფსი, საბერველი გოგირდის და-
საყრელი ხელსაწყო“ (კახ., ჯოხ.). „საბერველით უბღვირებ-
დით (გოგირდს)“ (ქვ. იმერ. „შინამრეწვ.“).

ცალყურა. „ვენახის წამალს ცალყურათი ამოვიღებთ და
აპარატიში ჩავასხამთ“ (კახ., ყვარელი).

ამრიგად, ვენახის სამუშაო იარაღებია:

სახვინელი — რაჭ.

სათიბელა — ქართლ.

სათიბელი — კახ., — ყვარ.
 ბიჭინა — ქართლ.
 ქორჩი — ქართლ.
 ვაზის გუთანო — კახ.
 თოხწერაქვი, თოხწერაქვა — იმერ.
 თოხი, ბარი და სხვ.
 შაბიამანი — ქართლ., კახ.
 შაბიამანი — იმერ., ლეჩხ.
 წამალი — ქართლ., კახ., ლეჩხ.
 გოგირდი — ქართლ.
 ნაცარი — ქართლ.
 აპარატი, აპარატი — კახ.
 მკლავი — კახ.
 საგველი — კახ.
 საბერველი — კახ., იმერ.
 ცალყურა — კახ.

მოვლა-დაზოგავებით განსხვავებული ვაზი, ვენახი

მევენახემ ვაზი ოთხნაირად შეიძლება გაახაროს. ერთი, ვაზს დაბალ ბუჩქად გაზრდის, უსაყრდენოდ; მეორე — მევენახე ვაზს გარკვეულ სიმაღლეზე (დაახლოებით მეტრნახევრიდან სამ მეტრამდე) დააყენებს და საყრდენზე (ჭიგოზე) დაამაგრებს; მესამე — ვაზს თავისუფლად გაუშვებს. ასეთ შემთხვევაში გაზრდილი ზვიარა ვაზი ან ხეს უნდა აყვეს, ან საგანგებოდ გაკეთებულ ნაგებობაზე (ტალავერი და სხვ.) გავიდეს.

გართხმული ვაზი. ძველად ვაზს ზოგჯერ საყრდენს არ უდგამდნენ. ასეთ ვაზს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელი ერქვა ერთ-ერთი სახელწოდება არის გართხმული ვაზი. სტ. მენთეშაშვილის ჯანმარტებით „გართხმული ვაზი არის ჭიგოშეუდგმელი ვაზი“.

წაქცეული ვაზი. „თუ არ შევსარავდით წაქცეულ ვაზს, ნაცარი ადვილად უჩნდება“ (შ. კახ., „შინამრეწ.“).

უხარდნო ვენახი. „უხარდნის დასმა მანამდისაც ქე იცოდენ ხოლმე, მარა უხარდნო ვენახიც ქე იცოდენ. ისე გედებდებოდა იქითაქეთ მაყვლის ბუჩქივით“ (ზ. იმერ., „შინამრეწ.“).

დაბალი ვენახი (ვაზი)⁴⁸. ჭიგოზე დაყრდნობილი დაბალი ვაზის

⁴⁸ დაბალი ვაზი, დაბლარი და ძირეული ვენახი, იხმარება ვენახის (ვაზის ბაღის) მნიშვნელობითაც (იხ. აქვე, გვ. 159, 160).

აღსანიშნავად რამდენიმე ტერმინი არსებობს. იმერელი მევენახე ხარდან სიტყვას ასე განმარტავს: „დაბალ ვენახს რომ დოუსობთ დასწრაფულ სარს“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

დაბლარი. „მაჩანაური საფერე... წინეთ მაღლარი იყო, ახლა დაბლარია“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „შავი მაღლარი ზოგჯერ ქე აქ მაღლარათ დატოვებული, ისე დაბლარათ აა გადაქცეული“ (იქვე). „დაბლარი ვიცოდით უმფრო ხშირათ მაისა, ქველოური, ციცქა“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

ძირეული ვენახი „ძველათ კამური მაღლარიც იყო ხოლმე, ახლა ძირეულია“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ჩვენში ძირეული იყო ყოველთვის ვენახი, დაბალი ვაზი“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

ფეხის ვაზი. „უწინა ჩვენა ფეხის ვაზი არ ვიცოდით: ხეივანი იყო“ (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“).

ფეხზე დამდგარი ვაზი. „ფეხზე დამდგარი ვაზი ანუ საყრდენზე გამართული“ (რაჭ., ფრ.).

სარის ვაზი. „ვაზს, რომ ხეზე გავუშვებდით..., იმას ბაბილოს ვეძახოდით, დაბალს — სარის ვაზს ვეძახოდით“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

ჩხიროდი. „სარებმისმულ დაბალ მამულს ჩხიროდს ვეტყვით, მაღლა თუა ხეზე, იმას ხემამული ქვია“ (ლეჩხ., „შინამრეწვ.“). „ცოლიკოური — თეთრი, მაგარი ღვინო დგება, ჩხიროდია“ (იქვე). „წითილოური — შავია, კარგია ღვინოთ, ხე-მამულიცაა და ჩხიროდიც“ (იქვე). „ციცქა... ნამეტანი კარგი იყო. ხე-მამულია. ჩხიროდიც იცოდენ“ (იქვე).

ბაბილო. ვაზი ხეივანა მცენარეა. მისი რქა დიდზე იზრდება. ამიტომ ხშირად ვაზი ან ბუნებრივად აჰყვება ხეს, ან საგანგებო ნაგებობაზე აუშვებენ ხოლმე. ხეს აყოლილ ვაზს თავისი სახელი აქვს. ქართულში ხეს აყოლილ ვაზის აღსანიშნავად ფართოდ არის გავრცელებული სიტყვა ბაბილო. საბას განმარტებით: „ბაბილო მაღალი ვაზია“.

ბაბილო ძველ ქართულში: „ვითარცა ბაბილონი რამე აღვმალდებოდით სიმალღესა ზედა ხეთა მაღალთასა აღმალღებულნი“ (ბას. დიდი 57. 30). „ზაქარია სთულისა ჟამთა ჯდა ოდეს—მე ტბას თვსთა ბაბილოთა მწიფეთა ქუემე, რომელთა მრავალგზის შამუ ჭამდა“ (გრ. ხანძთ. ძე 29). „არა ვჭირდო სამოთხესა მას სამუეფოსა და ნაძუთა სიმალღესა და ბაბილოთა მათ ნაყოფიერებასა და ყუავილთა მათ სულნელებასა“ (წაწინოს შატბ. ცხ.

II, 757): ტერმინი ბაბილო გვხვდება ვახუშტი ბატონიშვილის წიგნში: „და არს ქუეყანა ესე... ნიგვზნარ-ხილიან-ვენახიანი, ხეთა ზედა ასულნი, რომელსა უწოდებენ მალლარსა ანუ ბაბილოსა“⁴⁹.

თანამედროვე ქართული ენის კილოებში ბაბილო გვხვდება ქართლსა და კახეთში: „ვაზს რომ ხეზე გავუშვებდით, ის გაიფარჩხებოდა, ზედ ტოტებზე გავიდოდა და იმას ბაბილოს ვუძახდით“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ბაბილო — უბოძოთ რო ავა“ (ქართლ., ბერბ.). „თუ ვაზი ხეზეა ბაბილოს ვეძახით, თუ ლატნებზეა ხეივანს“ (ქართლ., ატენი). ტერმინი ბაბილო გვხვდება გურჯაანშიც.

დობილო. საბას ლექსიკონის ერთ-ერთ რედაქციაში ბაბილოს განმარტებაში ნახსენებია დობილო. „ბაბილო მალალი ვაზი... ხის ვენავი, გინა გრძელი ვაზი, დობილო“, ე. ი. საბა დობილოს ბაბილოს სინონიმად მიიჩნევს:

დობილოს ასეთი მნიშვნელობა დასტურდება ქართულ კილოებში: „მალლარი ან დობილო ეწოდება, როცა ლერწი შევიდოდა ხეზე“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „მალლარსა და დობილოს — ხუმლარი და თხმელარი იყო ხოლმე და იმათზე მიუშვებდნენ“ (იქვე). „ძველათ... ლერწი შევიდოდა ხეზე. ამისთანა ვენახს მალლარი ან დობილო ერქვა“ (იქვე). „დობილოს უჩეხენ ხეებს, ჩვენ არ ვუჩეხავთ“ (იმერ., სხვიტორი).

მალლარი. (ვაზს) ძველად ხის ძირში რვავედენ და ლერწი შევიდოდა ხეზე. ამისთანა ვენახს მალლარი ან დობილო ერქვა“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „მალლარი ყურძენი ხეზე აყავდათ და არ სხლევდენ მხოლოდ ხმელსა გამომორჩავდნენ“ (იქვე). „მალლარი ქონებოდა ვილაც—ვილაცას, სამი ჩაფილა ჩამოვიდოდა თითოზე. (იმერ., საქარა). „ოხტოურა მალლარი იყო, ხუმბრაზე და ბჟოლაზე მეტად ხეირობდა, უფრო კარგად მწიფდებოდა (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „სვანური“ იანვრამდის ება ხეზე, მალლარი იყო“ (იქვე). „მალლარს კრეფენ ძროწვრილ გიდეღში“ (იმერ., ობჩა). „მალლარს არც წამალი უნდოდა“ (იმერ., ზეინდ.). „მალლარი, ხეებზე შეშვებული ვაზი, ჩვენში ნაკლებათ იცის“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „საირმულა შავია, მალლარი, კაი ღვინო იცის“ (ლექს., „შინამრეწვ.“). იმერეთის აღწერის დროს ვახუშტი ბატონიშვილი

⁴⁹ ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973, გვ. 772.

ახსენებს ტერმინ მაღლარს. „და არს ქუეყანა ესე... ხილიან-ვენახიანი, ხეთა ზედა ასულნი, რომელსა უწოდებენ მაღლარსა“⁵⁰.

მადნარი. „მადნარი ხეზე შესული ვენახი“ (იმერ., დიალ.).

ხე-ძირი. „ნოშრიო შავია, ხე-ძირი, ამისთანა ღვინო ტყუილი იყო“ (ლექს., „შინამრეწვ.“).

ხის ვენახი. „ოფოურე ხის ვენახი იყო“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „კამური... მაღალი ხის ვენახი იყო“ (იქვე).

ხის ყურძენი. „ანდასოული ხის ყურძენია, უწამლეა“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ხის ყურძენი“ (ქვ. ლექს., ორხვი). „მაღალი ხის ყურძენი“ (ქვ. აჭარ., ქართ. დიალ. I, გვ. 410).

ხის მამული, ხემამული. „ახალი ვენახი რომ ხეზე ავა და დალორძინდება, ქვია ხის მამული“ (ქვ. ლექს., ქორენიში). „ტბაზე (ადგილია) არის ხის მამულე ბი“ (ქვ. ლექს., დერჩი). „სარებმისმულ დაბალ მამულს ჩხიროდს ვეტყვით, მაღლა თუა ხეზე, იმას ხე მამული ქვია... ხე მამულის კრეფა გიდლით ვიცოდით“ (ლექს., „შინამრეწვ.“). „წითილოური — შავია, კარგია ღვინოთ, ხე მამულიცაა და ჩხიროდიც“ (იქვე).

ოჯალეში. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ იმერეთსა და სამეგრელოში ოჯალეში რამდენიმე ჯიშს ეწოდება, ესენია შონური, პუმპულა. შონურისა და ოჯალეშის სინონიმობას იოსებ ყიდშიძეც ადასტურებს⁵¹. ივ. ჯავახიშვილს ოჯალეში ზოგადი ცნების, სახელდობრ, ვაზის მაღლარობის გამომხატველ, მეგრულ ტერმინად მიაჩნია⁵².

აშვებული, შაშობილი. „აშვებული ხეზე აშვებული ვაზი, მაღლარსავით“ (ქიზ. მენტ.). „ვაზი ხეზე თუა გასული, იმას აშვებულს ანუ შაშობილს ვეძახდით, თითო ოროლა იყო“ (ქიზ., „შინამრეწვ.“).

ტალავერი. ვაზის ასაშვებად ბოძებზე აწყობენ ხარისხებს (ლატნებს). ასეთ ნაგებობაზე აშვებულ ვაზს თავისი სახელი აქვს. ქართული ენის უპირატესად დასავლურ კილოებში გვხვდება ტალავერი, ტარაბელი, ტარაველი (შდრ. თალარი ქიზიყურში).⁵³ „ტალავერი არის ოთხ ბოძზე აყვანილი ვაზი“

⁵⁰ ბატონიშვილი ვახუშტი, იქვე, გვ. 772.

⁵¹ И. Книшидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 411.

⁵² ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 496.

⁵³ „ძველი ტალავარის ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს...თალარი“ (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 310).

(ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ტალავერი (ეწოდება) ოთხყურიანს, სადაც რამოდენიმე სარი არის დასობილი და ზედ ჭოკებია გადებული და ვენახია აყვანილი“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ტალავერი როდესაც ჭლარებზეა გადებული, ბარჯგები ასვია და ბარჯგებზე ვენახია“ (იქვე). „ტალავერი — მაღალჭლიან ჭოკებს გავდებთ და ზედ ვენახს გავაბამთ“ (იქვე). „ტალავერი — ჭურის თავზე ვენახს გადაიყვანენ, ოლიხებს შეუყენებენ“ (იმერ., დიალ.). „ჭურ — ქვევრები ტალავერქვეშაა დამარხული მიწაში“ (ქვ. რაჭ., „შინამრეწვ.“).

ტარაბელი. „ტარაბელს... ვეძახით, როდესაც რამოდენიმე ბარჯგია დასობილი და ზედ ჭოკებია გადებული“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ტარაბელს... (ვეძახით), როდესაც ორ ხეს ბოძებზე მივაკრავთ და ზედ ვენახს გაუშვებთ“ (იქვე).

ტარაველი. „ტარაველს ქვეშ ხშირად ჭურები ქონდათ ხოლმე ჩადებული“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ვენახისგან აკეთებენ ხოლმე ტარაველს, საგრილობელს“ (იქვე).

საბას ლექსიკონში ტალავარი არის „კარავი საჩრდილოებელი“. ძველი ქართული ენის ძეგლებში: „კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფამ, და თუ გნებაჲს, ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: შენდა ერთი და მოსცხა ერთი და ელიამსა ერთი“ (მათე, 17,4C) „და იქმნა მ¹ მთასა ²ა, მცირე ტალავარ და მუნ დაემკვდრა“ (საბა ასურ., 4. 15).

თალარი. „თალარი ტალავარი, ბოძებზე გადებულ ლატნებზე გაშვებული ვაზი, ზევით თავს იკრავს და ჩარდახივით კეთდება, ქვეშ მშვენიერი გრილოა“ (ქიზ., მენთ). „თალარი ბოძებზეა დაყენებული“ (ქიზ. „შინამრეწვ.“). თალარი იხმარება კარდანახსა და ლაგოდენში.

კალავერი. „კალავერი — ტალავერი“ (გურ., ყლ.).

ხეივანი, ხევანი, მხევანი. ხეზე აშვებული ვაზის აღმნიშვნელი კიდევ ერთი გავრცელებული ტერმინია ხეივანი და მისი ფონეტიკური ვარიანტები — მხეივანი, ხეივანი. ხეივანი გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოში: „უწინა ჩვენა ფეხის ვაზი არ ვიცოდით, ხეივანი იყო... სარი არ უნდოდა, ლატანი უნდოდა“ (ქართ. სამხრ., „შინამრეწვ.“). „ბოძებს რომ დაუსხავთ და ზედ მერმედ ხეებს გავაწყობთ, ვაზები გადავა ის ვაზები მერე სულ დაინეკება სამ-სამ კვირტზე, იმას ვეტყვით ხეივანს“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „ბოძებზე რომ ლატნებს გავდებდით აქით-იქით და ზედ გავაბამდით რქებსა და იმას ვეძახოდით გაბმულას, ხეივანს“ (იქვე). „უსიერათ იმას ვეტყოდით, რომ გრძლად რომ იზრდებოდა, გრძელი წავიდოდა, ხეივანა წავიყვანდით“ (იქვე). „ვაზი თუ ხე-

ზეა აშვეებული, ბაბილოა, თუ ლატნებზეა — ხ ე ი ვ ა ნ ი“ (ქართლ., ატენი). „ბოძებზე ხეებია გადებული, მასზე ავიყვანთ ერთ ძირ ვაზს და ვუშვებთ და ვუშვებთ, თავს არ ვაჭრით, ეს არის ხეივანი“ (კახ., გავაზი). „აქ ხ ე ვ ა ნ ზ ე არ იციან როგორც იქ — იმერეთში — არის, ისე აქ არ არის“ (ქართლ., ყანჩავეთი). „ხეზე თუა გასული, იმას აშვეებულს, ანუ შაშობილს ვეძახით. თითო-ოროლა იყო. ზემოთ ხ ე ვ ა ნ ს ა ც ე ძ ა ხ ი ა ნ“ (ქიზ., „შინამრეწვ.“). „ვაზი დგა და მ ხ ე ვ ნ ა დ გინდა გაზარდო. ბოძებს დაარჭობ და გლანებს გაადებ, ზედ გადის მ ხ ე ვ ა ნ ი (კახ., ყვარ.). „დასაკრეფი მაქვს მ ხ ე ვ ა ნ ი“ (იქვე). ივანე ჯავახიშვილის აზრით, სიტყვა ხ ე ი ვ ა ნ ი სპარსული უნდა იყოს. „ხეივანი, ანუ საბას ჩანაწერით, ხეივანი გასაოცრად მიაგავს სპარსულ... „ხიაბან“-ს, რომელიც სპარსულად ბალის გზას, სასეირნო გზას, ხეივანს ჰნიშნავს... რაკი ხეივანი, ანუ ხეივანი ძველ ქართულში ჯერ არსად გვხვდება, შესაძლებელია იგი სპარსულითგან იყოს შეთვისებული“⁵⁴.

გაბმულა. „ბოძებზე რომ ლატნებს გავდებდით აქეთ-იქით და ზედ გავაბამდით რქებსა, იმას ვეძახოდით გა ბ მ უ ლ ა ს, ხეივანს“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). გა ბ მ უ ლ ა, როგორც წინა თავში არის აღნიშნული („ვაზის ნაწილები“, გვ. 22), ეწოდება გრძელ რქას, რომელიც ყურძენს ისხამს და რომელსაც მეზობელ ვაზზე ამაგრებენ. ასეთი რქა, გა ბ მ უ ლ ა, შეიძლება ლატნებზეც გაუშვა. ამიტომ არის, რომ ქართველ გლეხს გა ბ მ უ ლ ა ხეივანის სინონიმად უხმარია.

დაკიდული. „უწინა ჩვენ ფენის ვაზი არ ვიცოდით: ხეივანი იყო, და კ ი დ უ ლ ი და ჩინური იყო... სარი არ უნდოდა ლატანი უნდოდა“ (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“).

სანაპირაო. „ვენახის ნაპირებზე აშენებენ ტალავრის თავისებურ სახეს „ს ა ნ ა პ ი რ ა ო ს“, თუ ჩვეულებრივი ტალავერი ჰორიზონტალურია ს ა ნ ა პ ი რ ა ო — უფრო ნახევრად მაღლარს წააგავს (რაჭ., ფრ.).

ამრიგად, ოთხი წესით გახარებული ვაზის აღმნიშვნელი ტერმინებია:

1. გ ა რ თ ხ მ უ ლ ი ვ ა ზ ი — ქიზ.
- წ ა ქ ც ე უ ლ ი ვ ა ზ ი — კახ.
- უ ხ ა რ დ ნ ო ვ ე ნ ა ხ ი — იმერ.

⁵⁴ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 310.

2. დაბალი ვენახი (ვაზი) — იმერ., რაჭ.
დაბლარი — იმერ.
ძირეული ვენახი — იმერ., რაჭ.
ფენის ვაზი — ქართლ.
ფეხზე დამდგარი ვაზი — რაჭ.
სარის ვაზი — ქართლ.
ჩხიროდი — ლეჩხ.
3. ბაბილო — ძვ. ქართ., ქართლ., კახ.
დობილო — საბა, იმერ.
მალლარი — იმერ., რაჭ., ლეჩხ.
მალნარი — იმერ.
ხე-ძირი — ლეჩხ.
ხის ვენახი — იმერ.
ხის ყურძენი — იმერ., აჭარ., ლეჩხ.
ხის მამული, ხემამული — ლეჩხ.
ოჯალეში — იმერ.
აშვებული, შაშობილი — ქიზ.
4. ტალავერი, ტარაბელი, ტარაველი —
იმერ., რაჭ.
კალავერი — გურ.
თალარი — ქიზ., კახ.
ხეივანი — ქართლ., კახ.
მხეივანი — კახ.
ხეივანი — ქართლ., ქიზ.
გაბმულა — ქართლ.
დაკიდული — ქართლ.
სანაპირაო — რაჭ.

ნამყენი ვაზი. ნამყენი ვაზი არის მწარე ძირზე დამყნობილი და გახარებული სხვადასხვა ჯიშის ვაზი. „წინათ ქართული ვაზი იყო, ესლა ნამყენი ვაზია“ (ქართლ., ყანჩ.). „ესლა ვენახები გაქრა და ნამყენი ჩავყარეთ. წინდაწინ ნამყენის ჩაყრა არ იყო, არც გვეჭირდებოდა ნამყენის ჩაყრა, თუ ვაზი ამოხმებოდა სხვა ვაზს გადავაწვენდით“ (შ. კახ., „შინამრეწვ.“). „ნამყენია — კარგი ჯიში დაიმყნობა მწარეზე“ (კახ., გურჯ.). „თუ გინდა რო გოდრები აამსო ხოლმე, ნამყენი ვაზი უნდა ჩაყარო“ (ქიზ., ქართ. დიალ. I, 215). „ნამყენი ვენახი (ვაზი) უწინ არ იყო“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „აცხონა ლმერთმა ვინძახამ ნამყენი ვენახი შამაილო“

(ზ. იმერ., ძოწ. I, 352) „ნამყენი როცა ძირს მწარე ლერწი... იმაზე კარქი“ (იმერ., საქარა). „ოჯალეში შავი ნამყენი ჯიშია“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ალარ იმუშავა ხეებზე. ნამყენებზე კი ალარ გაგვიკეთებია. ნამყენებზეც კეთდებოდა, მაგრამ ისე არ იმუშავებს, როგორც ხეზე“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ნამყენი ვაზი ვიცით სარებზე მიკრული“ (ზ. რაჭ. „შინამრეწვ.“). „მარტში რომ ჩავყრით ნამყენს, მაისში ამოსულა“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „მესამე წელს ნამყენი იბამს“ (იქვე). „უფრო ნამყენია ახლა, ჩვენ თავათ ვამყენით“ (ლეჩხ., „შინამრეწვ.“). „დაბალ ვენახს (=ვაზს) ქვია ახალი ნამყენი ვენახი“ (ქვ. ლეჩხ., ღერჩი).

დამყნობილი ვაზი, დამყნილი ვენახი. ნამყენ ვაზთან ერთად იხმარება „დამყნობილი ვაზი“ (კახ., ყვარ.) და დამყნილი ვენახი. „ახლად დამყნილ ვენახს შემოდგომაზე ამოთხრიან და ინახავენ სილაში, გაზაფხულზე რგავენ“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“).

ქართული ვაზი. ქართული ყურძენი. ნამყენი ვაზისაგან განსხვავებით, ნერგით გახარებულ ვაზს ქართული ვაზი ეწოდება. გაზაფხულზე ჩარგავენ წინასწარ მოჭრილ ექვს-შვიდ კვირტიან ყლორტებს. „ქართული ვაზი ეწოდება, როცა ნამყენი არ არის“ (ქართლ., ატენი). „ხეზე ქართულ ყურძენს ვუშვებთ“ (ქართლ. ბერბ.) „წინათ ქართული ვაზი იყო, ეხლა ნამყენი ვაზია“ (ქართლ., ყანჩ.). „ექვს კვირტიან ყლორტებს მოჭრი გაზაფხულზე, ჩარგავ — ქართული ვაზია. ვერ შეინახავ მაშინვე გაზაფხულზე ჩარგავ. რაც იხარებს იხარებს, რაც არ იხარებს, ჩაუმატებ ან გადააწვენ“ (კახ. გურჯაანი).

ძველი ვაზი. ქართულ ვაზს კახეთში „ძველი ვაზი“ ეწოდება (კახ., ახმეტა). ასეთი წესით ვაზს ძველად აშენებდნენ. ახლაროგორც წესი, ნამყენ ვაზს აშენებენ. „წინათ, ძველი ვაზი იყო, ჩვენ დროს არ იყო ნამყენი სარზე“ (ქართლ., ყანჩავეთი).

ძველი ლერწი⁵⁵. „მაშინ იყო ალექსანდროული, შავი კაბისტონი, ნაკუთნოული. ძველ ლერწი მანამდე იყო და არ გარახმა“ (ლეჩხ., ქართ. დიალ. I, 493).

ძირეული ვენახი (ვაზი). „ძირეული ვენახი ალარ გვაქვს. ახლა წარე ვენახი, ნამყენი ვენახი, უწინ ძირეულს ვეძახოდით“ (იმერ., გელათი). „ფილოქსერამ თითქმის გაანადგურა ძირეული

⁵⁵ ლერწი ვაზის მნიშვნელობით არის ნახმარი.

ვენახები, დაუმყნელად დარგული“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

უმყნელი, დაუმყნელი ვაზი. ნამყენი ვაზის შემოსვლის შემდეგ მის დასაპირისპირებლად ძველ, ქართულ ვაზს, რომელსაც არ ამყნიან, უმყნელ ვაზს უწოდებენ. „უმყნელი ვაზები თითონ მწარე ნეკები იყო“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „დოუმყნელი მალლარი სარზე არ ივარგებდა“ (იმერ., საქარა).

მწარე, წარე ვაზი (ვენახი). ფილოქსერის გამძლე ვაზს, რომელზედაც ამყნობენ სხვადასხვა ჯიშის ვაზს მწარე, წარე ვაზი ეწოდება. „მწარეზე ტკბილი ვაზი დეემყნება“ (ქართლ., ყანჩ.). „ტკბილი ვაზი იქნება ერთი „გოჯი“ და მწარე ვაზი იქნება შვიდი „გოჯი“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „მწარე ვაზი ეტანება მიწაში“ (კახ., გავაზი). „მწარე თესლზე უნდა გამოიყვანო, რომ შეეგუოს. ამერიკიდან ხომ არ ჩამოიტან“ (კახ., გურჯაანი). „ძირეული ვენახები აღარ გვაქვს, ახლა მწარე ვენახია, ნამყენი ვენახი“ (იმერ., გელათი). „წარე ვაზი, იყენებენ ვაზის დასამყნობად“ (იმერ., დიალ.) „ლიბარია ლუბეს მწარე ვენახს ვუძახოდით. ეს სულ ორმოცი წელია რაც შემოსულია“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „საქარადან მოვიტანე მწარე ლეწი და დავიწყე მწარე ლერწზე სხვადასხვა ჯიშების დამყნობა“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „მწარე ლერწმა ვენახი გამოაბრუნა. საჭირო იყო ძველი ვენახის მოსპობა და ამ ჯიშების დამყნა“ (იქვე). „წარე ლერწს ჭირი არ ეკარება“ (ლეჩხ., ქართ. დიალ. I, გვ. 492). „წარე ლერწზე ვამყნოფთ გემრიელ ლერწს“ (იქვე).

საძირე, სანამყენე ხე. საძირეს, სანამყენე ხეს ეძახიან მწარე ვაზს, რომელზედაც ამყნიან. „მაჯალო... უნაყოფოა, საძირეზე ამოიყრის“ (ქართლ., გორი). „საძირე, სანამყენე ხე—ძირი, რომელზედაც ამყნიან“ (ქიზ., მენტ.). „საძირეს რომოანამყენეფთ, ცალკეულ ძირეფს შორის დაცილება იქნება ნახევარი „გოჯი“ (ზ. იმერ., ძოწ., I). „კაი ჯიშის ვენახს დავამყნით წარეზე — საძირეზე“ (იქვე).

სადედე, დედო. „ვაზი, რომელზედაც ვამყნით სადედეა“ (იმერ., ოზჩა). „მწარე ვაზს — სადედე. ამაზე ამყნიან“ (ქვ. ლეჩხ., დურჩი). „ამერიკული ვაზის ლერწს დედო ეწოდება... ჩვეულებრივი ვენახის ლერწს — კვირტი“ (იმერ., ჭუმბ.).

ფიჩი. აგრონომ დ. ტაბიძის ცნობით ახალციხეში საძირეს ფიჩს უწოდებენ.

ტკბილი ვაზი: „კვირტები დეეცლება და მერე დაიყვნობა, ტკბილი ვაზი იქნება ერთი „გოჯი“ და მწარე ვაზი იქნება შვი-

დი „გოჯი“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „მწარეზე ტკბილი ვაზი დემყნება. ამერიკული ტკბილია... ჩინურს ეძახიან“ (ქართლ., ყანჩ.). „მწარე ვაზზე ამყნიან ტკბილი ვაზის ძირს, რომელიც ფესვებს უშვებს, ამერიკულია“ (იქვე).

გემრიელი, გერიელი ლერწი. „წარე ლერწზე ვამყნოფთ გემრიელ ლერწს“ (ლექს., ქართ. დიალ. I, გვ. 492). „ორჯერ უნდა ჩააფესოვო, გერიელი რო არი, ფესოს გაიკეთეფს“ (ზ. იმერ., ძოწ. I, 432).

კვირტი, საკვირტე, ტკბილ ვაზს, საძირეზე რასაც ამყნიან, კვირტი, საკვირტე ეწოდება. „სავენავეა ჯერ დაბრუნება უნდა ორ ბარი პირზე. დაბრუნები მემრე ჯერ ლერწზე უნდა იზრუნო, მემრე კიდე კვირტი უნდა აჰჭრა“ (ქიზ. ქართ. დიალ. I, 215).

დედა-ვაზი, დედო-ვაზი, დედანი. ვაზს, რომლისგანაც გადააწვენენ რქას ახალი ვაზის გასახარებლად, დედა-ვაზი ეწოდება. „დედა-ვაზი არისგანაც გადააწვენენ“ (კახ., ახმეტა). „სამი წლის შემდეგ „დედო-ვაზს“ ნაწიკარ რქას მოაშორებს“ (რაჭ., ფრ.). „არხის სიღრმე დედნის ძირამდე უნდა დავიდეს“ (კახ., ბოჭორ., 12).

გადასაწვენი ვაზი. „რომელი ვაზიც თამამი იყო და გადასაწვენათ გვინდოდა, იმას რქას არ გავაცლიდით“ (შ. კახ., „შინამრეწვ.“) დასაწვენ ვაზებს ამოვუთხრიდით ძირიდან გძლათ სამარეს ორი ბარის პირზე“ (გ. კახ., „შინამრეწვ.“).

ტუკი, ტუნკი ვაზი. ტუნკი ვაზი დანეკილი ვაზი“ (ქიზ., მენტ.). „ტუკი — სამ კვირტზე გასხლული ვაზი“ (ქართლ., კირიონი).

დანეკილი, განეკილი ვაზი. „დანეკილი ვაზი — მოკლედ გასხლული, ორ-სამ კვირტზე დაყენებული ვაზი“ ((ქიზ., მენტ.). „ზოგმა მარტვა განეკვა იცის. ერთ სამ ნეკს დაუტოვებთ და თითოს ღთხ-ხუთ კვირტს შევარჩინთ განეკვილს“ (ზ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

ამგვარად, სხვადასხვაგვარად დამუშავებული ვაზის სახელწოდებებია:

ნამყენი ვაზი — ქართლ., კახ., ქიზ., იმერ., რაჭ., ლექს.

დამყნობილი ვაზი — კახ.

დამყნილი ვენახი — იმერ.

ქართული ვაზი — ქართლ., კახ.

ძველი ვაზი — კახ., ქართლ.

ძველი ლერწი — ლექს.

ძირეული ვენახი — იმერ.

უმყნელი ვაზი — ლეჩხ.

დოუმყნელი — იმერ.

მწარე, წარე ვაზი → ქართლ., კახ., იმერ., რაჭ.,
ლეჩხ.

საძირე — ქართლ., კახ., ქიზ., იმერ.

სანამყენე ხე — ქიზ., იმერ.

სადედე — იმერ.

დედო — იმერ.

ფიჩი — ქართლ.

ტკბილი ვაზი — ქართლ.

გემრიელი ლერწი — ლეჩხ.

გერიელი — იმერ.

კვირტი — ქიზ., იმერ.

საკვირტე — კახ.

დედა-ვაზი — კახ.

დედო-ვაზი — რაჭ.

დედანი — კახ.

[გა]დასაწვენის ვაზი — კახ.

ტუნკი ვაზი — ქიზ.

ტუკი — ქართლ.

დანეკილი ვაზი — ქიზ.

განეკვილი ვაზი — რაჭ.

სანერგე. სანერგე ისევე, როგორც ნერგი სხვა მცენარესთან საერთო ტერმინია „მარტში მიწა გვექნება გადაბრუნებული სამ ჩარექზე და იმ მიწაში დავრგავთ სანერგეს“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

სადედე. სადედე იგივე სანერგე არის (იმერ., ობჩა).

ზვარი, ზუარი, მზვარი. ვენახი სხვადასხვაგვარია სიდიდის მიხედვით, დიდ მსხმოიარე ვენახს ზვარი ეწოდება. „ქემან იმსმსმან მოგლეს თქენ დაბნები და აგარაკები გინა ზუარები ვენავთაჲ“ (I, მეფ. 22.7, ოშ.). „ზვარს იკოთში ეძახიან აქ არა, დიდი კია“ (ქართლ., ყანჩავეთი). „ზვარი, მზვარი. — დიდი ვაზიანი“ (ქართლ. იკოთი). „მზვარი სკოლის დადმა ვენახია“ (იქვე). „ზვარი — დიდი ვენახი, ჩოკანთ ზვარი (კახ., ახმეტა). „ზვარი — უსასრულო ვენახი“ (კახ., გავაზი). „ენდე დიდი ვენახი ზვარია, პატარა კი ვენახია“ (შ. კახ., მარტ., იმნ.). „ზვარი, მზვარი — დიდი ვენახი“ (ქიზ., მენთ.).

დაბალი, დაბლარი ვენახი. როგორც ვენახი და ვაზი—ორივე იხ-
მარება ყურძნის ხის და ბალის მნიშვნელობით, ასევე დაბალი და მა-
ღალი ვაზის აღმნიშვნელ სიტყვებსაც ორივე მნიშვნელობა აქვს.
„დაბალი ვენახი უფრო იყო უმაღლესი ვენახისა იყო. ვერ შეივ-
ლიდი შიდა. მას უკან ვახშა“ (ზ. იმერ., ძოწ. I, 352). თუ ვენახში
დაბალი ვაზი არის გაშენებული მას დაბლარი ვენახი
ქვია. ტერმინი დაბლარი ნახსენები აქვს ვახუშტი ბატონიშვილს
„ვენახნი დაბლარნი არიან მრავლად“ (გვ. 771. 9). „ვენახი
დაბლარი და ღვწო კეთილი“ (იქვე).

ძირეული ვენახი. „ძირეული ვენახი — დაბლარი, ძირს
გაშენებული ვენახი“ (იმერ., წერ.).

ხელნაშენი. „იმერეთის თემში დაბლარის სინონიმად ხელნა-
შენი იხმარება“ წერს ივ. ჯავახიშვილი ერმ. ნაკაშიძის ცნობის
საფუძველზე⁵⁶.

ხარდნივენახი, ხარდნის ვენახი, ოლიხნარი. აგრონომ ერმ. ნა-
კაშიძის ცნობით „სარის ვაზს“ იმერეთში ოლიხნარს და ხარ-
დნის ვენახს უწოდებენ. მათ შორის ის განსხვავებაა, რომ
ოლიხნარად გაშენებული ვაზი მწკრივად იყო ჩაყრილი და
ხარდნის ვენახში კი მწკრივი დაცული არ იყო. ივ. ჯავახი-
შვილის აზრით, ოლიხნარი მეგრული წარმოშობის სიტყვა არ-
ის „ლიხ“ და „ნარ“-ისაგან შემდგარი და როგორც ოჯალეში იყო
ჭეხე გასაშვები ვაზის ჯიშების ზოგადი სახელი „ამნაირადვე, ოლიხ-
ნარი ლიხნარზე, ანუ მაღალ ბუჩქნარზე გასაშვები ვაზის აღმნიშვნე-
ლი უნდა ყოფილიყო⁵⁷ ხარდნის ვენახი იმერეთს გარდა
ქვ. რაჭაშიც გვხვდება (ფრ., გვ. 17).

ნარგეული ვენახი. ვაზის ნერგით, რქის გადაწვევით გაშენებული
ვენახის სახელწოდება არის ნარგეული ვენახი. „ნარგეუ-
ლი ვენახები გადაწვევით სიმინდი გულითვინა“ (კახ., ყვარე-
ლი).

ძველებური ვენახი. „ძველებური ვენახს ახლაც რგავენ.
გადაბრუნებულ ან გოდოლებრუნებულ მიწაში ჩავრგავთ ლერწს.
შერე იქა-აქა გაიხარებს“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“).

ნამყენი ვენახი. „ნამყენი ვენახი უწინ არ იყო“ (ზ. იმერ.,
„შინამრეწვ.“).

ბაგა. ვენახში თუ ვაზი ახალი ჩაყრილია, მას ბაგა ეწოდება.
„ბაგად ითქმის ახალი (ახალშენი) ვენახი“ (საბა). „ახლად რომ

⁵⁶ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 308.

⁵⁷ იქვე, გვ. 310.

ჩავყრიდით ცარიელ მიწაში ვაზსა, იმას ბ ა გ ა ს ვეტყობდით. რქებს რომ მოვყრიდით იმას გავამყრივებდით და გავამრავლებდით, გავაშენებდით“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „სამ წლამდი ბ ა გ ა ს ვეძახოდით, სამი წლის შემდეგ ვენახს ვეძახოდით“ (იქვე). „იმერეთში ახლად ჩავყრილ ვენახს ბ ა გ ა ს ეძახიან, ჩვენ ქართლშიაც ბაგას ვეძახით“ (იქვე). „გადაწინავედენ, რომ ცარიელი შარი არ გამოსულიყო... სანამდი შარი შეივსებოდა, ბ ა გ ა ს ეძახოდენ, მერმედ კი ვენახს“ (იქვე). „ბ ა გ ა რომ მოისხამს პირველად, იმასაც კიძელას ვეტყვი“ (იქვე) „უნდა გადააბრუნო დედამიწაზე არშინზე, ისე ჩაყარო ბ ა გ ა“ (ქართლ. სამხრ., „შინამრეწვ.“). „ბ ა გ ა არის, რომ ჩავყრიით რქას ხამ ალაგას“ (ქართლ., ატენი). „რო ჩავყრიით რქასა და ვენახს ვიკეთებთ, ის არის ბ ა გ ა“ (იქვე).

ახალშენი, ახაშენი. „ახალდარგულს — ახალშენი ვენახი ქვია“ (ლექს., „შინამრეწვ.“). „წელს რომ ჩავყრიით ვენახს, ახალშენს ვუძახით“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ვენახი დავწიგნე, გაახალშენდე ბოდა მიწაში ძირები“ (იმერ., გელათი). „ახალშენი ვენახი სამ წლამდე არის. მერმედ რომ დახარდებოდა (ვაზი), სამ წელიწადს იქით ვენახია“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

ჩხირა ვენახი. ახლად ჩავყრილმა ვაზმა შეიძლება ყველამ არ გაიხაროს. აქა-იქ რომ გაიხარებს ვაზი ასეთ ვენახს ჩხირა ვენახი ეწოდება (სანამ შეივსებოდეს ვენახი გადაწვევით). „ჩხირა ვენახი აქა-იქ გახარებული ვაზი, რომელსაც ჯერ სარები არა აქვს დასმული“ (იმერ., წერ.) „გადაბრუნებულ და გადოუბრუნებულ მიწაში ჩავრგავთ ლერწს, მერე იქა-აქ გეიხარებს... ამას უძახიან ჩხირა ვენახს“ (ზ. იმერ., „შინამრეწვ.“). „ჩხირა ვენახია წრევანდელი და შარშანდელი ვენახი. ორ წელიწადს ჩხირაა, მესამე წელიწადს — ვენახი“ (იმერ., ოზჩა).

ახალნერგი. ძველ ქართულში გვხვდება ტერმინი ახალნერგი ახალგაშენებული ვენახის მნიშვნელობით „აღიგი ვენაცი: რი ახალნერგი იყო“ (იბოლ., TP III 20. 62). „რამეთუ ვინაფთვან ახალნერგი იყვნეს წუთლა ვენაჯნი, ყოველთა სართთა განგებად უნდა“ (ცხ. იოვ. და ეფთ., 89.6).

საშვალი ვენახი. „ახალშენის შემდეგ საშვალი ვენახია“ (იმერ., ოზჩა).

მსხმოიარე ვენახი. მოსავლიან ვენახს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელს უწოდებენ. „მსხმოიარე მქონდა ვენახი“ (ქართლ., გაჩ.).

სრული ვენახი. „მესამე წელიწადს სრული ვენახი იყო“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „სრული ვენახი მეოთხე წელს არის“ (კახ., გავაზი). „სრულ ვენაჯ ძალან დიდი მოვლა უნდა“ (ქიზ., „ქართლ. დიალ. I, 216). „მეოთხე წლიდან სრული ვენახი იყო“ (იმერ., ობხა).

დამზადილი ვენახი. „მესამე წელიწადს დამზადილი ვენახია“ (იმერ., ობხა).

მოთავნებული ვენახი. „...მაგრამ სამი წლის რომ გახდება, მაშინ მოთავნებულ ვენახს უძახით“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

დამდგარი ვენახი. „არ ვაკეთებთ სახლს, სანამ ვენახი არ დადგება, სამ წელიწადში დამდგარი ვენახი გვექნება“ (იმერ., ობხა).

მამცემი ვენახი. „მამცემ ვენახს რო აქ, ისე კი არ უნდა, თხელი წამალი უნდა“ (ზ. იმერ., ძოწ.).

მუშა ვენახი, საკრეფი მამული. „ხუთი წლის შემდეგ ვენახს „მუშა ვენახი“ ანუ „საკრეფი მამული“ ეწოდება (რაჭ., ფრ.).

მოჟორდილი ვენახი. „მოჟორდილი ვენახი — დასაკრეფად მოწეული ვენახი“ (ქართლ., ძიძიგ. და სხვ.).

დაკრეფილი ვენახი. „შემოდგომაზე საჭიროა დაკრეფილი ვენაჯი მოკვნა“ (ქიზ., ქართ. დიალ. I, გვ. 216).

ორპირი ვენახი. თუ ვაზი ორპირად არის ჩაყრილი ასეთ ვენახს ორპირი ვენახი ეწოდება. „ორპირი ვენახი — სავენახე მამულში ორპირად ჩაყრილი ვაზი, მწყრივად გაშენებული ვენახი“ (ქიზ., მენთ.).

ირმიცული ვენახი. „ვაზი თუ სწორათაა დარგული, ვიტყვით შარებათ რგიაო, თუ ირიბათაა — ვიტყვით მოირმიცოთ რგიაო — ირმიცულია“ (ზ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

წკაპის ვენახი. წკაპზე დარგული ვენახი (იმერ.).

რეული, უშაკო ვენახი. „აქა-იქ შემორჩენილია ძველთაძველი რეული ვენახიც“ (კახ., ლევ.). „გრიშას ყურბენი დეიწყეს უკვე? ის უშაკო ვენახია“ (ზ. იმერ., ძოწ. I).

ლამი ვენახი. „უქვო, უკენჭო შავი მიწის ვენახი, დიდ მოსავალს იძლევა, მაგრამ ღვინო ხარისხით დაბალია, უპირისპირდება ხირხატ... ვენახს“ (ქიზ., მენთ.).

ხირხატი ვენახი. „კენჭიანი ადგილის ვენახი. ხირხატი ვენახის ღვინო კარგია“ (ქიზ., მენთ.).

სარწყავი და ურწყავი ვენახი. „ურწყავი ვენახი“ (კახ.,

ყვარელი). „სარწყავში 0,25 ჰექტარი აქვს, ურწყავში 0,5 ჰექტარი. პაპაჩემს სარწყავში აქ 0,5“ (კახ., გურჯაანი).

აბეჩხარი ვენახი. „აბეჩხარი — ნახევრად გადამხმარი ვენახი“ (ქიზ., მენტ.).

ნაოჩხარი, ნაბეჩხარი ვენახი. „გადამხმარი, ამოვარდნილი ვენახი... ნაოჩხარის ღვინო ნაქებია“ (ქიზ., მენტ.).

ამოვარდნილი ვენახი. „ამოვარდნილი ვენახი — გადამხმარი ვენახი“ (ქიზ., მენტ.). „ვაზი დიდხანს სძლებდა ძველათ მაინც ორი თაობა უნდა გამეცვალა ვაზს. მე ვენახის ამოვარდნა არ გამეგონა“ (ქიზ., „შინამრეწვ.“).

პარტახი. გადამხმარ, ამოვარდნილ ვენახს ლეჩხუმში პარტახი ეწოდება. „პარტახში მიბია ცხენი“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი).

აშარავებული ვენახი. „აშარავებული — დაუცავი ვენახი“ (ქიზ., ნანობ., გვ. 56).

უხვედრი მამული. „უხვედრი მამული ანუ ვენახი, სადაც ხალხი ნაკლებ დაიარება და ცოტა ხარჯი აქვს“ (ქიზ., მენტ.).

კარის ვენახი, მამული. სახლთან ახლოს ვენახს კარის ვენახი ეწოდება. „კარგი ხარ, კარის მამული რომ არა გჭამდეს ქათამი“ (ხალხური).

შინა ვენახი. „შინა ვენახი ორასი საყენი ღა მაქვს“ (რაჭა, ამბროლაური).

ამრიგად, გვაქვს:

სანერგე — ქართლ. და სხვ.

სადედე — იმერ.

ზუარი — ძვ. ქართ., ქართლ.

ზვარი, მზვარი — ქართლ.

დაბალი ვენახი — იმერ.

დაბლარი ვენახი — ვახუშტი

ძირეული ვენახი — იმერ.

ხელნაშენი — იმერ.

ხარდნი ვენახი, ხარდნის ვენახი — იმერ.,

რაჭ.

ოლიხნარი — იმერ., რაჭ.

ნარგეული ვენახი — კახ.

ძველებური ვენახი — იმერ.

ნამყენი ვენახი — იმერ.

ბაგა — საბა, ქართლ.

ახალშენი, ახაშენი — იმერ., ლეჩხ.

ჩხირა — იმერ.
 ახალნერგი — ძვ. ქართ.
 საშვალი — იმერ.
 მსხმოიარე — ქართლ.
 სრული — ქართლ., კახ., ქიზ., იმერ.
 დამზადილი — იმერ.
 მოთავნებული — იმერ.
 დამდგარი — იმერ.
 მამცემი ვენახი — იმერ.
 მუშა — რაჭ.
 საკრეფი — რაჭ.
 მოყორდილი — ქართლ.
 დაკრეფილი — ქიზ.
 ორპირი ვენახი — ქიზ.
 ირმიცული — რაჭ.
 წკაპის ვენახი — იმერ.
 რეული ვენახი — კახ.
 უშაკო ვენახი — იმერ.
 ლამი ვენახი — ქიზ.
 ხირხატი ვენახი — ქიზ.
 სარწყავი ვენახი — კახ.
 ურწყავი ვენახი — კახ.
 აბეჩხარი ვენახი — ქიზ.
 ნაოჩხარი, ნაბეჩხარი — ქიზ.
 ამოვარდნილი ვენახი — ქიზ.
 პარტახი — ლეჩხ.
 აშარავებული ვენახი — ქიზ.
 უხვედრი მამული — ქიზ.
 კარის ვენახი — ქართლ.
 შინა ვენახი — რაჭ.

ვენახის დაყოფა სამუშაო ნაწილებად, ვაზის მოვლით

ეტი. ვენახს ყოფენ ერთჯერობაზე შესასრულებელი სამუშაოს მიხედვით. ვენახის ამ მონაკვეთებს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელს უწოდებენ. ეს სახელწოდებანი ხშირად საზიაროა ბაღის, ყანის, ბოსტნისა და მისთანათა სათანადო მონაკვეთების სახელწოდებასთან. „ვენახი ან ბაღი რამდენიმე ნაწილად იყოფა, ამ ნაწილთა

შორის ბილიკი ან საურმე გზაა გაყვანილი, თითოეული ნაწილი ეტია“ (ქართლ. ძიძიგ. და სხვ.). „ეტია — ნაწილი ვენახისა“ (ქართლ., კირიონი). „ეს ვენახი სამ-ეტიანია, ერთ კვალს რომ გაათავებ, აიტან, იტყვი ერთი ეტი გავათავეო“ (ქართლ., ბერბუკი). „ერთი ეტია, ერთი კვალი მოვკრიფეთ“ (იქვე).

კვალი. ეტის გვერდით ქართლში იხმარება კვალიც. „კვალის ჩავათავეო — ძველებურად კვალი ქვია, ახლა ეტსაც ვეძახით“ (ქართლ., ატენი). ბერბუკელები ეტს განასხვავებენ კვალისაგან, „განდიგან რო გადაჭრი ეტია, სიგრძეზე — კვალი“ (ქართლ., ბერბუკი).

სვე, სვრელი, სრიელი. ეტის სინონიმებია სვე, სვრელი, სრიელი. „ერთი სვე“ გავიტანეთ“ (კახ., ანმეტა). „ერთი სვე დაგვრჩა მოსაკრეფი“ (ქვ. ლეჩხ., ღერჩი). „ეს სვრელი გავიტანოთ“ (იმერ., ჭორვილა). „სრიელთა სიდიდე მუშახელის რაოდენობაზე იყო დამოკიდებული“ (რაჭ., ფრ., 93).

არაკალი. „არაკალი — ვენახის ეტია“ (საბა). არაკალი ცოცხალ მეტყველებაში არ შეგვხვედრია. დ. ჩუბინაშვილს არაკალი საბასაგან განსხვავებული მნიშვნელობით („განსხვლა“) აქვს შეტანილი.

ბაქანი. „ბაქანი — კორდი ვენახში“ ქართლ., ძიძიგ. და სხვ.).

ველი. ვაზის ძირთან მის გადასაწვენად დატოვებულ ადგილს ველი ეწოდება. „წიდვას ვეტყოდით, რომელიც ვაზი დაბერდებოდა, ემას ველი ქონდა, გაუთხრიდით საფლავსა და ჩავაწვენდით“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „გაუთხრიდით განივრად სამარეს ორი ბარის პირს, მერე გადვიყვანდით რქასა და ველს გავავსებდით და გავახლებდით ვაზსა“ (იქვე). „ადგილი აღარ გვქონდა, რომ (ვაზი) გადაგვეწიგნა — სქელში რათ უნდოდა წიგნა, ველი რომ აღარ იყო“ (იქვე).

კალო „ოლოხნარის ვაზის ძირს მეტი კალო აქვს დატოვებულ“ (კახ., ლეკ.).

შარი. მწკრივებს შორის დარჩენილ ადგილს შარი ეწოდება. „რომელიც გაისარებდა და მოლონიერდებოდა გადააწილნავდენ, რომ ცარიელი შარი არ გამოსულიყო და ყოფილიყო ხშირად, ყოველ სამ. ჩარექზე უნდა ყოფილიყო ვენახი“ (ზ. ქართლ., „შინა-

⁵⁸ სვე — სიტყვა ქართლში მკის დროს იხმარება. „ერთი სვე გავიტანოთო ყანას რომ მკიან, მაშინ იეტვიან“ (ქართლ., ბერბუკი).

მრეწვ.“). „შარი რიგსა და რიგს შუა ადგილი“ (ქვ. ლეჩხ., ღერ-
ში). „ძველათ ახლო-ახლო იყო ძირები, შუა შარები არ ქონდა,
ახლა რომაა პლანზე ესეც არ ვიცოდით“ (ლეჩხ., „შინამრეწვ.“).
„შარები — დარგული ვაზთა შორის მიწის ზოლები“ (ზ. რაჭა,
„შინამრეწვ.“).

გეზი. „აქეთ-იქით გეზებს ვაკეთებდით (ვენახში), რო ხალხს
გეეარნა“ (ქიზ. „შინამრეწვ.“).

ცარიელი მამული. „ცარიელი მამული უვენახო, უხეხი-
ლო მამული ვენახის ახლოს: სათიბი, საფრმე ადგილი შუა ვენახში
შესასვლელად“ (ქიზ., მენტ.).

უბირო ალაგი. „უბირო ალაგი — ცარიელი“ (ქართლ., ყან-
ჩავეთი).

ტახტი, ქუსში. „ქართლ-კახეთში დიდი ვენახი ბილიკებითაა და-
სერილი. ისინი ტახტებად, ქუსმებად ყოფენ ვენახებს
(ქართლ., კახ., ლეკ., გვ. 56).

საყენებელი. „დიდი ვენახის სრიელს საყენებელი ექნება.
სრიელის ატანის შემდეგ ისვენებენ, სადაც სრიელი თავდება“ (რაჭ.
ფრ., 57).

ვენახის დანაყოფების აღმნიშვნელი სახელებია:

ეტი — ქართლ.

კვალი — ქართლ.

სვე, სვრელი — კახ., იმერ., ლეჩხ.

სრიელი — რაჭ.

არაკალი — საბა.

ბაქანი — ქართლ.

ველი — ქართლ.

კალო — კახ.

შარი — ქართლ., რაჭ., ლეჩხ.

გეზი — ქიზ.

ცარიელი მამული — ქიზ.

უბირო ალაგი — ქართლ.

ტახტი — ქართლ., კახ.

ქუსმი — ქართლ., კახ.

საყენებელი — რაჭ.

ვაზის მწკრივი. ვენახში ერთიმეორეს მიყოლებით დარგულ
ვაზებს ეწოდება მწკრივი.

მწკრე. „დაჰმარავდა ე. ი. მწკრეზე ჩაჰყრიდა ორი ბარის
პირის სიღრმეზე ამოთხრილ შარში რქას“ (გ. კახ., „შინამრეწვ.“).

„გადავაწვევინდით. ერთ წვერს ვაზის ძირშივე ამოვუშვებდით და და-
ნარჩენებს მწკრეხე“ (იქვე).

წკაპი. „ნამყენის დასარგავად ვენახს ყოფენ რიგებად, რომელ-
ზედაც გააყოლებენ ნამყენს. თითოეულ რიგს წკაპი ეწოდება... ამ
წკაპს მიყევი შენე“ (ზ. იმერ., ძოწ. ლ.)

პწკალი, პწკარი. „მწკრივი, რიგი... ვენახს გააყოლებენ პწკალ-
ზე... სახლის გადაღმა ერთი პწკარი ვენახი დამიტოვე-მეთქი“
(ზ. იმერ., ძოწ. ლ.).

შაკი. „ჩემი შაკი გავათავე“ (ზ. იმერ., ძოწ. I, გვ. 531).
„უშაკო-შაკის, მწკრივის უქონელი. „გრიშას ვენახი უშაკოა“
(ზ. იმერ., ძოწ. ლ.).

შარი. მწკრივის სინონიზია შარი. „შარი მწკრივი ვაზისა ვე-
ნახში“ (ქიზ., მენტ.). „შარი-ვაზის მწკრივი“ (კახ., გავაზი). „შა-
რი ვაზების მწკრივი ვენახში — გახატულზედა ამეილებენ (ვენა-
ხის ნერგს) და გადაბრუნებულ მიწაში შარებათ რგვენ“ (იმერ.,
დიალ.). „ვაზი თუ სწორათაა დარგული, ვიტყვი — შარებათ
რგიაო“ (ზ. რაჭა, „შინამრეწვ.“). „როცა ვენახი აშენება გვინდო-
და, ჯერ გავჭრიდით შარებათ ორ ბარიპირზე“ (ქიზ., „შინა-
მრეწვ.“)..

რიგი. რაჭასა და ლეჩხუმში ვაზის მწკრივს რიგს ეძახიან.
„სვრელი სიბინდის, რიგი ვენახის“ (ქვ. ლეჩხ., დერჩი). „(მოთხრილ
ნამყენს) გახატულზე რიგში დავრგავთ შვიდი ჩარქის დაცილე-
ბით, ხარდანს მიუსობთ“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

ყათარი. „ყათარი — შარი, მწკრივი“ (ქართლ., მენტ.).

ვაზის მწკრივის აღმნიშვნელი ტერმინებია:

პწკალი — იმერ.

მწკრე — კახ.

წკაპი — იმერ.

შაკი — იმერ.

შარი — კახ., ქიზ. იმერ., რაჭ.

რიგი — რაჭ. ლეჩხ.

ყათარი — ქართლ.

არხი. ვაზის დასარგავად ან გადასაწვევნად გათხრიან მიწას. „გა-
დაწვევის დროს არხს გათხრიან“ (კახ., გავაზი).

რუ. „უნდა დაიბაგოს ესე: რუები გაიჭრება და რქას გაუ-
ჩიგებთ“ (ქართლ. სამხ., „შინამრეწვ.“).

ორმო. „ორმოჲ ამოჭრი, დაწვიდნიან, მერე პატივ დააყრიან“

(ქართლ. ყანჩ.). „ორმოებს გავაკეთებთ, ჩვეყრით ვაზს“ (კახ., ყვარ.).

თხრილი. „ვენახისათვის... თხრილს გავთხრიდით და ზედ ლერწებს გადავიყვანდით“ (ქვ. იმერ., „შინამრეწვ.“).

სამარხი. „გრძელ-გრძელ სამარხებს ან არხებს გაჭრიდენ ორბაპირზე“ (კახ., ბოჟორ.).

საწოლი. „ვაზის ძირთან „საწოლს“ გათხრიან“ (რაჭ., ფრ., 65).

სამარე. „გაუთხრიდით განივრად სამარეს ორი ბარის პირს, მერე ვადვიყვანდით რქასა“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“). „დასაწვენ ვაზებს ამოვუთხრიდით ძირიდან გძლად სამარეს ორი ბარის პირზე“ (გ. კახ. „შინამრეწვ.“).

საფლავი. „წიდვანს ვეტყოდით, რომელიც ვაზი დაბერდებოდა, ემას ველი ქონდა, გაუთხრიდით საფლავსა და ჩავაწვენდით“ (ზ. ქართლ., „შინამრეწვ.“).

შარი. „მწკრეზე ჩაპყრიდა ორი ბარის პირის სიღრმეზე ამოთხრილ შარში რქას და მიაყრიდა მიწას“ (გ. კახ. „შინამრეწვ.“).

კვალი. „ერთ ნექს მარჯვნივ ვადავაწვენდით სამ ჩარექზე კვალში და მეორეს — მარცხნივ“ (ქვ. რაჭა, „შინამრეწვ.“).

ამრიგად, ვაზის ჩასაყრელად გათხრილი მიწის აღმნიშვნელი ტერმინებია:

არხი — კახ.

რუ — ქართლ.

ორმო — ქართლ., კახ.

თხრილი — იმერ.

სამარხი — კახ.

საწოლი — რაჭ.

სამარე — ქართლ., კახ.

საფლავი — ქართლ.

შარი — კახ.

კვალი — რაჭ.

დასკვნა

1. ნაშრომში განხილულია ვაზის კულტურასთან დაკავშირებული 250-მდე ძირითადი სახელწოდება. თითოეულ მათგანთან თავს იყრის სინონიმების კონა. სინონიმური ვარიანტები მევენახეობის ტერმინთა რიცხვს 1200-მდე ზრდის. მაგალითად, ვენახს აქვს 8 სინონიმი; ვაზს—7, ვარეულ ვაზს—31 სინონიმი, გართხმულ ვაზს — 3, ფენის ვაზს — 7, ბაბილოს—12, ტალავერს — 11, ჭიგოს — 18 დედა-ვაზს — 19, ერთწლიან რქას — 24, წალაშს — 17, ნამორჩს — 13, ნამხრევს—35, პუკალს—22, კლერტს—31, კუფხალს—19, ბიმბილოს — 8, წიპწას—17, კუმს მტევანს — 9, თხელ მტევანს — 11, ბაგას აქვს — 4 სინონიმი, სრულ ვენახს — 8, დაბლარს — 6, აბეჩხარ ვენახს—5, ვაზის გადაწიდვის ალსანიშნავად გამოყენებულია 41 სიტყვა, დაკვალვისათვის—17, დანეკვისათვის—17, ქირქის გამოცლისათვის — 49 სიტყვა, გამოთხელებისათვის — 8, თავის გადაჭრისათვის—9, ასარვისათვის—26 და სხვ. არის ტერმინები, რომლებსაც თითო-ოროლა სინონიმი აქვს, ან საერთოდ არ გააჩნია სინონიმი. ცხადია, გამორიცხული არ არის, რომ დამატებითმა ძიებამ ამოატივტივოს კიდევ ახალი სახელწოდებები.

2. სინონიმური ვარიანტების წყარო არის ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები და თანამედროვე ქართული კილოები. ძველ ქართულ ძეგლებს შემოღუნახავს მევენახეობის ძირითად ტერმინთა დიდი ნაწილი: ვენახი, ვაზი, ყურძენი, მტევანი, რქა, ბაბილო, წიღა, ნასხლევი, მასკნე, კლერტი, ზუარი მეზუარე, ნაზურევი, ახალნერგი, მევენაჟე, სავენაჟე, საყურძენი, ვენაჯოვანი, სარი, ასარავს, განგებაჲ, ვენაჯს გააშენებს (შენებული), დაასხამს, დანერგავს, გასხლავს, აჯოჯავა და სხვ. საბას ქართულ ლექსიკონში დამატებით ვხვდებით შემდეგ ტერმინებს: არაკალი, ბაგა, ბურძღენი, გურტი, დობილო, ეტი, დაგამინება, კლერტი, კუფხალი, მარნა, მარნეული მარცვალმოგრძე, მრგვალმარცვლიანი, მეზვრე, მუშა-ვაზი, ძველი-ვაზი სასხლევი, ტუკი, ძღუამლი, წიღნა, დაწიდნის, ჭიგო, ხარდანი, ხრალი და სხვ.

ყველა ეს ტერმინი, გარდა ერთი-ორი გამონაკლისისა (არაკალი, ნოიჭი, აჯოჯვა), დღესაც ცოცხალია და გვხვდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (ქართლში, კახეთში, იმერეთში, გურიასა და აჭარაში, რაჭა-ლეჩხუმში).

უძველესი ხანიდან შექმნილი მრავალფეროვანი ლექსიკა საუკუნეთა მანძილზე იცვლებოდა, ერთი ტერმინი ძველდებოდა, მის ადგილს ახალი ტერმინი იჭერდა. „განგება“ ძველ ქართულში ნიშნავს ვაზისათვის სარის შედგმას. ახალ ქართულში მის ნაცვლად იხმარება „მოსარვა“, „მოხარღნვა“, „შეჭიგვა“, „აშენება“ და სხვ. ძველი ქართულის „ვენავის დანერგვა და „ვენავის დასხმა“-ს ნაცვლად ახალ ქართულში იხმარება „ვენახის გაშენება, აშენება“, „ვაზის ჩაყრა“. ძველი ქართულის „ჯოჯვა“, „აჯოჯვა“-ს თანამედროვე ქართულში შეესაბამება ტერმინები: „გამოლორღვა“, „გაფურცვლა“ და სხვ. საბას ლექსიკონში შეტანილი ტერმინები: „ნოიჭი-უმწიფარი ყურძენი“, „არაკალი — ვენავის ეტი“ თანამედროვე ქართულში არ ჩანს. ასევე ძველი ქართულის კუთვნილებაა ვენახის სინონიმები: „ვენავოვანი“, „სავენავე“, „საყურძენი“, „საყურძნე“. ხეს აყოლილი ვაზის აღმნიშვნელი არაერთი ტერმინი დროთა განმავლობაში იქცა ჯიშის აღმნიშვნელ სახელად („მაღლარი“, „ოჯალეში“, „ოლიხნარი“ და სხვ.). ვაზის ჯიშის სახელწოდებად იქცა აგრეთვე „აკიდო“ (ორმტეენიანი რქა).

„კუფხალი“ დღეს ფართოდ არის გავრცელებული მტევნის რტოს მნიშვნელობით. საბას ლექსიკონშიც „კუფხალი — ტევნის რტო“-ს აღნიშნავს, ხოლო დაბადებაში იგი ზეთისხილთან დაკავშირებით იხმარება; სიტყვა „ტალავარ“ ძველ ქართულში საჩრდილობელს, კარავს ეწოდებოდა, თანამედროვე ქართულში ვაზით მოწყობილი საჩრდილობელია. საბას სხვა („რტოთ მოკუფთა“) ფართო მნიშვნელობით აქვს შეტანილი ლექსიკონში და როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, თავდაპირველად ამ ზმნას სწორედ ასეთი ფართო მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ შემდეგში განსაკუთრებით ვაზის რტოთა მოჭრის აღსანიშნავად იხმარებოდა.

3. განხილულ ტერმინთა უმეტესობა საკუთრივ მევენახეობას მიეკუთვნება, მხოლოდ ამ დარგში გვხვდება: ვაზი, ვენახი, ყურძენი, ისრიმი, წალამი, ბაბილო, ბიბილი, ძღვამლი, ბურძღენი, ჭაჭა და სხვ. ხშირ შემთხვევაში ამ რიგის ტერმინებად გამოყენებულია სხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვებიც. ქართველი მეურნე, რომელსაც ზედმიწევნით შეუსწავლია სოფლის მეურნეობის ეს დარგი, ჩასწვდომია ვაზის კულტურის ურთულეს ბუნებას, არ დასჯერებია

მხოლოდ ძირითად ზოგად სახელწოდებებს და დეტალურად აღუნიშნავს ვაზთან დაკავშირებული ყოველი წვრილმანი. სიტყვათმემოქმედების დროს მას გამოუმჟღავნებია თავისი ნიჭი და დაკვირვების უნარი. მაგალითად, ზოგიერთი ტერმინი მიგვანიშნებს ვაზის ან მისი ნაწილის თვისებასა და დანიშნულებაზე. „დედა-ვაზი“ და „დედა-ტანი“ აღნიშნავს, რომ ვაზის ეს ნაწილი დედაა, საფუძველია ვაზის სხვა ნაწილების — რქის, მტევნის და სხვ. კახეთში დედა-ვაზისათვის „მუშა-ვაზი“ უწოდებიათ, რაც, აგრეთვე იმის მაჩვენებელია, რომ იგი „მუშაობს“ ვაზის სხვა ნაწილების გაზრდის, გამრავლებისა და დამწიფებისათვის; ტერმინები „საწინაო“, „საწინდარი“, „საკულაო“ გამოხატავს, რომ ეს რქა წელს კი არ ისხამს ნაყოფს, გაისისათვის არის დატოვებული; მივეჩვენებ იცის, რომ რქა უფრო მეტ ნაყოფს ისხამს, თუ ის ფეხზე კი არ დგას, არამედ წაწვენილია. ამიტომ მას მოხრის და მოხრილად ამაგრებს ჭიგოზე და რქისათვის ჭიგოზე მოხრილად, მოხვეულად დამაგრების დიდი მნიშვნელობა გამოხატავს თვით რქის სახელწოდებით — „მოსახვევი“, „მოსახრელი“, „ბლუნძა“; „ბუში“, „ნაბუშარა“ უადგილო ადგილას გამოსული ყლორტია, რომელიც ნაყოფს არ იძლევა (ან ცუდ ნაყოფს იძლევა, „ტყუილი რქა“ ნაყოფის არმომცემი რქის სახელწოდებაა. „გამოთხელება“ და „გამოხშირვა“ სიტყვები ერთი და იგივე მნიშვნელობის გამოსახატავად ერთმანეთის საპირისპირო მნიშვნელობის თხელ და ხშირ ფუძეებს იყენებს (ე. ი. ფოთოლი თხლად უნდა გახადო და ფოთოლი ხშირი არ უნდა იყოს). ასევე სხვადასხვა მხრიდან არის დახასიათებული ერთი და იგივე პროცესის აღმნიშვნელი სიტყვები „გადაწვენა“ (ლერწი უნდა დააწვინონ არხში), „გადათარგულება“ (კვალში, თარგულში უნდა დააწვინონ ლერწი), „გადაწიგნვა“ (მომავლისათვის უნდა დააწვინონ ლერწი).

ამ ჯგუფს ეკუთვნის, აგრეთვე, რისამე მიმსგავსებით დარქმეული ტერმინების მთელი წყება, როგორცაა: თვალი, ფრჩხილი, უღვაში, ნეკი, წვერი, კლანჭი; გული, თავი, კბილი, ყური, მუხლი, ტანი, ქოჩორი ქუსლი, ჭორფლი, ძაფი, ბაწარი, ბარტყი, ბუში, კუტალი, დამურგული, კუნძი და წიწილიანი.

ვაზს, ისევე როგორც ყველა მცენარეს, აქვს ფესვი, ძირკვი, ტანი, ღერო, ტოტი, ყლორტი ფოთოლი, ყუნწი, კვრტი, მარცვალი, კანი, ბუმბლი; ვაზსაც რგავენ, სხვა მცენარის მსგავსად; ამზადებენ ვაზის ნერგებს; ვაზიც გაიხარებს, გაიზრდება, მოისხამს, დამწიფდება, გაიზარდება, გაიბურდება, გათამამდება, შეწუხდება. ვაზსაც

გათოხნიან, დაბარავენ, დაამყნიან, მის დასამუშაველად საჭიროა თოხნი, ბარი, წალდი და მაკრატელი. ამიტომ, ბუნებრივია, ყოველივე ამის აღსანიშნავად გამოყენებულია მემცენარეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ზიარი ტერმინები. იმისათვის, რომ სრულად წარმოგვედგინა მევენახეობის ლექსიკა, არც ამ სიტყვებისთვის აგვივლია გვერდი.

4. მევენახეობის 1200 ტერმინიდან განსხვავებული ფუძე აქვს 500-მდე ტერმინს. დანარჩენი ან ძირითად, ამოსავალ ტერმინთა ფონეტიკურ ვარიანტს წარმოადგენს (პწკალი და ბწკალი; მხარი და ფხარი; ახალშენი და ახაშენი; მარნეული და მანეული; შემოგოლავს და შემოგოლავს; გაფურჩქნის და გაფურჭკნის; გაბმულა და გამბულა და სხვ.), ან ამ ფუძეთაგან ნაწარმოები სიტყვებია. როგორც წესი, წარმოების შედეგად ვღებულობთ ახალი მნიშვნელობის სიტყვას: ვაზი, სავაზე და ვაზიანი; კვირტი და გამოკვირტავს; ლორდი და გალორდავს; მორჩი და გამომორჩავს; ფურცელი და გამოფურცლავს; ფუნთხლი და გამოფუნთხლავს; ფურჩი და გაფურჩნის; მუხლი და გადამუხლავს; კვალი და დაკვალავს; შარი და დაშარავს; მწკრივი და გაამწკრივებს; კოკოლა და აუკოკოლავებს; სარი და მოსარავს; ხარდანი და ახარდნის; პალო და დაპალოებს; ჩხირი და მოჩხირავს; ჭიგო და მოჭიღავს.

ნაწარმოები ტერმინის მნიშვნელობა ყოველთვის არ ემთხვევა ფუძისა და ნაწარმოებელ აფიქსთა მნიშვნელობას. მაგალითად, ბარავს — მიწას და გადაბარავს — ვაზს გადაწიდნის; ბიჭა, ბიჭა-ბიჭა, ზიჭია — ნამხრევია და ბიჭოურა — პწკალი; გადაკიდებს. — ვაზის ლერწმებს ხის ტოტებზე გადააწყობს და გადაკიდებული მტევანი — ტყუბა მტევანი. გააშენებს ახალ ვენახს, მოაშენებს — სარს დაუსობს ვაზს, და გადაშენდება — გადაიწიდნება ვაზი; გამოყელავს — ზედმეტ ფოთოლს გამოაცლის და ყელავს, შეყელავს — ვაზს საყრდენზე დაამაგრებს, განეკავს — მოკლედ გასხლავს და დანეკავს — ნამყენს ფესვებს მოაცლის და სხვ.

არის შემთხვევები, როცა ძირითადი და ნაწარმოები სიტყვა ერთი და იმავე მნიშვნელობის არის. მაგალითად, მხარი და ნამხრევი; ბარტყი და ნაბარტყი; ბუში და ნაბუშარა; გაბმულა და მოსაბამი; ასევე, დაკბილული და შეკბილული; გადაავსებს და შეავსებს; ააკავენს და დააკავენს, გაკვირტავს და გამოკვირტავს; მოკონავს და შეკონავს; გადაამაგინებს და დაამაგინებს; დართვილავს და მორთვილავს; ასარავს და მოსარავს, შასარავს; გადააწვენს და გადმოაწ-

ვენს, ჩააწვენს; ხარდნის და ახარდნის, მოხარდნის, შახარდნის და სხვა.

ძირითადი ტერმინებიც, თავის მხრივ, არაერთგვარია როგორც შედგენილობის მიხედვით (მარტივი, ნაწარმიები, რთული ფუძე); ისე წარმომავლობის მიხედვითაც (საკუთარი და ნასესხები — ნასესხებ სახელწოდებათა რიცხვი უმნიშვნელოა).

5. ყურადღებას იქცევს სიტყვათა კონები, რომელთა საერთო წარმოშობა აშკარაა, მაგრამ რა სახის ურთიერთობაა საერთო ელემენტებს შორის — ძირი იქნება ის თუ აფიქსი, ყოველთვის გარკვეული არ არის. მაგალითად: ბ ა ბ ი ლ ო, დობილო, დობირო, ბიმიბილი, ბიმიბილა და ბიმიბილო; ბ ო ნ ძ ღ ვ ი, ბონძღალი, ბოძღი, ბორძღვი, ბრძღვამლი, ბუნძღო, ძუნძღვალი, ბურძღალი, ნაბურძღანა, ბურძღენი, ბურძღუმი, ბურზღუმი, ბუნზღულო, ბოძონძღი და ბუნძუნძღო; ბ წ კ ა ლ ი, კაპწკალა და კაპწკალა; კ ი მ პ ა ლ ი, კომპალი, კუმპალი, კუმფხალი, კუმხალი, კუფხალი და კოფხალი. ყ უ ნ წ ი, ყურწი, კუნწი, კურწი, კინწი, კირწი, კიწი, კინწარი და კუნწულა; მ ო რ ჩ ი და ნურჩი; მ ო ც ხ ა რ ი, ომცხვარო, მორცხულა, მორცხვილი და მენცხერო; ს ვ ე რ ი, სვე, სვრელი და სრელი; ფ ო რ ც ხ ი, ფურცხი და ფურცხანია; ღ ვ ი ნ ძ ღ ლ ი, ღვინძღლი, ღუნძღლი, ღვინწკალი, ღუნწკალი, ხინწკი, ხინწკალი, ხუნწალი და ხუნწუნწკალი; ჩ ხ ა რ-ი, მეჩხერი, აბეჩხარი, ნაოჩხარი და ნაბეჩხარი; ჩ ხ ი რ-ი, ჩხირა, ჩხიროდი და მოჩხირვა; ძ ღ ვ ა მ ლ ი, ძღუამლი, ზღვამილა, ძღვამბლი, გრძღვამლი და ძღვლამი; წ ა ლ ა მ-ი, წილამი და წალამარი; წ ი დ ნ ა ვ ს, გადაწინდავს, გადაწინდრავს, დაწინდის, დაწინდის და საწინდარი; ჭ ი გ ო, ჭიგვა, ჭიღვა და ჭირღვა.

ЛЕКСИКА ВИНОГРАДАРСТВА В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ И В ДИАЛЕКТАХ СОВРЕМЕННОГО ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА (МАТЕРИАЛЫ)

Резюме

Благоприятные природно-ландшафтные условия и многовековые традиции определили в Грузии исключительно высокий уровень развития виноградарства, нашедший свое отражение в его богатой и разнообразной лексике¹.

